# ჩვენ, ევროპელები

წერილები პოლონურიდან თარგმნა და
წიგნი მოამზადა ამბროსი გრიშიკაშვილმა

20 თბილისი 07

ჩვენ, ევროპელები. წერილების თარგმანი პოლონურიდან. თბილისი 2006. 247 გვ.

წიგნში მოტანილი წერილები მკითხველს, მათ, ვისაც ჩვენი ქვეყნის მომავალი და მისი ევროპაში ინტეგრირების პერსპექტივა აინტერესებს, წარმოდგენას შეუქმნის ევროკავშირის შესახებ. აქ იგი გაეცნობა ევროკავშირის ფორმირებისა და განვითარების ისტორიას და ასევე იმას, თუ ამ კონტინენტის სხვადასხვა ქვეყნის ცნობილი ადამიანები – მწერლები, პოლიტოლოგები, ჟურნალისტები როგორ აფასებენ თავიანთ სამშობლოს მასში გაწევრიანებას.

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის და განსაკუთრებით სტუდენტებისათვის, რომლებიც აღნიშნულ საკითხებს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ.

ISBN 978-9941-0-0125-3

# შინაარსი


წინასიტყვაობა ... 4
მცირეოდენი ისტორიული გადახვევა ... 5
სამყაროს ჭიპი საფრანგეთია ... 10
გერმანელის მოწოდება - ყველაფერი მშვენიერი ... 17
თავის მოჩვენების ოსტატები ... 25
კომპრომისი ბელგიურად ... 32
ადამიანი პოლდერიდან ... 40
ჩიტებს გუნდ-გუნდად ფრენა ურჩევნია ... 48
სევდიანი სიმღერები და მხურვალე მისალმება ... 55
ქვეყანა არც აქეთ, არც იქით ... 63
უძველესი სახელმწიფო თავის ტკივილებით ... 71
გზამკვლევი უცნობ ქვეყანაში ... 79
პატარა ქვეყანა მსოფლიოს მესამედს აკავშირებს ... 87
შვედეთი – შიში წარღვნის წინაშე ... 96
შავი და წითელი ... 104
საბერძნეთი მხოლოდ პანთეონი როდია ... 111
პორტუგალიიდან ვერსად გაექცევით ... 119
სლავური დათვი – სლოვენიის წვლილი ევროპაში ... 127
ცხოვრების ხელოვნება არსებობის ზღვარზე ... 135
სადაც ზომას მნიშვნელობა არა აქვს ... 143
უცხოები თავისიანებს შორის ... 150
ხის ფოთოლი ზღვაში ... 158
თორმეტი წლის, მაგრამ პრეტენზიული ... 165
პუდელი ვაცლავის მოედნიდან ... 173
ეს ნერვიული ლიტველები ... 180
სამი წელი ევროკავშირში ... 188
ნუ გეშინია, ევროპავ, ჩვენ თავად ვშიშობთ! ... 197
რუმინეთი: სწრაფად მზარდი ეკონომიკა ... 203
ბულგარეთი: რეფორმების გზაზე ... 208
მდიდრებს კავშირი არ სჭირდებათ ... 212
სამყაროს მომავალი ევროპაა ... 217
მომავალი მაინც ევროკავშირია ... 233
ევროპული ინტეგრაციის ანბანი ... 234
პროლოგის მაგიერ ... 244
რეზიუმე ინგლისურად ... 247

# წინასიტყვაობა

როგორც ვიცით, ევროკავშირის შემდგომი გაფართოება 2004 წლის 1 მაისს მოხდა. ამის შედეგად, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის კიდევ 10 ქვეყანა კავშირის ახალი წევრი გახდა.

ამასთან დაკავშირებით, კავშირის ერთ-ერთი ახალი წევრის, პოლონეთის პოპულარულმა ჟურნალმა „პოლიტიკამ" რუბრიკით „გავიცნოთ ერთმანეთი" ერთი, ჩვენის აზრით, მეტად საინტერესო კამპანია წამოიწყო: კერძოდ, მან ევროკავშირის წევრი ქვეყნის (2004 წლის 1 მაისიდან უკვე 25 ქვეყანა) ცნობილ ადამიანებს (პოლიტოლოგებს, მწერლებს, ჟურნალისტებს და სხვ.) მიმართა თხოვნით, მხატვრული ფორმით გადმოეცათ თავიანთი სამშობლოს დამახასიათებელი თვისებები.

ჩვენ ეს სტატიები ვთარგმნეთ და მათი ნაწილი ჟურნალ „საქართველოს ეკონომიკაში" და გაზეთ „24 საათში" დავბეჭდეთ. შემდგომ, რადგან მკითხველმა მათ მიმართ დაინტერესება გამოხატა, გადავწყვიტეთ მათი წიგნის სახით გამოცემა და ამ ფორმით მკითხველისათვის გაცნობა.

წიგნს დავიწყებთ საფრანგეთით, რადგან სწორედ ამ ქვეყანაში ჩაეყარა თავდაპირველად ევროკავშირს საძირკველი. თუმცა მანამდე ამ კავშირის შექმნის ისტორიაზეც გვსურს ორიოდე სიტყვა თქმა.

# მცირეოდენი ისტორიული გადახვევა

მესამე რაიხისაგან მიყენებული ტკივილები დიდხანს არ ასვენებდათ ევროპელებს. ამ დროის ბევრი იქაური მოაზროვნე ფიქრობდა იმის შესახებ, თუ როგორ შეეკვეცათ ფრთები გერმანელთა შესაძლო მომავალი ექსპანსიისათვის. ასეთი შეხედულებები განსაკუთრებით საფრანგეთში იგრძნობოდა ძალუმად. აქ ათეული წლების მანძილზე გერმანიასა და საფრანგეთს შორის მიმდინარე კონფლიქტს, როგორც რურის აუზის ქვანახშირსა და ფოლადზე გაბატონების სურვილს, ისე უყურებდნენ.

აღნიშნული საბადოები ამ მდინარის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობენ. რურის რეგიონსა და საარის მხარეში ორი მაღაროს ექსპლოატაციის შედეგად გერმანელები პირველ მსოფლიო ომამდე ფრანგებზე ექვსჯერ მეტ ნედლეულს ფლობდნენ. სამაგიეროდ, ამ უკანასკნელს რეინის სიახლოვეს, ლოტარინგიის რკინის მარაგები გააჩნდა. მალე ორივე ამ ქვეყანაში მომწიფდა აზრი იმის შესახებ, რომ ევროპის მასშტაბით ჰეგემონური როლის მიღწევა მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, თუ ორივე ქვეყანა თანაბრად გამოიყენებდა როგორც საარის, ისე ლოტარინგიის ნედლეულის მარაგებს. სწორედ ამიტომ იყო, რომ ეს ადგილები ისტორიულად ხელიდან ხელში გადადიოდა. საფრანგეთს არ შეეძლო იმის დაეიწყება, რომ გერმანელებმა თავიანთი ძლიერების აშენება 1871 წელს საფრანგეთისათვის წართმეულ ტერიტორიაზე მოპოვებული ნედლეულის გადამუშავების ხარჯზე შესძლეს.

ამისდა კვალად, პირველ მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ვერსალის ხელშეკრულების საფუძველზე ლოტარინგია საფრანგეთს დაუბრუნდა. მასვე გადაეცა საარის მხარეც მასზე სამხედრო და სამეურნეო კონტროლის განსახორციელებლად. 1940 წელს, საფრანგეთის დაპყრობის შემდეგ, ეს სადავო

ტერიტორია გერმანელებმა უკან დაიბრუნეს. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ლოტარინგია კვლავ საფრანგეთს დაუბრუნდა. ამასთან, საფრანგეთის მთავრობამ „ომის შემდგომი პერიოდის" მანძილზე რურის აუზის ეკონომიკაზე საფრანგეთ-ბელგიის კონტროლის დამყარებაც (საარის მხარე გერმანიის შემადგენლობაში მხოლოდ 1957 წელს დაბრუნდა) შეძლო.

ევროკავშირის მსგავსი ორგანიზაციის შექმნის თაობაზე ფიქრს თავდაპირველი ბიძგი დიდი ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერმა ჩერჩილმა მისცა, რომელმაც 1946 წლის 19 სექტემბერს ციურიხში გამოსვლისას განაცხადა, რომ ევროპელებმა უნდა დაძლიონ სტერეოტიპები და მუშაობა თავისებური „ევროპის შეერთებული შტატების მსგავსი რამის შესაქმნელად" დაიწყონ. ეს იდეა ევროპაში მართლაც აიტაცეს და 1948 წლის 7-10 მაისს ჰააგაში ეგრეთ წოდებული ევროპის კონგრესი მოეწყო. მასზე საპატიო სტუმრად თავად ჩერჩილი იყო მიწვეული. კონგრესის მუშაობაში ფრანგებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ ბრიტანელები, ჰოლანდიელები და ბელგიელები. კონგრესს ესწრებოდნენ შვეიცარიელებიც, სამაგიეროდ გერმანელთა დელეგაციას მასში მონაწილეობის უფლება არ დართეს.

კონფერენციის მსვლელობისას კავშირის არსისადმი ორი განსხვავებული მიდგომა გამოიკვეთა:

პირველი იყო ბრიტანულ-სკანდინავიური, რომელიც ევროპის ქვეყნების მთავრობათა და პარლამენტების ინტენსიურ თანამშრომლობას გულისხმობდა. მეორე მიდგომას წარმოადგენდა კონტინენტალური, რომლის მიხედვითაც ორიენტაცია საერთო-ევროპული დაწესებულებების შექმნისაკენ უნდა ყოფილიყო აღებული.

საბოლოოდ კონფერენციამ რამდენიმე ევროპული ორგანიზაციის: ევროპის საბჭოსი - სტრასბურგში, ევროპული კოლეგიის ბრუგიაში და ასევე ატომური კვლევების

ორგანიზაციისა ქვანების ტბის ახლოს შექმნის გადაწყვეტილება მიიღო.

მაგრამ ევროპელთა ფიქრი ამ მიმართულებით არ შეჩერებულა. 1949 წელს გერმანიის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ საფრანგეთს განსაკუთრებით იმაზე ფიქრი არ ასვენებდა, თუ როგორ უნდა მომხდარიყო რურისა და რენის საბადოების გაკონტროლება. ფრანგ პოლიტიკოსებსა და დიპლომატებს შორის მძლავრი იყო იმის რწმენა, რომ ახალი გერმანული სახელმწიფოს შექმნა, რაც შეიძლება უნდა შეყოვნებულიყო. თუმცა მათთვის ამ გზის უპერსპექტივობაც ცხადი იყო. საჭირო ხდებოდა ახალი პერსპექტივის გამოძებნა და აქამდელი, წესად ქცეული კონფლიქტების მომავალში თავიდან აცილება. და აი, ამ დროს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს რობერტ შუმანს მეტად გაბედული იდეით ჟან მონემ მიმართა.

მცირე დოსიე: როგორც შუმანი, ასევე მონეც უჩვეულო ადამიანები იყვნენ. რობერტ შუმანი 1886 წელს ლოტარინგიაში დაიბადა, როგორც გერმანიის მოქალაქე და საფრანგეთის მოქალაქეობა მხოლოდ 1919 წელს მიიღო (მამამისი დაიბადა როგორც ფრანგი მოქალაქე, დედა კი ლუქსემბურგის მოქალაქე იყო. მოზრდილები ორივე გერმანიის მოქალაქე გახდა: მამა იძულებით, დედა - გათხოვების შემდეგ. რობერტმა სკოლა გერმანიაში დაასრულა და აქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანიის ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციაში მსახურობდა, თუმცა გერმანული მუნდირი არასოდეს ჩაუცვამს. მეორე მსოფლიო ომის დროს აქტიურად იბრძოდა წინააღმდეგობის მოძრაობაში და მხოლოდ შემთხვევით გადაურჩა საკონცენტრაციო ბანაკში ჩასმას. ომის შემდეგ კოლეიდოსკოპიეთ ცვალებად მთავრობებში იყო საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი და ორ

გზის მთავრობის ხელმძღვანელიც. შუმანი იყო 1949 წელს ევროპის საბჭოს შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი.

ჟან მონე შუმანზე ორი წლით უმცროსი იყო. მას ფორმალურად სკოლაც კი არა ჰქონდა სრულად დამთავრებული. მაგრამ მას იცნობდნენ, როგორც მართვის გენიოსს. ის პოლიტიკის სამყაროში პირველი მსოფლიო ომის დროს გახდა ცნობილი, როდესაც საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელი გახდა დიდ ბრიტანეთთან სამეურნეო მოლაპარაკებებისას. მეორე მსოფლიო ომის დროს მონე გენერალ დე გოლის, ჩერჩილისა და რუზველტის მრჩეველი იყო მოკავშირეთა შეიარაღების კოორდინაციის სფეროში. მისი ღვაწლის შესაფასებლად საკმარისია ცნობილი ეკონომისტის კეინსის სიტყვების გახსენებაც: მსოფლიო მონეს უნდა უმადლოდეს ომის ერთი წლით ადრე დასრულებასო.

ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული კავშირის შექმნის თაობაზე თავისი გეგმა მონემ 1949-1950 წლების გასაყარზე შეიმუშავა. გეგმის მიხედვით უნდა დაწესებულიყო როგორც კონტროლი გერმანიის სამხედრო სფეროს მომავალ განვითარებაზე, ასევე შექმნილიყო ევროპის ინტეგრალური დაწესებულებები. მთელი ევროპის სასარგებლოდ უარი უნდა თქმულიყო რურისა და რენის საბადოების ეროვნულ გამოყენებაზე და ისინი ახლადჩამოყალიბებულ ზეეროვნულ ხელისუფლებას გადასცემოდა სამართავად. ამ უკანასკნელთა თანამშრომლებს თავიანთ საქმიანობაში უნდა ეხელმძღვანელათ ორგანიზაციის ობიექტური ინტერესებით და არ უნდა ყოფილიყვნენ მხოლოდ თავიანთი ქვეყნის წარმომადგენლები.

რაოდენ დიდი მორალური და ინტელექტუალური შორსმჭვრეტელობა უნდა ყოფილიყო საჭირო, რომ ომის დასრულებიდან მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ ადამიანს ასეთი წინადადება წამოეყენებინა! მაგრამ საფრანგეთის

იმდროინდელ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას კარგად ესმოდა თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ასეთი პროექტის, განხორციელებას ამ ორი ქვეყნის და საერთოდ, ევროპის მომავლისათვის.

1951 წელს პარიზის ხელშეკრულებით, ევროპის ფოლადისა და ნახშირის გაერთიანება შეიქმნა. ხელშეკრულებას იტალია, ბელგია, ნიდერლანდები და ლუქსემბურგი მიუერთდნენ. 1957 წელს ექვსმა ქვეყანამ გადაწყვიტა თავისი რესურსები სხვა სფეროებშიც შეეკავშირებინა. შეიქმნა ენერგიის გაერთიანება „ევრატომი", რომელსაც ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შექმნა მოჰყვა. ამ წელს დადებული რომის ხელშეკრულების თანახმად, დაიწყო სავაჭრო ბარიერების მოხსნა და საერთო ბაზრის ფორმირება. 1957 წლიდან იღებს სათავეს საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკაც, რომლის მიზანიც იაფი და ყველასათვის ხელმისაწვდომი სურსათის წარმოებისათვის ხელშეწყობა იყო. 1957 წლის შემდეგ ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა უკვე მეხუთედ ფართოვდება. 1973 წელს მას მიუერთდა დანია, ირლანდია და დიდი ბრიტანეთი. 1981 წელს – საბერძნეთი, 1986 წელს – პორტუგალია და ესპანეთი, ხოლო 1995 წელს – ავსტრია, ფინეთი და შვედეთი.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, 2004 წლის 1 მაისიდან ევროკავშირი კიდევ ათი ქვეყნით: პოლონეთით, უნგრეთით, ჩეხეთით, სლოვენიით, სლოვაკეთით, მალტით, კვიპროსით, ესტონეთით, ლიტვით და ლატვიით.

ცნობილია, რომ 2007 წლის 1 იანვრიდან ევროკავშირს კიდევ ორი ქვეყანა – ბულგარეთი და რუმინეთი შეუერთდა, რის შედეგადაც ევროკავშირის წევრთა საერთო რაოდენობამ 27 შეადგინა.

# სამყაროს ჭიპი საფრანგეთია



## საფრანგეთი (საფრანგეთის რესპუბლიკა)

**კავშირში გაწევრიანდა**- 1951წელს
**დედაქალაქი** – პარიზი
**მოსახლეობა** – 59, 2მლნ კაცი
**ფართობი** – 549100 კვ. კმ
**მშპ ერთ სულზე** – 22803 აშშ დოლარი
**მინიმალური ხელფასი თვეში** – 1254 ევრო
**რელიგიური მრწამსი** – კათოლიკები (ფრანგ არაბთა შორის - ისლამი)
**სახელმწიფო ენა** - ფრანგული
**სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა** – 79 წელი
**სპორტის პოპულარული სახეობა** – ფეხბურთი, რეგბი
**ჰობი** – მანიფესტები და დემონსტრაციები, ხელოვნება, არტისტულობა

ჩვენ, ფრანგები, ისევე, როგორც ჩვენი ქანდაკებები, სხვათაშორის, საკმაოდ მშვენიერები, უპირველეს ყოვლისა, გარეგნულ მხარეზე ვზრუნავთ, დარწმუნებულები იმაში, რომ ასე თუ ისე, ბანაკი წამოგვეწევა (L'intendance suivra ინტენდენტურა კვალში მოგვყვება, ეს საკმაოდ უგულვებელმყოფელი პასუხი მიეწერება გენერალ დე გოლს. მან ასე უპასუხა კითხვაზე ქვეყნის მდგომარეობის თაობაზე). საკმაოდ კონსერვატორი ხალხი ვართ, თუმცა მთელ მსოფლიოში რევოლუციონერებად მივაჩნივართ. ჩვენი მოწოდება შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ უნივერსალური, ასე რომ ელის ხალხი და ასე რომ გასაგებია მისთვის.

ჩვენი კულტურის გულისგული სიტყვაა. ჩვენ ისე გვიყვარს კამათი, რომ უფრო ხშირად იმას ვაიძულებთ პოლიტიკურ

ელიტას, ეცადოს შესაბამისი სიტყვა მოძებნოს, ვიდრე შექმნილი მდგომარეობა გამოასწოროს. ყველა ჩვენი პოლიტიკოსი თითქოს ვალდებულად გრძნობს თავს წიგნი დაწეროს. ჩვენ ყველას გვინდა სხვას არ ვგავდეთ, განსხვავებული ვიყოთ და ეს, ალბათ, საუკეთესო გზაა ამ მიზნის მისაღწევად. ამასთან, და ჩვენ ეს სწორედ ასე გვეჩვენება, თითქოს ყველაზე ინტელექტურები ვართ!

საფრანგეთი ძალზე რთული ქვეყანაა. გამოთქმაცაა ასეთი, ბედნიერი, როგორც ღმერთი საფრანგეთში. თუმცა ასე ის ადამიანი ამტკიცებს, ვისაც ჩვენ ან განსაკუთრებით ვუყვარვართ, ანდა ცუდად გვიცნობს. საერთოდ კი, ჩვენი ცხოვრების ფასადად ლამაზი ჰარმონია იქცა. მყარი დემოკრატია, სისტემა უფრო პრეზიდენტული, ვიდრე პარლამენტული, პოლიტიკური უმრავლესობა, უკვე რამდენიმე წელია, თანახმად V რესპუბლიკის ლოგიკისა, - აკონტროლებს ქვეყნის ძირითად დაწესებულებებს. ჩვენი საზოგადოება მდიდარია, ცხადია, ქონებრივად არათანაბარი, თუმცა დაცულია ძლიერი სოციალური სისტემით. თუმცა ფრანგებს შორის ფულზე საუბარი მაინც და მაინც მიღებული არაა, მაგრამ უძრავი ქონების მიმართ დიდი სიყვარული აქვთ. ჩვენი ეროვნული მეურნეობა უმცა ძალზე დამოკიდებულია საერთაშორისო კონიუნქტურაზე, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე განვითარებულია მსოფლიოში. საფრანგეთში დიდადაა გავრცელებული საზოგადოებრივი სუბვენციების ტრადიცია. ცხოვრების საზეიმო ფორმა, რომელიც ჩვენი ეროვნული სიამაყეა, ისევე სასიამოვნოა ადამიანისათვის, როგორც ჩვენი კლიმატი.

მაგრამ გავიაროთ ფასადი და შევიდეთ შენობაში. აქ ახალი სურათი გველის. ჩვენს პოლიტიკურ სისტემაზე დიდი გავლენა აქვთ ექსტრემისტებს – ერთადერთი ქვეყანა ვართ ევროპაში, სადაც პრეზიდენტის ბოლო არჩევნების დროს ლე

პერის უკიდურესმა მემარჯვენე პარტიამ და უკიდურესმა მემარცხენე ტროცკისტულმა პარტიამ ამომრჩეველთა ხმების მეოთხედზე მეტი მოიპოვა. ჩვენი ტრადიციული პოლიტიკური პარტიები მეტად მძიმე გამოცდას გადიან ამომრჩეველთა მხრიდან – რომელთა წარმომადგენლებიც, მიუხედავად არჩევნების ხასიათისა, ნებისმიერ თანამდებობაზე ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იცვლებიან. ასე მოხდა ამ ბოლო დროსაც, როდესაც შირაკისა და რაფარინის მემარჯვენეებმა ადგილობრივ არჩევნებზე დაკარგეს კონტროლი ყველა რეგიონში, გარდა ერთისა. ყველა ამ რეგიონში ლოკალური ხელისუფლების სათავეში კომუნისტები და მემარცხენე პარტიების წარმომადგენლები მოვიდნენ. როგორც ჩანს, ჩვენ ბოლო დროს უფრო ხშირად ხმას იმიტომ ვაძლევთ, რომ ავირიდოთ ცხოვრება, ვიდრე იმისათვის, მოვაწყოთ იგი. ბევრს ვწუწუნებთ სიტუაციაზე, რომ ცუდი და შესაცვლელია, მაგრამ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ შეუცვლელად დავტოვოთ. ჩვენში ტერმინი რეფორმა ძალზე საშიშ და არასასურველ სიტყვად იქცა. ჩვენი პარტნიორები, რომელთათვისაც უცხოა კომპრომისის კულტურა, საზოგადოებრივი დიალოგის დროს მის დაწყებამდე წყვეტენ კამათს. დემონსტრაციები და გაფიცვები წესად გვექცა. თუმცა ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკა გვაქვს, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ სახელმწიფო მომავალშიც შეასრულებს თავის აქტიურ როლს. ჩვენ თან გვინდა რომ მეწარმეობა განვითარდეს, და თანაც არც თუ ისე მოგვწონს, როდესაც ისინი დიდ კაპიტალს იგდებენ ხელთ. ჩვენ არ გვიყვარს ბირჟა, თუმცა წინააღმდეგი როდი ვართ მასზე ჩვენი ფულის განთავსების. ჩვენს ფირმებს მრავალი ისეთი ადამიანი ხელმძღვანელობს, რომლებიც ადრე სრულიად სხვა საქმისათვის იყვნენ მომზადებული, კერძოდ კი, სახელმწიფო სექტორში სამუშაოდ. ფრანგი მაღალი დონის მოხელეები,

ჩვენი ადმინისტრაციის სკოლის პროფესორები არიან. სწორედ ესაა ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა. ჩვენ ხშირად გამოვხატავთ მათ კარიკატურულად, გროტესკულად, თუმცა ამ დროის გვავიწყდება, რომ ამ სახის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ელიტა ზუსტად ამ საზოგადოების მიერაა გამოზრდილ-ფორმირებული.

ფრანგებს მაინც და მაინც არ გვიყვართ რისკის გაწევა. ბევრ თემაზე კამათის, მათ გააქტიურებას ვერიდებით კიდეც. ერთ-ერთი ასეთის წარმოადგენს იმ ხალხის რელიგიური აღმსარებლობის საკითხი, რომლებიც საფრანგეთში ცხოვრობენ. ის კამათი, რომელიც სკოლაში მანდილის ტარების აკრძალვამ გამოიწვია, გვიჩვენებს, თუ როგორი ერთგულია ქვეყანა თავისი ცივილიზებული ტრადიციებისა.

ფრანგული საზოგადოება სწრაფი ტემპებით იყოფა ორ სრულიად საპირისპირო ჯგუფად: იმ ადამიანებისა, რომლებიც მიისწრაფიან მომავლისაკენ და მათი, რომელსაც მისი ეშინია. ეს პირველნი თავისუფლად მიმოიქცევიან გლობალური კულტურის სივრცეში, მაშინ, როდესაც მეორენი უარყოფენ, არ იღებენ გლობალურ კულტურას, ამრეზით უყურებენ მას, ამაყობენ წარსულით, ტრადიციებით. უმუშევრობა, რომელიც მაღალია და გამუდმებით მატულობს, ადამიანებს მომავლისადმი რწმენას უკარგავს. ამას ემატება ისიც, რომ ფრანგი ერი ბერდება, თუმცა ჯერაც არ დაუკარგავს ბავშვების შობის უნარი, თან, როგორც ვხედავ, უფრო უკეთ, ვიდრე სხვა რომელიმე ევროპულ ერს. ხომ ყველასათვის ცხადია, რომ სიყვარული ფრანგული ტრადიციაა!

საფრანგეთის გარეთ ფრანგის ყურადღებას უწინარეს ყოვლისა, ამერიკა იპყრობს. ეს ნამდვილი სიგიჟეა, თუკი ვერწმუნებით ჩვენს ინტელექტუალებს, პოლიტიკოსებსა თუ დიპლომატებს. თითქოს რაღაც ემუქრებოდეს ჩვენს უნივერსალურ მისიას ამ სუპერ სახელმწიფოს მხრიდან,

რომლის პრიორიტეტებსა და ღირებულებებსაც სიამოვნებით ვეწინააღმდეგებით, და ამასთან არ ვაღიარებთ, მათი დიდი უმრავლესობა ჩვენი პრიორიტეტებისა და ღირებულებების მსგავსია. ძალზე ხშირად ანტიამერიკულობა მოდად იქცა, ნაცვლად პრობლემის გამოწვლილვითი განხილვისა. როდესაც ამ კუთხით ჩვენს პოლიტიკურ ლიდერებს ვაკვირდებით, ვგრძნობთ, თუ რა ბევრს კარგავს ამით მსოფლიოში გლობალური პრობლემების გადაწყვეტის სფეროში თანხმობის მიღწევის საქმე.

ხშირად გვეგონა, რომ ევროპა ფრანგული კონტინენტი იყო. რომ ჩვენი მაღალი რანგის პოლიტიკოსების მიერ მას ისეთი ფორმა ჰქონდა მიცემული, როგორიც ჩვენი ფერმერების ინტერესებში იყო; რომ სიმბოლოა ჩვენი ჩახუტებისა გერმანელებთან, რაც ჩვენი კონტინენტის კეთილდღეობისა და განვითარების ალმძრავს წარმოადგენს. თუმცა ჩვენს პოლიტიკოსებს სურვილი არა აქვთ ეს ხალხს აუხსნან და უგულვებელყოფენ მათში ევროპული სულის შენარჩუნებას. თვალს ვადევნებთ რა ჩვენს პოლიტიკურსა და პრესის კამათს, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ევროპა ერთიანი მხოლოდ კრიზისულ პერიოდებში არსებობს და რომ დავების განხილვა, კანონმდებლობის, და საერთოდ, პრინციპული გადაწყვეტილებების მიღება მხოლოდ ეროვნული სახელმწიფოების პრეროგატივაა. ეს დაახლოებით ისეა, როგორც მრუდე სარკეში, რომელიც საგნის სიბრულეს და ფორმის ცვლილებას მხოლოდ მაშინ აჩვენებს, როდესაც მასში რეალობა ჩაიხედავს.

ახლა ეს ევროპა ჩვენი და თქვენი საერთო საქმეა და რათა საქმე ერთად ვაკეთოთ, აუცილებელია ერთმანეთს უფრო ახლოს ვიცნობდეთ. აი, ნახეთ, საფრანგეთში შეგვეიძლია ერთმანეთს დავცინოთ, საკუთარ თავსაც კი დავცინოთ. განა ჩემი წერილიც ამის დასტური არაა?! შეგვეიძლია ასევე ვიყოთ

მომხიბლავები, მეგობრულები, საინტერესონი, მეწარმეობის ჟინით აღსავსენი, ოპტიმისტები და მხიარულები.

*წერილის ავტორი ქრისტინა ო'კრენტი ფრანგი მწერალი და ჟურნალისტია. იგი ამ ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეა. ქრისტინა პირველი ქალია, რომელიც მრავალი წლის მანძილზე 20.00 საათზე გადაცემულ პოპულარულ სატელევიზიო პროგრამას უძღვებოდა. მას ეკუთვნის მრავალი საინტერესო დებატების მომზადება საფრანგეთის ტელევიზიაში, რედაქტორობდა RTL-საც. ამჟამად მას მიჰყავს ყოველკვირეული პოლიტიკური პროგრამა „France Europe Express"-ი. მწერალი მრავალი წიგნის ავტორია.*

# გერმანიის მოწოდება –
# ყველაფერი მშვენიერი



## გერმანია (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა)

კავშირში გაწევრიანდა – 1951 წელს
დედაქალაქი – ბერლინი
მოსახლეობა – 82163 ათ. კაცი
ფართობი – 357030 კვ. კმ
მშპ ერთ სულზე – 23754 აშშ დოლარი
**რელიგიური მრწამსი – პროტესტანტული, კათოლიკური**
სახელმწიფო ენა – გერმანული
**სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა – 78 წელი**
**სპორტის პოპულარული სახეობა – ფეხბურთი, ფორმულა 1**
ჰობი – ყველაფერი მშვენიერი (Aber Ordnung muss sein!)
**განსაკუთრებული განმასხვავებელი ნიშნები:**
აღმოსავლეთ გერმანელი 1 სანტიმეტრით დაბალია დასავლეთელზე (საშუალო სიმაღლე 180 სმ)

ევროპაში აშკარად იგრძნობა ტემპერატურის მკვეთრი ცვლილებადობა პერიფერიიდან ცენტრისაკენ: ფინეთში, პოლონეთში, სამხრეთ იტალიაში, და პორტუგალიაში ადამიანებს შორის მეტი სოლიდარობის, მეტი სიცოცხლის სიხარული იგრძნობა, აქ ადამიანური სითბო გაცილებით საგრძნობია, ვიდრე ევროპის ცენტრში. რაც უფრო ევროპის შუაგულისაკენ მივდივართ, ადამიანი ადამიანის მიმართ გაცილებით გულგრილია, მათ ურთიერთობაში მეტი სიცივე იგრძნობა, თუმცა აქ გაცილებით ეფექტურად მუშაობს ეკონომიკა.

ამ რამდენიმე წლის წინათ გერმანიის პრეზიდენტი რიჰარდ ვონ ვეიზეკერი შემეკითხა, თუ როდის გაერთიანდება აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანელები? როდესაც სილეზიას დავიბრუნებთ – ვუპასუხე. მის სახეზე დავინახე, რომ დაეჭვდა ჩემს პოლიტიკურ მომზადებაში.

გერმანელები – შევეცადე პასუხის დასაბუთებას – გაერთიანდნენ გაცილებით გვიან, ვიდრე ევროპის სხვა ხალხი. ეს მოხდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც გერმანულ ტომებს საერთო საგარეო მტერი – საფრანგეთი გამოუჩნდათ. როგორც ჩანს, გერმანელები მოითხოვდნენ ისეთ მტერს, რომელიც აიძულებდა მათ გაერთიანებულიყვნენ. საარის მხარე – გავაგრძელე მე არგუმენტირება – მხოლოდ ომის დასრულებიდან 10 წლის შემდეგ გახდა ფედერალური რესპუბლიკის დასავლეთი მიწა. ამასთან, დასაელეთელ გერმანელებს მთელი შემდეგი ათწლეულების განმავლობაშიც არ უყვარდათ ეს მხარე მისი ოდნავ განსხვავებული ისტორიის, ცოტა სხვანაირი კულტურის და სხვაგვარი ცხოვრების წესის გამო. რამდენი დაგვიჯდა ჩვენ ეს ყველაფერი, დაე, მათ ჯერ კარგად ისწავლონ მუშაობა.

მხოლოდ ბერლინის კედლის დაცემისა და აღმოსავლეთ გერმანული მიწების ფედერალური მიწებისათვის შემოერთების შემდეგ მივაღწიეთ საარის მხარესთან სრულ შერწყმას. ამ დროიდან საარლანელები მიეკუთვნებიან დასაელეთ გერმანელებს და მათთან ერთად შეეძლოთ საყვედურების გამოთქმა და ზევიდან ყურება აღმოსაელეთ გერმანელების მიმართ.

სილეზია რომ გერმანიას დაუბრუნდეს, მაშინ ეს გააერთიანებდა აღმოსავლეთ და დასაელეთ გერმანიას. მაშინ ჩვენ დასაელეთშიც და აღმოსავლეთშიც შეგვეძლო ერთად დაგვეანგარიშებინა, თუ საერთო ჯამში რა დაგვიჯდა ეს მხარე! რატომ უნდა დადო თავი ქვეყნისათვის, რომელიც

მართლაც ჩვენ არ გვეკუთენის? სილეზიელებმაც ჯერ კარგად მეშაობა უნდა ისწავლონ.

თავად მე სილეზიელი ვარ. მართლაც სილეზიის პოეტური სკოლის უკანასკნელი წარმომადგენელი გახლავართ – როგორც ეს ჩემს შესახებ პეტერ ჰაცკმა თქვა და იმედი მაქვს, რომ საყოველთაო მშვიდობისათვის ევროპაში უკვე აღარ მოხდება საზღვრების გადასვლა. ის, რაც მოხდა ამ მხრივ XX საუკუნეში პოლიტიკურ შეცდომად მიმაჩნია, ხოლო ადამიანური ბედის თვალსაზრისით – საშინელებად. სტალინის მიერ საზღვრების დასავლეთით გადაწევამ პოლონელებიცა და გერმანელებიც აყარა თავისი ისტორიული სამშობლოდან, რომლის დაკარგვაც მუდმივად მტკივნეული იქნება მათთვის. ეს ისეთი ჭრილობაა, რომლის განკურნებასაც ძალზე დიდი დრო სჭირდება და ამინდის ყოველი ცვლილებისას ხელახლა გვახსენებს თავს. ამასთან ამ საქმეში შეტანილი კორექტივები ვერ გამოასწორებენ დაშვებულ შეცდომებს, ისინი მხოლოდ ახალი უბედურების გამომწვევი ხდება.

მე არა ვარ გერმანიაში ამ მხრივ გამოცალკევებული, თუმცა გამორიცხული როდია უმცირესობაში ვიყო. ამ ბოლ დროს გამოქვეყნებულ მოგონებებში ამოვიკითხე, რომ სილეზიის მთებში უცხო სიმღერები ექოს არ გამოსცემენ, რამეთუ აქ ბულბულები მხოლოდ გერმანულად გალობენ. რაღაც ამის მსგავსზე ბერლინელი ძნელად გადასათარგმნ წინადადებას იტყოდა, რაც დაახლოებით ასე ჟღერს: მესმის შენი ჟღურტული, ბულბულო.

1990 წელს მკითხეს, თუ რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს გერმანიის ორივე მხარის დაახლოების პროცესი. ამას ასე ორმოცი წელი მაინც დასჭირდება მეთქი – ვუპასუხე. ორმოცი წლის შემდეგ ქვეყნის ორივე მხარის მკვიდრნი აღმოჩნდებიან მსგავს სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციაში, რაც ხელს შეუწყობს ამ პროცესს.

პრესა საკმაოდ უსიამოვნოდ მოეკიდა ჩემს ამ აზრს. ჩემს მიმართ მათი ყველაზე მეგობრული გამონათქვამი ჟღერდა თითქოს დაბრმავებული პესიმისტი ვყოფილიყავი. დღეს კი თუ გერმანული პრესა გაიხსენებდა ჩემს სიტყვებს, მათ ნამდვილად ისეთ კომენტარს გაუკეთებდა, თითქოს მე გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვიყო, რომელსაც სჯერა, რომ 25 წელიც და ქვეყნის ორ ნაწილად დაყოფა გადაილახება.

აღმოსავლეთ გერმანია, ახალი გერმანული მიწები ქვეყანაში სიღატაკის ადგილებს წარმოადგენენ. მათ შორის ყველაზე ღარიბი მაინც ალბათ მეკლემურია. ქალაქ ანკლამში მოსახლეობის თითქმის ნახევარი არ მუშაობს. ყოველკვირეული „დი ზეიტი“ ამის შესახებ წერდა: „ეს ის ისტორიაა, რომელშიც სინამდვილეში დამარცხებულია აღმოსავლეთი, თუმცა, მის საზღაურს დასავლეთი იღებს“.

ახალგაზრდობა ტოვებს აღმოსავლეთის მიწებს და ქვეყნის დასავლეთით ან საზღვარგარეთ მიდის. სხვერინის მთავრობა მეკლემბურგიაში ყველას ეხმარება, ვისაც წასვლა განუზრახავს და ამარაგებს მათ გარკვეული ოდენობის სასტარტო კაპიტალით. მეკლემბურგიელები არ ყიდიან თავიანთ შვილებს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ადრეული საუკუნეების გერმანიაში, მაგრამ თხოვს მათ, რომ დატოვონ მიწა, რამეთუ არ შეუძლია ამ უკანასკნელთათვის რაიმეს გაკეთება.

იმათი რაოდენობა, რომლებიც კვეთენ არ არსებულ შიდა გერმანულ საზღვრებს დასავლეთში ბედნიერების საძებნელად, უახლოვდება მათ რაოდენობას, რომლებმაც 1961 წლამდე დატოვეს გდრ და გფრ-ში გადასახლდნენ. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი გდრ-ს უუნარო ხელისუფლებამ კედლის აგებით სცადა, რათა ამ გზით პრობლემა გადაეჭრა ან, ყოველ შემთხვევაში, დაეკონსერვებინა მაინც. ახლა აღარაა იმის საფრხე, რომ გვეშინოდეს ასეთი ადამიანებისადმი

მტრული და საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგო ღონისძიების. იგი ვერც წარმოების ტემპების დაჩქარებას შეუწყობს ხელს და ვერც ახალი სამუშაო ადგილების წარმოშობას – მოკლედ, სიტუაციას ვერ გამოასწორებს.

მთავრობას ისღა დარჩენია, რომ ყველაფერ ამას ხელებდაკრებილმა უყუროს და მხოლოდ სტატისტიკურად აღრიცხოს მდგომარეობა.

რა ბედი ელით ახალ მიწებს? მათ მხოლოდ ლატაკთა თავშესაფრის, მოხუცებულთა სახლის ფუნქცია დარჩენიათ. ან იქნებ სხვა როლიც შეიძინონ – მაგალითად ეროვნული პარკის, სხვადასხვა ფან-ცენტრების, ველნეს სასტუმროების, ჯურაისის პარკების და ა.შ.

კიდევ სხვა რაზე შეუძლია ოცნება ახალგაზრდობას ამ ლატაკ მიწებზე? არა სამუშაოზე და საინტერესო სპეციალობის დაუფლებაზე, არც იმდენი თანხის დაზოგვაზე, რომ ცხოვრება მოიწყონ. მათ იმაზე ფიქრიც კი არ შეუძლიათ, რომ ცხოვრებაში ისეთი დონე შეიქმნან, როდესაც თავად შეეძლებათ საკუთარი სურვილების დაკმაყოფილება, ასე რომ არ იყვნენ დამოკიდებული სახელმწიფო სუბსიდიებზე. ამის შედეგია ის, რომ ამ მიწებზე ძალდობამ დიდი ადგილი დაიკავა მოზარდთა უმწიფარ გონებაში. კომპიუტერის კლავიშებზე ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია კლავიშს - „delete“ - თითი დააჭირო, ანუ წაშალო, ამოშალო, რათა გერმანიაში უბრალოდ გაქრეს ორი თაობა, რომლებიც ახლა მაინც არავის სჭირდება. ეროვნული მეურნეობის თვალსაზრისით ეს იქნებოდა გონივრული და სწორი გადაწყვეტილება. ანუ, როგორც ახლა გერმანიაში პოლიტიკოსები და ჟურნალისტები ამბობენ, თავიანთი არასწორი და ცუდი გერმანულით: „ეს შეიძენდა აზრს“.

გერმანიაში საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული უკმაყოფილება ევროკავშირის გაფართოების მიმართ. ცხადია,

ახალი ქვეყნები ევროპას მიეკუთვნებიან და დასაბუთებული უფლებაც გააჩნიათ იყვნენ ევროკავშირის წევრები, მაგრამ ადამიანებს ეშინიათ სხვას გაუნაწილონ ის, რასაც ისინი ფლობენ.

თუმცა გერმანელები და პოლონელები ასე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არსებობს რაღაც ისეთი, რაც მათ საერთო ინტერესებში შედის.

ამ ბოლო დროს გერმანიაში წარმოიშვა პარტია, რომელიც ვერ იტანს უცხოელებს. მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი თურქია. იგი ამომრჩეველთა გულის მოგებას შემდეგი მოწოდებით ცდილობს: დროა ავკრძალოთ გერმანიაში ემიგრანტთა შემოსვლა. მისი განცხადებების თანახმად, ყველა თურქი, რომლებიც გერმანიაში არიან, უნდა დარჩეს, მაგრამ უნდა აიკრძალოს სხვების აქ შემოსვლა, თუ გვინდა, რომ ქვეყანა უცხოელებმა არ წალეკონ და არ გალატაკდეს.

ჩვენი საზოგადოება და ჩვენი ეკლესია კი ამბობს: ყველას მივიღებთ. თუმცა ბოლოდროინდელი ფინანსური მონაცემებიდან ცხადი ხდება: ყველას შესანახად ფული არ იკმარებს. თუმცა თქვენ უკვე კავშირში ხართ.

Welcome, Polonia! And God bless you!

წერილის ავტორი ქრისტოფერ ჰეინი მწერალი და დრამატურგია. იგი ბოლო წლებში გერმანიის პენ-კლუბს ხელმძღვანელობს. ჰეინი დაიბადა 1944 წელს, სილეზიაში, პროტესტანტი პასტორის ოჯახში, რომელიც საბჭოთა ოკუპაციას გაექცა და არც თუ ისე შორს, ლაიპციგში დასახლდა.

გასული საუკუნის სამოციან წლებში ჰეინი მუშაობდა მშენებლობაზე მუშად, წიგნების გამყიდველად, ფაბრიკის დარაჯად. შემდეგ მომავალი მწერალი ფილოსოფიას ეუფლებოდა ჯერ ლაიპციგის უნივერსიტეტში, და ბოლოს ბერლინის ჰუმბოლტის უნივერსიტეტში. მას დაწერილი აქვს რამდენიმე რომანი, მ. შ. „პირნის სიკვდილი" „უცხო მეგობარი" და ა. შ. მისი წიგნები იმ ნაწარმოებთა შორისაა, რომლებიც ყველაზე კარგად იკითხება (ბესტსელერები) და მკითხველთა დიდი მოწონებითაც სარგებლობენ. მაგალითად, მისი ნაწარმოებებიდან ერთ-ერთი ეხება იმ გერმანელის ბედს, რომელიც სილეზიიდან (ამჟამად პოლონეთი – ა.გ.) ყოფილი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადასახლდა. ჰეინი დაჯილდოებულია მრავალი ორდენითა და მედლით, არჩეულია გერმანიის ხელოვნების აკადემიის წევრად.

# თავის მოჩვენების ოსტატები



# იტალია (იტალიის სამეფო)

**კავშირში გაწევრიანდა** - 1951 წელს
**დედაქალაქი** – რომი
**მოსახლეობა** – 57680 ათ. კაცი
**ფართობი** – 301340 კვ. კმ
**მშპ ერთ სულზე** – 27050 აშშ დოლარი (2003 წლის მონაცემი)
**რელიგიური მრწამსი** – კათოლიკები
**სახელმწიფო ენა** –იტალიური (საუბრობენ ასევე გერმანულად, ფრანგულად და სლოვენურად)
**სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა** – 79.2 წელი
**სპორტის პოპულარული სახეობა** – ფეხბურთი, კალათბურთი

ჩვენი ბუნების ჭეშმარიტი მახასიათებელი სიმულაციაა: ის მოდაა, სიმულაცია ცხოვრების იტალიური სტილია. ჩვენი ერთ-ერთი უდიდესი სიმულაცია იყო ფაშიზმი და მისი ტიპიური წარმონაქმნი - რომის იმპერია. მუსოლინის სიზმრებისათვის რეალური სახის მიცემის ცდას წარმოადგენდა „Cinecitta"-ც, ანუ პატარა ჰოლივუდი, რომელიც რომის გარეუბანში დააპროექტეს. ამ კინო-ქალაქს იტალიური ჯარების აფრიკაში კოლონიალური ხასიათის გალაშქრებისათვის უნდა გაეწია პროპაგანდა. ჩვენც გვყავდა ჩვენი ჯონ ეაინები და უმშვენიერესი ქალები, რომლებიც კეთილად ულიმოდნენ ომში ამაყი გამომეტყველებით მიმავალ ჯარისკაცებს.

ასე რომ, ევროპას ჩვენ შეგვეიძლია შევემატოთ ჩვენი მსახიობური ტალანტი, თუმცა, როგორც ჩანს, არც თუ ისე დიდი მოთხოვნილებაა მასზე.

ამჟამად ჩვენი ყველაზე მოკაშკაშე ვარსკვლავია პრემიერი სილვიო ბერლუსკონი, უმდიდრესი ადამიანი

ქვეყანაში, რომელმაც შეძლო იტალიელების დაჯერება იმაში (თავად ამაში ნამდვილად დარწმუნებულია), რომ იტალია წარმოადგენს ყოფილ კომუნისტურ ქვეყანას, რომელიც მთელი 50 წლის მანძილზე წითლების მიერ იმართებოდა, რაც ნამდვილად არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. იტალიას ამ დროს ქრისტიან-დემოკრატები მართავდნენ.

მაგრამ ჩემი თანამემამულეთათვის ეს როდია მთავარი: მათთვის მნიშვნელობა არა აქვს, რაიმე მართალია თუ ძალიან არის ჭეშმარიტებასთან დაშორებული, მათთვის მთავარია ის, რომ იგი ფანტაზიის ნაყოფი იყოს. ბოლოს და ბოლოს, ბერლუსკონიმ დაარწმუნა ამომრჩევლები, რომ იგი იტალიელების კომუნისტებისაგან გადამრჩენი იყო.

მოკლედ, მთელი ჩვენი ცხოვრება არის იშვიათი ფანტაზიით გაჯერებული სცენა, რომელშიც ნებაყოფლობით მონაწილეობს მილიონობით სტატისტი.

ჩვენი უდიდესი ფაბრიკები (ფოლადის, ავტომობილების, ქიმიური, ტრიკოტაჟის ქარხნებიც კი) ძალზე მძიმე მდგომარეობაში არიან, მაგრამ როგორღაც მოვახერხეთ და ქვეყანაში მნიშვნელოვანი ინდუსტრიალიზაციის პროცესები განვახორციელეთ. და ეს ისევ და ისევ ჩვენი დიდი აქტიორული ტალანტის წყალობით შევძელით. გლეხებმა, რომლებიც ადრე სამხრეთ იტალიაში ვირზე ამხედრებული დადიოდნენ, დაარწმუნეს საკუთარი თავი, რომ მათ ხელეწიფებათ ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობა. ეს მზისგან გარუჯული სახეები, ეს მიწაზე მძიმე მუშაობისაგან დაკოჟრილი ხელები შეაგუეს დაზგების ღილაკებს, გავარვარებულ ღუმელებს, მუშაობას პროფკავშირებში და ა. შ; მოკლედ, ქალაქელებად იქცნენ. ჩრდილოეთის მეტროპოლიებში – მილანში, ტურინში – ავაშენეთ ათასობით მრავალსართულიანი, საშინელი, საცხოვრებელი კორპუსი (ზუსტად ისეთი ერთფეროვანი და მოსაწყენი, როგორებიც სოციალისტურ ევროპაში). მათში

მილიონობით გლეხმა დაიდო ბინა, რომლებიც სამხრეთ იტალიიდან ჩამოვიდნენ გრძელი, გაუმართავი მატარებლებით. ქალებს ენატრებოდათ პომიდორის მინდვრები, კაცებს თავიანთი ქვიტკირის სახლები, მაგრამ ყველას პირი აქვს მოკუმული და შეგუებულია მორიგ სიმულაციასთან – ვითომ და მართლაც წარმოადგენდეს იტალია სამრეწველო სახელმწიფოს.

კარგად გვახსოვს 50-60-იანი წლების იტალია; მაშინ იტალიელები ცეკვავდნენ „rock'n roll"-ს, დაიწყეს ხორცის ჭამა, ყიდულობდნენ „Fiaty Seicento"-ს და ზაფხულს, ერთ კვირას მაინც, ზღვის პირას ატარებდნენ. მაშინ დაიწყო ქვეყნის კეთილდღეობა, იმ დროს ეკუთვნის ახალი დიდი სუპერმარკეტების მშენებლობა და სწორედ მაშინ მიიღო ფართო მასშტაბები საქონლის რეკლამირებამ, ამ განსაკუთრებით გამორჩეულმა და სანახაობითმა ფორმამ სიმულაციისამ. საკმარისი ითქვას, რომ იტალიელი კოპირაიტერები მსოფლიოში ყველაზე საუკეთესონი არიან.

იტალიაში როგორც ადამიანთა სახეები, ისე საცხოვრებელი შენობები თანდათან ემსგავსებიან რეკლამის სამყაროს, უაღრესად ბედნიერებს და კმაყოფილებს. და დაიწყო უახლესი უდიდესი იტალიური დეკლამაცია, ცხადია, დეკლამაცია მასობრივი, რომელშიც მილიონები იღებდნენ მონაწილეობას, მილიონობით მსახიობი. მოხმარების ჟინმა შთანთქა ყოველი იტალიელის სული – ყოველ სახლში ტელევიზორი დგას, ყოველ ჯიბეში ფიჭური ტელეფონი. პოსტინდუსტრიული იტალია გახდა პატარა კომუნიკაციური იმპერია, ბერლუსკონი – ტელევიზიის მეფე. მისი ქვეშევრდომები უყურებენ მის სატელევიზიო არხებს და გამუდმებით ეკითხებიან ერთმანეთს: გუშინ უყურე ტელევიზორს?

ამასთან, დროის გასვლასთან ერთად, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამ სახის წარმოდგენები იტალიელებს თანდათან სწყინდებათ, ისინი ხდებიან ნერვიულები და უკმაყოფილონი და ამბობენ, რომ ეღარ ცხოვრობენ ისე კარგად, როგორც ოდესღაც. სულის ამგვარ მდგომარეობას, რომელიც ზოგჯერ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობით არის განპირობებული, ხოლო ზოგჯერ – არა, კრიზისად მოიხსენიებენ. კრიზისი კი ისეთი როლია, რომლის თამაშიც ძალზე ჭირს; ღიმილი ვერ გამოხატავს რეალურ მდგომარეობას, ხოლო კარგი განწყობა კი სრულიად უადგილოა. უკვე აღარაა საკმარისი ფერარი და მოდური ფეხსაცმელები, რათა ადამიანებს კარგი განწყობა შეექმნათ და მომავლის იმედი გაუჩნდეთ – ასეთ მოდურ ფეხსაცმელს ხომ უკვე ჩინელებიც აწარმოებენ და თანაც გაცილებით იაფად. გავა ცოტა ხანი და ეს უკანასკნელნი ფერარის წარმოებასაც დაიწყებენ.

ბოლო ხანებში იტალიელები საკუთარ თავს შეკითხვას უსვამენ, თუ რომელ საფილმო გადაღების მოედანზეა ასელა უკეთესი, რომელ ფაბულას უჯობთ დაუჯერონ და რომელი იქნება შემდგომი კომედია. ამგვარი მოლოდინი კი, დამეთანხმებით, არც თუ ისე სასიამოვნოა. თავზარდაცემულები ბომბების აფეთქებისაგან, რომლებიც ჩვენგან არც თუ ისე შორს ფეთქდებიან, მოწამლულები მომავლის შიშით, რომელმაც ჩვენი შვილები შეიძლება ჩააგდოს, და ეს იქნება პირველად ახალი ისტორიის მანძილზე, გაცილებით უარეს მდგომარეობაში, რომელშიც ცხოვრობდნენ მათი მშობლები – ისინი შეძლებენ გამოიმუშაონ თანდათან უფრო ნაკლები, იცხოვრონ უფრო უარეს სახლებში და ისწავლონ გაცილებით ცუდად. დაპირებები გამოსჭვივის უპირველეს ყოვლისა, ტელევიზორის ეკრანებიდან, იმ რეკლამებიდან, რომლებიც გადაღებულია ტოსკანიის

მდიდრული ვილების ფონზე, ვილებისა, რომლებსაც ბოლო ხანებში პირწმინდად ყიდულობენ გერმანელები, ინგლისელები და ამერიკელები. ამგვარი დაპირებები გამოსჭვიეის ბერლუსკონის ხელოვნურად დაყენებულ ღიმილშიც, ბერლუსკონისა, რომელიც განცხრომით ცხოვრობს ზღაპრულ, არაამქვეყნიურ სიმდიდრეში. და თუმცა იგი გადასახადებს არ უზრდის არც ღარიბებსა და არც მდიდრებს, მაგრამ ამასთან სკოლებსა და ჯანმრთელობის დაცვის ობიექტებსაც უმცირებს ხარჯებს. მოსახლეობის სოციალური დაცვა ხომ ხარჯიანია, ღარიბების შენახვა ხომ ძვირადღირებული ფუფუნებაა.

ომის შემდგომ პერიოდში დღემდე თითქმის არასოდეს ყოფილა, რომ იტალიელებს არა სცოდნოდეთ, თუ როგორი როლის შესრულება მოუწევდათ. მსახიობების ქვეყნისათვის – თუნდაც საშუალო, მაგრამ მაინც მსახიობების - ეს ახლა ძალზე დიდი პრობლემაა. შესაძლოა ახალი ევროპა არ გამოდგეს ჩვენთვის ცუდი სცენა, იქნებ ამ სცენაზე იტალიელებმა შეძლონ ვარსკვლავებივით გაბრწყინება: ვინც რა უნდა თქვას, მათ ნამდვილად აქვთ ეროვნული სულისკვეთება, ცნობისმოყვარედ უყურებენ საზღვარგარეთს, მიღებულნი არიან თითქმის მთელ მსოფლიოს (იშვიათია ადგილი დედამიწის ზურგზე, სადაც იტალიელი არა ცხოვრობდეს). და თუმცა არ იციან უცხო ენები, მაგრამ აქვთ მათი ათვისების საუცხოო უნარი. მას შემდეგ, რაც იტალიელებმა გამოსცადეს, თუ რა არის იყო გლეხი, მუშა, ჰქონდეს დაკოჟრილი ხელები, შემდეგ იყვნენ სტილისტები და კოპიერაიტერები, ახლა ნამდვილად შეეცდებიან გახდნენ კარგი ევროპელები. მათ აქვთ საკმარისი მომხიბლველობა, რათა იბრწყინონ პარიზის კაფეებში, პრაღის ხიდებზე და ტაქსი შეაჩერონ ვარშავის ქუჩებში სასეირნოდ.

თუმცა რჩება პასუხგაუცემელი ერთი უმთავრესი კითხვა: სჭირდება კი ევროპას მსახიობები? და რამდენის გადახდაზე იქნება თანახმა, რათა უყუროს მათ თამაშს?

წერილის ავტორი მიჩელ სიერა დაიბადა რომში, აღიზარდა მილანში, ხოლო ცხოვრობს ბოლონიაში. თავის სამშობლოში ივი ცნობილია როგორც მწერალი, პოეტი, დრამატურგი და ჟურნალისტი. ამჟამად სიერა რედაქტორობს მის მიერვე დაარსებულ სატირულ ჟურნალ „Cuore"-ს და პარალელურად არის გაზეთ „La Repubbliki"-ს კომენტატორი. სიერა დაკავშირებულია ასევე მემარცხენე ხასიათის ჟურნალ „L'Unita"-თან და სხვა პოპულარულ იტალიურ ჟურნალებთან, ისეთებთან, როგორებიცაა: „Panorama" და „L'Espresso". გამოცემული აქვს ლექსების ტომი: „Poetastro", „Canzoni politic", ასევე მოთხრობების კრებული: „ბიჭი და ძროხა" და რომანი „ცერემონიალი".

# კომპრომისი ბელგიურად



# ბელგია (ბელგიის სამეფო)

**კავშირში გაწევრიანდა** – 1951 წელს
**დედაქალაქი** – ბრიუსელი
**მოსახლეობა** – 10239 ათ. კაცი
**ფართობი** – 30530 კვ. კმ
**მშპ ერთ სულზე** – 24074 აშშ დოლარი
**მინიმალური ხელფასი თვეში** – 1259 ევრო
**რელიგიური მრწამსი** – კათოლიკები, პროტესტანტები
**სახელმწიფო ენა** – ფრანგული, ფლამანდიური, ასევე გერმანული
**სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა** – 78 წელი
**ჰობი** – საუზმის, სადილისა და ვახშმის შოკოლადის მირთმევით დამთავრება
**სპორტის პოპულარული სახეობა** – ფეხბურთი
**ტემპერამენტი** – გულღია ხასიათი

ნამდვილად სარისკო საქმეა ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ორი სრულიად განსხვავებული საზოგადოების ცხოვრება, რომელთაგან ერთი ლათინური კულტურიდან (ვალიელები) ამოიზარდა, ხოლო მეორე – გერმანულიდან (ფლამანდიელები). მაგრამ რას იზამენ, იძულებული არიან ერთად ცხოვრება ისწავლონ. და ეს მიუხედავად მათ შორის არსებული გარკვეული დაძაბულობისა, ამით ორივე სარგებლობს. მათი მეგობრობა წარმოიშვა სიძნელეებიდან, სასოწარკვეთილებიდან, ურთიერთ ბრალდებებიდან. თუმცა მათ შორის არასოდეს ჰქონია ადგილი ისეთ ექსცესებს, როგორებიც ხდება ხოლმე მაგალითად, ირლანდიაში.

ერთად ცხოვრება ერთსა და იმავე სახელმწიფოში ორივე მხარეს ამდიდრებს. სხვასთან კულტურული შეჯიბრი

ყოველთვის სასარგებლოა, ვინაიდან შეღეგად იბადება ორიგინალური ერთობა, რომლისთვისაც დამახასიათებელი არ იქნება იაკობინიზმი, ცენტრალისტური ტენდენციები და მასში ადგილი ექნება პატივისცემას შემადგენელი ნაწილების მიმართ. აქედან წარმოიშვება კომპრომისის კულტურა, რომელიც, თუმცა არ არის პრობლემების გადაჭრის საუკეთესო გზა, მაგრამ არც ყველაზე უარესია. ბელგიური კომპრომისი იმას ეფუძნება, რომ აქ არასოდეს არაფერს წყვეტენ რადიკალური მეთოდებით. თუმცა ამასთან, პრობლემების გადაჭრა ხდება მხოლოდ ნაწილობრივ, რის შედეგადაც არავის რჩება კმაყოფილი, რამეთუ ვერავინ იზეიმა სრული გამარჯვებით. ამ კომპრომისს სიურეალისტური, ირაციონალური ხასიათი აქვს, მაგრამ ხშირად ისე ხდება, რომ გათიშვა, გასლეჩა გამორიცხულია, და სწორედ ესაა ამ ქვეყნის საიდუმლოება.

ბევრს შესაძლოა ფლამანდიელებისა და ვალონების ურთიერთობა გაუცხოებულადაც კი მოეჩვენოს. იგი ძალზე შეცდება. ჩვენ ერთმანეთს ხშირად ვსტუმრობთ, თუმცა ამას მართლაც მალულად ვშვრებით, თითქოს ცოლ-ქმრულ ღალატს ჩავდიოდეთ. თუკი ქვეყანაში რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა ხდება, იგი მის გარშემო აუცილებლად ერთიანდება. მაგალითად, სიკვდილი. ქვეყანაში გაბატონებულია სიკვდილის სიბლი, რომელიც მე ვფიქრობ, ჩვენ ესპანეთის ოკუპაციის დროიდან გადმოგვეცა (ავტორი იმ ეპოქას გულისხმობს, როდესაც ნიდერლანდები ესპანეთის სამეფოს ეკუთვნოდა, ანუ მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებს – პოლ. რედ. შენ.). როდესაც გარდაიცვალა წინა მეფე მეუდუნი (ბელგია მონარქიული წყობის ქვეყანაა – პოლ. რედ. შენ.) ათასობით ადამიანი მოვიდა მის კუბოსთან პატივისცემის გამოსახატავად. აქ მოსულთაგან ჭეშმარიტი მონარქისტი ძალზე ცოტა იყო, მათი უმრავლესობა გარდაცვლილ მეფეში ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოს

ხედავდა. და ეს იყო შემთხვევა, რათა ბელგიელებს მოესლინათ იმის დემონსტრირება, თუ როგორ მოსწონთ და სურთ მათ ქვეყნის ერთიანობა. ასეთივე საერთო ბელგიური მობილიზაცია გამოიწვია დუტროქსის აფერამაც (მკვლელი, პედოფილი – პოლ. რედ. შენ.).

არსებობს მრავალი პრობლემა, რომელთან დაკავშირებითაც ვალონელი უფრო გაუგებს ფლამანდიელს, ვიდრე ფრანგს. ვალონელიცა და ფლამანდიელიც არა ერთხელ დარწმუნებულან იმაში, რომ მათი მენტალიტეტის ფორმირებაში საერთო ისტორიას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ისინი ხედავენ იმასაც, რომ მრავალ პრობლემას ერთნაირად აღითქვამენ. თუმცა ვალონელ და ფლამანდიელ პოლიტიკოსებს ზოგჯერ ერთმანეთთან შეხვედრა და შეთანხმება უჭირთ, მაგრამ მსახიობებს, მწერლებსა და საერთოდ, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლებს, ეს პრობლემა არა აქვთ. მაგალითად, პირადად მე ხშირად ვხვდები ფლამანდიელ მკითხველებს.

ერთ-ერთ ყველაზე მშვენიერ ბელგიურ ღირსებას წარმოადგენს ტოტალური ურთიერთაღრევა. სამყაროში არ არსებობს ისეთი არსება, რომლისთვისაც წმინდა ბელგიელი შეიძლებოდა გვეწოდებინა. ამიტომ თუკი ვინმე მოიწადინებდა ეთნიკური წმენდა ჩაეტარებინა ჩვენ ქვეყანაში, იგი იძულებული გახდებოდა ჩვენ ყველანი დავეხოცეთ. სწორედ ამიტომ არა ყოფილა რაიმე ამის მსგავსის მცდელობაც კი.

ამ რამდენიმე წლის წინათ მტკიცედ ვიყავი დარწმუნებული იმაში, რომ ჩვენი ქვეყნის დაშლა წარმოუდგენელი იყო. დღეს ამაში ძველებურად მტკიცედ აღარა ვარ დაჯერებული. და ეს რომ მართლაც ასე მოხდეს, ნამდვილი კატასტროფა იქნებოდა, რის შედეგადაც ჩვენ ყველანი ვიზარალებდით. მცდარია მოსაზრება, თითქოს ფლანდრია სარგებლობას ნახავდა ბელგიისაგან გამოყოფით.

მით უფრო ვალონისათვის ეს თვითმკვლელობის ფასი იქნებოდა. ტყუილად იფიქრებს ვინმე, რომ მას საფრანგეთი შეიფარებდა. ამ ქვეყანას იგი არ სჭირდება.

ისეთი ფრანგულენოვან ბელგიელებსაც შეხვდებით, ისე რომ იქცევიან, თითქოს საფრანგეთის პროვინციაში ცხოვრობდნენ და ისეთი ფლამანდიელებსაც — თითქოს ისინი ჰოლანდიის პროვინციელები იყვნენ. ცდებიან. არის რაღაც ისეთი, რასაც ბელგიური კულტურა ეწოდება და თუმცა არა ვართ მაინც და მაინც დიდი კულტურის ქვეყანა, მაგრამ სამაგიეროდ ორიგინალურები ვართ. ჩვენი ფრანგული ნეოლოგიზმებითაა სავსე, იგი მდიდარია, უაღრესად მეტაფორული და ფერადოვანი. იგივეს თქმა შეიძლება ფლამანდრიის შესახებაც.

ის, რასაც განსაკუთრებით ვაფასებ ჩემს თანამემამულეებში, ესაა იუმორის შეგრძნება, რომელსაც ხშირად თვით ირონიის სახეც კი აქვს. საკუთარი თავის ასეთი აღთქმა მოწმობს ადამიანის უბრალოებაზე, მის თავდამბლობაზე. ფრანგებისაგან განსხვავებით ჩვენ არა ვართ შოვინისტები. ამასთან, ჩვენს ასეთ ხასიათს ზოგჯერ მაზოხიზმამდე, საკუთარი თავის შეჯაერებამდე, მის დესტრუქციამდეც კი მივყავართ. ეს კი საკმაოდ დამაფიქრებელია. ასეთ დროს ჩვენი მთავარი ეროვნული ღირსება ჩვენს უმთავრეს ნაკლოვანებად იქცევა. ეს ჩანს თუნდაც დუტროქსის აფერადანაც, რომელმაც ბელგიელთა უჩვეულო მობილიზაცია გამოიწვია, მათი მხრიდან სახელმწიფო წყობისადმი, დემოკრატიული სისტემისადმი კრიტიკული განწყობა წარმოშვა. იმან, თუ როგორ განეწყვნენ ამ პროცესისადმი ბელგიელები, მას განსაკუთრებული ხასიათი შესძინა. მსოფლიოში არა ერთი ისეთი ქვეყანაა, სადაც ამ სახის პროცესები არ გამოიწვევდა ასეთ ემოციებს, ასეთ საერთო-სახალხო გულისწყრომას.

შესაძლოა ეს ბელგიის რთული ფედერალური სისტემის გამო მოხდა. მთავრობათა, პარლამენტთა სიმრავლე იწვევს დემოკრატიული გამჭვირვალობის არ არსებობის შეგრძნებას. უბრალო მოქალაქემ არ იცის, თუ ვის მიმართოს საჭიროების შემთხვევაში, ძნელი გასარკვევია ხელისუფლების ცალკეული ორგანოების კომპეტენცია. თუმცა, ესეც ბელგიური კომპრომისის შედეგია.

ადამიანები საყვედურს გამოთქვამენ ბელგიური სიურეალისტური ბიუროკრატიის მიმართ. თუმცა ჩვენ უფრო მეტი ბიუროკრატები არა ვართ, ვიდრე ფრანგები ან გერმანელები და მით უფრო ინგლისელები, რომლებიც იმ წესების კორსეტში ცხოვრობენ, რომლებიც მათ ქცევას განსაზღვრავენ. ამ მხრივ ბელგიელები გაცილებით თავისუფალნი არიან. ბელგიური სიურეალიზმი – ესაა რაღაც განმაცვიფრებელი, საოცარი, ისეთი, როგორიც მაგალითად ის, რომ დუტროქსმა, ერთი შეხედვით, თითქოს ქვეყანაში ყველაზე უფრო მკაცრად დაცულმა პატიმარმა, გაქცევა მოახერხა.

ბელგიას არაფერი აქვს გმირული, იგი არ წარმოადგენს საინტერესო სიუჟეტს ეპოსისათვის, არის ცოტა არ იყოს საკვირველი ქვეყანა, თუმცა სიბრძნესაც როსია მოკლებული. იგი გეოგრაფიულად საბედისწერო ადგილასაა მოქცეული, საუკუნეების განმავლობაში ეს ქვეყანა ევროპის მიერ ბუფერულ ზონად იყო გამოყენებული, ადგილად, სადაც მიმდინარეობდა ნაპოლეონის ბრძოლები და ორივე მსოფლიო ომი, აუჯანყდით ესპანელების წინააღმდეგ მათი ხშირი ოკუპაციის შემდეგ. ამ ყველაფერმა ბელგიელებს გვასწავლა საგნებისა და მოვლენების ობიექტური, კრიტიკული აღთქმა. ჩვენ ინსტიქტურად უარვყოფთ ძალადობას და ჩვენი ამგვარი დამოკიდებულება ძალადობისადმი წარმოადგენს რაღაც ისეთს, რითიც ვამაყობთ.

რამდენიმე წელია, რაც ვამტკიცებ, რომ ბელგია წარმოადგენს ევროპული ინტეგრაციის ლაბორატორიას. ვინც ამბობს ევროპას, გულისხმობს წინააღმდეგობებს, კონფლიქტებს, ორაზროვნებას, პარტიკულარიზმს. ამ ყველაფერს ადგილი აქვს ბელგიაშიც, მაგრამ ჩვენ ამასთან ერთად შევინარჩუნეთ სრულიად განსაკუთრებული დემოკრატია. ბელგიელებს მრავალი ნაკლოვანება ახასიათებთ, მაგრამ თუ ჩვენ ექსტრემიზმის საფრხე დაგვემუქრა, შევძლია იგი ძირშივე აღკვეთოთ, მსგავსად ტერორიზმისა, რომელიც დავძლიეთ. ვერც ფაშიზმმა იხეირა ჩვენთან. იქნებ ყოველივე ამის გამოც არსებობს ბელგიაში ასეთი პოლიტიკური სტაბილიზაცია.

როგორც მწერალს მქონდა მრავალი შანსი, სხვაგან დავსახლებულიყავი. საფრანგეთიდან მქონდა შემოთავაზება, პარიზში მეცხოვრა. და თუმცა ბევრს ვმოგზაურობ, ყოველთვის სამშობლოში ვბრუნდები და სრულიადაც არა ვგრძნობ თავს ამ ქვეყნის პატიმრად, რამეთუ კარგად ვხედავ ბელგიური ცხოვრების სიმშვენიერეს, მის სიმშვიდეს, მის წესრიგს.

წერილის ავტორი პიერ მერტენსი 1939 ბრიუსელში დაბადებული ბელგიელი მწერალია. სპეციალობით იგი სამართლის დოქტორია, მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა ბრიუსელის სოციოლოგიის ინსტიტუტში. მერტენსმა პირველი მოთხრობა 1970 წელს გამოაქვეყნა და მას შემდეგ მწერალს 20-ზე მეტი წიგნი აქვს დაწერილი. მრავალ მათგანს ბელგიისა და საფრანგეთის პრესტიჟული პრემია მიენიჭა. იგი პარალელურად კრიტიკულ წერილებს წერს და აქვეყნებს ჟურნალ „ლე სოირის" ფურცლებზე.

1995 წელს მერტენსმა გამოაქვეყნა რომანი „Une paix royale", რომელმა დიდი სკანდალი გამოიწვია. კერძოდ, ბელგიის სამეფო კარის ცხოვრების შესახებ ნაწარმოებში მოტანილი ზოგიერთი პასაჟი არ მოეწონა ბელგიის მეფე ლეოპოლდ III-ს ქვრივს, ლილიანს და მწერალს უჩივლა. სასამართლო ქვრივის მხარეზე დადგა და მის მიერ გამოტანილი განაჩენის მიხედვით მერტენსს წიგნიდან უნდა ამოეღო, ქვრივის აზრით, სამეფო ოჯახისათვის შეურაცხმყოფელი ადგილები. სასამართლოს ამ განაჩენმა მწერალთა მსოფლიოს მასშტაბის აღელვება გამოიწვია, რამაც სასამართლო აიძულა უკან დაეხია, თუმცა ნაწარმოების გამომცემელს დაავალა, რომ წიგნში სათანადო ადგილას სამეფო ოჯახის წარმომადგენელთა პროტესტიც ყოფილიყო დაფიქსირებული.

# ადამიანი პოლდერიდან



---

*პოლდერი – უსემოსავლიანი ადგილი, რომელიც მდებარეობს ზღვის (ოკეანის) დონის ქვემოთ და რომელსაც ჰოლანდიელები დამბებისა და კაშხლების აგების გზით წყალს ართმევენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის.

## ჰოლანდია (ჰოლანდიის /ნიდერლანდების სამეფო)

კავშირში გაწევრიანდა - 1951 წელს
დედაქალაქი – ამსტერდამი
მოსახლეობა – 15864 კაცი
ფართობი – 35520 კვ. კმ
მშპ ერთ სულზე 29412 აშშ დოლარი (2003 წლის მონაცემი)
მინიმალური ხელფასი თვეში – 1301 ევრო
რელიგიური მრწამსი კათოლიკები, პროტესტანტები
სახელმწიფო ენა – ჰოლანდიური (საუბრობენ ასევე ფრიზიულად)
სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა – 78.5 წელი
სპორტის პოპულარული სახეობა – ფეხბურთი

ნება მიბოძეთ, ჩემი წერილი დავიწყო გარკვეული აღსარებით, მით უმეტეს, რომ პოლონეთში, რამდენადაც მე ვიცი, იგი ჯერ კიდევ პოპულარობით სარგებლობს, თუმცა აქ, ჰოლანდიაში, ძალზე წინ წასული სეკულარიზაციის გამო (სეკულარიზაცია – საეკლესიო ქონების კონფისკაცია სახელმწიფოს სასარგებლოდ, ანდა საზოგადოების თანდათან სვლა რელიგიურიდან სამოქალაქოსაკენ – ა.გ.), იგი ერთგვარ რელიქვიად შეიძლება მივიჩნიოთ. ამას, რა თქმა უნდა, გადატანითი მნიშვნელობით ვამბობ. ვსარგებლობ რა თქვენი კონფესიონალური საიდუმლოების პრაქტიკით, უნდა გამოვტყდე, რომ არასდროს ვყოფილვარ პოლონეთში. ამიტომ სიმართლე გითხრათ, ცოტა მიჭირს, თუ როგორ ავუხსნა ადამიანებს, რომლებსაც არ ვიცნობ, Homo nederlandicus-ის ადამიანური ბუნების სიღრმეები?

მეორე მხრივ, მე როგორღაც დიდი მონდომების შემდეგ შევძელი ჩავღრმავებოდი ამ საკითხს და რამდენიმე საკეანძო

თეისება წამომეწია წინ იმის ასახსნელად, თუ რას წარმოადგენს ჰოლანდია Anno 2004 წელს.

სინამდვილეში ეს არის ქვეყანა, სადაც ეკლესია უარყოფილია, ხოლო სუდარა კი უფრო და უფრო აქტუალური ხდება, როგორც შავ-თეთრი ფილმის რეკვიზიტი; ეს არის ქვეყანა, სადაც ჰომოსექსუალებს, ადგილობრივებსა თუ ჩამოსულებს, თავისუფლად შეუძლიათ ერთმანეთთან შეუღლება; ქვეყანა, საიდანაც მზერა ძალიან შორს, ჰორიზონტს იქით, პირველ ყოვლისა კი, ატლანტიკის ოკეანეს იქით, მიისწრაფის.

დავიწყოთ ამ უკანასკნელიდან, რადგან ეს დაგვეხმარება იმის გარკვევაში, თუ რატომ არ ვყოფილვარ აქამდე პოლონეთში, ისევე, როგორც ჩემი ნაცნობი ჰოლანდიელების უმრავლესობა.

**ყველა ჩვენთაგანის ყურადღება მიმართულია დასავლეთის და არა აღმოსავლეთისაკენ.** აღმოსავლეთი, რომელიც მთელი სამყაროსაგან ასე დიდი ხნის მანძილზე იყო იზოლირებული „რკინის ფარდით", და ეს მდგომარეობა დღეისათვის არც თუ ისე შეცვლილია, ჰოლანდიელებს ნაკლებად აინტერესებთ. ჩემი თანამემამულეები უძველესი დროიდან ნამდვილი ევროპელები არიან, მაგრამ დღეს უსაფრთხოების თვალსაზრისიდან გამომდინარე, ვაშინგტონისაკენაც აპარებენ მზერას. მართალია ჰოლანდიელები გერმანელებთან და ფრანგებთან ერთად ევროკავშირის დამფუძნებლებს მიეკუთვნებიან – რის გამოც, ვფიქრობ, რაღაც გარკვეული იდუმალი ძაფებიც კია გაბმული ამ კავშირის პირველ-ექვს დამფუძნებელს შორის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეძლებული მეზობლები არავითარ შემთხვევაში არ უნდა კარნახობდნენ მთელ კავშირს თავიანთ ნებას. ურთიერთმეგობრობა, როგორც ჩანს, ურთიერთ უნდობლობის ისტორიად გადაიქცა.

ამ დაბლობის ქვეყანაში დროთა განმავლობაში ევროპულმა იდეალებმა დევალვაცია განიცადეს. თავდაპირველად ევროპა იდეალს წარმოადგენდა, რომლისაც ჰოლანდიელებს, გულუბრყვილობის და ცუდად გაგებული ინტერესის გამო, სურდათ რომ დაეჯერებინათ. თავად მხოლოდ შეხედულებაზე ევროპის შესახებ, როგორც ერთიან უდიდეს Hinterland-ზე (ქვეყანა ნაპირის გარეშე, პერიფერია), იმდენად ნაქები ჰოლანდიური სავაჭრო ტრადიციები ახალ ორიენტირად გადაიქცა. როტერდამს ევროპორტი შეერქვა, უფრო მეტიც, იგი ფაქტიურად გახდა მსოფლიოს უდიდესი ნავსადგური განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ადგილი ჰქონდა Wirtschaftswunder (ეკონომიკური სასწაული) და Trente Glorieuses (სამი ათეული მშვენიერი წელიწადი, ანუ 1950-1980 წლები, როდესაც ევროპაში ადგილი ჰქონდა უმაგალითო ეკონომიკურ აღმავლობას (ჟურნალის რედაქტორის შენიშვნა).

ჰოლანდიელთა გულუბრყვილობა განსაკუთრებით ევროპის ინსტიტუციონალური მოწყობის მოდელის შემუშავების დროს გამომჟღავნდა. ჩვენ ევროპა წარმოდგენილი გვქონდა ფედერალური მოწყობის სახით, სადაც დიდი გასაქანი ექნებოდა დემოკრატიას, ხოლო საერთოევროპული ორგანოები შეიძენდნენ ისეთ ძალაუფლებას, რომ ძლიერი მეზობლების ძალა კონტროლს ყოფილიყო დაქვემდებარებული. ეგაა ოღონდ, ეს სინამდვილეში ასე არ მოხდა, რის გამოც ევროპა იმ სახით, როგორსაც იგი წარმოადგენს, ახლა ჩვენ ნაკლებად მოგვეწონს. უფრო მეტიც, შექმნილი სიტუაცია ჩვენთვის ძალზე დამამძიმებელია. ასეთ ვითარებას განსაკუთრებით ათი ახალი ქვეყნით ევროკავშირის გაფართოება იწვევს. ეს მით უფრო ეხება პოლონეთს, რადგან პოლონელებს ხელეწიფებათ გადაავსონ ჩვენი შრომის ბაზარი. საქონლის და მომსახურების

თავისუფალ გადადინებას ბუმერანგის ეფექტი მოჰყვება. ასეთ მდგომარეობას კი ჩვენ ნამდვილად არ მოველოდით.

ევროპა საუკეთესო საცხოვრებელი გახდა ელიტარული კოსმოპოლიტებისათვის და არა ჩვეულებრივი ადამიანებისათვის. თუ შეიძლებოდა ამის წარმოდგენა?

Homo nederlandicus როგორც ჩანს, სრულიადაც არ არის Homo, მაგრამ განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანების მიმართ ჰოლანდიელს ნამდვილად გააჩნია ტოლერანტობის დიდი დოზა. ეს ჩვენი ძველი ტრადიციაა. განსხვავებულ აზროვნებასა და საქმიანობას აქ საუკუნეების მანძილზე გაგებით ეკიდებოდნენ. ის ლიტერატურა, რაც საფრანგეთში აკრძალული იყო გასულ საუკუნეებში, ჩვენთან გამოიცემოდა ხოლმე. სახელდობრ, აქ ჰპოვეს თავშესაფარი ებრაელებმა და ფრანგმა ჰუგონეტებმა. ამგვარი ტრადიციის მქონე ჰოლანდიელებს ხშირად ჰგონიათ, რომ ხელეწიფებათ გადაჭრან ნებისმიერი რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემა, თუნდაც ისეთი, როგორისაც ჰომოსექსუალისტთა მიერ ოჯახური კავშირის შეკვრა, ნარკოტიკების მოხმარება, ევტანაზია, ორსულობის შეწყვეტა, კონტრაცეპტივების გამოყენება და ა. შ. წარმოადგენს. ამ პრობლემებისადმი ჰოლანდიელთა ამგვარმა მიდგომამ რომის პაპ იოანე პავლე II-თან მწვავე დაპირისპირება გამოიწვია, ამ ერთადერთ პოლონელთან, რომელიც ჰოლანდიაშიც მიუხედავად ყოველივე ამისა, კელავაც საყოველთაო პატივისცემით სარგებლობს. თუმცა, ამის შედეგად მისი პოპულარობა ჩემს სამშობლოში მინიმუმამდე დაეცა.

სამოქალაქო საზოგადოებისაკენ სწრაფვა აქ აღარავის ეჩვენება რაიმე განსაკუთრებულად. ძველი რელიგიური დოგმატები აქ მალე კარგავენ აქტუალობას. ნიდერლანდიურ ლიტერატურაში მრავალი რომანი არსებობს, სადაც სწორედ

საეკლესიო ხელისუფლების დიქტატურასთან ბრძოლის პერიპეტიებია ასახული.

ჰოლანდიელები თავისი პრაგმატული ფსიქოლოგიით არიან ცნობილი. მათთვის მნიშვნელოვანია ის, რისი ცხოვრებაში განხორციელებაც სურთ და არა მშრალი კანონის ასოები. ამიტომ ძალზე ადვილი მისალოდნელია, რომ ამ ქვეყანაში რბილი ნარკოტიკებიც ნებადართული იყოს და არც ევტანაზია გვქონდეს აკრძალული, თუმცა მასზე გარკვეული კონტროლია დაწესებული და კანონითაც რეგულირდება. ბედნიერია ქვეყანა, სადაც შეუძლიათ გაგებით და ტოლერანტულად მოეკიდონ სიკვდილ-სიცოცხლის ასე მნიშვნელოვან საკითხებს. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობენ ჰოლანდიელები და ეს მათ გულს ნამდვილად სიამაყის გრძნობით ავსებს.

სახელდობრ, ასეთ მიდგომას ვხედავთ სოციალური საკითხებისადმიც, კერძოდ, ისეთების მიმართ, როგორიცაა მაგალითად, დამქირავებელთა და დაქირავებულთა ურთიერთობები. მემარჯვენეები და მემარცხენეები ერთ კოალიციურ მთავრობაში შეთანხმებულად თანამშრომლობენ. მოლაპარაკებების ამგვარი მოდელი პოლდერადაა ცნობილი და ამის საფუძველზე ახალი ზმნაც კი შემოვიდა: პოლდერობა, რაც ჰოლანდიელისათვის მოლაპარაკებას, საკითხის ერთად განსჯას ნიშნავს. ნებისმიერ საკითხზე, თუნდაც მათი აზრი რადიკალურად განსხვავებული იყოს, ჰოლანდიელები ერთმანეთს შორის იმდენს კამათობენ, რომ საბოლოოდ კონსენსუსს აღწევენ. ჰოლანდია, და ეს თითქმის ყოველ ნაბიჯზე ჩანს, ამგვარი კონსენსუსის შედეგად არსებობს.

ეგაა ოღონდ, **ჩვენი ამგვარი ტოლერანტობა და ურთიერთგაგება ბოლო ხანებში უწინდებურად წარმატებებს** ველარ იმკის. და ეს მოხდა არა ვინმე უცხოს გამო, არამედ თავად პოპულარული ჰომოსექსუალისტის ფორტუინის

მიზეზით, რომელმაც შეძლო საკმაოდ დიდი რაოდენობის ამომრჩევლების მიმხრობა ემიგრანტთა, განსაკუთრებით მაროკოდან და თურქეთიდან ემიგრანტების სტატუსის განსაზღვრაზე კამათის დროს. ჩვენი მრავალ კულტუროვანი საზოგადოება მოულოდნელად აღმოჩნდა ჰოლანდიური კომპრომისების კულტურის მსხვერპლი. შედეგად ზოგიერთმა ეროვნულმა ჯგუფმა ერთმანეთს ზურგი შეაქცია. პოპულისტი პოლიტიკოსი ვეგეტარიანელის ტყვიის მსხვერპლი გახდა. ეს ის ადამიანია, რომელმაც გაცილებით ადრე გამოიჩინა თავი როგორც ძალზე აქტიურმა ცხოველთა დამცველმა. ყოველივე ამის შემდეგ მაშ რაღაში გამოიხატება ჰოლდერის მოდელის მოქმედება? იმ დროიდან ყველა იმაზე საუბრობს, რომ ჰოლანდიამ თავისი ქალწულობა დაკარგა.

დღეს უკვე აღარავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ ჩვენი ქვეყანა დეზორიენტირებულია. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ მოსალაპარაკებელ მაგიდასთან ჩვენი ტოლერანტობა საკმარისი აღარაა. გაიზარდა მოთხოვნა კანონის უფრო აქტიურად ამოქმედებაზე. სხვაგვარად მოაზროვნეები? კი ბატონო, ოღონდ, კარგი იქნება, თუკი ესენი მუსულმანები არ იქნებოდნენ. ასევე უნდა ითქვას ემიგრანტი მუშების მიმართ, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც; მათზე ნაკლები მოთხოვნილებაა, თუნდაც რომ ისინი კათოლიკები იყვნენ და ახალ ევროპელებს ვეძახდეთ სახელად.

**თუმცა ჰოლანდიის შესახებ ჯერ კიდევ შეიძლება მრავალი თბილი სიტყვის თქმა.** თუნდაც მისი მზიანი ამინდებისა და სასწაულებრივი ზეცის გამო. ასევე სწორე და გლუვი ლანშაფტისა და წყლის შესახებ, რომელსაც თითქმის ყოველ ნაბიჯზე ეხვდებით. იმის გამოც, რომ ასე მოსწონთ კემპინგური მისაბმელები, რომლებითაც ჰოლანდიელები მთელ ევროპას შიშის ზარს სცემენ, რამეთუ ისინი უფრო მძიმე და უხეშებია, ვიდრე სატვირთო მანქანები. მხატვრებისა და

ფოტოგრაფების, საოცარი ორკესტრის გამო, პრესის თავისუფლებისა და კიდევ მრავალი სხვა რამის გამო. მოკლედ, გამონაკლისს მხოლოდ სამეფო ოჯახი წარმოადგენს.

ჰოლანდია ბედნიერი ქვეყანაა. მდიდარი, მიუხედავად მრავალი არსებული პრობლემისა. ზოგს მიაჩნია, უფალმა ჩვენმა მას ზეციური სამოთხის მომმარაგებლის სტატუსი მიანიჭა, რადგანაც წყლისათვის ბრძოლაში ჰოლანდიელები აღმოჩნდნენ კარგი დამპროექტებლები, და ამ საქმეში ისინი, ასე ვთქვათ, თავად ყოვლის შემომქმედსაც კი აღემატებოდნენ. იმასაც ამბობენ, რომ ამგვარად ჰოლანდია უფალი ღმერთისათვის ერთადერთ საკუთარ საკარმიდამო მიწადაც იქცა დედამიწაზე. მრავალი მდინარითა და არხით, სადაც შეიძლება ცურვა თუნდაც გართობისათვის. ჰოლანდიაში ბევრი ადამიანია, რომლებსაც ძალიან სურთ სჯეროდეთ ამის შესახებ.

*წერილის ავტორი ფილიპ ფრერიქსი დაიბადა 1944 წელს, ჰოლანდიაში. იგი, უპირველეს ყოვლისა, ცნობილია როგორც სატელევიზიო „მოამბის" რედაქტორი. ის ავტორია ასევე მრავალი სატელევიზიო პროგრამის, რომლებიც ჰოლანდიაში დიდი პოპულარობით სარგებლობენ. 80-იან წლებში ფრერიქსი პრესისა და ტელევიზიის კორესპონდენტად იყო პარიზში. მის კალამს ეკუთვნის ბევრი საინტერესო წიგნი საფრანგეთზე. 2004 წლის დასაწყისში მან მთელი ჰოლანდია შემოიარა თავისი თეატრალური სპექტაკლით „Gare du Nord" (რკინიგზის სადგური პარიზში). წიგნი ამ სათაურით ბესტსელერადაა გადაქცეული მის ქვეყანაში.*

# ჩიტებს გუნდ-გუნდად ფრენა ურჩევიათ



# დანია (დანიის სამეფო)

**კავშირში გაწევრიანდა** 1973 წელს
**დედაქალაქი –** კოპენჰაგენი
**მოსახლეობა –** 5330 ათ. კაცი
**ფართობი –** 43093 კვ. კმ
**მშპ ერთ სულზე** – 27664 აშშ დოლარი
**რელიგიური მრწამსი –** ლუთერანები
**სახელმწიფო ენა –** დანიური (სხვა ენები: ფარერული, გრენლანდიური და გერმანული)
**სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა –** 76.9 წელი
**სპორტის პოპულარული სახეობა –** ფეხბურთი
**ტემპერამენტი –** ინტროვერტები

დანიელები პატარა ერია, რომელიც უჩვეულოდ აღრე იგებს ქვეყანაში ახალი კულტურისა თუ წეს-ჩვეულებების შემოსვლას. ერთნი ამაში ქვეყნის განვითარების შანსს ხედავენ, მეორენი – საფრთხეს. თუმცა, გულახდილად რომ ვთქვათ, მაინც და მაინც რადიკალურ ცვლილებებს პირადად მე ვერ ვხედავ, თუმცა აშენდა მშვენიერი სასახლეები, ავტოსტრადები და ხიდები, ამავდროულად ქუჩებში გამოჩნდა უამრავი, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ადამიანი.

როდესაც საზღვარს ვკვეთავ, არასოდეს ვეჭვობ, რომ დანიაში მოვხვდი. აქაა ჩემი სახლი, ყველაფერი – დაწყებული ენით და მისი ურიცხვი კილოკავით და პეიზაჟით დასრულებული – ოდნავი ეჭვის საფუძველსაც კი არ იძლევა, რომ ეს დანიაა.

მიუხედავად იმისა, რომ ფლობენ პატარა, ყოველგვარ ბუნებრივ რესურსებს მოკლებულ ტერიტორიას, დანიელებმა შეძლეს უჩვეულოდ განევითარებინათ ეროვნული მეურნეობა

და ერთ-ერთ უმდიდრეს და სტაბილურ ქვეყნად ექციათ მთელ მსოფლიოში. ამ ბოლო დროს ასე გახშირებული სოციალური გამოკითხვები ერთხმად უჩვენებენ, რომ დანიელები ყველაზე კმაყოფილი და ბედნიერი ხალხია მსოფლიოში. თუმცა, მეორე მხრივ, ეს ხელს როდი უშლით ჩემს თანამემამულეებს, რომ ყველაფერზე წუწუნებდნენ და საყვედურებს გამოთქვამდნენ.

ამასთან, გასაკვირია ის, რომ თუკი ყურადღებას გავამახვილებთ ისეთ მაჩვენებლებზე, როგორიცაა განათლების, ჯანმრთელობის დაცვის სფეროებისათვის გამოყოფილი ფინანსური სახსრები, მაშინ აღმოჩნდება, რომ მსოფლიოში სახელგანთქმული დანიური კეთილდღეობის სახელმწიფო უკვე წარსულის საკუთრება გამხდარა. და ეს, მიუხედავად ძალზე მაღალი გადასახადებისა, ახლა მხოლოდ თურქმა შეიძლება დაიჯეროს, რომ სახელმწიფოს მოწყობის დანიური მოდელი ყველაზე კარგია მსოფლიოში (აქ სიტყვათა თამაშია: ავტორი ხმარობს სიტყვა „tyrketro", რაც ნიშნავს რაღაც ბრმა რწმენას და გამოყვანილია ძველი დანიური გამოთქმიდან, რაღაც ისეთის აღსაწერად, რაც მხოლოდ თურქს ძალუძს ირწმუნოს – პოლ. მთარგმ.).

დანიელი ბავშვები მთელ დანარჩენ ევროპელ ბავშვებზე უარესად კითხულობენ და თვლიან. ეჭვგარეშეა, რომ საზოგადოებას, რომელიც გაცილებით მეტი რაოდენობის ფსიქოლოგს ამზადებს, ვიდრე ინჟინერს, დაავადებული სული აქვს. ჯანმრთელი არაა ასევე ისეთი საზოგადოება, რომლის ძალზე მცირე ნაწილი ცდილობს კერძო ბიზნესის წამოწყებას, ხოლო მთელ დანარჩენ საზოგადოებას სახელმწიფო სამსახურისაკენ მიუწევს გული. არცა ტყუიან: აქ ხომ დაუგვიანებლად იღებენ საკმაოდ მაღალ ხელფასებს.

დაახლოებით ასი წლის წინათ დანია პატარა და ღარიბი ქვეყანა იყო, სადაც ძალზე ცოტა ხალხი ცხოვრობდა. მაშინ დანიელ მშობელთა ოდენ მცირე ნაწილი აგრძელებდა

სიცოცხლეს მას შემდეგ, რაც მათი უმცროსი შვილი კონფირმაციას მიიღებდა (დანიურ პროტესტანტულ ეკლესიაში კათოლიკური ზიარების მსგავსი საეკლესიო ტრადიცია – პოლ. მთარგმ.). მაშინ არც ის იყო გასაკვირი, რომ ყოველი მესამე ბავშვი ხუთ წლის ასაკამდე იღუპებოდა. სწორედ ასეთი სიღატაკისა და უიმედო ცხოვრების გამო მოხდა, რომ XIX საუკუნის ბოლოს 200 ათას დანიელზე მეტმა დატოვა თავისი სახლი და საცხოვრებლად შეერთებულ შტატებში გადავიდა. XX საუკუნის დასაწყისშიც კი დანიას ყოველწლიურად 8 ათასზე მეტი ადამიანი სტოვებდა. სწორედ იმ პერიოდში წარმოიშვა დანიაში პროფესიული კავშირები და კოოპერატივები და ასევე თანამედროვე ხასიათისა და ფორმის პოლიტიკური პარტიები, რომელთაც ტრადიცია დაუდეს მყარ სტრუქტურებსა და საზოგადოების კლასობრივ დაყოფას.

შეიძლება ითქვას, რომ დანიამ ბედნიერად დააღწია თავი უმეტეს უბედურებებს. თუმცა XIX საუკუნის ბოლოს პრუსიამ დანიას წაართვა ტერიტორიის 1/3 ნაწილი, მაგრამ სახელდობრ ამ ტრაგედიის შედეგად დანიას არ მიუღია მონაწილეობა I მსოფლიო ომში და არ დაზარალებულა. ასევე გერმანელების მიერ II მსოფლიო ომში ოკუპირებულ ყველა სხვა ქვეყანასთან შედარებით, დანიამ ყველაზე ნაკლები ზარალი განიცადა. თუმცა, 90-იან წლების ბოლოს გამოიცა ბევრი საინტერესო და სანდო ისტორიული ნაწარმოები, საიდანაც ჩანს, რომ სამწუხაროდ, I მსოფლიო ომში აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანულ სამხედრო ნაწილებში მომსახურე ძალიან ბევრი დანიელი დაიღუპა. ამ წიგნებიდან ისიც ირკვევა, რომ ბევრი ცნობილი დანიური ფირმა თანამშრომლობდა ჰიტლერელებთან და ამ გზით საკმაოდ ბევრ ფულს შოულობდა.

დანიელთა უმრავლესობას მთელი მსოფლიო აქვს შემოვლილი და კარგად იცის, რომ დანიური პეიზაჟი კონკურენციას ვერ გაუწევს მსოფლიოს მრავალ ქვეყანას.

დანია ვაკე ტერიტორიაა, რომელიც მაღალი ძაბვის ელექტრო საზებითაა დაქსელილი და ქარის ელექტრო სადგურებით გადაჯსებული. თუმცა ის, რაც გვიყვარს, წვრილმანებშია გამოხატული. ჩვენ ისე მოგვწონს ჩვენი ქვეყანა, რომ როდესაც მზე ამოდის და წიფელი ყვავლება, ხოლო ირგვლივ სიმშვიდე და სიწყნარე გამეფდება, არც ერთ დანიელს ეჭვიც კი არ ეპარება იმაში, რომ მთელი მსოფლიოსათვის საუკეთესო იქნებოდა, თუკი ის დანიური ცხოვრების წესს შეითვისებდა.

საკმარისია ექვსი დანიელი მაინც შეხვდეს ერთმანეთს, რომ სადაც უნდა იყვნენ, ისინი რაღაც კავშირებს ჰქმნიან, იღებენ წესდებას, იწვევენ საერთო კრებას და რაღა თქმა უნდა, ირჩევენ თავმჯდომარესაც, რომელიც კონტროლს აწესებს საერთო კრების მიერ მიღებული დადგენილებების შესრულებაზე. სახელდობრ ამრიგად რეგულირდება დანიელთა ყოველდღიური ცხოვრებაც და მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ცხოვრების ძლიერი მხარეც სწორედ ესაა. თუმცა აქედანვე იღებს სათავეს დანიის პოლიტიკური სისტემის სისუსტეც, რადგან დანიელები ღრმად არიან დარწმუნებული, რომ ყველაფერი მოლაპარაკებების მაგიდასთან უნდა გადაწყდეს; ამასთან, როდესაც საქმე წვრილმანებზე მიდგება, ეს უკვე თითქმის შეუძლებელია და ასეთი მიდგომის ყოველი მცდელობა უფრო ართულებს და აჭიანურებს პრობლემის გადაწყვეტას. მცდარი აღმოჩნდა ასევე შეხედულება, თითქოს ყველა პრობლემის გადაწყვეტა შესაბამისი თანხით შეიძლებოდეს.

დანიელი თავისი ბუნებით ნაციონალისტია, ქცევებში იგი კონსერვატორია, ცხოვრების მიმართ პრაქტიკოსია და რამეთუ ამას აუცილებლობა მოითხოვს – ინტერნაციონალისტიც. დანია უამრავი ორგანიზაციისა და ბლოკის წევრია. ის, ჯერ ერთი, იძულებულია ასეთი წევრობის და მეორეც, იგი დარწმუნებულია, რომ ეს მისი უსაფრთხოების საიმედო

გარანტიაა. ჩვენ აქტიურად ვმონაწილეობთ ევროპისა და მსოფლიოს ყველა პოლიტიკურ მოვლენაში. უმრავლეს საერთაშორისო ორგანიზაციაში დანიის წარმომადგენელი მრავალ საკვანძო თანამდებობაზე მსახურობს. დანიელები ძალზე დარწმუნებული არიან თავის თავში და ვერ იტანენ, როდესაც ვინმე აკრიტიკებს. თუმცა, ამავდროულად, მათ იციან, რომ თვითდარწმუნებას საზღვრებს უდებს ცნობილი დანიური იანტელოვი (Jantelov), ანუ სამართალი, რომლის მიხედვითაც ადამიანი ნამეტანი არ უნდა გამედიდურდეს და იფიქროს, რომ ის ყველაზე უკეთესია. თუმცა, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც მიგვაჩნია, რომ დანია მსოფლიოს ჭიპია, ხოლო ჩვენი ენა უმშვენიერესი მსოფლიოში. შედარებით რთულია იმათი მდგომარეობა, რომლებიც დიალექტით საუბრობენ, მაგალითად, იუტლანდიის ნახევარკუნძულის მკვიდრთა, ან საუბრობენ აქცენტით, მაგალითად, თავადი ჰენრიკი, მისი აღმატებულობა მარგარეტას მეუღლე.

ტრადიცია გახდა დანიური კულტურის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი. სწორედ მის შესახებ საუბრობენ ყველაზე მეტს უკანასკნელ ხანებში და სხვათა შორის, ალბათ იმიტომ, რომ ზოგიერთის აზრით, მათ საშიშროება ემუქრებათ. პირადად მე ამ მხრივ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. წარსული გვიჩვენებს, რომ საუკუნეთა განმაელობაში, როდესაც დანიას სხვადასხვა კულტურული ტალღა წალეკვით ემუქრებოდა, მათ შორის, ფრანგული, ებრაული, პოლონური, შვედური და ესპანური, პატარა დანია მედგრად იგერიებდა ამ შემოტევებს და საკუთარ კულტურასა და ტრადიციებს ინარჩუნებდა.

დანიამ ერთი თაობის ცხოვრების განმაელობაში გაიარა გზა ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან განვითარებულ სახელმწიფომდე. იგი ტრანსფორმაციას განიცდის, რომელმაც საინფორმაციო საზოგადოებად უნდა აქციოს. ცხადია, ეს

სიძნელეების გადალახვის გარეშე როდი ხდება, მაგრამ ასეთ ცვლილებებს უმტკივნეულოდ როგორ განახორციელებ? მტკივნეულია, მაგალითად, ყოფილ გემსაშენ Burmeiste&Wain-ში სხვადასხვა სახის პროდუქციის საწარმოს დანახვა. აქ ხომ გემებს აგებდნენ და პროფკავშირები გენერალურ გაფიცვებს ახორციელებდნენ. ახლა აქ ევროპაში უდიდესი გოლფის მინდორიცაა მოწყობილი.

მოწოდება „ყიარით ერთად“ ზუსტად გამოხატავს დანიური ცხოვრების ფილოსოფიას, რომელსაც ყველაზე კარგად გადმოსცემს მშვენიერი დანიური ლექსის ფრაგმენტი, სადაც, სხვათაშორის, ნათქვამია, რომ ნიჭებს გუნდ-გუნდად ურჩევნიათ ფრენა. თუმცა, გუნდი რომ შეიკრას, ამისათვის საკმარისად ბევრი ნიჭია საჭირო. ეს სტრიქონი და მასში მოცემული აზრი ღრმადაა გამჯდარი ყოველ დანიელში და კარგი იქნებოდა, თუ იგივე ფილოსოფიას ჩვენი პლანეტის 6 მილიარდი მცხოვრებიც გაითავისებდა.

*წერილის ავტორი ლეიფ დავიდსენი 1950 წელს დაიბადა. მწერლობა მან ლექსების წერით დაიწყო და 1973 წელს პოეზიის კრებული „ხორბლის მარცვალი“ გამოსცა. დავიდსენი ავტორია მრავალი მოთხრობისა და რომანის, რომელთა უმეტესობას პოლიტიკურ-სენსაციური ხასიათი აქვს. მათი უმრავლესობა სხვა ენებზეა თარგმნილი. დავიდსენს მინიჭებული აქვს დანიური, სკანდინავიური და გერმანული პრემია. სხვათაშორის, იგი არის რომანების: „უიღბლო კავშირი“, „რუსი მომღერალი“, „უკანასკნელი აგენტი“,„დოსტოევსკის უკანასკნელი რეისი“ და სხვ.*

# სევდიანი სიმღერები და მხურვალე მისალმება



# ირლანდია

კავშირში გაწევრიანდა – 1973 წელს
დედაქალაქი – დუბლინი
მოსახლეობა – 3,8 მლნ კაცი
ფართობი – 70300 კვ. კმ
მშპ ერთ სულზე – 26762 აშშ დოლარი
მინიმალური ხელფასი თვეში – 1403 ევრო
რელიგიური მრწამსი – კათოლიკური
სახელმწიფო ენა – ირლანდიური, ინგლისური
სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა – 77 წელი
სპორტის პოპულარული სახეობა – ფეხბურთი
ჰობი – პაბში შესვლა

*ერთმა ინგლისელმა პოეტმა დაწერა: „ყველაზე დიდი კელტები ირლანდიაში ის ხალხია, რომლებიც ღმერთმა გააგიჟა. ისინი ყველა თავის ომში მხიარულები არიან, სოლო ყველა მათი სიმღერა ნაღვლიანია" პოეტს მხედველობაში დღევანდელი ირლანდიელები არა ჰყავს, არამედ ისინი, ვინც დიდი ხნის წინათ გარდაიცვალნენ, ანუ ჩვენს ფეოდალურ წინამძღოლებს გულისხმობს. ამასთან, მან ნამდვილად გადააჭარბა, თუ საქმე ეხება ომს. თუმცა სიმღერის შემთხვევაში ეს ნამდვილად ასეა.*

ამქვეყნად არავის ისე არ უყვარს სევდიანი სიმღერები, როგორც ირლანდიელებს. მაგალითად, როდესაც ჩვენი ფეხბურთელები კარგად თამაშობენ, ფანები მღერიან „Fields of Athenry" - მწუხარე ბალადას დასავლეთ ირლანდიის ველებზე. ბალადა იმ მამაკაცზეა, რომელიც ქვეყანამ მოიძულა და სამშობლო კარ-მიდამო დაატოვებინა, ვინაიდან მან მშიერი ბავშვებისათვის თავთავის მარცვლები მოიპარა. ეს ამბავი

მოხდა XIX საუკუნის 40-იან წლებში. დამეთანხმებით, საკმაოდ უცნაური ტექსტია შერჩეული სტადიონზე გოლის გატანისას სამღერად. თუმცა, როდესაც სტადიონზე გაისმება ახალგაზრდა ქალის მოთქმა-გოდება, რომელიც დაკარგულ ქმარს, რომელსაც უკვე ველარასოდეს ნახავს, დასტირის სიტყვებით: „როგორ დაობლდნენ ატენრის ველები", მაშინ მოწინააღმდეგეებმა უკვე იციან, რომ მოწინააღმდეგე გუნდისაგან ქარიშხალიეით შეტევას უნდა ელოდნენ.

ჩვენი სიმღერები იმის შესახებაა, რაც ოდესღაც ირლანდიას გადახდენია: დუხჭირი ცხოვრება, სიღატაკე, შიმშილი, აუტანელი შემოტევები ინგლისელთა მხრიდან. თუმცა დღევანდელი ირლანდია ძალიან განსხვავდება ამ ტრადიციული წარმოდგენისაგან. შიმშილი მხოლოდ მეხსიერებას შემორჩა. ხალხი გამდიდრდა, ვიდრე ადრე როდისმე. თანდათან ინგლისელთა არშეყვარებაც კი ძნელი ხდება. თუმცა მათ კვლავაც შეუძლიათ ადვილად გვაწყენინონ, ამიტომაც განსაკუთრებით მაშინ ვაღმერთებთ ჩვენს ფეხბურთელებს, როდესაც ინგლისელებს უგებენ. თუმცა ახლა მრავალი ჩვენთაგანი მიიჩნევს მათ, როგორც მეგობრულად განწყობილ მეზობლებს და სამშვიდობო პროცესის პარტნიორებს.

უკვე წარსულს ეკუთვნის არა მხოლოდ დეპორტაცია, არამედ ემიგრაციაც. ესეც ძალზე ბევრი სევდიანი ლექსის თემად იქცა, რომელთაც დღესაც მღერიან. პირველად ისტორიის მანძილზე ირლანდია თავად იზიდავს იმიგრანტებს. სხვათაშორის ალმოსავლეთ ევროპიდანაც. ასევე პირველად ვხედავთ იმასაც, რომ ჩვენი დამოკიდებულება მათ მიმართ ზუსტად ისეთივეა, როგორც ჩვენ გვექცეოდნენ, როდესაც თავად ვიყავით იმიგრანტები. ძველი კელტური ანდაზის თანახმად, ირლანდია ათასი მისალმების ქვეყანას წარმოადგენს, თუმცა ტრადიციულად ეს მისალმებები

მიმართული იყო მდიდარი ტურისტებისადმი. ისინი, ვინც ჩვენთან ჩამოდიოდა უკეთესი ცხოვრების ძიებაში, იძულებული იყვნენ უბრალო დახვედრით დაკმაყოფილებულიყვნენ.

ბოლო წლებში ჩვენი სოფლის მეურნეობა ძალზე შეეიწროვდა. ხალხი ქალაქებში, განსაკუთრებით, დუბლინში გადასახლდა. ატენრის ველებიც ახლა გაცილებით გაუკაცრიელდა, ვიდრე მაშინ, როდესაც მას მასობრივი დეპორტაციის აჩრდილი ედგა თავს. ეკონომიკური წარმატებები მრავალ ადამიანს საშუალებას აძლევს დარჩეს სახლის ახლოს ანდა დაუბრუნდეს მას, მაგრამ ეს ახალ პრობლემებს აჩენს. ამჟამად მიმდინარეობს დიდი კამათი იმის შესახებ, თუ აქვთ სოფელს დაბრუნებულ ირლანდიელს იმის უფლება სახლის ააშენოს იქ, სადაც მას სურს. ეს არ მოსწონთ კონსერვატიულ ლობისტებს, რამეთუ ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე აგარაკების მშენებლობა გარემოს ძალზე ამახინჯებს. სოლო მშენებლობის ლობისტები მშენებლობის ამ ბუმს ასე ამართლებენ: „შეუძლებელია პეიზაჟის ყურებით წყურვილის მოკვლა“ და რომ სოფლის გაუკაცრიელებით მიღებული შედეგები უფრო მწვავეა, ვიდრე ტურისტებისა თუ დუბლინელების ესთეტიკური აღთქმა, რომელთაც უყვართ კვირის ბოლოს სოფლად გასვლა და ბუნების სიმშვენიერით ტკბობა. ამასთან, ბოლო ხანებში მთავრობა ძალზე ელასტიური და დამთმობი გახდა, როდესაც საქმე მშენებლობას ეხება.

მუსიკალური ტრადიციები, რომელსაც დიდმა კელტებმა დაუდეს საფუძველი, დღესაც შემორჩენილია ქვეყანაში, განსაკუთრებით არფით შესრულებული სიმღერების სახით. იგივე მუსიკალური ინსტრუმენტია, ოღონდ უკუღმა გადაბრუნებული ფორმით, ასევე ლუდი Guinnes-ის, ლოგო. ფაქტი, რომ Guinnes-ის არფა საზღვარგარეთ ძალზე ნაცნობია, ირლანდიელებში შერეულ გრძნობებს სიამაყეს და მორცხვობას იწვევს ერთსა და იმავე დროს. შავ-თეთრი,

ფოტოგენური და სწრაფად აღთქმული კათსა Guinnes-ისა ირლანდიის საერთაშორისო სიმბოლოდ იქცა. როდესაც პოლონელმა პრემიერმა ეეროკაეშირში პოლონეთის შემოსვლისათვის ჩვენი თანხმობის გამო ირლანდიელთა მიმართ მადლიერების გრძნობის გამოესახატა მოინდომა, მან ეს ვარშავის პაბში Guinnes-ის კათხის აწეეით გამოხატა. ირლანდიის მას-მედიამაც ეს ჟესტი აღფრთოვანებით მიიღო.

როგორც ჩანს თავად ჩვენ შეეუწყეთ ხელი იმას, რომ ირლანდიელები საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში ლოთად აღთქმულიყვნენ. და ეს არ არის გაზვიადება. როგორც ამ ბოლო დროს ეერობარომეტრის მიერ ჩატარებული გამოკვლეეებიდან ხდება ცხადი, ირლანდია პირველ ადგილს იკავებს მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით მოხმარებული ალკოჰოლური სასმელების მოცულობის მიხედვით.

ახალგაზრდების მიერ მოწყობილი ღრეობები და მის შედეგად ქუჩაში ხშირად ატეხილი დებოშები ჩვენს დიდ შეშფოთებას იწვევს. 90-იანი წლების ბოლოს ირლანდიის მიერ მიღწეული სამეურნეო ბუმიც „პახმელიასავით" გვაწვალებს. იქნებ ამიტომაცაა ძველი სიმღერები ჩვენში ახლა ეგზომ პოპულარული, რომ გვახსენებენ, თუ რაოდენ ძნელია ჩვენთვის წარმატებებთან ერთად ცხოვრება. ეკონომიკური მიღწევეების შედეგები კი, თუმცა ამ ბოლო დროს გარკვეულად ჩაცხრა, მაინც თითქმის ყოველ ნაბიჯზეა საგრძნობი. ქვეყანაში უდიდესი სამშენებლო ბუმია, რომლის „შტაბბინაც" დუბლინშია. თუმცა ყოველივე ამისათვის საგრძნობი საფასურის გადახდა იყო საჭირო. შემთხვევითი არაა ირლანდიაში ასე პოპულარული ტერმინი – ევთენიზმი, რომელიც ინფრასტრუქტურის ასეთი ინტენსიური განვითარების შედეგად წარმოიშვა.

ამ ორგანიზებულ ქაოსში გრძელდება ცხარე კამათი იმის შესახებ, თუ როგორ გამოვიყენოთ ქვეყანაში წარმოშობილი ახალი სიმდიდრე. ტურისტები, რომლებიც ირლანდიაში ავტომობილებით დადიან, იციან, რომ შეიძლება შეხვდეთ გზაჯვარედინი, რომელზედაც გზის მაჩვენებლები უფრო მეტია, ვიდრე გზები. რამდენიმე წლის წინათ ჩვენი ქვეყანაც ასეთი გზაჯვარედინის წინაშე იდგა. მას უნდა გადაეწყვიტა, თუ რომელი გამოკვეთილი გზა აერჩია თავის სამეურნეო წინსვლისათვის ბოსტონის თუ ბერლინის. ევროკავშირი თავისი სოციალური საბაზრო ეკონომიკით ცუდი გზა როდი იყო ირლანდიისათვის, თუმცა კარგი გზა იყო ასევე ამერიკული მოდელიც თავისი კულტურით, რომლის თანახმადაც ძალზე ფასდება ინდივიდუალიზმი. ამჟამინდელმა მთავრობამ მესამე გზა აირჩია და იმედი აქვს, რომ ეს საუკეთესო და შედეგიანი გზა აღმოჩნდება.

ჩვენი პრემიერის უდიდესი ტალანტი იმაში გამოისატება, რომ შეუძლია შეარიგოს ურთიერთ საწინააღმდეგო იდეოლოგიური მიმართულებები. იგი თავის თავს მემარცხენედ წარმოიდგენს, მაშინ, როდესაც კრიტიკოსები საყვედურებენ, რომ ჩვენი მთავრობა უაღრესად მემარჯვენე მთავრობაა სახელმწიფოს მთელი ისტორიის განმავლობაში. მისი წინააღმდეგობა წარმოსდგება ნაწილობრივ ენიდან, რომლითაც იგი საუბრობს. მრავალი იმ ქვეყნის მეთაური, რომლებიც ევროკავშირში შევიდნენ, გაცილებით უკეთ ლაპარაკობს ინგლისურად, ვიდრე ჩვენი პრემიერი.

სამაგიეროდ ჩვენი პრემიერი ოქროს ხელის პატრონის რეპუტაციით სარგებლობს, ანუ სპეციალისტისა, ვისაც ყველაფრის გაკეთება ხელეწიფება. როდესაც 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დროს ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელი როი კინი სახლში დროზე ადრე დააბრუნეს, ვინაიდან

მწერთნელთან იჩხუბა, ჩვენ ყველანი ველოდით, რომ რაღაცას იღონებდა. თუმცა ამაოდ.

როდესაც 1966 წელს ირლანდიის რესპუბლიკურმა არმიამ ჰაერში ასწია ნელსონის ქანდაკება, ქუჩაში კარგა ხანს დარჩა შავი ხვრელი. ამ ქანდაკების აფეთქება უნდა ყოფილიყო ინგლისელთა წინააღმდეგ ცნობილი აჯანყების სიმბოლო. ძველი პოლიტიკური ელიტის მიერ ეს ძეგლი მიღებული იყო, როგორც იმის სიმბოლო, თუ რანი ვიყავით. მისი აფეთქება კი გახდა იმის აღმნიშვნელი, თუ რანი არ ვიყავით: ანუ ბრიტანელები. მაგრამ დიდხანს ნალოდინევი ჩვენი ეროვნულობის აღმნიშვნელი ნიშანი ყოველთვის ძნელი ასარჩევი ხდებოდა. ზოგს სურდა მას ქრისტიანული ხასიათი ჰქონოდა, ზოგი ისტორიიდან ცდილობდა მის აღებას, და ინგლისელი ადმირალის მისით შეცვლას. ბოლოს ქალაქის თავებმა აბსტრაქციას მიანიჭეს უპირატესობა: ამ ადგილას დადგეს 120 მეტრიანი უჟანგავი ფოლადის ნემსის ფორმის ქანდაკება, მბრწყინავი წვერით.

ჩვენი დუბლინის ნემსი ირლანდიელი ხალხის ცისკენ სწრაფვის სიმბოლოდ უნდა ქცეულიყო. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ ამ პროექტის განხორციელება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ძეგლის გახსნა რამდენჯერმე გადაიდო. თავდაპირველად ძლიერი ქარის გამო. შემდეგ მის გაშუქებასთან დაკავშირებით წარმოიშვა პრობლემები. მაგრამ ბოლოს პროექტმა გაამართლა. იგი განსაკუთრებით ლამაზად გამოიყურება მზიან დღეებში. თუმცა იმის გამო, რომ ასეთი დღეები ირლანდიაში იშვიათობას წარმოადგენს, ბევრს მიაჩნია, რომ ძეგლი კარგია, თუმცა შეიძლებოდა უკეთესიც ყოფილიყო.

წინამდებარე წერილის ავტორი ფრანკ ო'ნილი 1962 წელს ირლანდიაში დაიბადა. იგი პრესტიჟული ჟურნალის „The Irish Times"- ჟურნალისტი და ფელეტონისტია, რომელიც 2002 წლამდე ძირითადად საპარლამენტო ცხოვრების თემაზე წერდა. გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ო'ნილმა ბევრი იმოგზაურა იაპონიაში, ავსტრალიაში და ტაილანდში. სამშობლოში დაბრუნებულმა მუშაობა დაიწყო სატელევიზიო სატირულ გადაცემებში. 1999 წლიდან იგი ყოველკვირეულ ჟურნალში სატირულ წერილებს ბეჭდავდა. ო'ნილი დაოჯახებულია, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. მისი მეუღლე ტერეზა ქოროში მღერის, იმ ქოროში, რომელმაც 2004 წლის 1 მაისს, ანუ ევროკავშირის გაფართოების დღეს „სიხარულის ოდა" შეასრულა.

ქვეყანა არც აქეთ, არც იქით.






## ლუქსემბურგის დიდი სამთავრო

**კავშირში გაწევრიანდა – 1951 წელს**
**დედაქალაქი – ლუქსემბურგი**
**მოსახლეობა – 436 ათასი კაცი**
**ფართობი – 2590 კვ. კმ**
**მშპ ერთ სულზე – 44879 აშშ დოლარი**
**მინიმალური ხელფასი თვეში – 1574 ევრო**
**რელიგიური მრწამსი – კათოლიკები**
**სახელმწიფო ენა – ლუქსემბურგული, ფრანგული, გერმანული**
**სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა – 77.4 წელი**
**ჰობი – ყოველი შაბათი -კვირის სხვა ქვეყანაში გატარება**
**ტემპერამენტი – ინტროვენტები, ინტერნაციონალისტები**

ლუქსემბურგი არის კონსტიტუციური მონარქიის ქვეყანა. სახელმწიფოს სათავეში დგას ბრწყინვალე თავადი ჰენრი.

*„ლუქსემბურგელი ვარ და მუდმივად მეკითხებიან: ვიხდი თუ არა გადასახადებს? რომელ ენაზე ელაპარაკობ? რას ვჭამ? ჩემი ქვეყანა ფრანგული დეპარტამენტია, ბელგიური პროვინცია თუ გერმანული მიწა?"*

როგორც ჩანს, ასეთი კითხვების დასმა სრულიადაც არაა უსაფუძვლო. ლუქსემბურგმა თავისი რთული ისტორიის მანძილზე ვერ მოახერხა მსოფლიოსათვის გაეცნო თავისი ნამდვილი სახე, საერთაშორისო საზოგადოებისათვის საკუთარი თავი წარედგინა. ამიტომაა რომ ჩვენი ხსენებისას ხშირად გაიგონებთ: „ამბობენ, რომ..." არადა, II მსოფლიო ომის შემდეგ ისტორიას სხვა გზა რომ აერჩია, ლუქსემბურგი, ეს ჯუჯა სახელმწიფო, სადაც მხოლოდ 270 ათასი ადამიანი ცხოვრობს, ევროპის გალაქტიკის დედაქალაქი გახდებოდა, იმ

გალაქტიკისა, სადაც ახლა უკვე 450 მლნ ადამიანი ცხოვრობს. დღეს კი, საუბრობენ რა ბრიუსელსა და სტრასბურგზე, ავიწყდებათ, რომ ნახშირისა და მეტალის ევროპის თანამეგობრობის დაფუძნებისას XX საუკუნის 50-იან წლების დასაწყისში, ლუქსემბურგი კინაღამ გახდა ევროპის დედაქალაქი. ერთადერთი დედაქალაქი. ასეთ შემთხვევაში ხომ დაიხარჯებოდა დიდი მოცულობის თანხები, რამეთუ ყველა საერთო-ევროპული დაწესებულება - პარლამენტი, ევროპული კომისია და ა. შ. ერთ ქალაქში იქნებოდა თავმოყრილი.

რატომ შეიძლებოდა, რომ ლუქსემბურგი ევროპის დედაქალაქად ქცეულიყო? დიდ სათავადოში გავრცელებული იყო ხუმრობა, რომ ლუქსემბურგული სამზარეულო აერთიანებს ფრანგულ ხარისხს და გერმანულ რაოდენობას. ლუქსემბურგის განსაზღვრისათვისაც ორი მეთოდი არსებობს. პირველის მიხედვით, იგი არის საზღვარი საფრანგეთსა და გერმანიას შორის, ანუ თუ ვიქნებით უფრო ამბიციურნი, ლათინურსა და გერმანულ სამყაროს შორის. მეორეს მიხედვით, არც საფრანგეთი და არც გერმანია: ლუქსემბურგი ორი დიდი კულტურული ტალღის – ლათინურისა და გერმანულის შეჯახების ადგილია.

თავის ამ გამონაკლის სიტუაციას, არც იქით და არც აქეთ, უფრო სწორედ კულტურების გზის გასაყარზე მდებარეობას უნდა უმადლოდეს ბრწყინვალე სამთავრო თავის არსებობას. „არც იქით" ნიშნავს იმას, რომ საფრანგეთს არ უნდოდა ჩვენ გერმანელების ხელთ ჩავევარდნილიყავით (როგორც ეს მოხდა 1940 წელს), ხოლო გერმანელები არამოწყალე თვალით გვიყურებდნენ, როდესაც ჩვენ ფრანგებს მივეკუთნებოდით (ლუი XIV-სა და ნაპოლეონის დროს). საიდან ასეთი შიში მეზობლების მხრიდან? ქალაქი ლუქსემბურგი უბრალო ციხე-სიმაგრე იყო, რომლის აღებაც ძალზე ძნელ საქმეს წარმოადგენდა და ამიტომ არავის არ უნდოდა, რომ მასზე სხვა

ეინმე გაბატონებულიყო. ზუსტად მეზობლებში გაჩენილი ამ შიშის გამო მოახერხა ლუქსემბურგმა დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

და სწორედ თავისი ასეთი მდგომარეობით - არც ერთისა და არც მეორესაკენ, აპირობებდა იმას, რომ ლუქსემბურგს ჰქონდა იმის შანსი, ევროკავშირის დედაქალაქად გამხდარიყო. დიდ სათავადოს შეეძლო ყველას ინტერესები დაეკმაყოფილებინა, რამეთუ არც საფრანგეთსა და არც გერმანიას არ შეეძლოთ ევროპის ცენტრად გახდომა. გერმანელებს თავიანთი აგრესიული ახლო წარსულის გამო და ფრანგებს კიდევ იმიტომ, რომ ეს გერმანელებს არ უნდოდათ. სამწუხაროდ, შიშისა თუ დაუდევრობის გამო, ლუქსემბურგის იმჟამინდელმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო მინიმალურად მაინც გამოეყენებინა ის შანსი, რომელსაც მას კონტინენტზე მაშინ შექმნილი მდგომარეობა უქმნიდა.

ორ კულტურას შორის მოციქულის ამდაგვარმა მდგომარეობას, ამ go-between, როგორც ამას ინგლისელები იტყვიან, ვხედავთ ლუქსემბურგის ყოველდღიური ცხოვრების ყოველ დარგში, განსაკუთრებით კი ენის სფეროში. რა მოხდა მერე, რომ ევროკავშირის ყველაზე მცირე პატარა ქვეყანა ვართ, სამაგიეროდ სამ ენას ვფლობთ და ვიყენებთ ცხოვრებაში. თანაც, მიაქციეთ ყურადღება, ისე კი არა, როგორც ბელგიასა და შვეიცარიაში, სადაც სხვადასხვა ენაზე ქვეყნის სხვადასხვა ადგილას ლაპარაკობენ, იმისდა მიხედვით, თუ სად რომელ ენაზე მოლაპარაკე ხალხია კონცენტრირებული. სიტუაციიდან გამომდინარე, ლუქსემბურგელს შეუძლია ისაუბროს გერმანულად, ფრანგულად ან ლუქსემბურგულად. თანაც იმ დონეზე, რომ საჭირო გახდა კანონის მიღება, რომელიც განსაზღვრავდა, რომ გერმანული და ფრანგული არის ოფიციალური, ხოლო ლუქსემბურგული – ეროვნული ენა. ამასთან, ამ უკანასკნელის

პოვნა ძალზე ძნელია, როდესაც საუბრიდან წერაზე გადავდივართ. გაზეთები, მაგალითად, უზრუნველად გადადიან ერთი ენიდან მეორეზე, თუმცა ვერასოდეს ვერ ნახავთ მასში პატარა წერილსაც კი ლუქსემბურგულ ენაზე. გამონაკლისს შეიძლება წარმოადგენდეს ნეკროლოგები ან განცხადებები ქორწინებებისა თუ დაბადების დღეების შესახებ.

და საერთოდ, რა ენაა ეს ლუქსემბურგული? ლინგვისტები მას განსაზღვრავენ როგორც ფრანკონულ ენას მოზელიდან. ესაა და ეს. საქმე ეხება ფრანკების ენას, - ანუ ენას გერმანული ჯგუფიდან, რომელიც გამოიყენებოდა მოზელის რაიონში, იმ მდინარის ნაპირებზე, რომელიც საფრანგეთში ჩამოდის, გადაკვეთავს ლუქსემბურგს და უერთდება მდინარე რეინს გერმანიაში. მაგრამ თავის განვითარებაში ამ ენამ მრავალი რამ შეითვისა ფრანგულიდან, ამდენად ჩვენი ენა ერთგვარი ნაზავია გერმანულისა და ფრანგულის. მეტად საოცარი და რთული ნაზავია, რის გამოც მისი შესწავლა დიდ სიძნელეებს უქმნის ადამიანს და ამიტომაც არაა ფართოდ გავრცელებული. თავად ლუქსემბურგშიც კი არ ლაპარაკობს მასზე ყველა, რამეთუ ამ ქალაქში მოსახლეობის თითქმის ნახევარი – უცხოელია. ეს ჯერ კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისებაა ამ ქალაქის. ბოლო ოცი წლის მანძილზე ლუქსემბურგელთა რიცხოვნობა მყარად დგას დაახლოებით 270 ათასის დონეზე. რაც შეეხება უცხოელებს, მათი რიცხოვნობამ 200 ათასს გადააჭარბა. მათ რიცხვს უნდა მივუმატოთ კიდევ 100 ათასი ბელგი, ფრანგი და გერმანელი, რომლებიც ყოველდღიურად სამუშაოზე ჩამოდიან ლუქსემბურგში. შედეგად დილის შვიდი საათიდან საღამოს ექვს საათამდე ქვეყანაში უფრო მეტი უცხოელია, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობა. მოკლედ, ნამდვილი ბაბილონის გოდოლია.

რა იზიდავდა ადამიანებს ასე ანდამატივით ამ პატარა ქვეყანაში? ჯერ კიდევ 130 წლის წინათ ლუქსემბურგელებს

თავად არ შეეძლოთ საკუთარი თავის გამოკვება და მასიურად გადიოდნენ სამუშაოს საძიებლად სხვა ქვეყნებში. არა მხოლოდ ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში, არამედ რუმინეთშიც კი. მიაჩნიათ, რომ საზღვარგარეთ თითქმის იმდენივე ლუქსემბურგელი ცხოვრობს, რამდენიც თავის სამშობლოში. მოულოდნელად ტენდენცია შეიცვალა და აღმოჩნდა, რომ ახლა თავად ლუქსემბურგშია საჭირო მუშახელი და მათი მოძებნა საზღვარგარეთ გახდა საჭირო. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ XIX საუკუნის ბოლოს ლუქსემბურგში დიდი რაოდენობის რკინის მადანი აღმოაჩინეს. მთელ თავის სიმდიდრეს დიდი სამთავრო რკინის მადანს უნდა ემადლიერებოდეს. XX საუკუნის 70-იან წლებამდე ლუქსემბურგში ჰქონდა მთავარი ოფისი მსოფლიოში ყველაზე დიდ მეტალურგიულ კონცერნს, არცელორს, რომელიც წარმოსდგა ფრანგულ-ესპანურ- ლუქსემბურგული ქარხნების ბაზაზე და მთელ მსოფლიოში ჰქონდა ფილიალები, თუმცა თავად დიდ სამთავროში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა დიდად შემცირდა.

კრიზისისას ლუქსემბურგელმა პოლიტიკოსებმა უჩვეულო შორსმჭვრეტელობა გამოამჟღავნეს და გადაწყვიტეს უმთავრეს პრიორიტეტად ქვეყანაში საფინანსო ბაზრების განვითარება დაესახათ. შედეგად, ლუქსემბურგისაკენ დაიძრა მსოფლიოში ცნობილი მრავალი საფინანსო ჰოლდინგი და ბანკი. რათა ისინი ქვეყნის სასარგებლოდ ემუშავებინა, ხელისუფლებას მათთვის საინტერესო და მისაღები პირობები უნდა შეეთავაზებინა. ერთ-ერთ მათგანს საბანკო საიდუმლოება შეადგენდა. ამას ის მოჰყვა, რომ მეზობელი ქვეყნებიდან და არა მხოლოდ იქიდან, ფული გამოექცა იქაურ ფისკალურ ორგანოებს და ლუქსემბურგისაკენ დაიძრა, რათა აქ უფრო უსაფრთხო თავშესაფარი ენახა. სწორედ ამ გარემოებამ მისცა დასაბამი იმ შეკითხვებს, რომლებიც

სტატიის დასაწყისში ვახსენეთ საგადასახადო სამოთხის შესახებ, სადაც ვითომ ყველა განთავისუფლებულია გადასახადებისაგან. მაგრამ ამგვარი აზრი, სამწუხაროდ, არასწორია. ყველა, ვინც კი მუშაობს ლუქსემბურგში, საკმაოდ დიდ გადასახადებს უხდის ბიუჯეტს.

სულაც არაა მართალი ის შეხედულება, თითქოს ფულს სუნი არ ასდიოდეს. პირიქით, მას ასდის სუნი და ამასთან ეს ყოველთვის როდია სასიამოვნო. თუმცა საფრანგეთში, გერმანიასა თუ სხვაგან კიდევ სადმე, საიდანაც სურთ ჩვენთვის ქვის სროლა, დაე, კარგად იცოდნენ ორი რამ: ყველგან, სადაც კი ფუნქციონირებენ ბანკები, სუფთა ფულთან ერთად ჭუჭყიანი ფულიც მიმოიქცევა. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ დიდ სამთავროში უამრავი ბანკია, აქ მხოლოდ ერთი ბანკია ლუქსემბურგული, - სახელმწიფო Banque et Caisse d"Epargne. სხვა დანარჩენი ბანკი უცხოურია და გადაწყვეტილებებსაც, რომელთა მიხედვითაც ეს ბანკები საქმიანობენ, სწორედ იმ ქვეყნების ცენტრალურ ოფისებში მიიღება.

რაც შეეხება სხვა დანარჩენს, - დიდი სამთავრო სხვა მხრივ არაფრით არაა განსხვავებული დანარჩენი ქვეყნებისაგან. მით უმეტეს დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც ქეანახშირის მოპოვება გალმერთებული იყო. საფინანსო ბაზარიც დღეს აღარაა ისეთი კონდიციის, როგორიც თუნდაც 10 წლის წინათ. როგორ უნდა უზრუნველყოთ ძველი კეთილდღეობა მომავალში? აი, შეკითხვები, რომელსაც უპირველესად ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა უპასუხოს.

წერილის ავტორი ჟან პორტანტე დაიბადა 1950 წელს, ლუქსემბურგის დიუდელანჟში. ამჟამად იგი ხან პარიზში და ხანაც ლუქსემბურგში ცხოვრობს. გამოცემული აქვს 20-ზე მეტი წიგნი, ლექსების კრებული, კრიტიკული წერილები თეატრის შესახებ, მოთხრობები და სხვა, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე თარგმნილი. იგი პარალელურად ხელმძღვანელობს გამომცემლობა PHI-ს, რედაქტორობს ასევე ლუქსემბურგის გაზეთ „Tageblatt-ის" ყოველთვიურ ლიტერატურულ დამატებას. პორტანტე არის ფრანგული პენ კლუბის წევრი, შედის აპოლინერის სახელობის ლიტერატურული პრემიის მიმნიჭებელ ჟიურიში. მან 2003 წელს საფრანგეთში მიიღო მალარმეს სახელობის პრემია წიგნისათვის - „საოცარი ენა"

# უძველესი სახელმწიფო თავისი ტკივილებით



# ესპანეთი (ესპანეთის სამეფო)

**კავშირში გაწევრიანდა** - 1986 წელს
დედაქალაქი – მადრიდი
მოსახლეობა – 39442 კაცი
ფართობი – 505990 კვ. კმ
მშპ ერთ სულზე – 22264 აშშ დოლარი (2003 წლის მონაცემი)
**მინიმალური ხელფასი თვეში** – 666 ევრო, რომელსაც მოსახლეობის მხოლოდ 1 პროცენტი იღებს, დანარჩენი უფრო მაღალს
**რელიგიური მრწამსი** – კათოლიკები
**სახელმწიფო ენა** – ესპანური (საუბრობენ ასევე კატალონიურად, ბასკურად და გალურად)
**სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა** – 79 წელი
**სპორტის პოპულარული სახეობა** – ფეხბურთი, კალათბურთი

*11 მარტამდე (მწერალი გულისხმობს ტერაქტს მადრიდის რკინიგზაზე, რომელსაც შედეგად სერიოზული მსხვერპლი მოჰყვა. ა.გ.) მე ხშირად ვიხსენებდი ორტეგა გასეტს. კერძოდ, „მასების ამბოხის" ავტორი ჯერ კიდევ ესპანეთის რესპუბლიკის პერიოდში იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მხოლოდ ევროპის დახმარებით იყო შესაძლებელი ესპანეთის ჩამორჩენილობის დაძლევა.*

როდესაც ჟურნალ „პოლიტიკის" თხოვნით ამ წერილს ვწერ (წერილი ჟურნალში დაბეჭდილია 2004 წლის 8 მაისს – ა.გ.), ჩემს გონებაში ჯერაც ტრიალებს აბურდულებული ვაგონების ცხოველი სურათები. ჯერ კიდევ საბოლოოდ არაა დადგენილი ამ ტრაგედიის შედეგები, თუმცა უკვე მოეასწარით

შევჩვეოდით ამ მტკივნეულ და რთულ ვითარებას, რაც ტერორისტთა საქმიანობითაა გამოწვეული. ამგვარმა სინამდვილემ საკმაოდ მტკიცედ გაიმაგრა პოზიციები ჩვენს მიწაზე, თუმცა მათი ფესვები ესპანეთის საზღვრებს გარეთაა საძიებელი. გამოძიება ამ ტერაქტის ირგვლივ კვლავაც გრძელდება.

ისტორიული და ინტელექტუალური პერსპექტივიდან 11 მარტის მოვლენებმა ჩვენ სერიოზულად დაგვაფიქრა იმაზე, რომ ჩვენ ქვეყანაში წარმოიშვა ტერორის ახალი პარადიგმა. აქ მხედველობაში მხოლოდ ჩვენი შიშის გრძნობა როდი მაქვს ემიგრანტების მიმართ, რომელთაგან მრავალს იქნებ კვლავაც არ განელებია სურვილი დაერტყა ესპანური საზოგადოებისათვის. ასეთი ემოციები შემორჩენილი რომც იყოს, შევძლებდით მის განდევნას ჩვენი არსებიდან. სამაგიეროდ ჩემი თაობის ადამიანების შემეცნებაში დაისადგურა მოუსვენრობამ და საშინელმა აზრმა იმის შესახებ, რომ სწორედ ჩვენ შევიქმენით იმის მოწმენი, თუ როგორ ინგრევა, იშლება კულტურული და მენტალური სტრუქტურები, სტრუქტურები, რომლებიც უკანასკნელ ხანებამდე საკმაოდ სოლიდურად, საკმაოდ მტკიცედ და შეურყევლად ითვლებოდა. არადა, მართლაც სწორედ ამ სტრუქტურებმა შექმნეს ის ჩარჩოები, რომლებშიც შესაძლებელი იქნებოდა ჩვენს ქვეყანაში ადამიანების ურთიერთთანაცხოვრება და დემოკრატიის განვითარება. გვწამდა, რომ II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ და მით უმეტეს, კომუნიზმის დამხობის შემდეგ, ბოროტება გამომწყვდეული აღმოჩნდებოდა ახალ, ჩვენს მიერ დადგენილი თამაშის წესების ჩარჩოებში. ჩვენ ამის იმედს გვაძლევდა მრავალსაუკუნეობრივი ევროპული ტრადიცია, საიდანაც შემოვინახეთ ყველაფერი საუკეთესო, ანუ ყველა ის აუცილებელი ღირებულება, რომელთა წყალობითაც ჩვენთვის

უკვე საშიში არ უნდა ყოფილიყო ხვალინდელი დღის გამოწვევა.

**ესპანეთი – ეს ძველი და ბრძენი სახელმწიფოა.** ჩვენს მიწაზე თითქმის ყველა ის ცივილიზაცია სტუმრობდა, რომელთაც კი მონაწილეობა მიიღეს ევროპის ისტორიის შექმნაში. პალეოლიტის ეპოქიდან ჩვენ შემოგვრჩა უმშვენიერესი კლდის ფერწერები; შემდეგ მოვიდნენ რომაელები, ბოლოს ბარბაროსები, რომელთაც აქ გადაწყვიტეს ქრისტიანობის მიღება. ჩვენი ქვეყანა იყო ქრისტიანული, არაბული და ებრაული. იგი ევროპაში პირველად იქცა ეროვნული ქრისტიანული სახელმწიფოს ადგილსამყოფელად. თითქმის მთელი ოთხი საუკუნის განმავლობაში ესპანეთს ჰქონდა სახელმწიფოს სტატუსი და თავისი ფრთებით გადაფარებული იყო ევროპასა და ამერიკაზე. უფრო მოგვიანებით კი, ასე XX საუკუნიდან ჩვენ იძულებული გავხდით უსიხარულოდ გვეყურებინა ჩვენი ოკეანესგაღმა კოლონიების დაკარგვისათვის. ეს მოხდა მაშინ, როდესაც ჩვენი მიწა შიდა კონფლიქტებისა და ძმათამკვლელი ბრძოლების არენად იქცა.

გასული საუკუნის უმეტესი ნაწილი ესპანეთმა იზოლაციაში გაატარა; მას არ მიუღია მონაწილეობა მსოფლიო ომებში, ხოლო sui generis დიქტატორულმა ხელისუფლებამ – ჯერ Primo de Rivery-ს, ხოლო შემდეგ კი გენერალ ფრანკოსი, იგი ამყოფეს hibernacii-ს (hibernacia – ლეტარგიული ძილის მსგავსი. ა.გ.) მდგომარეობაში. მეორე მხრივ, უკვე XIX საუკუნის დასაწყისში, როდესაც კორტესის ხალხი კადიკსში შეიჭრა, ესპანეთში პოლიტიკური აზროვნების სრულიად სხვა ტალღა წამოვიდა. მისი იდეოლოგების თვალსაზრისით, ევროპული ჰუმანიტარული და თანამედროვე ღირებულებების ქვეყანაში შემოტანა და დანერგვა უნდა გამხდარიყო ჩვენი ხალხის მომავლისათვის ფუნდამენტალური მნიშვნელობის

პროგრამა. ამ იდეას თავისი ტრიუმფისათვის 1977 წლამდე უნდა ეცადა. მხოლოდ მას შემდეგ გაიხსნა მითი ორი ესპანეთის შესახებ, როგორც შაქრის ნატეხი ჩაის ჭიქაში.

დემოკრატიის მოპოვების შემდეგ ესპანეთმა არა იმდენად წინ გაკეთა ნახტომი, არამედ მცირე ხანი როდი მოანდომა იმას, რომ აღედგინა ისტორიის მსვლელობაში დაკარგული პოზიციები. მაშინ თავისებური წარმატებებით სარგებლობდა მეცხრამეტე საუკუნის მოაზროვნეთა იდეები. და თუმცა საუკუნოვანი დაგვიანებით, მაგრამ ისინი მაინც მოერგნენ შემდგომი დროის მოთხოვნას. ეს იმიტომ მოხდა, რომ მათში განივთებული ღირებულებები პასუხობდა ჩვენი საზოგადოების მოთხოვნებს, რომელმაც მათი წყალობით მიაღწია ეროვნულ თანხმობას. ესპანეთის შემობრუნება ევროპისაკენ მიანიშნებდა იმაზე, რომ „ბებერმა კონტინენტმა" დაიბრუნა თავისი უძველესი ქვეყანა. ჩვენ კვლავ გავხდით ევროპული სივრცის ბუნებრივი და ისტორიული ნაწილი. განსაკუთრებით ეკონომიკური თვალსაზრისით. ამან კი მნიშვნელოვნად აამაღლა ჩვენი, როგორც საზოგადოებრივი, ისე კერძო ცხოვრების სტანდარტები. ამის გაელენით ესპანეთში გვაქვს ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოება, ერთ მოსახლეზე ეროვნული შემოსავლის წარმოების მიხედვით ჩვენ გავუთანაბრდით ევროკავშირის უმდიდრეს ქვეყნებს, კარგად ვითარდება მომსახურების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა სექტორები.

ცხადია ყველაფერი ისე როდია, როგორც ზღაპარში. არ გვაკლია ეკონომიკური თუ პოლიტიკური პრობლემები, რომელთა გადასაჭრელად აუცილებელია დიდი ძალისხმევა და ჩვენი ნიჭისა და უნარის მაქსიმალური გამოყენება. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვაკლია თანამედროვე ეკონომიკამდე, ქვეყანაში მრავლადა გვაქვს ტერიტორიული თუ სხვა სახის კონფლიქტები და დიდი გზაა გასავლელი ასევე ჩვენთვის

დამაკმაყოფილებელი საზოგადოების მშენებლობამდე. არც თუ ისე ცოტა რამ გვაქვს გასაკეთებელი აგრეთვე ემიგრაციის პრობლემის სათანადოდ მოსაგვარებლადაც.

**მტკიცება, რომ „ესპანეთი წარმოადგენს პრობლემას, ხოლო ევროპა მისი გადაჭრის გზას"** ჩვენი აზრით, წინააღმდეგობაში მოდის ჩვენს იმ მდიდარ და პრიულარისტულ წარსულთან, რომელიც მეტად საინტერესო ტრადიციებით გამოირჩევა. ჩვენი ისტორია, როგორც ამის შესახებ საინტერესოდ წერს ორტეგა კასეტი, შეუძლებელია გაიფანტოს, როგორც მტვერი, რომელსაც გზაზე მქროლავი ბედაური აყენებს. ჩვენი წარსული და ჩვენი იმედები ევროპისადმი უნდა გაერთიანდეს, რათა ამ გზით გადაწყდეს ჩვენი მომავალი.

განსაკუთრებით XX საუკუნე იყო ესპანეთისათვის რთული და მძიმე: წარმატებები და წარუმატებლობები, შიდა განხეთქილებები და დიქტატორის მძიმე უღელი და ბოლოს, სტაბილური დემოკრატია და ევროპაში ინტეგრაცია, ერთმანეთს ენაცვლებოდა. ჩემი აზრით, 11 მარტს მადრიდში განხორციელებული ტერაქტი ახალ ეპოქას, ახალ პარადიგმებს ხსნის ესპანეთის ისტორიაში. ეს ნამდვილად ასეა, მიუხედავად იმისა, რომ არა ვფლობთ ინტელექტუალურსა და კულტურულ ხელსაწყოებს, რომელთა წყალობითაც შევიმეცნებდით ამ ახალი საშიშროების მასშტაბებსა და ძალას.

ჩვენ მხოლოდ ამ ბოლო დროს გავიგეთ, თუ რატომ გახდა XX საუკუნეში ევროპის მიწა ასეთი ნოყიერი ნაციზმისა და სტალინიზმის გაპარპაშებისათვის. არასოდეს არ ეგების დავივიწყოთ ევროპის ამ სრულიად განსხვავებული ვერსიის: საშინელისა და ტოტალურის შესახებაც. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რათა გავიგოთ ამ განვითარების დინამიკა და შევაკავოთ იგი სათანადო დროს. მეორეს მხრივ, არ შეგვიძლია რაციონალურად გავიგოთ, საიდან იღებს

სათავეს ასეთი ბოროტება და გამანადგურებელი ძალა, როგორსაც ფლობს მაგალითად, ალ-კაიდა.

ბოლო რამდენიმე კვირის მანძილზე სხვა ესპანელ ინტელექტუალებთან და პუბლიცისტებთან მე ბევრს ვკამათობდი იმ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე, რომლებიც შეიძლება არსებობდეს ერაყის კონფლიქტში ჩვენს მონაწილეობასა და აფეთქებების იმ ტალღას შორის (რომელთაგან ზოგიერთი, მადლობა ღმერთს, თავიდან ავიცილეთ), რომლებიც 11 მარტის შემდეგ დაიწყო. მე იმ ადამიანების რიცხვს მივეკუთვნები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ადრე თუ გვიან ჩვენს ქვეყანაში ასეთი ტრაგედია დატრიალდებოდა. ალ-კაიდა ბევრ მომხრეებს იძენს და აფართოებს თავისი ექსპანსიის მასშტაბებს, ამასთან იყენებს საკმაოდ უბრალო ცნებების სისტემას. და, გუშინდელი სიწმინდის დაპირისპირებით დღევანდელ რეალობასთან, დღეს საკმაოდ ადვილია მტრებსა და დამნაშავეებზე მითითება, ასევე იმ მეთოდების პოვნა, რომელთა მეოხებითაც მათზე დარტყმა ძნელი არ იქნება.

11 მარტის სისხამ დილით, როდესაც შევყურებდი ალმოდებული ვაგონების სურათს, თავში სრულიად სხვა სურათები მომდიოდა. კერძოდ კი ის, რომელიც ნანახი მაქვს გაზას რესტორანში და ზოგიერთ პალესტინელ ლტოლვილთა სახლებში: სახლის შუაგულში, საპატიო ადგილას, მრავალ სურათსა და პლაკატს შორის, რომლებზედაც წარმოდგენილი იყო იერუსალიმის მეჩეთები, სულთან ომარის მეჩეთის თამადობით, მოთავსებული იყო ასევე მეჩეთის ფოტოგრაფიაც გრენადიდან. ახლა მახსენდება ის ფოტო და ვფიქრობ, რომ ის, რაც ოდესღაც მივიჩნიე, როგორც ალ-ანდალუზიის (ესპანეთის არაბული სახელწოდება) ნოსტალგიად, დღეს იღებს საშინელი აჩრდილის ფორმას, რომელიც ჩემს სამშობლოს ემუქრება.

წერილი ავტორი ხუან კარლოს ვიდალი დაიბადა 1959 წელს, ესპანეთში, სადაც მან ჟურნალისტური და ფილოსოფიური განათლება მიიღო. იგი გარკვეული დროის მანძილზე სერვანტესის სახელობის ინსტიტუტის დირექტორად მუშაობდა ვარშავაში, შემდეგ ტელ-ავივში, ხოლო ახლა ამავე თანამდებობაზე მოსკოვში მუშაობს ვიდალს მრავალი სტატია და წიგნი აქვს გამოქვეყნებული ცენტრალური ევროპის ქვეყნების, განსაკუთრებით პოლონეთის თემაზე. მან ესპანურად თარგმნა ასევე მრავალი პოლონელი მწერლის ნაწარმოები.



**დიდი ბრიტანეთი (დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო)**

კავშირში გაწევრიანდა – 1973 წელს

დედაქალაქი – ლონდონი

მოსახლეობა – 59, 6 მლნ კაცი

ფართობი – 244100 კვ. კმ

მშპ ერთ სულზე – 22896 აშშ დოლარი

მინიმალური ხელფასი თვეში – 1361 ევრო

რელიგიური მრწამსი – ანგლიკანური, კათოლიკური (აქ მცხოვრებ აზიელთა შორის - ისლამი)

სახელმწიფო ენა – ინგლისური, ასევე შოტლანდიური და უელსური

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა – 77,9 წელი

სპორტის პოპულარული სახეობა – ფეხბურთი, რეგბი

ჰობი – ჩაი სმა ნაშუადღევს, ჭორაობა სამეფო ოჯახზე

საიდან იღებს სათავეს ბრიტანელთა მოთხოვნილება იმის შესახებ, რომ სხვები უკეთ გვიცნობდნენ? ჩვენი პირადი ცხოვრებიდან, ქალთა და მამაკაცთა შორის ახალი ურთიერთობებიდან, ხოლო ყოველივე ამის შედეგად წარმოსდგება საზოგადოებრივი ცხოვრების შეფასების ახალი კრიტერიუმები. ადამიანებს უჩნდებათ სურვილი უფრო მეტი გამჭვირვალობისა ბიზნესისა და ხელისუფლების სფეროში. ადრინდელი ეროვნული და კლასობრივი სტერეოტიპები კვლავაც შემორჩენილია, თუმცა უკვე აღარ გამოიყურება დამაჯერებლად.

მეხსიერება უკვე ველარ შველით ბრიტანელებს თვითგანსაზღვრაში. წარსულის თაობაზე გასხენებებმა კარგა ხანია დაკარგეს თავიანთი თავდაპირველი მნიშვნელობა. დიდი ბრიტანეთი ჯერაც არისტოკრატიული ქვეყანაა იმ აზრით, რომ საზოგადოების უმდიდრესი 1 პროცენტი ფლობს ქვეყნის მთელი

ქონების თითქმის მეოთხედს, ხოლო უღარიბესი 50 პროცენტი კი ოდენ 5 პროცენტს. ამასთან არისტოკრატია, თუმცა მის რიგებს თანდათან ემატება ახლადგამდიდრებულთა ახალ-ახალი რაოდენობა, უკვე ეღარ განსაზღვრავს ეროვნული ღირებულებათა კანონებს, მის პრიორიტეტებს. ჩვენი ახალგაზრდობა თითქმის უკვე აღარ აყლენს თავის დაინტერესებას ისტორიული მემკვიდრეობით, ხოლო ინგლისური პოპულარული მუსიკის ვარსკვლავები უფრო თავისი ამერიკელი კოლეგების კვალს მიჰყვებიან.

ბრიტანელთა უმრავლესობას ძალიან თბილი სიმპათიები აქვს მონარქიული წყობისადმი. ისინი სენტიმენტით არიან განწყობილი ამგვარი სისტემის მიმართ და იმის გაფიქრებაც კი ზარავთ, რომ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს ვინმე მოსაწყენი და თავმომაბეზრებელი პოლიტიკოსი მათი ქვეყნის პრეზიდენტი გახდეს. თუმცა ცხოვრების გაბატონებული ქალაქური სტილი ვერ შეეგუება ხელმწიფის დითირამბებს სოფლური იდილიის თაობაზე, ხოლო ბრიტანელთა რელიგიური გულგრილობა ტახტის მემკვიდრის დეკლარაციებს, რომ სურს მსოფლიოს ყველა რელიგიის დამცველი იყოს.

ინგლისი ოდესღაც თავის სახის დადგენაში პროტესტანტული რელიგიით სარგებლობდა, მაგრამ დროთა განმავლობაში იგი ევროპის ყველაზე წარმართული ქვეყანა გახდა. მე მგონი ჩვენი მოსახლეობის ერთ მეათედ ნაწილზე მეტი არ დადის კვირაობით რომელიმე რელიგიური კულტის ადგილას. გასულ წელს ისლამის მიმდევართა და მეჩეთში მოსიარულეთა რიცხოვნობამ უკვე გადააჭარბა ეკლესიაში (ანგლიკანური) მოსიარულეთა რიცხვს. მხოლოდ ბრიტანელთა 56 პროცენტია დარწმუნებული იმაში, რომ ღმერთს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე დავით ბექჰემს. ინგლისის ეკლესია (ანგლიკანური), რომელიც აქამდე იმ დონის ტოლერანტულობით გამოირჩეოდა, რომ ერთმა ეპისკოპოსმა

ათეისტთან კამათში ისიც კი განაცხადა, რომ თითქმის 99 პროცენტით ეთანხმება მას – ახლა მას ღრმის შინაგანი დაპირისპირებულობა, ხოლო ჰომოსექსუალიზმის პრობლემამ მასში საშიში უფსკრული გააჩინა.

ნუთუ ეს იმას მოასწავებს, რომ საპარლამენტო დემოკრატია, თავისი თავისუფლების გარანტიებით, უკვე ეელარ ასრულებს ბრიტანული ცხოვრების უცვლელი საფუძვლების როლს? არა მგონია. ჩვენ შეგვიძლია ყოველგვარი შიშის გარეშე ვისაუბროთ იმაზე, რაც მოგვწონს და რაც არ მოგვწონს – და ეს უმნიშვნელოვანესია. თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ელაპარაკობთ იმას, რასაც ეფიქრობთ და არც იმას, რომ ჩვენ საუბარს ვინმე აუცილებლად ისმენს. უკვე პრემიერის მიმართაც (ტონი ბლერს გულისხმობს) იზრდება უკმაყოფილება, რომ გადაწყვეტილებებს მხოლოდ მეგობრების ვიწრო წრეში მოთათბირების შემდეგ იღებს. როდესაც პრემიერმა, სურდა რა დაემშვიდებინა ერაყში გაუმართლებელი ომით აღშფოთებული საზოგადოება, დანიშნა მოსამართლე, რომელსაც ეს საქმე უნდა შეესწავლა, ამ უკანასკნელმა ის განაჩენი გამოიტანა, რომ სამხილი მასალების არ არსებობის გამო სამთავრობო ვერსიას უნდა ვერწმუნოთ.

სოციოლოგიური შესწავლებიდან ცხადი ხდება, რომ საზოგადოების უმეტესობას პრემიერის ერთი სიტყვაც არ სჯერა. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სტრუქტურა, რომელთაც ასე სიამოვნებთ ავტონომია, რომელიც წესით ცენტრალური მმართველობის საპირწონე უნდა იყოს, თანდათან კარგავენ თავიანთ დამოუკიდებლობას და ქვეყნის მთელი მმართველობა ცენტრალიზებული ხდება. ჩვენი უმაღლესი სასამართლო საქვეყნოდ აცხადებს, რომ ცენტრალური ხელისუფლება ცდილობს უპრეცენდენტო კონტროლი განახორციელოს მასზე. ყოველივე ამის შედეგად

ინგლისური დემოკრატია ძალზე განსხვაელება იმისაგან, რაც იყო თუნდაც 50 წლის წინათ.

ზოგიერთის აზრით, ბრიტანული ორიგინალურობა დღეს იმას ემყარება, რომ ჩვენთან საზოგადოების განსაკუთრებულად მრავალ კულტურული მოდელი ინერგება და ვითარდება. ვისაც სურს გახდეს ამერიკელი, მან თავის სამშობლოსთან დამაკავშირებელი ჭიპი უნდა მოიჭრას. საფრანგეთში გოგონებს ეკრძალებათ სკოლაში მანდილით სიარული, ვინაიდან ეს რესპუბლიკა ერთიანი და განუყოფელია. ამასთან, ბრიტანელ პოლიციელებს, რომლებიც სინქხები არიან, არავინ არ უშლით ჩაფხუტის ნაცვლად ჩალმა ატარონ. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენთან ქსენოფობია და რასობრივი დისკრიმინაცია გაქრა, მაგრამ იმით გამოწვეული სიამაყე, რომ ბრიტანელია, უფლებას არ აძლევს მას ასეთი რამე ვინმეს დაუშალოს.

ბოლო დროს ჩატარებული საყოეელთაო აღწერის თანახმად ინგლისის მოსახლეობის ნახევარს ურჩევნია ის ჩაწერონ როგორც ინგლისელი, ვიდრე ბრიტანელი. ასეთი სურვილი უელსში აქვს მოსახლეობის ერთ მესამედს, ხოლო შოტლანდიაში – კიდევ უფრო ნაკლებს. გაერთიანებული სამეფო ხომ ჭეშმარიტად გაერთიანებული მხოლოდ მცირე ხნით, 1800-1922 წლებში იყო. ის პოზიცია, რომელსაც მასში იკავებენ შოტლანდიელები, რომელთაც თავისი სამართალი აქვთ, მოგვაგონებს უნგრელთა მდგომარეობას უწინდელ ჰაბსბურგების იმპერიაში. დღეს შოტლანდიელებს უდიდესი გაელენა აქვთ ცენტრალურ ხელისუფლებზე. თუმცა თუკი შემდგომ არჩევნებში კონსერვატორები გაიმარჯვებენ, პრემიერი გახდება ბოშის ვაჟი, ხოლო უმნიშვნელოვანეს სამთავრობო ფუნქციებს ის ხალხი შეასრულებს, რომელთა მშობლებიც ლიტვიდან, ერაყიდან და სხვა ქვეყნებიდან არიან.

XIX საუკუნის დიდ სახელმწიფო მოღვაწე დიზრაელს ეკუთვნის გამოთქმა, რომ დიდი ბრიტანეთი ორი ერისაგან – მდიდრებისა და ღარიბებისგან შედგებაო. დღეს ისეთი შთაბეჭდილება რჩება ადამიანს, რომ ბრიტანეთი მრავალი ხალხის კალეიდოსკოპია. თუმცა მისი ასეთი სხვადასხვა თაროზე შემოდება-განაწილება სწორი არ იქნებოდა. ასეთი სტერეოტიპული წარმოდგენის ქვეშ იმალება უდიდესი სიმდიდრე სხვადასხვა ექსპერიმენტებისა სიცოცხლის ხელოვნებისა და პიროვნების ორიგინალობისა და აისბერგივით მხოლოდ მისი მცირე ნაწილი ხდება საზოგადოებისათვის დასანახი. ამ მხრივ დიდი ბრიტანეთი ამოუცნობი ქვეყანაა.

ადამიანთა მოდგმა საერთოდ ხდება ერთი დიდი ოჯახი, რომელში შემავალ წევრებსაც თუმცა აქამდე ერთმანეთის შორის არც თუ ისე ინტენსიური კონტაქტები ჰქონდათ, მაგრამ ახლა ფლობენ ისეთ ტექნოლოგიას, რომელსაც შეუძლია შეცვალოს ამგვარი მდგომარეობა. ჩვენ მზადა ვართ ასეთ ოჯახში გასაერთიანებლად.

თუ XVI საუკუნეში დღის წესრიგში ყველაზე მეტად გეოგრაფიული აღმოჩენები, განსაკუთრებით ამერიკის აღმოჩენა იდგა, XVII საუკუნეში მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ დაიმკვიდრა მისი ადგილი. XIX საუკუნეში ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობა და ისეთი იაფი საქონლის წარმოება, რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა საზოგადოების ფართო მასებისათვის. XX საუკუნეში მსოფლიო საზოგადოების ყურადღებას კოსმოსის კვლევა და ადამიანის მთვარეზე გაგზავნა იპყრობს. დღეს ჩვენი სამყაროს მოსახლეობისათვის ყველაზე საინტერესო გახდა საკუთარი შემეცნების განვითარება, საკუთარი მეობის პოვნა და დადგენა, ყველას მიერ იმის თქმის შესაძლებლობა, რაც მას სურს და რაც მის სულს აწუხებს. დემოკრატია გულისხმობა ფართო

შესაძლებლობებს და არა მხოლოდ ამა თუ იმ პარტიის დასაცავად ან უარსაყოფად ხმის მიცემას. როდესაც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ქალაქში ამ მხრივ გამოკვლევები ჩაატარეს, შედეგები ძალზე შემაშფოთებელი აღმოჩნდა. გამოირკვა, თუ როგორ არ შეესაბამება დღევანდელი სამეურნეო სტრუქტურა ადამიანის ბუნებას. ჩვენი სამეურნეო ხელმძღვანელების ნახევარზე მეტი უალრეს სულიერ დაძაბულობას, სტრესს განიცდის – მათ უკვე ნაკლებ აინტერესებთ ფულის გამომუშავება, მათ სურთ მეტი ჰარმონია ჰქონდეთ ოჯახურ ცხოვრებაში, ანდა საზოგადოებრივ საქმიანობაში უფრო მეტად იყვნენ ჩაბმულები. მოსამსახურეთა თანდათან უფრო მეტ რაოდენობას სურს ადრე გავიდეს პენსიაზე. ისეთი პროფესიები, როგორიცაა ექიმობა თუ მასწავლებლობა, ბიუროკრატიის ჯანსაღი გავლენის ქვეშაა. უნივერსიტეტების მრავალი კურსდამთავრებული სასწავლებელს უხალისოდ ამთავრებს – მათ არ იციან, თუ მომავალში რა მოელით. ჩვენი დაწესებულებების ხისტი ჩარჩოების გარეთ სიკეთისა და კეთილმოსურნეობის უდიდესი სივრცე იშლება, რომლის საზოგადოებისათვის სასარგებლო სამსახურში ჩაყენება ჯერჯერობით ვერ ხერხდება. ჩვენი დაწესებულებები კი ვერ პასუხობენ ჩვენს პირად ინტერესებსა და მოთხოვნილებებს.

მომავლის გამოწვევა შრომის ისეთ ორგანიზაციაზეა დამყარებული, რომელიც დაეხმარებოდა ადამიანებს გამხდარიყვნენ უკეთესები, ნაცვლად იმისა, რომ გადააქციოს ისინი მანქანებად. საჭიროა ამის გათვალისწინება, რათა მომავალში წარსულის შეცდომები გამოირიცხოს. აუცილებელია დავეყრდნოთ წინა თაობის გამოცდილებას, მაგრამ ამასთანავე ახლებურად განვსაზღვროთ ის, რასაც ევროპული საზოგადოებრივი მოდელი ჰქვია. მეტად მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირის ახალმა წევრმა ქვეყნებმა ამ რეკონსტრუქციის პროცესში საკუთარი წვლილი,

თავიანთი ღირებულებები შეიტანონ, ნაცვლად იმისა, რომ დაკმაყოფილდნენ არსებული სისტემით, რომელსაც თუმცა მრავალი ღირსება აქვს, მაგრამ ბევრი ნაკლოვანებითაც ხასიათდება.

სტატისტიკოსები გვარწმუნებენ, რომ დიდ ბრიტანეთში საზოგადოებრივი ცხოვრება არასოდეს არა ყოფილა გონივრულად მოწყობილი. თუმცა შეკითხვაზე: „გრძნობთ თუ არა თავს ბედნიერად?“, საკმაოდ ხმამაღლა გაცხადებულ „დიახ“-ს ვიღებთ. იყო დრო, როდესაც ბრიტანელები მასობრივად მიდიოდნენ საზღვარგარეთ და თავიანთ მწვანე და კეთილ კუნძულს სტოვებდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ სხვაგან უფრო კარგად მოეწყობოდნენ. დღეს ბევრ ბრიტანელს ნაკლებ ეამაყება, უფრო მეტიც: მათ აწუხებთ ის ამბავი, რომ მრავალ უცხოელს სურს ჩვენს კუნძულზე დასახლება. ეს უმთავრესად იმიტომ ხდება, რომ ჩვენ ისევე ნაკლებ ვიცნობთ ჩვენს მეზობლებს, როგორც ისინი – ჩვენ.

*დიდ ბრიტანეთზე წინამდებარე წერილის ავტორი ისტორიკოსი, მწერალი, თეოდორ ზელდინი ოქსფორდის წმ. ანტონის სახელობის კოლეჯის პროფესორია. პოპულარულმა ჟურნალმა „Independent on Sunday" იგი შეიყვანა იმ 40 ადამიანის სიაში, რომელთა იდეებიც, ამ ორგანოს ავტორთა აზრით, „ნამდვილად შეინარჩუნებენ თავიანთ მნიშვნელობას მომავალ ათასწლეულშიც" მისი ავტორობით გამოსულია წიგნები: „ბედნიერება" „ფრანგები", „ფრანგულ ვნებათა ისტორია" მის კალამს ეკუთვნის ასევე ამ ბოლო ხანებში გამოსული წიგნი „კაცობრიობის ინტიმური ისტორია", რომლის თარგმნაც უკვე მოასწრეს რამდენიმე ენაზე.*

# პატარა ქვეყანა მსოფლიოს მესამედს ერთმანეთს აკავშირებს



# ფინეთი (ფინეთის რესპუბლიკა)

**კავშირში გაწევრიანდა** – 1995 წელს
**დედაქალაქი** – ჰელსინკი
**მოსახლეობა** – 5171 ათ. კაცი
**ფართობი** – 338150 კვ. კმ
**მშპ ერთ სულზე** – 23275 აშშ დოლარი
**რელიგიური მრწამსი** – ლუთერანები
**სახელმწიფო ენა** – ფინური, შვედური
**სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა** – 77.9 წელი
**სპორტის პოპულარული სახეობა** – თხილამურები, ავტორბოლა

ფინელები, როგორც წესი, საკუთარ ეროვნულობას ჩვენი ძლიერი მეზობლების საწინააღმდეგოდ გამოვსახავთ: ,,ჩვენ არა ვართ შვედები და არც არასოდეს გავრუსდებით, ყოველთვის ფინელებად დავრჩებით!" – ასეთი ლოზუნგი ჟღერდა ჩვენი ეროვნულობის გამოღვიძებისას XIX საუკუნის 20-იან წლებში.

მას შემდეგ ჩვენი ეროვნული ხასიათის იმ თვისებებზე ვაკეთებთ ორიენტაციას, რომელიც ევროპელთაგან განგვასხვავებს. განსხვავებით შვედების, დანიელების და ნორვეგიელებისაგან, ჩვენ თეორიულად სკანდინავიელები არა ვართ. ფინური ენა გამოგვყოფს დასავლეთელი მეზობლებისაგან. ჩვენ არც სლავები ვართ, არამედ უგრო-ფინურ ენათა ჯგუფის წევრები, დანათესავებული ესტონელებთან და უნგრელებთან. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩვენს ეთნიკურ-ენობრივ განსაკუთრებულებას პოლიტიკური სპეციფიკაც დაემატა: ფინეთი არ ეკუთვნის არც დასავლეთის და არც აღმოსავლეთის სამხედრო-პოლიტიკურ ჯგუფს – ის ნეიტრალურია. ამასთან, ეს იყო სპეციფიკური

ხასიათის ნეიტრალიტეტი, არა ისეთი, როგორც შვედეთს ან შვეიცარიას გააჩნდათ, რამეთუ ეყრდნობოდა და ეყრდნობა საბჭოთა კავშირთან დადებულ პაქტს. მისი მიხედვით კი ფინეთი უნდა დარჩეს დიდი სახელმწიფოების პოლიტიკის გარეთ.

არაფერია იმაში გასაკვირი, რომ ფინეთის იმიჯი ევროპელთა თვალში ერთგვარად შეილახა. მათი აზრით, ჩვენ არავის მიწაზე ვცხოვრობდით და ვსაქმიანობდით დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. კრიტიკოსები გვსაყვედურობენ დასავლეთის მემკვიდრეობისადმი ღალატში, საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაში მიღებული შეღავათების ნაცვლად. სამაგიეროდ, ჩვენი ენთუზიაზისტები მადლობას უხდიდნენ ფინელ პოლიტიკურ ლიდერებს, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობა, თავისუფლება და მოქალაქეთა კეთილდღეობა სწორი დიპლომატიის წყალობით შეინარჩუნეს, რაც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ერთგვარ დაბალანსებული პოლიტიკის გატარებას ნიშნავდა. მხოლოდ ამ გზით შეეძლო ფინეთს განევითარებინა თავისი ბუნებრივი ეკონომიკური კავშირები დასავლეთის სახელმწიფოებთან და იმავდროულად არ გაეღიზიანებინა მძლავრი აღმოსავლეთელი მეზობელი. ორივე ამ თეორიაში არის რაღაც ჭეშმარიტება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ფინეთის მდგომარეობა ზუსტად ისევე დრამატულად შეიცვალა, როგორც საბჭოთა სატელიტებისა. ბუნებრივია, რომ ჩვენ, ფინელები, მაინც სკანდინაველები ვართ. შვედების შვიდას წლიანმა მმართველობამ ჩვენთან ისეთი ღირებულებები და საზოგადოებრივი სტრუქტურა შემოიტანა და დაამკვიდრა, რომელმაც სკანდინავიისა და შესაბამისად, დასავლეთის ინტეგრალურ ნაწილად გვაქცია. ამასთან, ფინელებს „ბედმა გაუღიმა“, რომ პატარა პაიკები იყვნენ ჯერ ნაპოლეონისა, ხოლო შემდეგ რუსეთის იმპერატორის ხელში. ბოლოს ფინეთი

1809 წელს რუსეთის იმპერიის დიდი სათავადო გახდა. შიდა ავტონომია, შვედური სამართალი და მოხელეთა დამოუკიდებელი კორპუსი საკმაოდ შედეგიანი დაცვა და უზრუნველყოფა აღმოჩნდა იმისათვის, რომ სანკტ-პეტერბურგის ახალი ბატონების მხრიდან შემცდარები არ აღმოვჩენილიყავით და ჩვენი ინტეგრაცია არ მოეხდინათ თავიანთ იმპერიაში.

შემდეგ ეპოქაში ჩვენ იმით გაგვიმართლა, რომ ქვეყანაში წარმოიშვა შორსმჭვრეტელ ადამიანთა წრე, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს ფინელთა ეროვნულ თვითშეგნებას და ქვეყნის თვითმყოფადობის განმტკიცების აუცილებლობას. ერმა მიიღო ,,კალევალა", ერთგვარად ჰომერული ეპოსი, რომელშიც ელიას ლონროტმა შეგროვილი ზეპირსიტყვიერების ნიმუშები ხელოვნების ერთ მთლიან ქმნილებად გადაადნო. ფინეთს თავისი მიცკევიჩი, ჰიუგო და სკოტი გვყავდა იოჰან ლუდვიგ რუნებერგისა და ზაქარია ტოპელიუსის სახით. მათ თავიანთი პოემებისა და მოთხრობების სახით წარსული გაგვიცოცხლეს. რაც შეეხება მუსიკას -სიბელიუსი ჩვენი შოპენია.

ფინეთმა შეძლო კიდევ უფრო შეწინააღმდეგებოდა რუსეთთან ინტეგრაციას იოჰან და ეილჰემ სნელმანების წყალობით, რომელთაც ეროვნული ბანკი დააფუძნეს და საბაჟო გადასახადები შემოიღეს. ამავე ეპოქაში ანუ XIX საუკუნის 60-იან წლებში ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ფინური ენის სტატუსის ამაღლებას და მისი შვედურ ენასთან ერთად სახელმწიფო ენად გადაქცევას.

წარსულში შვედების მეფის ძალზე ერთგული მსახურნი ვიყავით, შემდგომ შევძელით ასევე ერთგულად გვემსახურა რუსი მეფეებისათვისაც, ვიდრე ეს უკანასკნელნი ფინეთის სტატუსს პატივს სცემდნენ. პოლონელთაგან განსხვავებით, მაინც და მაინც დიდი საბაბი არ გვქონია ბუნტისათვის, ვიდრე

XIX საუკუნის ბოლოს რუსიფიკაციის ინტენსიური პროცესების გატარება არ დაიწყო. ფინელი სტუდენტები მხარდამჭერას უცხადებდნენ პოლონელ სტუდენტებს XIX საუკუნის 30-იან და 60-იან წლებში და მათთან სოლიდარობის მიზნით დემონსტრაციებიც კი მოაწყვეს. თუმცა ხელისუფლებას არ გასჭირვებია წინააღმდეგობების ამ მოძრაობისათვის ლაგამის ამოდება. მას არ ეწადა, რომ ვინმეს დაეძრა ის ხომალდი, რომელსაც ფინეთი უფრო ინტენსიური პოლიტიკური კონსოლიდაციისაკენ მიჰყაედა.

ჩვენ მხოლოდ ბოლო ხანებში გავაცნობიერეთ, რომ ჩვენს ნორჩ თვითშეგნებას ღრმად აქვს გადგმული ფესვები ევროპაში. ის გვაკავშირებს ერებთან, რომელთა კულტურა რენესანსიდან წამოიზარდა და განვითარდა, რეფორმაციიდან, განმანათლებლობიდან და რომანტიზმიდან, რაციონალიზმიდან და მრეწველობიდან, რომელთაც თანამედროვე სახელმწიფოში ჰპოვეს ასახვა.

ზოგჯერ ფინელებს ფეხათრეულ ევროპელებსაც გვიწოდებენ. ჩვენ მართლაც ნაკლები გულისხმიერებით მოვეკიდეთ ომისშემდგომ დროინდელი ევროპული ინტეგრაციის პროცესებს. პროევროპულმა მოძრაობამ XX საუკუნის 30-იან წლებში ჩვენი ინტელექტუალური ელიტაც ჩაითრია, მაგრამ შემდეგ ეს ვნებები ჩაცხრა. 80-იან წლებამდე ფინელი მემარცხენეები ევროპის სამეურნეო კავშირს ანტისაბჭოურ წარმონაქმნად სახავდნენ, რომელთან რაც უფრო შორს იქნებოდი, მით უკეთესი.

სხვა პარტიები ამ საკითხს საერთოდ არა სვამდნენ დღის წესრიგში. შემდგომ კი ფინელებს არც გამოცდილება და არც ცოდნა არ აღმოაჩნდათ საიმისოდ, რომ გაეგოთ, თუ ჭეშმარიტად თავისი ბუნებით რას ნიშნავდა ევროპული ინტეგრაცია. ევროკავშირი ჩვენგან შორს აღმოჩნდა, ხოლო ევროსაბჭოს საერთოდ არავინ აქცევდა ყურადღებას. ისმება

კითხვა: რატომ ჯიუტობდა ფინეთი ევროკავშირში შესვლას, მაშინ როდესაც ნეიტრალური ავსტრია და შვედეთი მისი წევრები გახდნენ? ამ კითხვაზე, რომელიც ხშირად ისმებოდა ფინეთის საზოგადოების წინაშე, გონიერულ პასუხს ვერავინ ვერა სცემდა. დემოკრატიული ფინეთი ევროპული ინტეგრაციის ლედა ორგანიზაციაში თითქმის ყველაზე ბოლოს შევიდა.

ამ ათიოდე წლის წინათ ფინეთში ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით რეფერენდუმი ჩატარდა, რომელზედაც ფინელთა თითქმის 70 პროცენტმა მასში გაერთიანებას მისცა ხმა. ახლა უკვე ფინეთი ევროკავშირის ყველა სერიოზული ინტეგრაციული პროცესების გულისგულში იმყოფება. 2002 წელს ევრომ სმელმანის მიერ შემოღებული ვალუტა ფინური მარკა შეცვალა. ფინეთი ერთადერთი ნორდიული ქვეყანაა, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე აქტიურია ევროკავშირში. და ეს იმ დროს, როდესაც იგი ადრე ყველაზე ნელი ტემპებით მიიწევდა მისკენ. ახლა მან ამ მხრივ შვედებსა და დანიელებსაც კი გადაუსწრო. რატომ? უპირველეს ყოვლისა, ურთიერთობის თვალსაზრისით. ფინელებმა დროულად და სწორედ იყნოსეს, რომ ევროკავშირის წევრობა – ყველაზე საუკეთესო საშუალებაა ქვეყნის უსაფრთხოებისა და აღმოსავლეთიდან პოლიტიკური თავდასხმების გასანეიტრალებლად. მეორე მიზეზი უფრო ფსიქოლოგიური აღმოჩნდა: დადგა დრო, როდესაც უნდა გაგვეფანტა ყველა ეჭვი და ჩვენი ევროპული ძმებისათვის დაგვემტკიცებინა, რომ ჩვენ ნამდვილი ევროპული ყაიდის ხალხი ვართ.

ფინეთის ევროკავშირში გაერთიანება და მისი ამ ორგანიზაციის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ წევრად გადაქცევა, ძალზე რბილად და უმტკივნეულოდ მოხდა. კერძოდ, ქვეყანას არ გასჭირვებია საკუთარი კანონების კავშირის კანონებისათვის მისადაგება, ფინეთის მეურნეობასა და ფინანსებსაც დიდი პრობლემები არ შექმნიათ ევროკავშირის

პოსტულატებისათვის დაკმაყოფილების სფეროში. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ფინეთი ტექნიკურად ყველაზე ძლიერ განვითარებულ ევროპულ ქვეყნებს ეკუთნოდა. ამიტომ საერთო ბაზარში მის შეცვლას არც ქვეყანაში და არც ბრიუსელში დიდი ვნებათა ღელვა არ მოჰყოლია.

მიუხედავად ამისა, ფინელები ევროენთუზიასტებს არ მიეკუთვნებიან. თუმცა კავშირის წევრობას პატივისცემით ვეპყრობით, მაგრამ ფინელთა უმრავლესობა უარყოფს იდეას კავშირის უფრო გაძლიერების თაობაზე, მით უმეტეს მის ფედერალურ მოწყობაზე გადაყვანას. ვიდრე კავშირის წევრობას სარგებლობა მოაქვს, შეიძლება ვიმედოვნოთ მოსახლეობის 85 პროცენტის მიერ ამ წევრობის მხარდაჭერაზე. ფინელებს კარგადა აქვთ გაცნობიერებული გლობალიზაციის მნიშვნელობა და ის როლი, რომელსაც მასში თამაშობენ ისეთი ფინური ფირმები, როგორიცაა მსოფლიოში ცნობილი კომპანიები – ნოკია და კონე. ამიტომ ფინელები მხარს ვუჭერთ ევროკავშირის ღია სავაჭრო პოლიტიკას. ამასთან, ფინელები ვერ მიიღებენ სავაჭრო რეგულირების პოლიტიკას და განსაკუთრებით ბრიუსელის მეტისმეტ შეჭრას ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში. და იქიდან გამომდინარე, რომ ფინელები ევროპის საშუალო მოქალაქესთან შედარებით გაცილებით უკეთ არიან ინფორმირებული ევროკავშირის ცენტრალიზებული დაწესებულებების საქმიანობაზე, გაცილებით კრიტიკულნიც არიან მათ მიმართ. მხოლოდ ყოველ მესამე ფინელს მიაჩნია, რომ კავშირის წევრობამ სარგებლობა მოიტანა.

ფინელების ასეთი მდგომა ევროკავშირის მიმართ შეიძლება აიხსნას ქვეყნის ისტორიით. განსხვავებით ბალტიის ქვეყნების და ასევე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან, ფინეთი ომის დროს ან მის შედეგად არ მოქცეულა არც ნაცისტური და არც საბჭოთა ოკუპაციის ქვეშ.

იმ ხალხების გამოცდილება, რომლებიც საშინელ საბჭოთა თუ ფაშისტურ სამხედრო ოკუპაციის ქვეშ მოექცნენ, გახდა ომისშემდგომი ევროპული ინტეგრაციის სულიერი თუ ინტელექტუალური წყარო. ფინელებზე, შვედებსა თუ ბრიტანელებზე მას გავლენა არ მოუხდენია. ამიტომაც მათი დამოკიდებულება ევროპული ინტეგრაციის მიმართ არის პრაგმატიკული და ეგოისტური აუტსაიდერის ურთიერთობა. ისიც ნიშანდობლივია, რომ ფინელთა უმრავლესობა წინააღმდეგი იყო კავშირის გაფართოებისა. მათ ეშინოდათ, რომ კავშირის ფონდები ახალ წევრ ქვეყნებზე გადანაწილდებოდა.

საბედნიეროდ, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ფინეთის სახე და იმიჯი მნიშვნელოვნად შეიცვალა. წერა-კითხვის ცოდნის, წარმოების ეფექტურობის, კონკურენტუნარიანობის და ტექნიკური პროგრესის თვალსაზრისით ფინეთი მსოფლიოს ხუთეულ-ექვსეულ ყველაზე განვითარებული ქვეყნების რიცხვში შედის. თუმცა, სტატისტიკას შეცდომაში შეჰყავს ადამიანი: ფინეთში ათპროცენტიანი უმუშევრობაა, საზოგადოება სწრაფი ტემპებით ბერდება, ხოლო ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფოს სკანდინავიურ მოდელთან, ყოველწლიურად სახიფათოდ იზრდება.

წლეულს ფინეთის საზოგადოებრივი აზრის სამსჯელოდ იქცა ნატოში გაწევრიანების პრობლემა: პოლიტიკოსთა უმრავლესობა თავს არიდებს მასზე აზრის გამოთქმას. საქმე დაახლოებით ისეა, როგორც ოდესღაც ევროკავშირში გაერთიანების დროს იყო. ფინელთა უმეტესობა ამას ეწინააღმდეგება. თუმცა სიტუაცია შეიძლება მკვეთრად შეიცვალოს, თუკი რაიმე ცუდი მოხდება რუსეთში ანდა მოსკოვი კვლავაც მოინდომებს თავისი ინტერესების დაცვას საკუთარ საზღვრებს გარეთ. ჩვენ, ფინელებს, ყველაზე მეტად

გვაწუხებს და ვაფასებთ ეროვნულ უშიშროებას. ჩვენ ეს მშობლიურმა ისტორიამ გვასწავლა.

*წერილის ავტორი ერკი ტოივანენი ფინეთის ჟურნალისტიკის ლეგენდაა. ჟურნალისტური მოღვაწეობა დაიწყო 1963 წელს „BBC World service"-ში.70-იანი წლების ბოლო იგი ფინეთის ტელევიზიისა და რადიოს კორესპონდენტი იყო ლონდონში. ათი წლის შემდეგ ტოივანენი პარიზში გადადის კორესპონდენტად. იგი ფინეთში საყოველთაოდ ცნობილი საერთაშორისო პოლიტიკური მიმომხილველი და მრავალი პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის პროგრამის ავტორია: იგი თავისუფლად ფლობს ხუთ ენას. მას მსოფლიოში იცნობენ როგორც საერთაშორისო კონფერენციების აქტიურ მონაწილეს. ტოივანენი მრავალი წიგნისა და სტატიის ავტორია ევროპის კულტურის, ტრადიციებისა და ისტორიის თემაზე. ამასთან, იგი კლასიკური მუსიკის საუცხოო კომენტატორიცაა. ამჟამად ტოივანენი ლონდონში ცხოვრობს.*

შვედეთი – შიში წარღვნის წინაშე



## შვედეთი (შვედეთის სამეფო)

**კავშირში გაწევრიანდა** – 1995 წელს
**დედაქალაქი** – სტოკჰოლმი
**მოსახლეობა** – 8861 ათ. კაცი
**ფართობი** – 449970 კვ. კმ
**მშპ ერთ სულზე** – 23000 აშშ დოლარი
**რელიგიური მრწამსი** – ლუთერანები
**სახელმწიფო ენა** – შვედური, საუბრობენ ასევე ფინურად და ლაპლანდიურად
**სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა** – 79.8 წელი
**სპორტის პოპულარული სახეობა** – ფეხბურთი, ძალოსნობა, ჰოკეი
**ჰობი** – ცხოვრება სახელმწიფო ფინანსების ხარჯზე, გადასახადების გადახდა
**ეროვნული კერძი** – თევზი შოკოლადში
**ტემპერამენტი** – რაციონალური რეალისტები

2002 წლის დეკემბერში ქმართან ერთად გაყინულ ბერლინში ვიყავი, სადაც გავიგე, რომ კოპენჰაგენში ევროკავშირის გაფართოების თაობაზე მიუღიათ გადაწყვეტილება. ეს ისტორიული მომენტი იყო, ევროპის თავის ფესვებისაკენ დაბრუნების მსგავსი. ამასთან ახალი, აქამდე არნახული ევროპისაკენ დაბრუნების. ეს შამპანურით აღნიშვნის ღირსი მოვლენა გახლდათ!

თავი არ მოგვეიტყუებია იმით, რომ ეს ადვილი და მარტივი პროცესი იქნებოდა. ამასთან, ვფიქრობდით, რომ ეს გახდებოდა ახალი სისხლის გადასხმის მსგავსი რამ იმ ორგანიზაციისათვის, რომელსაც აშკარად ემუქრებოდა საშიშროება, რომ მასში ხელისუფლების სათავეები ორი-სამი დიდი სახელმწიფოს ხელში ამოჩნდებოდა. ყველგან

იგრძნობოდა, რომ ის ისტორიული გამოცდილება, რომელსაც ახალი წევრი ქვეყნები შეიტანდნენ კავშირში (განსაკუთრებით პოლონური გამოცდილება), ძალზე საჭირო და სასარგებლო გახდებოდა. ამიტომ ძალიან აფორიაქებული, მხიარული და ეიფორიაში მყოფნი ვიყავით. შემთხვევით კი არ მისხენებია შამპანური.

მალე შვედეთში დავბრუნდით. სიტუაცია თანდათან უფრო საოცარ სახეს ილებდა. ვგონებ ფსიქო ანალიტიკოსის დახმარება იყო საჭირო, რომ ადამიანს ბოლომდე გაერკვია, თუ ირგვლივ რა ხდებოდა. შვედეთი ხომ მეორე ხარისხოვან როლს არ თამაშობდა ყველაფერ ამაში. ამასთან, უცებ გაურკვეველი გახდა, თავად შვედ ხალხს სურდა თუ არა საერთოდ კავშირში ყოფნა. იქ მართალია 1995 წელს შევედით, მაგრამ ევროსავალუტო ზონას არ მიეკუთნებოდით და რეფერენდუმი უნდა ჩაგვეტარებინა ამასთან დაკავშირებით. ყველაფერ ამის გამო გარეგნულად მშვიდ და წყნარ შვედებში უჩვეულოდ ცხარე დებატები ატყდა.

ყოველივე ეს კი იმით დასრულდა, რომ შვედებმა პრინციპული უარი განაცხადეს ევროს შემოღებაზე. ამასთან, მრავალ შვედს ისიც კი არა ჰქონდა ბოლომდე გაცნობიერებული, თუ რისადმი იყო რეფერენდუმი მიძღვნილი – ეხებოდა ევროს თუ თავად ევროკავშირს. 2003 წელს სახელდობრ ამ კუთხით რომ ჩატარებულიყო რეფერენდუმი, ვიცნობ რა შვედების ხასიათს, დარწმუნებული ვარ, რომ ისინი ამაზეც უარს იტყოდნენ.

ამ „არა"-მ ძალზე ძნელად აღსაწერი და ნერვიული ატმოსფერო შექმნა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. პრემიერი, რომელმაც საარჩევნო კამპანიის დროს ძალზე კარგი და დამარწმუნებელი არგუმენტები წარმოადგინა (ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის, ვისაც გვაინტერესებდა კავშირის უფრო გაფართოება) ამ მიზნით, პოსტიდან არ

გადამდგარა განცდილი მარცხის შემდეგ. თუმცა შეხედა რა, რომ შვედების უმრავლესობა კავშირის მიმართ არც თუ ლოიალურად იყო განწყობილი, ძალზე დაფიქრებული და აღელვებული ჩანდა.

ალბათ ასე შეიძლება აიხსნას მისი შემდგომი განცხადებაც, რომლითაც სამუშაო ძალის საზღვრებზე თავისუფლად გადაადგილების სფეროში „გარდამავალი პერიოდის რეგულირებისაკენ" მოგვიწოდებდა.

არადა, ეს შეიძლებოდა გამოხატულიყო შედარებით ნეიტრალურად. პრემიერი კი ჯიუტობდა და თავისას გაიძახოდა, რომ შვედეთმა უნდა დაიცვას თავისი თავი „სოციალური ტურიზმისაგან". ვის ეუბნებოდა ამას? იმ შვედებს, რომლებიც ევროკავშირის წინააღმდეგი არიან, თუ ახალ წევრ ქვეყნებს? ან იქნებ ეშინოდა, რომ ევროკავშირის ახალი მოქალაქეები მასიურად გადმოსახლდებოდნენ, რათა ესარგებლათ შვედური „კეთილდღეობის სახელმწიფოს" შეღავათებით? პირადად მე მიმაჩნია, რომ მისი ეს არაპრინციპული, არამყარი პოზიცია (გავბედავ და ვიტყვი: შიზოფრენია) საკმაოდ ნათლად გამოხატავს ეროვნულ დილემას და მერყეობას ამ საკითხში.

სიმართლე კი იმაში მდგომარეობს, და ამის შესახებ პრემიერმა და არა მარტო მან, კარგად იცის, რომ ქვეყანა სამუშაო ძალის გარედან შემოყვანას საჭიროებს. საკმარისად მიმზიდველი და დამაინტრიგებელი იგი, რომ ადამიანებმა ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლა მოინდომონ?

ისიც საკითხავია, ნამდვილად სურთ თუ არა შვედებს ევროკავშირში ყოფნა? ეს ჯერაც გაურკვეველი საკითხია. მათ სხვა ხალხებზე მეტად ხომ არ ეშინიათ ემიგრანტების შემოსვლის? 40 წლის წინათ შვედეთმა, ადრე ძალიან ჰომოგენური ადამიანებით დასახლებულმა ქვეყანამ, მიიღო გაცილებით მეტი ემიგრანტი (ჯერ სამუშაო ძალის სახით,

ხოლო შემდეგ - როგორც ლტოლვილები), ვიდრე რომელიმე სხვა ევროპულმა ქვეყანამ. ქვეყნის მოსახლეობის თითქმის მეათედი ემიგრანტებს ან მათ შვილებს წარმოადგენენ. არ ვამტკიცებ, რომ ყველაფერი იდეალურია. თავისი მეზობელი დანიისაგან განსხვავებით, შვედეთს არა ჰყავს (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც) არავითარი იმიგრანტების საწინააღმდეგოდ მიმართული პარტია. უკანასკნელ რეფერენდუმამდე მომხდარმა სისხლიანმა მკვლელობამაც კი, რომლის მსხვერპლის შვედებისათვის საყვარელი საგარეო საქმეთა მინისტრი ანა ლინდა შეიქმნა, და რომელიც ახალგაზრდა ემიგრანტმა ჩაიდინა, საზოგადოებაში უცხოელებისადმი მტრული განწყობა ვერ შექმნა.

ევროკავშირისადმი შვედების გაურკვეველი დამოკიდებულებას ცხადია, ისტორიასა და გამოცდილებასთან აქვს კავშირი. პოლონეთი, რომელმაც ისტორიულად ძლიერი ეროვნული შემეცნება გამოიმუშავა, ევროკავშირში შესვლას მიიჩნევს, როგორც ნორმალური მდგომარეობისაკენ დაბრუნებას. შვედეთი კი, ასე ვთქვათ, კანის გამოცვლის მდგომარეობაში იმყოფება, რაც მრავალი ადამიანისათვის ქაოსური, გარკვეულწილად მტკივნეული პროცესია. როგორ გადავიდეთ კონტროლირებული კეთილდღეობიდან (ძალზე განვითარებული ბიუროკრატიული აპარატით) რაღაც სხვა მდგომარეობაზე? რა სახე ექნება ამ სხვა მდგომარეობას? რა მოგვიტანს იმ სისტემის უარყოფა, რომელმაც ადამიანებს მისცა უსაფრთხოების შეგრძნება, გარკვეული თანასწორობა და დემოკრატია და სხვა სისტემის შემოღება, სადაც ბატონობს კაპიტალი და თავისუფალი საბაზარო ურთიერთობები და მოწონებულია ქონებრივი თვალსაზრისით საზოგადოებაში გაჩენილი ღრმა უფსკრული?

კანის შეცვლა საკმაოდ მტკივნეული რამაა. იგივე ითქმის ეროვნულ თვითმყოფობაზეც. თუკი ერთ რომელიმე ფაქტორს

მივაწერთ შვედების ეროვნული შემეცნების ჩამოყალიბებას, ეს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ნეიტრალური მდგომარეობა შეიძლება იყოს. თუმცა ყველა შვედი როდია კმაყოფილი მისით (ასევე იმითაც, თუ როგორ აარიდა შვედეთმა თავი II მსოფლიო ომს). თუმცა მრავალ თაობას ქვეყნის ყოველგვარი ალიანსის გარეთ ყოფნა საკმაოდ დიდ მიღწევად მიაჩნია. ეს, ალბათ ერთადერთი ეროვნული ღირებულებაა, რომელიც საზოგადოებას კრავს და აერთიანებს. 1995 წელს ევროკავშირში შესვლა მრავალმა ადამიანმა ისე აღიქვა, როგორც ქვეყნის ნეიტრალიტეტის შელახვა და გარკვეული პოლიტიკური ინტრიგა.

იმდროინდელი პრემიერის გადაწყვეტილებამ, რომლის მიხედვითაც ქვეყანა კავშირში შევიდა, საკმაოდ განაცვიფრა მისი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებიც. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მრავალმა შვედმა ამ ნაბიჯით თავი პოლიტიკურად უგულვებელყოფილად იგრძნო და ამის სამაგიერო პასუხად შური იძია ევროს შემოღების მიზნით ჩატარებულ რეფერენდუმში. ამ უკანასკნელზე წარმოთქმული „არა" უფრო საკუთარი ხელისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული, ვიდრე ევროკავშირის.

ქვეყნის შიგნით ამ ძლიერ „არას" სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა: იგი მიმართული იყო გლობალიზაციის, პროვინციების და სოფლის მეურნეობის დაკნინების, ეკონომიკური ტემპების შენელების, შემდგომი იმიგრაციის და მთელი რწმენით შემიძლია განვაცხადო კეთილდღეობის სახელმწიფო დემონტაჟის წინააღმდეგ.

ახლა შვედები იმას ადგენენ, თუ ვინ არიან და რას წარმოადგენენ ისინი მდიდრები თუ ღარიბები? ასეთი შეკითხვები იქნებ გადაჭარბებულიც იყოს, თუ შვედეთს ევროპის სხვა ქვეყნებს შევადარებთ. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ქვეყანაში მიდის საგრძნობი და მტკივნეული პროცესები,

რაც ეხება გადასახადების სისტემას, ბიუროკრატიულ აპარატს, ადამიანთა პირადი ცხოვრების რეგულირებას და ა. შ., რაც ჩვენ სხვებისაგან ასე განგვასხვავებს (და რისგანაც მრავალი შვედი უკვე დაიღალა კიდეც).

შეიძლება თანავუგრძნოთ კიდეც შვედებს, რომ ეკონომიკური ხასიათის საკითხებმა ასეთი დიდი ადგილი დაიკავეს ჩვენი ქვეყნისა და ევროკავშირს შორის გამართულ მოლაპარაკებებზე. სხვა ქვეყნებისათვის სამშვიდობო პროექტები სრულიადაც არ წარმოადგენენ ცარიელ ფრაზებს. ქვეყნისათვის, რომელსაც არ განუცდია ომი და ოკუპაცია, სამშვიდობო იდეა გარკვეულ აბსტრაქციას წარმოადგენს. შვედები პრაგმატიკოსი ხალხია. პოლიტიკაში იდეალიზმი საკმაოდ საეჭვო რამაა, მან იქნებ ზოგჯერ გაამართლოს, მაგრამ ძალზე ხშირად მას პოლიტიკისათვის დამღუპველი შედეგები მოაქვს.

ბევრმა შვედმა ძალზე კარგად იცის, თუ როგორ ვართ დამოკიდებული სხვა ქვეყნებზე. ბევრს სურს იყოს ნამდვილი ევროპელი. ბევრს მოსწონს კიდეც სხვა ქვეყნების შესვლა ევროკავშირში. მაგრამ საქმე ეხება სრულიად განსხვავებულ ისტორიულ გამოცდილებას, რომლითაც ევროპის სხვადასხვა ქვეყნები კავშირში შედიან. ჩვენ ძალიან ღრმად ვართ ჩაძირული საკუთარ ისტორიაში, თუნდაც რომ იგი ზოგჯერ ჩვენი სურვილების საწინააღმდეგო რამეს გვეუბნებოდეს.

დასასრულს უნდა ითქვას შემდეგი: მხოლოდ ის ქვეყნები, რომლებიც შეძლებენ უკან გადასწიონ თავისი ეგოისტური ინტერესები საერთო კეთილდღეობის სასარგებლოდ, შეძლებენ ისეთი ევროკავშირის შექმნას, რომელიც მთელ მსოფლიოზე მოახდენს გავლენას და სწორი მიმართულებით წაიყვანს მას.

წერილის ავტორი აგნესა პლეიელი 1940 წელსაა დაბადებული. იგი მწერალია და რამდენიმე წლის განმავლობაში შვედეთის პენ-კლუბის ხელმძღვანელად მუშაობდა. მწერალს ლექსების რამდენიმე ტომის გარდა გამოცემული აქვს ასევე მოთხრობების კრებულები: „ვინ გაუსწრებს ქარს?“, „ძაღლის ვარსკვლავი“ და სხვები. ბოლოს, 2000 წელს პლეიელმა გამოაქვეყნა რომანი „ლორდი ლევერმორი“. ეს ნაწარმოები მრავალ ენაზეა თარგმნილი, მათ შორის, ფრანგულად, გერმანულად, იტალიურად, ესპანურად, პოლონურად და ა. შ.

# შავი და წითელი



## ავსტრია

კავშირში გაწევრიანდა– 1995 წელს
დედაქალაქი – ვენა
მოსახლეობა – 8103 ათ. კაცი
ფართობი – 83860 კვ. კმ
მშპ ერთ სულზე – 25017 აშშ დოლარი
რელიგიური მრწამსი – კათოლიკები
სახელმწიფო ენა – გერმანული
სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა – 78 წელი
სპორტის პოპულარული სახეობა – ფეხბურთი, თხილამურებზე სრიალი

1958 წელს დავიბადე მთიან ავსტრიაში, ალპების ფერდობზე მდებარე კურორტზე. ესაა წვრილ ბურჟუაზიული მოსახლეობით დასახლებული ადგილი, თავისი პატარ-პატარა მაღაზიებით, წვრილ-წვრილი სახელოსნოებით და სხვადასხვა სახის მომსახურების ობიექტებით. მიუხედავად ამისა, ჩვენს პატარა ქალაქს ტონს აძლევდა მღვდელი, მასწავლებლები, ექიმი და მეაფთიაქე. ქალაქის ირგვლივ გლეხებს საუცხოო ბაღ-ბოსტნები ჰქონდათ, ხოლო მუშები ავტობუსებითა და ავტომანქანებით მიდიოდნენ სტეიერისა (Steyer) და ლინზის (Linza) ქიმიურ და მეტალურგიულ ქარხნებში.

ქალაქის მთავარ მოედანზე თავმოყრილი ბურჟუები, გლეხები, მასწავლებლები, ექიმები და საერთოდ, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ობიექტების თანამშრომლები და მღვდლები მიეკუთვნებოდნენ შავებს და არჩევნებში კათოლიკურ სახალხო პარტიას აძლევდნენ ხმას.

სამაგიეროდ მუშები წითლები იყვნენ და სოციალ-დემოკრატიულ პარტიას რჩეობდნენ, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ სოციალისტურ პარტიად იწოდებოდა. ცოტა რთულად

იყო საქმე რუსებთან, NSDAP-ის ამომრჩეველებთან თუ წევრებთან, რომელში გაერთიანებული ყოფილი ნაცისტებიც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ როგორც შავები, ისე – წითლები.

ჩვენთვის, ბავშვებისათვის, ავსტროფაშიზმი, ფაშიზმი და მსოფლიო ომი შესამჩნევი იყო შიშველი ხელებით ჩვენი წინაპრების, ომის მონაწილეების მეოხებით, ანდა ნაცისტური მოძრაობის პატარა წევრებით, რომლებიც თავიანთი საწერი მაგიდის უჯრაში ჯერაც ინახავდნენ რევოლვერებს, ხოლო ტასტებში თეთრეულთან ერთად გადამალული ჰქონდათ სვასტიკიანი დროშა. მაინც ყველაზე მეტ ადამიანს აერთიანებდა ორი ადგილობრივი ასოციაცია: ომის ვეტერანთა და მსხვერპლთა კავშირი და საერო-გერმანული ტანმოვარჯიშეთა საზოგადოება.

პატარა ქალაქი სტეიერი, სადაც 1968 წლიდან გიმნაზიაში დავდიდი, სამრეწველო დანიშნულებისაა. იგი ამ, ძირითადად, შავ პროვინციაში წითლად ითვლება, სადაც 1945 წლიდან მოყოლებული სოციალ-დემოკრატებს საქალაქო საბჭოში უმრავლესობა უპყრიათ ხელში, ხოლო 1934 წელს სტეიერ-ვერკეს ქარხნების მუშები იარაღით ხელში წინაღუდგნენ იმდროინდელ კლერიკალურ-ფაშისტურ მთაერობას. დღეს კი ამ სოციალ-დემოკრატიული, ძირითადად ბაროკოს სტილში აგებული ქალაქის ძირითადი სიმბოლო შრომის მუზეუმია.

თითქმის 70-იან წლებამდე ქალაქის წვრილი ბურჟუაზია ცდილობდა არჩევნებში თავისი ძველი კლასობრივი უპირატესობის შენარჩუნებას. ამ უპირატესობის ერთ-ერთი გამოვლინება იყო მაგალითად, ძველი ყაიდის სასწავლო სისტემა, რომლის დროსაც მუშების შვილებს გიმნაზიაში სწავლაზე ოცნებაც კი არ შეეძლოთ. აქ მომუშავე მასწავლებლებს პროფესორები ეწოდებათ და ზოგიერთი მათგანი საკმაოდ ახლო კავშირში იყო მხილებული ნაცისტებთან. დანარჩენებიც, ვინც ნაცისტებისადმი

სიმპათიებით არ იყო განმსჭვალული, ავტორიტარული განათლების სისტემის მომხრეები იყვნენ, შავებს ემხრობოდნენ და წითლები ეზიზღებოდათ. ამ პროვინციულ გიმნაზიებს შორის ჩვენი სკოლა საკმაოდ გამოირჩეოდა: აქ, არც თუ ისე კარგად შემონახული სკოლის შენობაში სამი სახელოსნო იყო: ფიზიკური, ქიმიური და სამხატვრო – იმდროინდელი ავეჯით, როდესაც ჰიტლერი ორი წლის განმავლობაში სწავლობდა. ამ სკოლაში ყოველი პროფესორი გაკვეთილს იმის გამოცხადებით იწყებდა, თუ იმ წელიწადს ვინ დაიკავებდა იმ მერხს, რომელზეც პატარა ადოლფი იჯდა.

ვენა, სადაც 1977 წელს უნივერსიტეტში დავიწყე სწავლა და სადაც შემდეგ მრავალი წელი ვცხოვრობდი, ჩვენი დედაქალაქია. აქაა მთავრობა, პარლამენტი და ყველაფერი, რასაც ავსტრიაში ასეთი რანგი და მნიშვნელობა აქვს. ჭეშმარიტი ვენელები, ანუ ისინი, რომლებიც აქ მცხოვრებთა უკვე მესამე თაობას წარმოადგენენ და ვენური აქცენტით საუბრობენ, ვენას მეტროპოლიად მიიჩნევენ. ყველა სხვა ავსტრიელისათვის კი ვენა ქვეყნის მასშტაბით ძალზე დიდი ქალაქია.

ჭეშმარიტი ვენელი, პროვინციელი ავსტრიელისაგან გარკვეული აღმატებულობის გრძნობით განსხვავდება და კიდევ იმით, რომ – როგორც ამას ერთ პოპულარულ სატელევიზიო სერიალში ამბობენ – არასოდეს არ იძირება ფსკერზე. ვენა ერთსა და იმავე დროს ინტერნაციონალურიცაა და ქსენოფობიურიც. ვენელთა უმრავლესობა მტრულად როდია განწყობილი უცხოელთა მიმართ, მანამდე, ვიდრე აქ ჩამოდიან როგორც ტურისტები, და არა როგორც ახალი საცხოვრებელი ადგილის მაძიებელნი. ეს უკანასკნელი გრძნობა აშკარად ანსხვავებს ვენელებს დანარჩენი ავსტრიელებისაგან.

საშუალო დრო, რომელიც სჭირდება პროვინციიდან ვენაში ჩამოსულ ავსტრიელს, გარდა პერსპექტიული სპორტსმენებისა,

რომ სრული ინტეგრაცია განიცადოს ამ ქალაქთან, დაახლოებით 15-20 წელია. ოცდაათი წელია საჭირო იმისათვის, რომ ის გახდეს ეგრეთწოდებული პიეფკე (Piefke) ყოფილი ვოლკსგენოსენი (ნაცისტების ერთგული მეგობარი) ძველი რეიხისა. ყველას როდი ეყოფა სიცოცხლე, რათა ამგვარი ასიმილაცია განიცადოს. რამდენი არა ჭეშმარიტი ვენელი ჩადის ყოველწლიურად ვენაში და იძირება მის ფსკერზე, ამას სტატისტიკა ვერ აღრიცხავს.

ვინაიდან ვენას 1919 წლიდან (1934-1945 წლების გარდა) ყოველთვის სოციალ-დემოკრატები მართავდნენ, იგი მთელი ამ დროის განმავლობაში წითელ ქალაქად ითვლებოდა, მაგრამ შეცდება ვინც იტყვის, რომ ოდესღაც სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის მიერ პროპაგანდირებულმა ინტერნაციონალმა ფართოდ მოიცვა SPO-ს წყერები.

უკანასკნელი ადგილობრივი არჩევნების დროს ვენის SPO-მ ამომრჩეველთა 48 პროცენტი მოიცვა, ხოლო არჩევნების არითმეტიკის მიხედვით, მანდატების 51 პროცენტი მოიპოვა. იმ დროიდან მოყოლებული – მოკლე კოალიციური ინტერმეცოს გარდა – კვლავ ძირითადად ქალაქის სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლება მიიჩნევა სახელმწიფოს მმართველ მემარჯვენე-კონსერვატიული კოალიციის საპირწონედ 2000 წლის თებერვლიდან. წითელი ვენა და შავ-ცისფერი ფედერაცია მოგვაგონებს I და II მსოფლიო ომებს შორის პერიოდში ზოგიერთ პოლიტიკურ თანავარსკვლავედს. თუმცა ფედერალური მთავრობა თავად ახდენს სოციალური სახელმწიფოს დემონტირებას, რომლებიც თავის დროზე წითელმა პროფკავშირებმა და შავმა მეწარმეებმა ეგრეთწოდებული სოციალური პარტნიორობის კონსენსუსის ფარგლებში შექმნეს.

სიტუაციაში, როდესაც ევროკავშირი მოითხოვს ქვეყნის საფინანსო მეურნეობის გაჯანსაღებას, ყოველმა სახელისუფლებო კოალიციამ ამ მიმართულებით ნაბიჯები უნდა გადადგას. რაც შეეხება ავსტრიას, ჩვენს პირობებში სიახლეა ის სიმკვეთრე, შეიძლება ითქვას, სიუხეშეც კი, რომელიც თან ახლავს ფისკალური პოლიტიკის ასეთ გამკაცრებას.

ვენის მემარცხენე და მემარცხენე-ლიბერალური ინტელექტუალური წრეები ცოტა დაბნეულებად გამოიყურებიან, თუმცა საკმაოდ გამჭვირვალედ საქმიანობენ. ისინი, ისევე როგორც სხვა ევროპულ ქალაქებში შეჯგუფებული არიან უნივერსიტეტების, სამეცნიერო ინსტიტუტების, ეროვნული გამომცემლობებისა და რედაქციების ირგვლივ. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელთა მიერ გამოცემული ორგანოებს მცირე ტირაჟები აქვთ და ძალზე უჭირთ არსებობა. გარდა ამისა, ამ ადამიანების ქისის სიმძიმიდან გამომდინარე, ისინი ერთმანეთს სხვადასხვა კაფეებსა და რესტორნებშიც ხვდებიან.

ავსტრიული ტურისტული ფირმები თავიანთ რეკლამებში ქვეყანას, როგორც ევროპის გულს, ისე აცხადებენ. ამ გულში სიმპათიები ევროკავშირის ახალი წევრებისადმი სრულიად განსხვავებულია. უნგრელებს, სლოვაკებს, ჩეხებს და სლოვაკებს აერთიანებთ მითი ck kakanii-ის შესახებ (ჰამბურგების მრავალეროვნული სახელმწიფო – რედ.). რაც შეეხება ესტონელებს, ლატვიელებს, ლიტველებს და პოლონელებს – ეს უფრო რთული საკითხია. კრაკოვი კიდევ კარგად შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა, მაგრამ ვარშავა ნამეტანი შორსაა. გერმანული რეიხის განადგურებიდან 60 წლის გასვლის შემდეგ ავსტრიულ საზოგადოებაში კვლავაც შემორჩენილია ანტიპოლონური მტრული განწყობილება,

ჩვენთან კვლავაც ხმარობენ ტერმინს „პოლონელი მეურნე“, რაც კარგი კომპლიმენტი ნამდვილად არ არის.

ასეთი განწყობილების უკეთესობისაკენ შეცვლის მიზნით ეროვნულ საბჭოს ანტიკონსერვატიულმა თავმჯდომარემ მოახერხა პაპ იოანე-პავლე II-სთან ცნობილი პოლიტიკოსების შეხვედრის ორგანიზება. შავი და წითელი პარლამენტარები ხელზე ემთხვივნენ პაპს და მისგან ცოდვათა შემსუბუქება მიიღეს. შეხვედრის დასასრულს იოანე-პავლე II-ემ დალოცა მთელი ავსტრია და განაცხადა, რომ იგი მართლაც ლამაზი ქვეყანაა.

*წერილის ავტორი ვალტერ ფამლერი 1958 წელსაა დაბადებული ბელ-ჰალში. ამჟამად იგი ცხოვრობს და მუშაობს ვენაში. ჟურნალისტი და პუბლიცისტია. 1992 წლიდან რედაქტორობს ყოველკვარტალურ ლიტერატურულ ჟურნალს „Wespennes" („კელების ბუდე"), რომელსაც 1996 წლიდან თავად გამოსცემს. ფამლერი არის ასევე დამფუძნებელი და რედაქტორი ინტერნატული ლიტერატურული გაზეთისა „Eurozin" და ხელოვანთა ასოციაცია „Alte Schmiede"-ს („ძველი სამჭედლო") თავმჯდომარე.*

## საბერძნეთი მხოლოდ პანთეონი როდია...



## საბერძნეთი (საბერძნეთის რესპუბლიკა)

**კავშირში გაწევრიანდა** – 1995 წელს
**დედაქალაქი** – ათენი
**მოსახლეობა** – 10543 ათ. კაცი
**ფართობი** – 131960 კვ. კმ
**მშპ ერთ სულზე** – 15601 აშშ დოლარი
**მინიმალური ხელფასი თვეში** – 668 ევრო
**რელიგიური მრწამსი** – მართლმადიდებლობა
**სახელმწიფო ენა** – ბერძნული, ასევე საუბრობენ ინგლისურად და ფრანგულად
**სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა** – 78,7 წელი
**სპორტის პოპულარული სახეობა** – ფეხბურთი
**ჰობი** – ცეკვა
**ტემპერამენტი** – ამაყი, ერთგული, ინტელექტური, იმპროვიზაციის უნარით დაჯილდოებული

*ათიოდე წლის წინათ რომ გეთქვა, ბერძენი ვარო, ადამიანს მხოლოდ ბერძენი ზორბას, პანთეონის და ა.შ. ასოციაცია გაუჩნდებოდა. დღეს ეს ასე აღარაა.*

გასულ წელს, შვებულების დროს, რამდენიმე მეგობართა ერთად კუნძულ ლიმნოსზე ვიყავი. ესაა უმშვენიერესი კუნძული, თუმცა მასზე იშვიათად თუ ვინმე ჩადის დასასვენებლად, არა საერთოდ, სხვა ქვეყნებიდან, არამედ თავად საბერძნეთიდანაც კი. იგი ბერძენ მამაკაცებს არა თუ არ უყვართ, არამედ ერთგვარი ანტიპათიაც კი აქვთ მის მიმართ, რადგან მრავალმა მათგანმა სწორედ აქ მოიხადა თავისი სამხედრო ვალდებულება.

პირველივე დღეს, ნაშუადღევს მანქანით მოშორებით მდებარე პლაჟისაკენ გავეშურეთ, სადაც ბანაობისა და ყავის

დალევის შემდეგ მანქანაში ჩავსხედით და უკან, სასტუმროსაკენ გამოვბრუნდით.

სიარულისას ერთ მომენტში ყურადღება მოვადუნე და ვერ შევნიშნე დიდი ორმო, სადაც მანქანით ჩავვარდით. მალე ცხადი გახდა, რომ იქიდან მისი ამოღება მხოლოდ ამწის საშუალებით შეიძლებოდა, ამასთან მანქანა, ჩემი აზრით, ჯართში ჩასაბარებლად თუ ივარგებდა.

რამდენიმე წუთში ხალხით გარშემორტყმულები აღმოვჩნდით. ეს ბერძნებისათვის დამახასიათებელია: საკმარისია ავარია მოხდეს, რომ გზა გადაიკეტოს: ყველას აინტერესებს, რა მოხდა და მრავალი ადამიანის თავმოყრაც გარანტირებულია.

მაგრამ აქ სიტუაცია განსხვავებული იყო. შეკრებილთა სორის პროფესიონალებიც აღმოჩნდნენ, რომლებიც თავიანთ ვარაუდს გამოთქვამდნენ, თუ რა დაჯდებოდა მანქანის გარემონტება.

ამასთან ბევრი იმასაც მირჩევდა, რომ დახმარება არ გამომეძახებინა, რადგან ამწე კიდევ უფრო დამიზიანებდა მანქანას და თავიანთ დახმარებას მთავაზობდნენ მისი ორმოდან ამოსაყვანად.

მალე ზოგმა ლომი მოიტანა, ზოგმა - ფიცარი და ყველამ ერთად მანქანა მართლაც ამოვიყვანეთ ორმოდან. შემდეგ დაიწყო მისი სერიოზული შემოწმება, თუ რა სახის დაზიანებები ჰქონდა მიღებული. ყოველივე ამის შემდეგ მათ მადლობა გადავუხადე და ლუდზე დავპატიჟე. თავაზიანი უარით მიპასუხეს. ბარში მომუშავეებს საქმე თავსაყრელად ჰქონდათ, ხოლო ჯარისკაცები ჩქარობდნენ – ისინი ხომ მცირე ხნით იყვნენ გათავისუფლებულები და თავიანთი გოგონების სანახავად მიეშურებოდნენ. – აბა, აწი ფრთხილად იარე, გამაფრთხილეს და გაუჩინარდნენ.

ალბათ მხოლოდ საბერძნეთში შეიძლება ასეთი რამ მოხდეს – მითხრა შემდეგ ჩემმა ბერძენმა მეგობარმა, რომელიც გერმანიაში ცხოვრობს და მუშაობს.

ვერ გეტყვით, მართალი იყო თუ არა. ვერც იმას გეტყვით, ეს უანგარო და სპონტანური სოლიდარობის გამოხატვა მხოლოდ ბერძნებს ახასიათებდეთ. იქნებ იგი ხმელთაშუა ზღვის გარშემო მცხოვრები ხალხის თვისებაა. არც ის ვიცი, გლობალიზაციის და ხალხთა ერთიმანეთში ასეთი ინტენსიური შერევის ეპოქაში თუ შენარჩუნდება მათი ძველი, ტრადიციული თვისებები.

ამ ბოლო დროს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პორტუგალიელი ჟურნალისტი, მიგუელ ესტევეს კარდოზოს სტატია წავიკითხე. მასში ავტორი აღიარებს, რომ როდესაც მისმა პატარა დიშვილმა ჰკითხა, თუ ვინ არიან ბერძნები, მან კარგად არ იცოდა, თუ რა ეპასუხა. მთელი თავისი ფანტაზიის მობილიზება დასჭირდა, გამოიყენა თავისი ისტორიული ცოდნა, ესაუბრა ჰომეროსსა და პლატონზე, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვერ დარჩა თავისი პასუხით. და მაშინ ასეთი აზრი დაებადა: რათა კარგად არწერო უცხოელი, უნდა თქვა, რომ იგი ზუსტად ისეთია, როგორც შენ, ოღონდ ერთი, ძალზე განმასხვავებელი თვისებით. გამოიყენა რა ეს თავისი მეთოდი, კარდოზომ დის შვილს აუხსნა, რომ ბერძენი ზუსტად ისეთია, როგორც პორტუგალიელი, ოღონდ ცოტა მობუზღუნე.

ამიტომ გამოვყოფდი ბერძენთათვის დამახასიათებელ ორ თვისებას: სპონტანურობას და ბუზღუნას. არაფერია გასაკვირი იმაში, თუ ეს თვისებები წინააღმდეგობრივად მოგეჩვენოთ: ჩვენ ხომ მართლაც ურთიერთ გამომრიცხავი თვისებებით სავსე ხალხი ვართ. ჩვენ შეგვიძლია ძალიან ცუდიც გავაკეთოთ და ძალიან კარგიც.

მაგალითად, ავიღოთ ოლიმპიადისათვის ჩვენი მზადების პროცესი. ძალიან გვიან დავიწყეთ იგი, ერთი მხრივ,

ობიექტური მიზეზების გამო (ზუსტად იმ პერიოდში ქვეყანაში მრავალი სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა), ხოლო მეორე მხრივ, იმ თვითრწმენის გამო, რომ ჩვენ, ბერძნებმა, თუნდაც რომ უკანასკნელ წუთებში გავაკეთოთ რამე, მაინც მოვასწრებთ და კარგად გავაკეთებთ: ვართ მოხერხებულები, ცოტა ზარმაცები და საკმაოდ არაორგანიზებულები. თუმცა, თუკი ამბიცია მოგვეძალება, ბევრი ვერ გვაჯობებს.

ამასთან, რაც შეეხება ოლიმპიური თამაშების ორგანიზებას, თუკი ის საბოლოო ჯამში მაინც კარგად დასრულდა, ამას ალბანელ, პოლონელ და სხვა უცხოელ მუშებს უნდა ვუმადლოდეთ, რომლებიც დღე-ღამეს ასწორებდნენ, კარგად მუშაობდნენ და თავიც გაუწირავთ საქმის წარმატებით დასრულებისათვის.

ჩვენ ძალიან გვიყვარს დავითისა და გოლიათის შესახებ მითი. იგი ხშირად გამოგვიყენებია საფეხბურთო მატჩების დროს, როდესაც ბერძნები თამაშობდნენ უხეში იტალიელების, ინგლისელების თუ ესპანელების წინააღმდეგ – ყველაფერი ჩვენს ხელთაა, ბერძენთა სულიერ სწრაფვას ვერავინ აღუდგება წინ, ღვთის დახმარებით გავიმარჯვებთ უცხოელებზე! რეალური მდგომარეობა კი სრულიად სხვა სახეს იღებდა ხოლმე და ასეთი შეჯიბრებებიდან დამარცხებული გამოვსულვართ. შემდეგ იწყება ხოლმე განტევების ვაცის ძიება. დამნაშავე ხომ ყოველთვის ვიღაცაა: მსაჯი, რომელმაც პენალტი არ დაგვინიშნა, მწვრთნელი, რომელმაც დროულად არ მოახდინა ფეხბურთელთა შეცვლა. იმ დღეს ძალიან ციოდა ან ცხელოდა. და ასე უსასრულოდ, ყოველთვის ვირაცას ვაკისრებთ პასუხისმგებლობას და არასოდეს არ ვიღებთ მას საკუთარ თავზე. და აი, აქედან გამომდინარე, ჩვენთვის დამახასიათებელი მესამე ეროვნული თვისება: ჩვენ ვართ ხალხი, რომელიც ვერ იტანს კრიტიკას თუ თვითკრიტიკას.

გარდა მითოლოგიისა, აღნუსხულია ასევე სპეციალური შესწავლებიდან გამომდინარე ფაქტები. მათი მიხედვით ბერძნები ტრადიციების, ოჯახისა და ეკლესიის ერთგული ხალხია (ბერძენთა 56 პროცენტი თვეში ერთხელ მაინც დადის ეკლესიაში). ამასთან, ბერძნები საკმაოდ გულგრილი არიან პოლიტიკის მიმართ: ბერძენთა 68 პროცენტი საერთოდ არ მონაწილეობს პოლიტიკურ პროცესებში, 78 პროცენტს კი მიაჩნია, რომ პოლიტიკოსები არ ზრუნავენ მოქალაქეთა კეთილდღეობაზე. გამოკითხულთა 83 პროცენტის აზრით, ქვეყანაში საკმარისი ყურადღება არ ექცევა მოქალაქეთა უფლებების დაცვას.

როგორც ჩანს, ბერძნებს არ უყვართ ემიგრანტები: გამოკითხულთა მეოთხედ ნაწილს (ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მთელ ევროკავშირში) მიაჩნია, რომ უცხოელებს უფლება არ უნდა ჰქონდეთ საბერძნეთში დასახლებისა. ბერძნები სხვა ევროპელებთან შედარებით დიდ დროს ატარებენ ტელევიზორთან და სამაგიეროდ ბოლო ადგილზე არიან პრესის კითხვის მხრივ.

მართლაც რომ გასაოცარი ხალხი ვართ, თუმცა უკვე გამოჩნდა იმის ნიშნები, რომ მალე შევიცვლებით. ამასთან, ცხადია, კვლავაც ანტიამერიკულად განწყობილ ხალხად ვრჩებით: დიდ წინააღმდეგობას ვუწევთ, გვაქვს თუ არა ამისათვის რაიმე მიზეზი, ნებისმიერ ინტეგრაციას საზიზღარ იმპერიალისტებთან, ყოველთვის რაღაცა ეჭვია ვართ შეპყრობილი ყოველი იმ ახალი ინიციატივის მიმართ, რომელიც სხვისგან, თუნდაც რომ ეს იმ დაწესებულებიდან მომდინარეობდეს, რომლისთვისაც არაერთხელ მიგვიმართავს ასეთი ინიციატივის გამოჩენის წინადადებით. ამგვარად, ინსტიქტურად, კოფე ანანის იმ გეგმის წინაარმდეგ წავედით, რომელიც მიზნად კვიპროსის პრობლემის გადაჭრას ისახავდა.

და ეს მაშინ, როდესაც წესიერადაც კი არ ეიცნობთ ამ გეგმის უმთავრეს პოსტულატებს.

ბერძნებს განუწყვეტლივ გვაწუხებს რაღაც გაურკვეველი დევნის მანიის სინდრომი. გვეჩვენება, რომ ყველას ჩვენი შურს, ხოლო ეს უკანასკნელი კი იქიდან გამომდინარეობს, რომ ოდესღაც საბერძნეთი ცივილიზაციისა და დემოკრატიის აკვანი იყო. თუმცა ახლა ძნელი იქნება ჩვენი გამოყვანა ქუჩებში, რათა პროტესტი გამოვხატოთ იმ ჰიპოთეტური ტერიტორიული პრეტენზიების წინააღმდეგ, რომლებიც ვითომდა ჩვენს მეზობლებს აქვთ ჩვენს მიმართ და რასაც ადგილი ჰქონდა ამ ათიოდე წლის წინათ ყოფილი იუგოსლავიის ერთ-ერთი რესპუბლიკისათვის მაკედონიის შერქმევის გამო და თუმცა ამ ბოლო დროს საკმაოდ გაძლიერდა კვიპროსთან დაკავშირებული ისტერიები, მაინც ძნელია იმის წარმოდგენაც კი, რომ დღევანდელი ჩვენი ხელისუფლება რაიმე პროვოკაციაში გაეხვიოს, დაახლოებით ისეთში, როგორსაც ადგილი ჰქონდა 1999 წლის იელისში, როდესაც ქურთული პარტიზანული მოძრაობის ლიდერი აბდულა ოჯალანი (ქურთული შრომის პარტიის ხელმძღვანელი) მთელი თხუთმეტი დღის განმავლობაში ნაირობში (კენიის დედაქალაქი) საბერძნეთის საელჩოში იმალებოდა, ვიდრე საბოლოოდ თურქ ხელისუფალთ ხელში არ აღმოჩნდა.

თანდათან ვიზრდებით და ვიწყებთ ჩვენი პოზიციების, ჩვენი როლისა და ჩვენი უმთავრესი ღირებულებების გარკვევას. თუმცა, ამასთან ჩვენ კვლავ რომანტიკოსებად, შოვინისტებად, გულუბრყვილოებად, მგრძნობიარეებად, ცინიკურებად, მეოცნებეებად, მოწუწუნეებად, კოსმოპოლიტებად, რასისტებად, ამბიციურებად, შურიანებად, ანარქისტებად და რელიგიურ ერად ვრჩებით. ამასთან, თვითაღიარების ამ პროცესში გადამწყვეტი აღმოჩნდა ჩვენი

ყოფილი პრემიერის კოსმას სიმიტისის როლი, რომელმაც თავისი გაბედულებით, უბრალოებით, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, და რაც მთავარია, მთელი პატიოსნებით, უზრუნველყო ჩვენი რბილად დაშვება, მოახდინა ქვეყნის მოდერნიზება და გაევროპელება. ბერძნული საზოგადოება ამ „უსახო და უსუნო ბუღალტრის წინაშე“, როგორც მას კრიტიკოსები უწოდებენ, გაცილებით უფრო მეტადაა დავალებული, ვიდრე ეს ერთი შეხედვით მაშინ შეიძლებოდა მოგვეჩვენებოდა, ანუ იგი დაუმსახურებლად გადაეაყენეთ. თუმცა ამაზე პასუხისმგებლობა მას თავად ეკისრება: იგი გამუდმებით უგულვებელყოფდა PASOK-ის პარტიას და გადასცემდა რა თავის ფუნქციას ანდრეას პაპანდრეუს ვაჟს, ფიქრობდა, რომ თავისი ამ ნაბიჯით ბერძნულ საზოგადოებას მოხიბლავდა. მაგრამ გმირებისა და ხარიზმული ლიდერების ეპოქა, როგორც ჩანს, თავის დასასრულს უახლოვდება; ამას თავად სიმიტისიც გვასწავლიდა, ეს კონტრასტული ბუნების ადამიანი, ისევე, როგორც მისი მშობელი ხალხი.

*წერილის ავტორი მიხეილ მიცსოსი 1959 წელსაა დაბადებული, ათენში. მისი თავდაპირველი სპეციალობა, რომელიც მან ატენის უნივერსიტეტში მიიღო, ქიმიაა. შემდეგ იგი ჟურნალისტიკაში გაიტაცა და 1983 წლიდან როგორც ჟურნალისტმა ისე დაიწყო მუშაობა გაზეთ „აუჯიში“ 2 წლის შემდეგ ის უკვე ათენის საინფორმაციო სააგენტოს უცხოეთის განყოფილების თანამშრომელი გახდა. 1988 წელს მიცსოსმა სხვა ორგანოში - „ტა ნეაში“ გააგრძელა თანამშრომლობა. აქ მას საკუთარი რუბრიკა - „დიმენსიონსი“ მიჰყავს. ბოლო ორი წელია, რაც იგი კვლავ საინფორმაციო სააგენტოს დაუბრუნდა და მის უცხოეთის განყოფილებას ხელმძღვანელობს.*



# პორტუგალია (პორტუგალიის რესპუბლიკა)

კავშირში გაერთიანდა - 1986 წელს
დედაქალაქი – ლისაბონი
მოსახლეობა – 9998 ათასი კაცი
ფართობი – 91930 კვ.კმ.
მშპ ერთ სულზე – 16569 აშშ დოლარი
მინიმალური ხელფასი თვეში – 470 ევრო
პოპულარული რელიგია – კათოლიკური
ოფიციალური ენა – პორტუგალიური
სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა – 76 წელიწადი
სპორტის პოპულარული სახეობა – ფეხბურთი
ტემპერამენტი – პასიური რომანტიკოსები
განსაკუთრებული დამახასიათებელი ნიშანი – პორტუგალიელი ყველაზე დაბალია ევროპაში (საშუალო პორტუგალიელის სიმაღლე 173 სმ არ აღემატება)

პორტუგალიელებს ევროპაში ნათლად გამოკვეთილი, საარსებოდ აუცილებელი ადგილი გვაქვს გამოყოფილი – ოთხკუთხედი რუკაზე, რომელსაც ასევე ეწოდება – პორტუგალია. ესაა ადგილი, რომელიც როგორც ყოველი რეალობა, თუმცა კაცმა არ იცის, რატომ, ადამიანთა საცხოვრებლად აუტანელი აღმოჩნდება ხოლმე. ასეთ დროს პორტუგალიელები იძულებულები ხდებიან სხვა ადგილას გაიქცნენ, რათა იგი მომავალში კვლავაც ასატანი, უფრო მეტიც, სანატრელი და საოცნებო გახდეს.

ჩვენს საზოგადოებრივსა თუ პოლიტიკურ დისკუსიებში ხშირად გაიგონებთ გამოთქმას „ევროპის კუდი", ხოლო ინტიმურ თუ საიდუმლო საუბრებში არ ვივიწყებთ ძველ ტერმინს „კარაველებით გასვლა". თითქოს ეს ამჟამინდელ ეკონომიკურ სიტუაციაზე, ბრიუსელის სანქციებზე თუ შემწყნარებლურ სტატიებზე „Financial Times"-ში (ქვეყნის ჩამორჩენილი ეკონომიკური მდგომარეობის თაობაზე) – მხოლოდ ზღვაში უბრალო გასეირნება, ჩვენი რეაქცია იყოს.

ეს უძრავი ზღვა კვლავაც არის ლუის დე კამოესის (XVI საუკუნის პორტუგალიელი მწერალი, ეროვნული ეპოსის „ლუიზიადას" ავტორი. ნაწარმოები ვასკო დე გამას ნაოსნობას ეხება) და ადამასტორის (სული, „ლუიზიადას" ერთ-ერთი გმირი) მსოფლიოს გარშემო პირველი მოგზაურობების, იდუმალი კუნძულების ზღვა.

და მიუხედავად ასეთი დიდი გამოცდილებისა, მაინც არ ვიცით, თუ საით შეიძლება გაცურვა. ამასთან, იქნებ ახლაა ის მომენტი, როდესაც კარაველა სიმბოლო გახდა, ხოლო იმპერიამ გახსნა აფრიკული პრობლემები – დიდი იმპერიიდან პატარა ქვეყნამდე დავკნინდით, ირონიისა და ნოსტალგიის წუთებში პატარა კაცების პორტუგალიას ვუწოდებთ, როგორსაც დიქტატორ ანტონე დე ოლივერ სალასარის პორტუგალია წარმოადგენდა.

წარმოიდგინეთ ხალხი, რომელმაც უკვე მიაღწია ევროპის ყველაზე დასავლეთ სანაპიროს და უკვე აღარ იცის, საით გაიქცეს. მას უკან დარჩა ესპანეთის მიწები, შორეული ნათესავები, რომელთაც ჩვენს სახლში სურთ განუსაზღვრელი დროით დასახლება

და ამიტომ ჩვენ უკვე ვეღარ ვენდობით. ჩვენს სულში დარჩა საუკუნეების განმავლობაში შემორჩენილი; წინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებული უნდობლობა იმ ხალხის მიმართ, რომელთაც ასე ჯიკავ-ჯიკავით გამოგვყარეს კონტინენტის ამ უკიდურეს ადგილას.

სარამაგო იმ იშვიათ ადამიანებს მიეკუთვნება, რომელიც შეეცადა ჩვენს როგორღაც გაერთიანებას, შეკრებას. ნახევარკუნძული, როგორც ქვის ტივი გამოყოფილია ევროპის სხეულისაგან, რათა შეცურდეს ზღვებში ინდოეთის საძებნად, ამერიკის მიმართულებით წავიდეს, გათავისუფლდეს ბრიუსელის დიქტატისა და ევროკომისიის ტირანიისაგან. მას შემდეგ, როდესაც ევროპამ ჩვენ თავის სტრუქტურებში ჩაგვრთა, ყოველთვის მიგვაჩნდა და დრომაც დაამტკიცა, რომ ამას აზრი არ ჰქონდა. ჩვენთვის დანიელი გაცილებით უცხო იყო, ვიდრე – ბრაზილიელი (მთელ ლათინურ ამერიკაში მხოლოდ ეს ქვეყანაა პორტუგალენოვანი – ა.გ.).

ევროპას სურდა ჩვენი 800 კილომეტრიან პლაჟად გადაქცევა, სადაც პროგრესი დოტირებული, ხოლო განვითარება - სუბსიდირებული იქნეოდა, ამასთან ჩვენ არ უნდა გავცილებოდით ზღვის ციცაბო დაქანებულ სანაპიროს, ადგილს, საიდანაც მიდიან და რომელსაც აღარც უბრუნდებიან, რომელიც უკვე აღარც არსებობს – თუნდაც რომ მას ზღვის მხრიდან, ნავიდან, ან თუ რომანტიულებად ყოფნა გვსურს, კარაველადან ვუყურებდეთ. ჩვენ კი აბა როგორ ვიქნებით რომანტიულები, როდესაც ოფიციალურმა დისკუსიამ სამარცხვინოდ მიითვისა ჩვენი კარაველა, სიმბოლო და მაგალითად, ერაყში ომის დროსაც კი იყენებს.

თუმცა ამას უკვე პორტუგალიას აღარავინ ეკითხება – ეს მოსაზრება გვათავისუფლებს სტატისტიკის მტანჯველი ციფრებისაგან, განადგურებული ტურისტული ინდუსტრიისაგან.

იმპერიის დაცემის, ევროპის გაერთიანების, გარდასული დიდების, დღევანდელობის წვრილმანი მოთხოვნების, ოფიციალურ ბიუროკრატიასა და პორტუგალიელთა თავისუფალ სულებს შორის, რჩება ერთგვარი ირეალური, გარკვეული სიცარიელე.

შედეგად პორტუგალია რაღაც უფრო მეტაფიზიკური ქვეყანა ხდება, ვიდრე რეალურად არსებული ფიზიკური ტერიტორია – ყოველ შემთხვევაში ასეთია პოეტების მიერ აღქმული ეს ქვეყანა – კამოესიდან დაწყებული პესოეთი დასრულებული. პორტუგალიელებმა საკუთარი ინტუიციით იცოდნენ, რომ აფრებდაგლეჯილი კარაველათა ქარავნების ხელახლა განახლება-განვითარება და მივიწყებული საზღვაო მარშრუტების აღდგენა ძალისხმევის დაძაბვას მოითხოვდა. ამიტომ ვრჩებით იქ, სადაც ვართ, გაუნძრევლად ჩვენს მშობლიურ სანაპიროზე.

ევროპა – კეთილდღეობისა და კომფორტის ადგილი ჩვენ კვლავ უკან გვექაჩება, იმ საუკუნისაკენ მივყავართ, რომელშიც ვცხოვრებდით და წარსულით ვიკვებებოდით, სადაც უცხო ადგილს მივიჩნევდით უკეთესად, ვიდრე ჩვენს სამკვიდრებელს. XX საუკუნეში პორტუგალიას ჯერ კიდევ ჰქონდა შემორჩენილი XIX საუკუნის ატრიბუტიკა – რწმენისა და ლეგენდების, რომლებიც ჩვენი ჩამორჩენილობის თაობაზე არსებულმა წარმოდგენამ დაბადა. იგი ასევე წარმოიშვა იმ ატავიზმიდან, რომელსაც ღრმად ჰქონდა

ფესვები გადგმული კათოლიკურ რელიგიაში, პატრიარქალურ ოჯახში და ბელადის ავტორიტეტში. ესაა ქვეყანა, სადაც ქალები ყოველთვის დამღრევალი მეთევზეების, აფრიკაში დახოცილი მებრძოლთა გაბედულ ქვრივებად გვევლინებოდნენ, რომელთაც საკუთარი მეობა არ გააჩნდათ. მათ ყოველთვის შავები ემოსათ. ეს კარგია ფოტოგრაფებისა და ეთნოგრაფებისათვის, მაგრამ ცუდი – თავად ქალებისათვის.

დემოკრატიის დამყარებასთან ერთად ქვეყანამ თანდათან ფოლკლორულ რელიქვიად გადაქცევა დაიწყო. ესაა, რაც დარჩა შიშისა და დევნის ეპოქიდან – ესაა პორტუგალიის პორტრეტი „National Geographic"-ის სტილში: ღვინის კასრებით გატენილი ნავები დუეროს მწვანე წყლებში, უმუშევარი მეთევზე ნაზარეთიდან, ხშირი ცრემლებისაგან დაჩვრეტილი საფლავები და „ზღვისა და ტანჯვისაგან დეფორმირებული მამაკაცები"...

მაგრამ ნიშნავს ეს იმას, რომ უწინდელმა პორტუგალიამ არსებობის უფლება ვერ მოიპოვა? არა, ეს ნიშნავს, რომ მას არა აქვს ბევრი საერთო დღევანდელობასთან, ყოველ შემთხვევაში, სურს განსხვავებული იყოს იმ „ახალი" ქვეყნისაგან, რომელსაც ასე აქებენ „საბაზრო ეკონომიკისა" და შოპინგის მოყვარულები.

ამ თანამედროვე პორტუგალიაში, ვინც შეძლო, XX საუკუნისათვის დამახასიათებელ ტემპს ყველამ შეუწყო ფეხი – ახალგაზრდები სწავლობენ, ქალები მამაკაცების მხარდამხარ და მათ თანაბრად მუშაობენ, ხოლო მოხუცები ღირსეულად ბერდებიან. ბოლოს და

ბოლოს, ისინი გაცილებით უკეთესად ცხოვრობენ, თუმცა მიუხედავად ამისა, ჩვენი კულტურა კვლავაც უცხოეთში გაქცევაზე ფიქრითაა გაჟღენთილი. ადამიანები ამ ქვეყანას, როგორც უძრავ, გაქვავებულ პეიზაჟს, აღიქვამენ, რომელიც ზღვის ნაპირას გახევებულ მოგზაურების, მეზღვაურების და ემიგრანტების საცხოვრებელს. და ასევე, როგორც საშინელი ბიუროკრატიის ქვეყანას.

ახლა ორიოდე სიტყვა იმის შესახებაც, თუ რითი შეიძლება პორტუგალიელები ამაყობდნენ. გვყავს ნობელიანტი მხატვრული ლიტერატურის დარგში და საერთაშორისო გამოფენა ლისაბონში. ეს თანამედროვე დედაქალაქი გადაჰყურებს დიქტატორ სალაზარის ხიდს, რომელსაც ახლა 25 აპრილის ხიდს უწოდებენ, მიხაკების დემოკრატიული რევოლუციის საპატივსაცემოდ.

ჩვენს მიერ ატლანტიკის უგულვებელყოფის შემდეგ ევროპამ დაგვსაჯა სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის განადგურებით. იგი არსებობის მეტად არქაულ ფორმად მიიჩნია იმ ქვეყნისათვის, რომელიც ასე სავსეა ტურისტებით.

საჭირო იყო ექვსი ათეული წელიწადი, რათა გვესწავლა არსებობა და ცხოვრება ბანანების ჩრდილის, მონების, ოქროსა და კოლონიების გარეშე. ჩვენ უარი ვთქვით მაკაოზე და გვეყოფა სინდისი, რათა ტიმორის დაბადებას მივესალმოთ.

უარყოფა – აი, რაც ისტორიულად ყველაზე კარგად გვეხერხებოდა. ჩვენ წინაპრების მსგავსად ვერსად ვერ წავალთ, ვინაიდან სად წავიდეთ? მხოლოდ იმის წარმოდგენა შეიძლება, რომ მივდივართ და ვბრუნდებით.

შეგიძლიათ ასეთი ქვეყნის წარმოდგენა?.....

*წერილის ავტორი კლარა ფერიერა ალვესი 1956 წელს დაიბადა. იგი მწერალი და ჟურნალისტია. ამჟამად ალვესი რედაქტორობს ლიტერატურულ ჟურნალ „ტაბაკერიას" და პარალელურად ფერნანდო პესოას საგამომცემლო სახლს ხელმძღვანელობს.*

*ბოლო დრომდე მწერალი რედაქტორობდა და გამოსცემდა ყოველკვირეულ ჟურნალ „ექსპრესს", სადაც მას ახლაც აქვს საკუთარი სვეტი, სათაურით „კაპრიზული კალმის წვერი". იგი წლების მანძილზე მუშაობდა საზოგადოებრივ ტელევიზიაში რეპორტიორად (სამხედრო რეპორტიორადაც), კომენტატორად, ლიტერატურულ კრიტიკოსად და იყო მრავალგვარი კულტურული პროგრამის ავტორი. ალვესის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ფილმის სცენარისა, რომლებიც პორტუგალიელ მწერლებს – ხოსე სარამაგს (ნობელის პრემიის ლაურეატი 2004 წელს – ა.გ.) და ხოსე კარდოზო პირესს ეძღვნება. ალვესმა 2001 წელს საკუთარი პუბლიცისტური ნაწარმოებების, ხოლო 2003 წელს – მოთხრობების კრებული, სათაურით „ქალბატონის ჩანთა და სხვა ისტორიები" გამოსცა.*

# სლავური დათვი – სლოვენიის წვლილი გაერთიანებულ ევროპაში



# სლოვენია (სლოვენიის რესპუბლიკა)

კავშირში გაწევრიანდა – 2004 წელს
დედაქალაქი – ლუბლიანა
მოსახლეობა – 1988 ათასი კაცი
ფართობი – 20273 კვ. კმ
მშპ ერთ მცხოვრებზე – 19300 აშშ დოლარი
მინიმალური ხელფასი თვეში – 524 ევრო
ძირითადი რელიგია – კათოლიკური
სახელმწიფო ენა – სლოვენური, ასევე სერბულ-ხორვატული
სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა – 75,2 წელი
სპორტის ძირითადი სახეობა – თხილამურებით სრიალი
ტემპერამენტი – სლავური სული და გერმანული გონება

სლოვენზე ეერ იტყვი, მეტისმეტად მოძრავიაო. იგი დროის უმეტეს ნაწილს უფრო ზის, ვიდრე მოძრაობს. ამის გამო მან თავისი ქვეყანაც კი ნაკლებად იცის, თუმცა სლოვენიის აღმოსავლეთ საზღვრიდან დასავლეთ საზღვრამდე მანძილის დაფარვას სამ საათზე ოდნავ მეტი დრო უნდა, ხოლო ჩრდილოეთიდან სამხრეთში მისვლას ამდენიც არ სჭირდება.

თითქმის მთელი თვის მანძილზე სლოვენები ლუბლიანას ეროვნული ბიბლიოთეკის წინ იდგნენ რიგში, რათა ბოლოს და ბოლოს შეეღწიათ მის ერთ-ერთ, არც თუ ისე ნათელ, დარბაზში. იქ სპეციალურად ამ მოვლენისათვის მოწყობილ ვიტრინაში დასვენებული იყო შუა საუკუნეების მანუსკრიპტი. კომუნისტური რეჟიმის დროს სლოვენები საკმაოდ მიჩვეულნი იყვნენ რიგებს – ხან შაქარზე იდგნენ ისინი, ხან ნახშირზე და ხანაც ხორცზე. ახლაც, დემოკრატიის პირობებში, სლოვენებს ზოგჯერ უხდებათ სილმე რიგში დგომა, - ხან ახალი ფილმის ბილეთებზე, ხან სპექტაკლის პრემიერის სანახაეად და ა. შ.

ამიტომ, ცოტა არ იყოს, გასაკვირი ჩანდა, თუ რა აიძულებდა ამ ადამიანებს ახლა ასეთ რიგში დგომას? ნამდვილად არც ვიტრინაში მოთავსებული ლიტურგიული ტექსტების კრებული და არც, მით უმეტეს, სასწრაფო კონტაქტი ღმერთთან ვერ მიიზიდავდა ასე სწრაფად ბიბლიოთეკასთან შეჯგუფებულ ამდენ ადამიანს. გაეითვალისწინოთ ისიც, რომ პერგამენტის ბარათზე ტექსტი დაწერილი იყო ძველსლოვენურ ენაზე, რომელსაც X საუკუნის ბოლოს იყენებდნენ.

ამ მოვლენას – თუმცა არა უშუალოდ – უნდა უმადლოდნენ სლოვენები ევროკავშირში გაწევრიანებას. მოვლენის არსი კი მდგომარეობს იმაში, რომ გერმანიის არქივმა სლოვენიას გადასცა აქამდე იქ შენახული სლოვენური კულტურის, უფრო სწორედ, დამწერლობის უძველესი ძეგლი – ეგრეთ წოდებული ფრიზინული ფრაგმენტი. იმ დღეებში სატელევიზიო გადაცემებში ხშირად ნახავდით მანუსკრიპტთან დახრილ პრეზიდენტს, პრემიერსა თუ ეკლესიის მეთაურს, რომლებიც უდიდესი ყურადღებით აკვირდებოდნენ უიშვიათეს ექსპონატს... გარკვეული აზრით გროტესკული სიტუაცია შეიქმნა, როდესაც იმ ენაზე დაწერილმა ტექსტმა, რომელზედაც პრაქტიკულად ვერავინ ვერ კითხულობს, გარდა რამდენიმე სპეციალისტისა, ასეთი დაინტერესება გამოიწვია... ვფიქრობ, ეს ამბავი გარკვეულად ამ ხალხის ხასიათზეც მეტყველებს.

კითხვაზე, თუ როგორი წარმოდგენის არიან სლოვენები იტალიელებზე, შვეიცარიელებზე, თუ ინგლისელებზე, შესაძლოა პასუხი არც არსებობდეს, რამეთუ სინამდვილეში სლოვენთა უმრავლესობამ არც კი იცის, თუ ეს ქვეყნები რუკაზე სად მდებარეობენ. ძალზე იშვიათობაა, როდესაც სლოვენი მიდის შეერთებულ შტატებში ანდა რომელიმე შორეულ ეგზოტიკურ ქვეყანაში. მაშინ ამოქმედდება სპეციფიური modus vivendi, როდესაც თითოეული მოხელე, რომლის წინაშეც მოგიწევს წარდგომა, ისე გიყურებს,

როგორც მსოფლიოს მერეე საოცრებას. გინდა, არ გინდა, ყოეელი დიალოგის დაწყება მოგიწევს მცირე პრეზენტაციით, დეტალების გახსენებით, რომელიც მოსაუბრეს შესაძლებლობას მისცემს მოკლე-მოკლე ნაწყვეტებით წარმოდგენა შეიქმნას ჩამოსულის სამშობლოს შესახებ. სამაგიეროდ, საერთო წარმოდგენა, როგორიც თავად სლოვენს აქვს საკუთარ თავზე, გაჟღენთილია ეროვნული სიამაყის დიდი გრძნობით. ამის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ მრავალი ათწლეულის მანძილზე გავრცელებული იყო იმის ღრმა რწმენა, რომ სლოვენია არის იუგოსლავიის ყველაზე განვითარებული და კულტურული რესპუბლიკა. ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში ამგვარი რწმენა შეცვალა იმ სიამოვნების შეგრძნებამ, რომელსაც სტატისტიკური მაჩვენებლების გაცნობა იძლევა. იქიდან აშკარად ჩანს, რომ ყველა იმ ქვეყანას შორის, რომლებიც ბოლოს შეუერთდნენ ევროკავშირს, სლოვენია მართლაც მაღლა დგას, მაგალითად, ისეთი მაჩვენებლის მიხედვით, როგორიცაა მშპ ერთ მოსახლეზე გაანგარიშებით. სწორედ ამ მაჩვენებლით მოაქვს ასეეე თავი მმართველ ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიასაც, რომელსაც საკუთარი თავი შეუცვლელ ლიდერად წარმოუდგენია. სლოვენისათვის დამახასიათებელია ისიც, რომ მიუხედავად დასავლური კულტურით აღფრთოვანებისა, იშვიათად ტოვებს სამშობლოს, არ ეძებს სამუშაოს და კარიერას უცხოეთში. ევროკავშირში გაერთიანებას ქვეყანა აღფრთოვანებით კი შეხვდა, მაგრამ სლოვენები დისტანცირებულნი არიან ბიუროკრატიული ბრიუსელის მიმართ. ის მოაგონებთ ბელგრადს, უფრო მეტიც – ვენას. სლოვენები ხომ გარდა ბოლო წლების დამოუკიდებლობისა, მრავალეროვნულ სახელმწიფოში ცხოვრობდნენ: თავდაპირველად ავსტრო-უნგრეთის

იმპერიაში, შემდეგ იუგოსლავიაში და, სკეპსისით უყურებდნენ ბიუროკრატიულ დაწესებულებებს.

ეროვნული სიამაყე ყოველთვის იყო სლოვენის არჩევანის არსებითი ფაქტორი. სახელდობრ აქედან გამომდინარეობს თუნდაც ის გარემოება, რომ თუმცა ქვეყანაში ღია საბაზრო ეკონომიკაა და მაგალითად, მრავალი ქვეყნის მსოფლიოში უაღრესად პოპულარული ლუდია აქ სარეალიზაციოდ შემოტანილი, მაგრამ სლოვენთა უმრავლესობა რესტორანში ვახშმობისას ადგილობრივი ცნობილი მარკიდან – ლაშკო და კაეშირი – ძირითადად ერთ-ერთს ირჩევს.

არც იმის დაეიწყება ეგების, რომ სლოვენთათვის მეტად დამახასიათებელია ბალანსირება ყოველივე უცხოურის გალმერთებასა და ადგილობრიეის მოწონებას შორის. სლოეენიაში იოანე პაელე II-ის ჩამოსვლა მის დაბადების დღეს დაემთხვა. სლოეენებმა მას „Happy Birtday to You" უმღერეს. პოლონელ პაპს აშკარად შეეტყო, რომ ეს მას არ ესიამოვნა.

იუგოსლავიური ერთობლივი სახელმწიფოებრივი მმართველობის დროს, როდესაც სლოვენიაში მრავალი სერბი, ბოსნიელი, ხორვატი, ალბანელი და მაკედონიელი მუშის ემიგრირება მოხდა, რომლებიც ძნელად ითვისებდნენ ადგილობრივ ენას, სლოვენებმა ამ ფაქტის თავიანთ სასარგებლო ინტერპრეტირება მოახდინეს: სლოვენური ენის სწავლა ისეთი ძნელია, რომ უცხოელებს მისი შესწავლა არ შეუძლიათ! ოდნავ მოგვიანებით, უკვე დამოუკიდებელ სახელმწიფოში, წარმოუდგენელი სასწაული მოხდა – მოულოდნელად ეს უაღრესად ძნელი ენა აითვისეს გერმანელებმა, ამერიკელებმა, და ბოსნიელებმა, უკვე აღარაფერს ვამბობ ახალ სერბებზე. ასე რომ, ეს რჩეული სლოვენური ენა, სლოვენთა წარმოდგენაში, – თითქმის ზეადამიანური – სულ ადვილად იქცა უბრალო, ჩვეულებრივ

ენად. სლოვენში სამყაროს ამ პრაგმატიკული აღთქმის უნარს ალშობს ნაციონალიზმის ელემენტები. ამჟამად სლოვენიაში არსებული უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური კონფლიქტი სლოვენებს ქსენოფობიის ზრდილს აყენებს. აი, მაგალითად, ლუბლინელები რეფერენდუმის მოწყობას მოითხოვენ, რომელზედაც ისინი უარს ეტყვიან ქალაქში მეჩეთის აშენებას. სახელმწიფოში, სადაც მკვიდრ მუსლიმანთა რიცხოვნობა 50 ათასს აჭარბებს, არ არსებობს არც ერთი მაჰმადიანური რელიგიის კულტის ობიექტი!

შემდგომი პარადოქსია ის, რომ მაჰმადიანები, რომლებიც თავიანთი ეთნიკური წარმოშობით ძირითადად ბოსნიელები არიან (თუმცა მათ მრავალადაა ასევე სლავური წარმოშობის მაჰმადიანიც), იძულებულები არიან თავიანთი რელიგიური პრაქტიკა კერძო ბინებში, ანდა საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში ჩაატარონ. უბრალო სლოვენისათვის ხომ ყოვლად წარმოუდგენელია, რომ თავის ისტორიულ სამკვიდრო მიწაზე ალაჰის სახლი იხილოს. თუმცა ისე არ წარმოიდგინოთ, რომ ქვეყანაში ადგილი ჰქონდეს რაიმე ანტიმაჰმადიანურ გამოვლინებებს, არ არსებობს რელიგიური მტრობის რაიმე ნიშანსახიც კი. ეს უბრალოდ აპრიორული წინააღმდეგობაა, რომელიც ახლა, ცხადია, დემოკრატიული რეფერენდუმის სამოსელში იმოსება, სადაც საკითხი ისე დაისმება, თითქოს მეჩეთის ლოკალიზაცია, ანუ მისი მაღალი კოშკი, დაამახინჯებს ქალაქის იერ-სახეს.

ცხადია, ეს შიში ირაციონალურია, რამეთუ სლოვენი მაჰმადიანები არა მხოლოდ საუბრობენ სლოვენურად, არამედ ისე არიან ასიმილირებულნი, რომ ერთი შეხედვით არც კი ეტყობათ მაჰმადიანობის რაიმე კვალი. ისინი ცდილობენ არც გამოაველინონ თავიანთი რწმენის რაიმე სიმბოლო. ამ პრობლემის წყარო იმის არქეტიპული შიშიდან გამომდინარეობს, რომ სლოვენი, თავისი მცირერიცხოვნობისა

და აგრესიული მეზობლების ზღვაში აღმოჩენის გამო (ერთ დროს იტალიური ფაშიზმი, გერმანული ნაციზმი), ფრთხილობს თუნდაც თავისი ეროვნულობის დაცვის გზით გადარჩეს. ამ შიშს დიდი ხნის ფესვები აქვს, რომელიც სხვადასხვა ეროვნულობის, რასისა თუ რელიგიის მატარებელი ხალხის აქ გადმოსახლებამაც გაამძაფრა.

ეჭვგარეშეა, პოლიტიკური წინააღმდეგობა მეჩეთების მშენებლობისადმი წინარე არსებულმა კომუნისტურმა რეჟიმმაც გაამძაფრა. მან განსაკუთრებით შეუწყო ხელი სლოვენში ამგვარი მენტალობის განვითარებას. მისთვის ხომ რელიგია მასების ოპიუმი, ადამიანთა გონების გამაბრუებელი საშუალება იყო. იგი ხომ ყოველმხრივ უშლიდა ხელს საკრალური ობიექტების მშენებლობას. და ეს თანაბრად ეხებოდა, როგორც კათოლიკურ, ისე მართლმადიდებლურ და მაჰმადიანურ რელიგიებს.

ეროვნულ იდეოლოგიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია სლოვენურ ბუნებას, რომლის მიმართაც ყოველ სლოვენს განსაკუთრებით ფაქიზი დამოკიდებულება აქვს და მთელი დედამიწის ზურგზე უმშვენიერესად მიაჩნიათ. იგი მისი მშვენებით ტკბება, როდესაც მრავალსართულიანი კორპუსის თავისი ბინიდან იყურება. მას სიამაყით ავსებს იმის გაფიქრებაც, რომ ქვეყნის სამხრეთით ტყეებში მშვიდად ნებივრობენ პოპულარული სახეობის სლოვენური ნადირები: დათვი, მგელი, კურდღელი, არწივი, გარეული თხები და სხვა მრავალი სახის ფრინველი თუ ცხოველი...

სახელდობრ, დათვი გახდა სლოვენიის მიერ შეტანილი წვლილი გაერთიანებულ ევროპაში: ბოლო წლებში საკმაოდ ბევრმა სლოვენურმა დათვმა გადაკვეთა პირენეი და ასევე ალპიის მთები და იტალიასა და ავსტრიაში გადავიდა.

წერილის ავტორი ბერნარდ ნეჟმაკი სოციოლოგიის დოქტორია. იგი უკვე მრავალი წლის მანძილზე დაკავშირებულია ჟურნალ „მლადინას" რედაქციასთან, სადაც სისტემატიურად ბეჭდავს თავის ფელეტონებს. ნეჟმაკი პარალელურად ლექციებს კითხულობს ლუბლიანას უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე და რამდენიმე წიგნის ავტორია. არც თუ ისე იშვიათად ნეჟმაკი წერილებს ბეჭდავს შეერთებული შტატების მასმედიაშიც. ჟურნალისტიკის სფეროში აქტიური მოღვაწეობისათვის ნეჟმაკს მიღებული აქვს მრავალი ჯილდო. იგი ხშირად გამოდის ადგილობრივ ტელევიზიაში ქვეყანაში თუ საზღვარგარეთ მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ანალიზით.



## ესტონეთი (ესტონეთის რესპუბლიკა)

კავშირში გაწევრიანდა – 2004 წელს
დედაქალაქი – ტალინი
მოსახლეობა – 1.43 მლნ
ფართობი – 45227 კვ. კმ
მშპ ერთ სულზე – 13348 აშშ დოლარი (2003 წლის მონაცემი)
მინიმალური ხელფასი თვეში – 240 ევრო
რელიგიური მრწამსი – ლიუტერანები
სახელმწიფო ენა – ესტონური (საუბრობენ ასევე რუსულად, უკრაინულად და ფინურად)
სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა – 70 წელიწადი
სპორტის პოპულარული სახეობა – კალათბურთი, თხილამურები
ჰობი – ხალხური სიმღერები (გერმანულის გავლენა)

ესტონეთს პოლონეთთან აკავშირებს არა მხოლოდ ტერიტორიული სიახლოვე, არამედ თავისი აბსურდის თეატრის მსგავსი ისტორიაც. ამასთან, ცხადია, მხოლოდ ახლა, როდესაც პერსპექტივაში შედარებით წყნარი ცხოვრება გველოდება, როდესაც ევროპა ცდილობს ერთხელ და სამუდამოდ გამოემშვიდობოს თავის სისხლიან ისტორიას, შეიძლება ამ ისტორიას აბსურდული ვუწოდოთ. იგი ხომ ჩვენი ქვეყნების მრავალი თაობისათვის წარმოუდგენელი ტრაგედიის მომტანი აღმოჩნდა.

მე არ მეგულება სხვა მეორე ისეთი ერი, გარდა ებრაელებისა, რომელსაც ასეთი დიდი ტრაგედია გადახდოდეთ თავს, როგორც პოლონელებს. თუმცა, თუკი მოვლენებსა და ციფრებს შევადარებთ, ანუ მოვლენებს პროპორციული თვალსაზრისით შევხედავთ, დავინახავთ, რომ ესტონელებსაც

მსგავს სიტუაციაში უხლებლად ცხოვრება. მე აქ მსედველობაში როდი მაქვს ის შვიდი საუკუნე, როდესაც ჩვენ გერმანელთა მოჯამაგირეები ვიყავით, როდესაც ჩვენი სამშობლო დამპყრობლური და მძარცველური ომებისაგან განადგურებული იყო. ასე შორს წასვლა არ დაგვჭირდება. მაგალითისათვის თუნდაც 1943 წლის ამბებიც იკმარებს. ამ წელს მხოლოდ ერთ ბრძოლაში გერმანელებმა საბჭოთა მხარეს მებრძოლი 10 ათასზე მეტი ესტონელი ჩახოცეს.

შეიძლება ვინმემ გაიფიქროს, რომ რა არის 10 ათასი არსება, როდესაც დღეს ამდენი ადამიანი ქალაქის მხოლოდ ერთ გარეუბანში ცხოვრობს. მაგრამ 10 ათასი დაღუპული ისეთი პატარა ერისათვის, როგორსაც ესტონეთი წარმოადგენს, ესაა მინიმუმ საუკუნის განმავლობაში შეუწყვეტელი სისხლმდენი ჭრილობა. დროის დაახლოებით ამხელა მონაკვეთი დასჭირდება, რათა ეს დემოგრაფიული ფანჯარა ამოივსოს.

სახელდობრ, აქედან იწყება ესტონური პარადოქსები.

ესტონელებმა აითვისეს სიცოცხლის ხელოვნება არსებობის საზღვარზე. გეოპოლიტიკის ლოგიკა ხომ მთელი ისტორიის მანძილზე ამ ერთმილიონიანი ერის წინააღმდეგ მუშაობდა (მოსახლეობის ასეთ რაოდენობას ესტონეთი XX საუკუნის დასაწყისში მიუახლოვდა). მეორე მხრივ, არსებობდა ისეთი ფაქტორებიც, რომელთა გამოყენებითაც ესტონელებს შეეძლოთ არ დაეკარგათ ეროვნული მეობა და გადარჩენილიყვნენ. ამ ფაქტორთა შორის, უპირველეს ყოვლისა, მოსახსენიებელია ესტონეთის მდებარეობა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქრისტიანობას შორის. რუსეთის თვალთახედვით ესტონეთი წარმოადგენს ხვრელს დასავლეთევროპული ქრისტიანობისაკენ, მაშინ, როდესაც დასავლეთის შეხედულებით, ესტონეთი ევროპის მოსაზღვრე სახელმწიფოა.

ახალი თაობის ერთ-ერთმა ცნობილმა მწერალმა ასეთი სახელიც მისცა თავის წიგნს „საზღვრისპირა სახელმწიფო". ესტონეთის ამგვარი მარგინალური მდებარეობა იწვევს იმას, რომ ჩვენთან ყველა პროცესი გაცილებით მაღალ ტემპებში მიმდინარეობს, ვიდრე ევროპის ცენტრში. ეს აზრი შეიძლება პარადოქსალურად მოგვეჩვენოს, მაგრამ ეს ნამდვილად ასეა.

არსებითად ევროპულმა მოდერნიზმმა, თავის საწყისს საფრანგეთის დიდი რევოლუციიდან რომ იღებს, ესტონეთამდე ნახევარი საუკუნის დაგვიანებით მიაღწია ბალტიელი გერმანელების საშუალებით. სწორედ იმ დროიდან იწყება ესტონელების მიერ რომანტიზმის მიღება-გადამუშავება. ამ სულისკვეთებით ჩამოყალიბდა XIX საუკუნის ბოლოს ესტონური ინტელიგენცია, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში უკვე ეროვნული სახელმწიფოს მოწყობის მოთხოვნაში გადაიზარდა.

ვინც თავს ძალას დაატანს, რათა ჩაუღრმავდეს ესტონური კულტურის სხვადასხვა გამოვლინებას, არ გაუჭირდება მათში მოიძიოს ევროპაში გავრცელებული თითქმის ყველა სახის ფილოსოფიური თუ მხატვრულ-შემოქმედებითი მიმდინარეობის მარცვლები, თუმცა საკმაოდ ემბრიონული სახით. ისტორიის მანძილზე ესტონელებმა შესძლეს, თუმცა, და ეს ჩვენ ზევითაც აღვნიშნეთ, იმყოფებოდნენ ორი ძალზე ძლიერი – გერმანულის და რუსულის გავლენის ქვეშ, შეენარჩუნებინათ თავიანთი ეროვნული თვითმყოფობა.

XIX საუკუნის ბოლომდე ესტონეთში ძირითადად ორი საზოგადოებრივი კლასი არსებობდა: ბალტიურ-გერმანული არისტოკრატია და ესტონელი გლეხები. ესტონელთა საზოგადოებრივმა შედარებითმა ერთფეროვნებამ ის გამოიწვია, რომ გლეხური საზოგადოების იმ ადათ-წესებსა და ტრადიციებს, რომლებიც XIII-XIV საუკუნეში ჩამოყალიბდა,

არსებითი გავლენა ჰქონდა ესტონელთა მენტალობაზე თითქმის XX საუკუნის დასაწყისამდე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზემოაღნიშნულ კლასთა შორის მხოლოდ თითოეულისათვის მისაღები საკუთარი ენა გამოიყენებოდა, კერძოდ, არისტოკრატიისათვის ეს იყო გერმანული, ხოლო პლებსისთვის – ესტონური. ამასთან, თუმცა პროტესტანტიზმის გავრცელება და ღვთის წმიდა სიტყვის წარმოთქმა ესტონურ ენაზე XVI საუკუნის დამლევს დაიწყო, მაგრამ ესტონურენოვანი მწერლობის ინტენსიურ განვითარებას მხოლოდ მას შემდეგ მიეცა ბიძგი, რაც ჩრდილოესტონურ დიალექტზე მთელი ბიბლია დაიბეჭდა და ხალხში გავრცელდა. დასავლეთ ევროპული სახელმწიფოების (მაგალითად, გერმანიის) ისტორიაში არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა პატარ-პატარა სახელმწიფოების გაერთიანებას. რაც შეეხება ესტონეთს, მისი პირველი ნამდვილი გაერთიანება მოხდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქვეყანაში მწერლობასა და ადამიანთაშორის ურთიერთობებში დომინირებული მდგომარეობა ჩრდილოესტონურმა დიალექტმა შეიძინა.

გლეხური საზოგადოების სერიოზულ გავლენას ეროვნული მენტალობის ჩამოყალიბებაში იმაშიც ვხედავთ, რომ ქრისტიანობის გვერდით პრაქტიკულად ჩვენს დღეებამდე შემორჩენილია მათი წარმართული ჩვეულებიც. სხვა ევროპელებმა უნდა იცოდნენ, რომ ესტონური ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან და სტატისტიკის თანახმად, ესტონელები ერთ-ერთი იმ ხალხთაგანია, რომლებიც ნაკლებად მისდევენ რელიგიურ პრაქტიკას. თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მათ ღმერთი არ სწამთ. მაგრამ ესაა გარკვეული გზა რწმენის დაკავშირებისა საკუთარ ინდივიდუალობასთან (ხომ საყოველთაოდ ცნობილია ესტონური ინდივიდუალიზმი) ნამდვილად ჭეშმარიტების შემცველელია გამოთქმა: „ესტონელმა ღმერთი თავის სახელ

შეჰქმნა" სხვა გამოთქმა შეეხება ესტონელის კავშირს ამინდთან: თუ დარია და ესტონელს საშუალება აქვს კარგად მოუაროს თავის საქონელს და დაამუშაოს მიწა, იტყვის: „ღმერთი ესტონელია", ხოლო თუ ავდარია და მით უმეტეს, გადაუღებლივ წვიმს, ანდა დიდხანს გრძელდება გვალვა, მაშინ ამბობენ: „ღმერთი ლატვიელია ან რუსი..."

ესტონურ საზოგადოებაში ქალს ყოველთვის მაღალი სტატუსი ჰქონდა. თუმცა ეს ისე თვალსაჩინო არაა, როგორც იტალიურ „familia"-ში, სადაც მას თითქმის მთელ ოჯახზე აქვს დამყარებული კონტროლი, მაგრამ მატრიარქატის კვალსა და ელემენტებს ჩვენ ადვილად შევნიშნავთ ესტონელთა ცხოვრებასა და წეს-ჩვეულებებში. აი, თუნდაც ამის ერთი მაგალითი: ესტონური ფოლკლორი ქალთა მიერ იმღერება და ქალური თვალსაზრისის გამტარებლად გვევლინება.

ესტონელებზე წარმართობის გავლენად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ისიც, რომ ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაში არ გვხვდებით ისეთ წესებსა და შეზღუდვებს, როგორსაც ადგილი აქვს მაგალითად, კათოლიკური ტრადიციების მატარებელ ხალხს შორის. ცხადია, ეს სრულიადაც არ ნიშნავს ამორალური ცხოვრების წესს, რომელსაც ხალხი ცხოველ წინააღმდეგობას უწევს. უბრალოდ იმის თქმა მინდა, რომ ესტონელთა საზოგადოებრივ შეგნებაში ქალი აღიქმულია როგორც მამაკაცის თანასწორი, პატივს სცემენ მის ღირსებასა და დამოუკიდებლობას.

რა დასკვნის გაკეთება შეგვიძლია ესტონელის მენტალობაზე დაკვირვების შედეგად? დასკვნები, რომელთა მიხედვითაც ორიენტირება შეეძლებოდა გაერთიანებული ევროპის ქვეყნების მოქალაქეებს?

პირველი ალბათ ის არის, რომ ესტონელთა ისტორიული გამოცდილება ძალზე მტკივნეულია, რის შედეგადაც ისინი მეტისმეტად არიან მიჯაჭული თავიანთ ისტორიულ მითებზე,

რომელთა საშუალებითაც ისინი ცდილობენ ჩანდნენ გაცილებით დიდები და მნიშვნელოვანნი, ვიდრე სინამდვილეში იყვნენ. ალბათ ყველა იცნობს ჩვენი რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტს მწერალ ლენარტ მერის, რომელმაც ევროპის საზოგადოების წინაშე გამოსვლისას ესტონელები წარადგინა როგორც კონტინენტის ერთ-ერთი უძველესი ხალხი, ხოლო ქვეყანა - როგორც უძლიერესი სახელმწიფო. ჩვენ უბრალოდ უფრო დიდებად უნდა მოვაჩვენოთ ჩვენი თავი, ვიდრე ვართ, თუ გვინდა, რომ ჩვენი ცხვირი ზღვის გაღმა დაინახონ.

ესტონეთის მტკივნეულმა ისტორიამ იმოქმედა ასევე იმაზეც, რომ ესტონელები ხშირად წუწუნებენ და ემდურიან თავიანთ ძნელბედობას. ჩვენ ამას თანაგრძნობით უნდა მივუდგეთ და გვქონდეს მხედველობაში, რომ თავიანთი რთული ისტორიის გამო ისინი ერთგვარ თანაგრძნობას მოითხოვენ. თუმცა წლის სამი მეოთხედის მანძილზე ესტონეთში გვიანი შემოდგომის ბურუსია ჩამოწოლილი და თუმცა უნგრელებთან ერთად ჩვენ თავში ვულგვევართ თვითმკვლელ ხალხთა სიას, მაგრამ სინამდვილეში სულის სიღმეში ჩვენ ოპტიმისტები ვართ.

ვისაც წაუკითხავს ალბერტ კამიუს ნაწარმოებები, იგი მიხვდება, თუ რა სახის ოპტიმიზმს ვგულისხმობ — ესაა აბსურდის, ადამიანის სასოწარკვეთილი ოპტიმიზმი. ეს არის ოპტიმიზმი, რომელიც ძალას აძლევს ადამიანს შეეგუოს ყველაზე შეუძლებელ პირობებსაც კი, რათა მოთმინებით დაელოდოს იმ დროს, როდესაც მას თავისუფლების პირობებში დამოუკიდებლად შეეძლება მოქმედება.

ესტონელები მთელი თავიანთი ისტორიის მანძილზე მიისწრაფოდნენ ამგვარი თავისუფლებისაკენ, თუმცა ისინი ამის შესახებ ძალიან ხმამაღლა როდი ყვიროდნენ. ეს უფრო ნაცარში შეფარებულ გახურებულ ქვანახშირს წააგავს და იგი თავს იჩენდა ხოლმე ეროვნულ სიმღერების მღერისას,

რომელსაც ასრულებს თითქმის ათასკაციანი ქორო. ეს თავს გამოჩნდებოდა ხოლმე აგრეთვე ესტონელთა შეუსვენებელი შრომის დროს, რომლის დროსაც ესტონელი ცდილობს მიაღწიოს კეთილდღეობასა და თავისუფლებას. მაგრამ ეს არის ერთადერთი გარანტია, რომლის საშუალებითაც ისინი ცდილობენ შეინარჩუნონ მშობლიური ენა, კულტურა და ეროვნული თვითმყოფადობა. აგრეთვე იმის უფლება და თავისუფლება, რომ თავად გადაწყვიტონ საკუთარი ბედი. ესტონელებთან ურთიერთობისას აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ჩვენი პირველი შთაბეჭდილება მათი ჩაკეტილობისა და უნდობლობის თაობაზე მხოლოდ მოჩვენებითია და რომ გაცნობიდან მცირე ხნის გასვლის შემდეგ ეს შთაბეჭდილება გაქრება და ჩვენ საქმე გვექნება ადამიანთან, რომელსაც ახასიათებს შუაევროპული მრავალმხრიობა, დინამიურობა და ელასტიურობა. ამაში დარწმუნებული არიან ჩვენთან დამოყვრებული ფინელები, რომელთათვისაც მხოლოდ ტალინში სტუმრობის შემდეგ იწყება ჭეშმარიტი ევროპა, ევროპა მთელი თავისი ელეგანტურობითა და სიცოცხლის სისავსით.

*სტატიის ავტორია რეინ ვეიდემანი, ცნობილი ესტონელი ლიტერატორი, კრიტიკოსი, ტარტუს უნივერსიტეტის პროფესორი, ესტონური ლიტერატურის კათედრის გამგე.*

# სადაც ზომას მნიშვნელობა არა აქვს



# მალტა (მალტის რესპუბლიკა)

კავშირში გაწევრიანდა- 2004 წელს
დედაქალაქი – ვალეტა
მოსახლეობა – 388 ათასი კაცი
ფართობი – 316 კვ. კმ
მშპ ერთ სულზე – 17717 აშშ დოლარი
მინიმალური ხელფასი თვეში – 584 ევრო
რელიგიური მრწამსი – კათოლიკეები
სახელმწიფო ენა – მალტური, ინგლისური
სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა – 78.2 წელი
სპორტის პოპულარული სახეობა – წყალში ყვინთვა

*მალტაში ყველაფერი შავ ან თეთრ ფერში უნდა იყოს წარმოდგენილი. აქ მხარს უჭერენ ეროვნული დამოუკიდებლობის ან შრომის (ლეიბორისტულ) პარტიას. სოფლური იდილიური ქიეფები აქ ან გაღმერთებულია, ან ეზიზღებათ. მალტის საზოგადოების ნახევარს მიაჩნია, რომ ევროკავშირის წევრობა ციური მანანაა, ხოლო მეორე ნახევარის აზრით, ეს პირდაპირ უბედურებაა ქვეყნისათვის.*

როდესაც მალტის ეროვნული ფეხბურთის გუნდი ამ ბოლო დროს გერმანელებთან ანგარიშით 0:7 დამარცხდა, აქაურ გაზეთებში მკითხველებმა დაიწყეს გამოგზავნა ისეთი წერილებისა, სადაც ფეხბურთელებისაგან მოითხოვდნენ მომავალში მაინც აღარ გამოსულიყვნენ მსგავს შეჯიბრებებზე და სირცხვილი არ ეჭამათ. ამავდროულად, ჯერ კიდევ ორი წლის წინათ, როდესაც მალტელებმა ფრე ითამაშეს ჩეხებთან, ჩვენი ფეხბურთელები ხალხის ერთი ნაწილისაგან ისე იყვნენ მიჩნეული, როგორც გმირები, რასაც აბსოლუტურად არ ეთანხმებოდა მეორე ნაწილი. მოკლედ, საზოგადოების ამ ორ

ნაწილს შორის კამათი ამ და მრავალ სხვა საკითხზე თავის მობეზრებამდე მიმდინარეობს უკვე მრავალი წელია. ამასთან, თუმცა მალტელები ერთმანეთს შორის ბევრს ჩხუბობენ და კამათობენ, მაგრამ ეს ყოველივე ისევე მთავრდება, როგორც იწყება, რადგან ალბათ არც შეიძლება, რომ თითქმის 400 ათასი ადამიანი, რომლებიც თავმოყრილნი არიან დაახლოებით 320 კვ. კმ კლაუსტროფობიით არ იყოს დაავადებული. ქვეყანაში, სადაც ერთადერთ ბუნებრივ სიმდიდრეს მისი მოსახლეები წარმოადგენენ, საღ გონებაზე დარჩენა ნამდვილ მიღწევად აღითქმება.

მალტელთა სტუმართმოყვარეობა და კაცთმოყვარეობა აოცებს აქ ჩამოსულ ტურისტს. საკმარისია მალტელს ჰკითხო რომელიმე ადგილის შესახებ, რომ იგი მყისვე შენს გიდად გადაიქცევა, მიგიპატიჟებთ თავის ავტომობილში და იქ თავად მიგიყვანთ. სტუმართმოყვარეობა, რომელიც მალტელებმა აღმოუჩინეს წმინდა პავლეს, ვისი გემიც კუნძულის სანაპიროებთან ჩაიძირა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 60 წელს, მოციქულთა წიგნებშია უკვდავყოფილი. მალტელები ტოლერანტულები არიან სხვა ერების, რელიგიების, კულტურათა მიმართ, თუმცა თავად გულის სიღრმეში ცხოვრების დასავლური წესის მოტრფიალენი არიან. ისინი იქნებ ბოლომდე საკუთარ თავსაც არ უტყდებიან, მაგრამ მათმა უმრავლესობამ რეფერენდუმზე ევროკავშირში გაერთიანებას დაუჭირა მხარი, რამეთუ სურდათ ბოლოს და ბოლოს, ერთხელ და სამუდამოდ დაემტკიცებინათ ევროპელებთან თავიანთი იდენტურობა. ის, რომ ერთ-ერთი ყოფილი პრემიერი დომ მინტოფი მუამარ კადაფისთან ფლირტაობდა, ასევე თავად გეოგრაფიული მდებარეობა მალტისა, რომელიც ლიბიიდან 250 კილომეტრითაა დაშორებული, ხდება იმის მიზეზი, რომ მალტელთა აღნიშნული იდენტურობა ევროპელებთან გარკვეულ უხერხულობას

იწვევს. თუმცა არც ისაა დასამალი, რომ არსებობს მრავალი თვისება, რომელიც ჩვენ დანარჩენ ევროპელთაგან განგვასხვავებს. ჩვენ ერთადერთი ევროპული ქვეყანა ვართ, რომლის მშობლიური ენაც, ფინიკიური, ლათინური ანბანით იწერება. ეს წარმოადგენს ფინიკიელთა დომინაციის გადმონაშთის ქრისტეს დაბადებამდე 800 წლის წინათ. კუნძულზე თითქმის ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით ქრისტეს წელთააღრიცხვამდე 5000 წლის წინანდელი კულტურისა და ისტორიის ნაშთებს. მალტა ერთგვარი ისტორიული მუზეუმია ღია ცის ქვეშ, რომელიც განსაკუთრებით იმითაა გამორჩეული, რომ თითქოს დრო გაქვავდა აქ. ისტორიის მანძილზე სხვადასხვა დამყრობებმა – იგივე ფინიკიელებმა, მალტის ორდენის კავალრებმა, არაბებმა და სულ ბოლოს, ბრიტანელებმა – თავიანთი კვალი დატოვეს აქ: ღირებულებათა სისტემების, მატერიალური კულტურისა და ა. შ. სახით. მიუხედავად ამისა, არაფერი ისე არ მეტყველებს მალტელთა შემგუებლობაზე გარეგან გავლენათა მიმართ, როგორც მათი უჩვეულო უნარი უცხო ენების ათვისებისა. თითქმის ყოველი მალტელი მალტურის გარდა, საუბრობს ინგლისურად და იტალიურად, ხოლო მრავალმა მათგანმა იცის ასევე ფრანგული და გერმანული.

ამასთან, მალტელები უაღრესად პატრიოტი ხალხია. დედამიწის ყოველ კუთხე-კუნჭულში შეიძლება მათ შეხვდე, სადაც რამდენი წელიც არ უნდა ცხოვრობდნენ, სამშობლოს გახსენებაზე ცრემლები მოსდით. ერთ-ერთი ჩვენი პოპულარული ანეკდოტი ამბობს, რომ მალტელები უფრო მრავალრიცხოვანნი რომ ყოფილიყვნენ, ადვილად დაიპყრობდნენ სიცილიას. ჩვენ განუწყვეტლივ დავცინით საკუთარ თავს, მაგრამ იმავდროულად ძალზე ნაწყენები ვრჩებით, როდესაც ამას უცხოელი აკეთებს. როდესაც ამ რამდენიმე წლის წინათ ჰოლანდიის ერთმა ფირმამ ჩვენს

ბაზარზე შემოიტანა პროდუქტი, რომლის რეკლამაც მალტელების ეროვნულ საფეხბურთო კლუბისათვის შეურაცმყოფელი იყო, ამას პასუხად ქვეყანაში დიდი საპროტესტო მოძრაობა მოჰყვა. ჩვენ ლომებივით ვიბრძოდით, რათა მალტური ენა ევროკავშირის ერთ-ერთ სალაპარაკო ენად გამხდარიყო. ამ მიზანს კი მივაღწიეთ, მაგრამ, როგორც ჩანს, ამით ხათაბალაში ამოვყავით თავი: მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ არა გვყავს იმდენი მთარგმნელი, რამდენიც საჭირო იქნებოდა ბრიუსელში სამუშაოდ გასაგზავნად.

**როგორც შეჰფერის ხმელთაშუა ზღვის აუზის მცხოვრებთ,** მალტელები გამუდმებით უკმაყოფილონი არიან: ისინი ხან გადასახადების სიდიდის გამო გამოთქვამენ თავიანთ გულისწყრომას, ხან მეტისმეტი სიცხით წუხდებიან, ხანაც ორმოებგაჩენილი გზების გამო წყრებიან და ა. შ. მოკლედ, მათ წუწუნს და ჩივილს საზღვარი არა აქვს. თუმცა, ამასთან, გულის სიღრმეში ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ სხვა ხალხები მათ ბევრ რამეში შენატრიან. საშუალო მალტელი თავის პირველ ავტომობილს 18 წლის ასაკში ყიდულობს, საკუთარი ბინისა თუ სახლის მფლობელია 24 წლისა, ხოლო 50 წლის ასაკში იგი უკვე კუნძულ გოსოსზე მეორე საკუთარი სახლის მფლობელია. უმუშევრობისა და დამნაშავეობის დონე ჩვენთან ძალზე დაბალია. მალტაზე არავინაა რეგისტრირებული, როგორც უსახლკარო ან მათხოვარი. კათოლიკური სარწმუნოების ერთგულნი მიმდევარნი, აღზრდილები ვართ უაღრესი ხელგაშლილობის ტრადიციებზე. ამ ბოლო დროს ერთმა ახალგაზრდა ქალიშვილმა გაზეთში განცხადება მისცა, რომლითაც თანხების შეგროვებას მოითხოვდა მის ანგარიშზე, რაც მას საშუალებას მისცემდა დიდ ბრიტანეთში კიბოს ოპერაცია გაეკეთებინა. ერთი კვირის მანძილზე იმდენი თანხა მოუგროვდა, რომ თავისუფლად

შეეძლო მთელი მსოფლიოს გარშემო კრუიზი განეხორციელებინანა!

ამასთან, მსგაესად მთელი დასავლეთ სამყაროსი, ჩვენთანაც თანდათანობით თავი იჩინა საუკუნეობით შემონახული ტრადიციების ეროზიამ. მალტელთა ერთი მეოთხედი განცალკევებით ცხოვრობს, მიუხედავად იმისა, რომ მალტაში, ფილიპინების მსგავსად განქორწინება კანონით აკრძალ·ულია. პარადოქსალურია, რომ როდესაც 1998 წელს ერთ-ერთმა ყოფილმა პრემიერმა ალფრედ სანტიმ გაბედა და განქორწინების თემა საკამათოდ წამოჭრა, თავისი საკუთარი პარტიის წევრებს შორისაც კი ვერ მოიპოვა მხარდაჭერა. თავად ის ფაქტი, რომ კათოლიკ·ურ მალტაში მან მოისურვა საკამათოდ გაესადა განქორწინების თემა, ცოდვად იქნა მიჩნეული მალტელთა მხრიდან. იქნებ მალტელები სრულიადაც არ არიან წმინდანები, მაგრამ ძალზე ცდილობენ საკუთარი თავის ასეთად წარმოსასვას. რათა თავიანთი რელიგიური მგზნებარება უფრო ნათლად წარმოაჩინონ, მალტელები წელიწადში ერთხელ აწყობენ თავიანთი მფარეველი წმინდანის დღეს. ყველაზე უკეთ ამ დღეს ჩანს მალტელთა ამგვარი ფსიქოლოგია. ვ·ფიქრობ ეს ყველაზე კარგად შენიშნა სახელგანთქმულმა მსახიობმა მადონამ, რომელმაც მალტაში ამ ბოლო გადაღებების შემდეგ განაცხადა ამის შესახებ. როგორც იტყვიან, პირდაპირ მიზანში მოარტყა! მართლაც ასეთი დღესასწაულების ღამეებში მალტა განათებულია ხოლმე სანთლებით, რომლის კვამლსაც ცაში ათეულობით ათასი ლირაც მიჰყვება. ქუჩებში ასობით მაღაზიაა დაკავებული ჰოტ-დოგებისა და ჩაშაქრ·ული ბამბების რეალიზაციით და ათასობით მთვრალი მალტელი ცეკვავს თავიანთი წმინდანის ქანდაკების ირგვლივ.

მალტელთა მეორე ნაწილი ამრეზით უყურებს ამ ყველაფერს.

*წერილის ავტორი ჰერმან გრეკი დაიბადა მალტაში, 1970 წელს. განათლებით ჟურნალისტია. ბოლო რვა წლის მანძილზე თანამშრომლობს მალტურ ჟურნალ „თაიმსთან". დაინტერესებულია პოლიტიკით და საზოგადოებრივი ცხოვრებით. მუშაობს ასევე ევროკავშირში ინტეგრაციის პრობლემებზე.*



# უნგრეთი (უნგრეთის რესპუბლიკა)

კავშირში გაწევრიანდა – 2004 წელს
დედაქალაქი – ბუდაპეშტი
მოსახლეობა – 10 მლნ კაცი
ფართობი – 93030 კვ. კმ
მშპ ერთ სულზე – 14572 აშშ დოლარი (2003 წლის მონაცემი)
მინიმალური ხელფასი თვეში – 254 ევრო
რელიგიური მრწამსი – კათოლიკები, კალვინისტები
სახელმწიფო ენა –უნგრული
სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა – 71.9 წელი
სპორტის პოპულარული სახეობა – ფეხბურთი, წყალბურთი

*ჩვენ, უნგრელები, ყველაზე ბოლოს მოვხვდით ევროპაში, ანუ აქ, სადაც ახლა ვიმყოფებით. ალბათ ამიტომაა, რომ ზოგიერთები ჩვენ, როგორც უცხოებს, ისე გვიყურებენ. ვინ იცის, იქნებ ეს იმითაა გამოწვეული, რომ ასეთ რთულ ენაზე ვსაუბრობთ.*

უნგრელები გამონაკლისი როდი არიან: ისინი ცდილობენ ხელიდან არ გაუშვან არც ერთი მეტ-ნაკლებად მრგვალი საიუბილეო თარიღი, რათა მას თუ თავისებურად არ აღნიშნავენ, ფიქრებში ჩასაღრმავებლად მაინც გამოიყენონ. საბედნიეროდ, უკვე აღარ არსებობს ძლიერთა ამა ქვეყნისათა მხრიდან ნების დართვის სისტემა, თუ ოფიციალურად რისი გლოვა შეიძლება და რისი – არა, რისი ზეიმი და რისი – არა. ანდა რომელი იუბილეს აღნიშვნა გვმართებს უაღრესი იდუმალებით, მხოლოდ ჩვენს გულებში.

2004 წლის დასაწყისში, როდესაც კონტინენტი ევროპის ჩემპიონატისათვის ემზადებოდა ფეხბურთში, მოხდა ისეთი

საოცარი ამბავი, რომელმაც ერთ-ერთ ერს ევროპისას, გერმანელებს, ისეთი გრძობა გაუჩინა, თითქოს ისინი ახლად დაბადებულიყვნენ, ხოლო სხვა ერს, ასევე ევროპულს, გულში ძველი წყენა გა·უახლა და გაუღეივა. ეს უკანასკნელნი კი უნგრელები იყვნენ, რომლებიც მთელ იმდროინდელ სამყაროს №1 ფეხბურთელ ერად მიაჩნდა. ჩვენმა ეროვნ·ულმა გუნდმა დაამარცხა აბსოლუტურად ყველა მოქიშპე, ამასთან, ძალზე უბრალო სტრატეგიის გამოყენებით: მნიშვნელობა არა აქვს, რამდენ გოლს გაგვეიტანენ, მთავარია ჩვენ ერთიით მეტი გოლი გავუტანოთ! რაც არ უნდა ვთქვათ, მთელი ათწლეულის მანძილზე ცნობილი იყო, თუ ვინ იყვნენ პუსკასი, კოსცისი, ჰაიდეკუტი, ჩიბორი, უფრო სწორედ კი ის, რომ ისინი უნგრელები იყვნენ. ამასთან მათ იცნობდა მილიონობით ადამიანი მთელ მსოფლიოში, მიუხედავად იმისა, რომ მათ წარმოდგენაც არა ჰქონდათ, თუ სად მდებარეობდა თავად უნგრეთი, ანუ ამ სპორტსმენთა სამშობლო, რამდენი უნგრელია დედამიწის ზურგზე, რას სვამენ და ჭამენ, ანდა რომელი ღმერთი სწამთ.

ის, რაც 1954 წლის 4 ივლისს მოხდა შვეიცარიის ქალაქ ბერნში, როდესაც უნგრელების მიერ პირველ ტაიმში 2:0 მოგებულ მატჩში საბოლოოდ გერმანელებმა ანგარიშით 3:2 მოიგეს, - უნგრელის ფსიქიკისათვის დაახლოებით ისეთივე დამთრგუნველი იყო, როგორც ათასი წლის წინათ აუგსბურგთან დამარცხება...

ოღონდ აუგსბურგთან, მდინარე ლეხის ნაპირას, მეფე ოტონ I-ს არმიამ განაცდევინა მადიარებს (უნგრელების ისტორიული სახელი) მწვავე მარცხი, რომელიც დღემდე ვერ აღმოფხვრილა ჩვენი ეროვნ·ული მეხსიერებიდან. სწორედ მაშინ დაგვესიზმრა ამბავი იმის შესახებ, თითქოს მხოლოდ ჩვენ მდებარეობაა საკმარისი იმისათვის, რომ ევროპისათვის აქამდე უცნობმა ხალხმა მუხლებზე დააჩოქოს ევროპის ყველა დანარჩენი და ამ

ადგილას მიწაში დიდი ხნით აღრე ღრმად ფესვგადგმული ხალხები. ხოლო შემდეგ უნგრელების ყოფნამ ევროპაში და აქ ფეხის მოკიდების მორიგი მცდელობა შეიძლება განისაზღვროს როგორც პერმანენტური გაუგებრობის ათასი წელი. რადგან სხვა რა შეიძლება დაერქვას მეტნაკლებად ოფიციალურ რეაქციას უნგრელობაზე და მასთან დაკავშირებულ მითებს, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ჩვენი სახე არც თუ ისე ჩვენგან განსხვავებულ ევროპელ ხალხს შორის? ამიტომ უჩვეულოდ რთულია პასუხი გასცე კითხვას იმის შესახებ, თუ როგორები ვართ ჩვენ, უნგრელები, საერთოდ? ასეთ სიტუაციაში ადამიანს აზრად სტერეოტიპები მოსდის ხოლმე. მაშასადამე, ჩვენი პირველი სტერეოტიპია ის, რომ ნიჭიერები ვართ. ისე, ამას სტატისტიკაც ამტკიცებს: უნგრეთის ათმილიონიან მოსახლეობას 12 უნგრული წარმოშობის ნობელიანტი ჰყავს. ეს კი, პროცენტული თვალსაზრისით, მთელ მსოფლიოში სარეკორდო მაჩვენებელია. უნგრელთა მეორე სტერეოტიპია ის, რომ სტუმართმოყვარენი ვართ. მოდით, კვლავ სტატისტიკას მივმართოთ. თუკი ჩვენს მოსახლეობას უნგრეთში ყოველწლიურად ჩამოსულ ტურისტთა რიცხოვნობას, 30 მილიონს, შევუფარდებთ, ამ სფეროშიც ლიდერებად წარმოვჩინდებით ისეთ ქვეყნებთან შედარებითაც კი, როგორებიცაა საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია და აშშ.

მესამე სტერეოტიპი ისაა, რომ ჩვენ ყველას მოხერხებულ ხალხად მივაჩნივართ. უნგრელზე ამბობენ, რომ კარები თუ დაკეტილი დახვდა, ფანჯრიდან გადაევლო. სხვა საქმეა, რომ უნგრელთა ამგვარ მოხერხებულობას, მაინც და მაინც, დიდი დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. უნგრელებმა ვერ მოახერხეს გამარჯვებულები გამოსულიყვნენ ვერც I და ვერც II მსოფლიო ომებიდან, თვალსაჩინო დადებით შედეგს ვერ აღწევენ დიპლომატიურ მოლაპარაკებებში თუ შეიარაღებულ კონფლიქტებში. უნგრელებმა მხოლოდ იმაში გამოიჩინეს

ტალანტი, რომ ყოველთვის იმ ხალხის მხარეზე დგებოდნენ, რომლებიც საბოლოოდ ანგარიშით მწეავე მარცხს იმწვნეევდნენ ხოლმე.

ყოველივე ამის შედეგია დღემდე გაგრძელებული ავადმყოფობა: ტრიანონი. ზუსტად ამ ადგილას 1920 წელს ხელი მოეწერა ტრაქტატს, რომლის ძალითაც უნგრელებმა დაკარგეს თავიანთი ისტორიული ტერიტორიის ორი მესამედი. სხვა საქმეა, რომ მიუხედავად ამ ადგილებში მთელი 900 წლის მანძილზე უნგრელთა სხვადასხვა ფორმით ბატონობისა, აქ ისინი არასოდეს არა ყოფილან უმეტესობაში და ხან მშვიდ და ხანაც მეტნაკლებად დაძაბულ ურთიერთობაში თანაცხოვრობდნენ აქ დამკვიდრებულ სხვა ხალხებთან. ამასთან ისინი მხოლოდ იმ დონემდე უსვამდნენ ხაზს თავიანთ პრიმატს, რომ ყველაზე დიდი უნგრელი რეფორმატორი და რევოლუციონერი, „ხალხთა გაზაფხულის" ბელადი ლაიოშ კოშუტიც კი არა ყოფილა იმის მომხრე, რომ თუნდაც ოდნავაც კი შეელახა მაშინდელ უნგრეთის ტერიტორიაზე მცხოვრები რომელიმე სხვა ხალხის უფლებები. არადა, მაშინ ხომ ეროვნული სახელმწიფოობრიობის ჩამოყალიბების კლასიკური პერიოდი იყო.

ამჟამად, როდესაც დადგა უნგრელებისათვის წმინდა დრო და ჩვენი ქვეყანა ევროკავშირში მიიღეს, თანდათან გავრცელდა აზრი იმის შესახებ, რომ ბოლოს და ბოლოს დავუბრუნდით ევროპას, ანუ იმ ადგილს, რომელსაც ოდესღაც დავშორდით, უფრო სწორედ, საიდანაც ოდესღაც გამოგვაგდეს. როგორც ჩანს, პირველი ევროპელები მიხვდნენ იმას, რომ უნგრეთი ევროპის განუყრელი შემადგენელი ნაწილია. დღემდე ამას ბევრი ვერ ხვდებოდა და ამის თაობაზე მხოლოდ უნგრელთა ინდივიდუალური მიღწევების ფონზე ჩაფიქრდებოდნენ ხოლმე. მაგალითად, ჩვენი მეცნიერების, რომლებიც დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში იყვნენ განსწავლულნი, ხოლო შემდგომ იქვე

ასწავლიდნენ, ჩვენი კომპოზიტორებისა და მუსიკოსების, ფილმების რეჟისორების, ასევე სპორტსმენების და სხვ. შემხედვარე, ანუ შემხედვარე წარმატებული ადამიანებისა, რომელთაც არა იმდენად ეროვნულობა, რამდენადაც შემოქმედება და პირადი ძალისხმევა ადამაღლებდა პიედესტალზე და სასურველ სტუმრებად ჰქმნიდა მსოფლიო სალონებისა. თუ ამ მოვლენას უფრო ჩაუღრმავდებით და გამოწვლილვით შევისწავლით, ვნახავთ, რომ მხოლოდ იმ ბიჭებმა, ზემოთ აღნიშნული ოქროს გუნდისა, შეძლეს სიცოცხლეშივე ქცეულიყვნენ ლეგენდად და მათ სახელსა და დიდებას გადაეკვეთა მათი სამშობლოს გეოგრაფიული საზღვრები.

არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ ჩვენი მსოფლიოში გასვლის გზაზე ყოველთვის არსებობდა უაღრესად მნიშვნელოვანი ბარიერი: ჩვენი ენა! სხვა ენებთან შედარებით უცხოდ მჟღერადი, ენა, რომელიც არ მიეკუთვნებოდა არც ერთი ევროპული ოჯახის ენას. ეს უაღრესად რთული შესასწავლად უცხოელთა მიერ, ყოველთვის ხელს გვიშლიდა მათთან ურთიერთობებისას: უფრო აძნელებდა, ვიდრე ამარტივებდა კონტაქტების დამყარებას, უცხოელებთან დაახლოებას და სხვ. ამ ენის არტახებში მოქცეულები, ჩვენც კი, თავად უნგრელები, ვერ ვგრძნობთ თავს ლაღად. ამასთან ყოველი ჩვენი მცდელობა მისი მოდერნიზაციისა, ჩვენი სრული იზოლირებით მთავრდებოდა.

ასეა დღესაც. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსალურ სიტყვებს ახალი ურთიერთგაგების ენისას ვიგებთ ქარის სისწრაფით და მათ მივმართავთ დედამიწის ყოველი მიმართულებით, ჩვენ კვლავაც განვაგრძობთ არსებობას ამ გამოქმათა აკუსტიკის ტყვეობაში, კვლავაც განვაგრძობთ გაუნგრულებული, ფონეტიკურად მჟღერადი სიტყვათა სახეცვლილებების შექმნას, თუმცა ისინი წუთითაც კი არ

ჩერდებიან ჩვენს სასაუბრო ენაში. როდესაც ვუყურებ უმაგალითოდ მშვენიერ ბუდაპეშტს, ორმილიონიან დედაქალაქს, რომელიც ჩვენი ქვეყნის გარკვეულ სიმბოლოს წარმოადგენს, მიუხედავად ყველაფრისა, უნდა ვაღიარო, რომ სწორედ აქ მთავრდებოდა და მთავრდება დასავლეთის საზღვარი. ამასთან, თუ შევხედავთ ჩვენს პროვინციებს, სოფლებს, გზებს, ხალხის ჩაცმულობას და ასევე იმას, თუ როგორ და რითი იკვებებიან ეს უკანასკნელნი, წარმოიშვება საკმაოდ საფუძვლიანი კითხვა: ჩვენ უფრო ბალკანეთის კარიბჭესთან ხომ არ ვიმყოფებით?

კითხვაზე იმის შესახებ, თუ რა იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენიც და მსოფლიოს ბედისწერაც II მსოფლიო ომის შემდეგ სხვანაირად დალაგდებოდა, ვერასოდეს ვერ მივიღებთ პასუხს: მსგავსად იმ ისტორიის საწინააღმდეგო კითხვაზე, თუ როგორ დალაგდებოდა ჩვენი ბედისწერა, თუკი თავის დროზე უნგრელები თავიანთ მომავალს უფრო გერმანელი ხალხის რომაულ სამეფოს და მათ მემკვიდრეებს დაუკავშირებდა? საინტერესოა მაშინაც ასევე დიდი ხნის მანძილზე მოგვიწევდა დასავლეთის საზღვრად ყოფნა, ევროპის მის მოსაზღვრე რაიონად, სადაც არასოდეს არ წყდება ბრძოლები?

ერთი რამე კი ნამდვილად ნათელია: XXI საუკუნის დასაწყისში, პირველად იმ დროიდან, როდესაც მადიარები კარპატების თხემებზე დასახლდნენ, იწყება საზღვრების ჩაკეტვა, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, გამოიხატება შლაგბაუმების დაყენებით, საბაჟო სამსახურებითა და პასპორტებში ბეჭდის ჩამრტყმელი ბიუროკრატიით.

ახლა, თუმცა ჩვენსა და დანარჩენ ევროპას შორის ამგვარი საზღვრები აღარ იარსებებს, მაგრამ კვლავაც მნიშვნელოვან კითხვად რჩება, როდის შეწყვეტს ის საზღვარი არსებობას, რომლებიც წარმოშობილია ადამიანთა შორის შიშით, შურით, ეჭვებითა და ა. შ.?

წერილის ავტორი ივან ლიპოვეცი დაიბადა 1946 წელს. განათლებით ეკონომისტია. იგი წლების მანძილზე (1979-1985 წლები) მუშაობდა გერმანიაში უნგრეთის რადიო-ტელევიზიის კორესპონდენტად. 1988 წლიდან ლიპოვეცი მუშაობს პოლიტიკურ-ეკონომიკური ყოველკვირეული ჟურნალის „HVG"-ს მთავარ რედაქტორად. იგი პარალელურად გამოსცემს ალმანახს „Tenyek konyve"-ს (ფაქტების წიგნი), რომლის რედაქტორიც თავადაა. ამჟამად ლიპოვეცი არის ასევე პრესის საერთაშორისო ინსტიტუტის (IPI) უნგრეთის სექციის ხელმძღვანელი და უნგრეთის ჟურნალისტთა კავშირის აღმასრულებელი საბჭოს წევრი.

# ხის ფოთოლი ზღვაში



## კვიპროსი (კვიპროსის რესპუბლიკა)

კავშირში გაწევრიანდა – 2004 წელს
დედაქალაქი ნიქოზია
**მოსახლეობა** – 755 ათასი კაცი
**ფართობი** – 9251 კვ. კმ
**მშპ ერთ სულზე** – 17939 აშშ დოლარი (2003 წლის მონაცემი)
**რელიგიური მრწამსი** – მართლმადიდებლობა, ისლამი
**სახელმწიფო ენა** – ბერძნული, თურქული, ასევე ინგლისური
**სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა** – 77 წელი
**სპორტის პოპულარული სახეობა** – ფეხბურთი, ტანვარჯიში

*„არის ასეთი პოპულარული გამოთქმა: დასვი ორი ბერძენი მაგიდასთან და არანაკლებ ოც აზრს მაინც მოისმენ ერთსა და იმავე თემაზე. ზუსტად ასეთ სიტუაციაა ამჟამად კვიპროსში" - იორგოს სტილიანოუ.*

ენებიანობა და ხმელთაშუა ზღვის ტემპერამენტი – აი, ის ორის სახის ეროვნული ხასიათი, რომელიც კვიპროსელთათვისაა დამახასიათლებელი. ზუსტად, ამ ხასიათით იყო გამოწვეული, რომ ევროკავშირში შესვლის წინ, ანუ ამ პრობლემაზე ჩასატარებელ რეფერენდუმამდე, ყველგან საჩაიეში, კაფეში, საპარიკმახეროში, სხვა საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში თუ ოჯახებში, ყველგან ამ საკითხზე იყო კამათი. ტელევიზია მხოლოდ ამ დებატებითცოცხლობდა, პრესაც მათით იყო აჭრელებული.

ცხადია, კვიპროსის კონფლიქტის ორივე მხარეს მცხოვრები ხალხი (ჩრდილოეთით მცხოვრები თურქები და ბერძენი კიპრიოტები) თანაბრად როდი იწონებდა კუნძულის ასეთ მომავალს. გაეროს შესაბამისი დოკუმენტის თანახმად უნდა მომხდარიყო კუნძულის გაყოფა და ევროკავშირში იგი ერთიანი სახელმწიფოს სახით უნდა შესულიყო. მიუხედავად ამისა, კოფი ანანის გეგმა, ანუ დოკუმენტი, რომელიც 9 ათას გვერდს ითვლიდა, მაინც გავიდა რეფერენდუმზე, ანუ ორად გაყოფილ რეფერენდუმზე კუნძულის ორივე მხარეს. კვიპროსელმა თურქებმა, ხედავდნენ რა ევროკავშირში გაერთიანებაში მრავალ სარგებელს, ხმათა უმრავლესობით დაუჭირეს მხარი კვიპროსის კავშირში შესვლას.

სრულიად საპირისპირო სურათს ჰქონდა ამ მხრივ ადგილი კუნძულის ბერძენ მოსახლეობაში. აქაურ ბერძენთა უმრავლესობამ მიიჩნია, რომ გაეროს გეგმა არ იყო სამართლიანი, რადგან მათთვის მისაღები ფორმით არ არეგულირებდა კუნძულის უსაფრთხოებას. კერძოდ, თუმცა მისი მიხედვით განსაზღვრული იყო კუნძულზე დისლოცირებული 35 ათასიანი თურქული ჯარის თანდათან შემცირება, მაგრამ გეგმა მის კუნძულზე არსებობას მაინც უშვებდა. სახელდობრ, ეს საკითხი ერთ-ერთი გადამწყვეტი გახდა, რომ აქაურ ბერძენთა უმრავლესობამ კუნძულის ევროკავშირში გაერთიანების წინააღმდეგ მისცა ხმა.

კვიპროსელი ბერძნები – როგორც პოლიტიკოსები, ისე ჩვეულებრივი მოქალაქეები ახლა ჩაფიქრდებიან ხოლმე იმაზე, თუ რა მოუსერხონ არჩევნების უარყოფი შედეგებს, რომელმაც უკმაყოფილება გამოიწვია როგორც ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, ისე შეერთებულ შტატებში. ამ საქმეში ყველა აქტიურად ჩართული მართლაც დიდი გამოწვევის წინაშე დადგა: როგორ მოახერხონ კონფლიქტის დარეგულირება, ბოლომდე მიიყვანონ კუნძულის

გაერთიანების საქმე და ნორმალური ცხოვრების პირობები შექმნან 9200 კვადრატული კილომეტრი ფართობის მქონე კუნძულზე.

ისე, ამ საკითხის გადაწყვეტა გარკვეულწილად პოლონელზეცაა დამოკიდებული. სწორედ პოლონელი ვლოსოვიჩი, ვარშაველი დიპლომატი, ხელმძღვანელობს კვიპროსზე გაეროს მისიას. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მან მოლაპარაკებების არაერთი რაუნდი ჩაატარა და შესაძლებლობის ფარგლებში თავის კვიპროსელ სტუმრებს (კუნძულის ორივე მხრიდან) გემრიელ პოლონურ სამზარეულოს აცნობდა ხოლმე. სამწუხაროდ, მიუხედავად მრავალი ასეთი ლამაზი შეხვედრისა, მათ მაინც და მაინც დიდი გავლენა არ მოუხდენია მოლაპარაკებების მსვლელობაზე.

**მოდით ახლა ორიოდე სიტყვა ვთქვათ უშუალოდ ჩვენს ქვეყანასა და თავად ჩვენზე;**

ჩემი სამშობლო თუმცა არც ისე დიდია, მაგრამ მისი ისტორიის, რომელიც 9 ათას წელიწადზე მეტს ითვლის, კვალი მთელ კუნძულზეა მიმოფანტული. ყველგან შეხვდებით უძველესი ბერძნული თუ რომაული ნაგებობების ნაშთებს, ვენეციური ციხე-სიმაგრეების ნანგრევებს, ბიზანტიურ ეკლესიებსა და მაჰმადიანურ მეჩეთებს; ყველანი ჰარმონიულად ერწყმიან ერთმანეთს, და ამასთან, ზოგიერთი მათგანი ერთმანეთისაგან სულ რამდენიმე მეტრითაა დაშორებული.

ზენონი, სტოიციზმის შემოქმედი, უძველეს ქალაქ კიტიონში დაიბადა, რომელიც მდებარეობდა დღევანდელ ქალაქ ლარნაკთან ახლოს, კუნძულის სამხრეთ ნაწილში.

ერთი უძველესი ანტიკური მითის თანახმად, სილამაზისა და სიყვარულის ქალღმერთი, აფროდიტა, მოგვიანებით რომაელებმა ვენერად რომ გადანათლეს, დაიბადა ზღვის ტალღებიდან უჩვეულოდ ლამაზ ადგილას, სადღაც დღევანდელი

ქალაქების, ლიმასოლისა და პაპჰოსის შორის. ამრიგად, სწორედ ის აძლევს სიამაყის საფუძველს კვიპროსელ ბერძენს, რომ სახელდობრ, ამ ადგილებიდან იწყებს სათავეს თანამედროვე ცივილიზაცია, რომელიც დღეს დასავლეთევროპულ ცივილიზაციადაა ცნობილი. სიამაყის ეს შეგრძნება და ასევე ჩვენი ენებიანი ხასიათი, რომელსაც თითქმის ყველა საქმიდან გამოსჭვივის, ზოგჯერ გადადის სიჯიუტეში, სიკერპესა და იმის რწმენაში, თითქოს ყველაფერში ჩვენ ვიყოთ მართლები. ზოგჯერ ისეც ხდება ხოლმე, რომ ჩვენი ამ ხასიათის გამო ზოგი მქადაგებლის ეთიკეტითაც კი გვამკობს. თუმცა, მე ვფიქრობ, რომ ადამიანები ხშირად ყველას საკუთარი არშინითა ზომავენ, მაგრამ ჩვენს ირგლივ არსებული სინამდვილე ხომ მხოლოდ შავ-თეთრი არაა. თუმცა, ყოველ სტერეოტიპშია ჭეშმარიტების მარცვალი, გადაჭარბებული იქნებოდა იმის მტკიცება, რომ სიამაყისაგან წარმომდგარი სიჯიუტე, ეს ის თვისებაა, რომელიც ყველაზე მეტად ახასიათებს რიგით კვიპროსელს. ჩვენ ხომ მრავალი საუკუნის მანძილზე შევძელით გაგვეძლო აურაცხელი მოძალადისათვის ზუსტად იმის წყალობით, რომ ვაცნობიერებდით, თუ რამდენი რამის მიღწევა შეგვეძლო სიჯიუტით. ამასთან, თუმცა არა ყოველთვის, ვიცოდით, თუ როდის გავეჯიუტებულიყავით და როდის დაგვეყარა ფარ-ხმალი.

**ჩვენი ხასიათის გამოწრთობაში კუნძულის კლიმატსაც ასევე დიდი წვლილი აქვს შეტანილი.** ისევე როგორც ჩვენი ისტორია, უამინდობაც დროდადრო გვაძლევდა ხოლმე ნიშანს. აქ საკმაოდ ხშირად გვესტუმრება ხოლმე გვალვა მთელი თავისი შესაძლო შედეგებით და არც თუ იშვიათად, რამდენიმე წელი გრძელდება. ადრეულ ეპოქებში იგი შიმშილისა და ეპიდემიების გამომწვევი მიზეზი ხდებოდა, ახლა კი მოსახლეობის წყლით მომარაგებას ართულებს. თუმცა

ქამიდან-ქამზე დამდგარ გვალვას ზოგჯერ სასიამოვნო მხარეც აქვს: სწორედ მისი წყალობით ვართ შედეგიანი და ორგანიზებულნი.

ამასთან, გვალვები, სირთულეების გარდა, მწვავე მზის სხივებსაც ნიშნავს, რისი წყალობითაც ჩვენი ქალაქების ვიწრო და მიხვეულ-მოხვეულ გზებზე გამოჩნდება ხოლმე კმაყოფილი სახეები. აქ მზე წელიწადში 300 დღეზე მეტი ანათებს, როდესაც შეიძლება ლივლივი ხმელთაშუა ზღვის კამკამა ტალღებზე. ცხადია, კვიპროსელთა უმრავლესობა ერიდება ზამთრობით ზღვაში ბანაობას. საშური რაა, ზღვა ხომ სხვა დროსაც აქაა, ისევე, როგორც ჩვენი მთები. ანუ იმ პერიოდებში, როდესაც, როგორც ჩვენ ვეძახით, კარგი სეზონი დგება.

რაც შეეხება სპორტს, ამ სფეროში ჩვენ გარკვეულად ცალმხრივები ვართ. ჩვენთან, თუმცა პოპულარულია ფეხბურთიც, ფრენბურთიც და კალათბურთიც, მაგრამ კვიპროსელები ჭეშმარიტად მხოლოდ ფეხბურთის გულშემატკივრები არიან. იმ 13 შეხვედრას, რომელსაც ამ სეზონში ჰქონდა ადგილი 144 ათასამდე მაყურებელი დაესწრო. ეს კი ისეთი პატარა ქალაქისათვის, როგორიც ჩვენია, მართლაც რომ მაღალი მაჩვენებელია. აქაური გულშემატკივრების მიერ გაღმერთებული არიან თავიანთი ფეხბურთელები. თქვენ ალბათ, გაგიგიათ ფეხბურთელ მიხაილის კონსტანტინოუსის სახელი. იგი ახლა ათენის პანატინაიკოსში თამაშობს.

**ვინც კი კუნძულზე ყოფილა, ყველა აქებს აქაურ სამზარეულოს და კვიპროსელთა სტუმართმოყვარეობას.** ქვეყანა ცნობილია ასევე მშვიდი და წყნარი ოჯახური ცხოვრების წესითაც. ესეც კვიპროსელთა ყოფა-ცხოვრების ერთ-ერთი მხარეა.

კუნძული მდებარეობს სამ კონტინენტს (ევროპა, აზია და აფრიკა) შორის გზების გასაყარზე, ეს კი კვიპროსისათვის

საფრთხის შემქმნელი იყო. თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ ასეთი მდებარეობის გამო ,,მწვანე-ოქროს ფერი ფოთოლი, რომელიც ზღვაში ჩავარდნილა", როგორც მას ჩემი თანამემამულე პოეტი უწოდებს, როგორც ამ ქვეყნის მკვიდრთ, ასევე მის სტუმართ, ცოტ-ცოტა ყველაფერი გვაქვს.

**ვფიქრობ, ყველაზე უკეთ ის გაგვიგებს, ვინც ცოტა ხანს მაინც გაატარებს კვიპროსში. ამისათვის კი კუნძულზე სტუმრობაა საჭირო. იმედი გვაქვს, გვინახულებთ.**

*წერილის ავტორი იორგოს სტილიანოუ დაიბადა 1971 წელს. განათლებით ჟურნალისტია. მან პროფესიული საქმიანობა, როგორც პრესის თანამშრომელმა, 1993 წელს დაიწყო, ხოლო შემდეგ სამუშაოდ გადავიდა კერძო ტელევიზიაში. ამჟამად იგი კვიპროსში პოპულარული ჟურნალის ,,ფილელეპტოროსის" თანამშრომელია. ჟურნალში განსაკუთრებით ხშირად ქვეყნდება წერილები ევროკავშირის შესახებ.*



# სლოვაკეთი (სლოვაკეთის რესპუბლიკა)

კავშირში გაწევრიანდა – 2004 წელს
დედაქალაქი ბრატისლავა
მოსახლეობა – 5,4 მილიონი
ფართობი – 49035 კვ. კმ
მშპ ერთ სულზე – 13469 აშშ დოლარი (2003 წლის მონაცემი)
მინიმალური ხელფასი თვეში – 215 ევრო
ძირითადი რელიგიები – კათოლიკური, პროტესტანტული
სახელმწიფო ენა – სლოვაკური
სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა – 74,2 წელი
სპორტის ძირითადი სახეობები – ჰოკეი, თხილამურებით სრიალი
ჰობი – ხალხური სიმღერები
ტემპერამენტი – ოლიმპიური სიმშვიდე

სლოვაკეთი პატარა ქვეყანაა, მაგრამ სამაგიეროდ ღარიბი ამბობს ერთი ცნობილი იუმორისტი. ამასთან, ეს ქვეყანა საკმაოდ ახალგაზრდაა და ყველაფერი წინ აქვს. იგი ჯერ მხოლოდ 12 წლისაა და ამიტომ იქცევა ასე - ყრმასავით. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ, როგორც ბლაპრებში იტყვიან, ვინც წლობით იზრდება, იგი ყოველდღიურად იზრდება.

ყველაზე მძიმე წუთები ჩემს ქვეყანას 1993 წელს ჰქონდა, ანუ თავის დაბადების დღეზე, როდესაც იგი ერთიან სახელმწიფოს, ჩეხოსლოვაკიას გამოეყო. მაშინ ბევრი სლოვაკი ამბობდა, რომ ბავშვი ჯერ კიდევ ჩვილია საიმისოდ, რომ დამოუკიდებელი ცხოვრება შესძლოს. სხვა აზრის იყვნენ სლოვაკი ნაციონალისტები, რომელთა თანახმადაც, ქვეყანა არა თუ პატარა და სუსტი არ იყო, იგი გახლდათ საკმაოდ ძლიერი და წარმოუდგენლად სიცოცხლისუნარიანი.

ჭეშმარიტება კი სადღაც შუაში მდებარეობდა. ახალი სახელმწიფო სრულიად ჩვეულებრივი იყო, თუმცა იქცეოდა როგორც პატარა ბავშვი, რომელიც დასაწყისში ღიზიანდებოდა იმის გამო, რომ მას განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევდნენ.

იმ პერიოდში ამ ბავშვს ქვეყანაშიც და მთელ მსოფლიოშიც წარმოადგენდა პრემიერი და სლოვაკეთის დემოკრატიული პარტიის ლიდერი ვლადიმერ მეჩიარი, რომელიც განსაკუთრებით სლოვაკებს არწმუნებდა იმაში, რომ იგი ხალხის რჩეული იყო. მეჩიარი საზღვარგარეთული ოფიციალური ვიზიტების დროს ცდილობდა ყველა შეეშინებინა იმით, რომ თუ დასავლეთი საკმარის დახმარებას არ გაგვიწევდა, მაშინ სლოვაკეთი აღმოსავლეთისაკენ იბრუნებდა პირს. ამასთან, იგი იმასაც ამბობდა, რომ მიუხედავად იმისა, თუ როგორ წავიდოდა მოვლენების განვითარება, ჩვენი ქვეყანა მაინც მოიგებდა, რადგან მას შეეძლო ერთგვარი ხიდის როლის შესრულება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ბოლოს აღმონდა, რომ ამ აკვედუკისა კი არა, ბეწვის ხიდის როლის შესრულებაც ვერ შეძლეს და ყველამ ზურგი შეგვაქცია.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობის ერთ-ერთ უმთავრეს მოთხოვნას დემოკრატიის მაღალი დონე წარმოადგენს, მაგრამ სწორედ აღნიშნული სფერო იქცა მეჩიარის მთავარი პრობლემა. პრემიერი კანონებს თავის შეხედულებისამებრ ეპყრობოდა და მათ საკუთარი საჭიროებისდა მიხედვით იყენებდა. პრემიერი ცრუობდა და საკუთარ ხალხსაც და მსოფლიო საზოგადოებრიობასაც ატყუებდა. ამ უკანასკნელმა ახალგაზრდა სლოვაკი სახელმწიფოს მიმართ საყვედურების გამოთქმა დაიწყო. მეჩიარმა პირობა დადო, რომ გამოსწორდებოდა, მაგრამ,

როგორც იტყვიან, ძაღლის კუდი არ გასწორდებაო და ვერც მან შესძლო გამოსწორება.

ყოველივე ამის ფასს ახლა ჩვენ ყველანი ვიხდით. 1997 წელს სლოვაკეთმა, განსხვავებით თავისი მეზობელი პოლონელების, ჩეხების და უნგრელებისაგან, ვერ შეძლო ნატოში გაწევრიანების პირველ ტალღაზე მოხვედრა. უმწვავესი პრობლემები მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი გადასაჭრელი გახდა. სერიოზული პოლიტიკოსები და მათთან ერთად, უცხოელი ინვესტორებიც გვერდს უქცევდნენ ჩვენს ქვეყანას.

ცვლილებები მხოლოდ 1998 წლის არჩევნებიდან დაიწყო, როდესაც ქვეყანაში ნამდვილი დემოკრატიული პროცესები წავიდა. მეჩიარმა არჩევნები წააგო არა მხოლოდ მაშინ, არამედ შემდგომ, 2002 წელს, საპარლამენტო და 2004 წელს – საპრეზიდენტოც. ამიერიდან საერთაშორისო პოლიტიკაც უფრო კეთილგანწყობილი გახდა სლოვაკეთის მიმართ. 2004 წელს ჩვენ მიგვიღეს ნატოში, ხოლო 2005 წელს – ევროკავშირში.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, ქვეყანაში შემორჩენილია ისეთი შეხედულება, თითქოს სლოვაკებს ყველა ატყუებდეს. ვითმენდით, როდესაც უნგრელებთან ერთად ერთ სახელმწიფოს წარმოვადგენდით, ვითმენდით მაშინაც, როდესაც ავსტრიელებთან ერთად შევადგენდით ერთიან სახელმწიფოს და მაშინაც კი, როდესაც სახელმწიფოს ნაცისტები და კომუნისტები (მეორე მსოფლიო ომის დროს) ხელმძღვანელობდნენ. საბედნიეროდ, მხოლოდ პოლონელებთან არ შეგვექმნია რაიმე პრობლემა – ამას ჩვენი ყველაზე დიდი ნაციონალისტებიც კი აღიარებენ.

ვითმენდით ყოველთვის და მომავალშიც არაერთი რამის მოთმენა მოგვიწევს, რამეთუ ჩვენ წამებულთა ერი ვართ. ჩვენ დაჩაგრულები ვართ, მიაჩნიათ სლოვაკებს, როგორც

ისტორიულად, ისე გლობალურ ასპექტშიც. ჩვენ გვჩაგრავენ როგორც ჯგუფურად, ისე ინდივიდუალურად. ამ ჩაგვრის შესახებ ლაპარაკობენ როგორც სახელისუფლო კოალიციის წარმომადგენლები ნიკოლას ძურინდას ხელმძღვანელობით, ისე ოპოზიციონერები იმავე მეჩიარისა და პიკის მეთაურობით. ყველა პოულობს მიზეზს იმისათვის, რომ ამ სახის საყვედურები გამოთქვას, რამეთუ ისინი მართლაც ცდილობენ ერთმანეთის უმტრონ. ქვეყანაში დაჩაგრულად გრძნობენ თავს უნგრელებიც, რომელთა რიცხოვნობაც სლოვაკეთში 600 ათასს შეადგენს. ამ უკანასკნელთ არ მოსწონთ ქვეყნის ამჟამინდელი ადმინისტრაციული დაყოფა, რომელსაც უნგრელებისათვის საწინააღმდეგოდ მიიჩნევენ. სამაგიეროდ საყვედურებს გამოთქვამენ ასევე უნგრელების საწინააღმდეგო ბანაკის წარმომადგენლები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ დუნაის სლოვაკეთის მხარეს მცხოვრებ მადიარების ერთადერთ მიზანს ჩრდილოეთ სლოვაკეთის უნგრეთისათვის შეერთება შეადგენს. აი, ნახეთ, თუ არ დავკარგოთ ეს ნოყიერი ნიადაგები, რომელიც ასევე ჩვენი სასმელი წყლის უმთავრესი საბადოცაა – გვაფრთხილებენ ისინი. ამ და მრავალ სხვა სისულელეებს გამოთქვამენ პოლიტიკოსები, რომელთაც საკუთარი თავი ხალხის ნამუსის გამომხატველებად მიაჩნიათ. ამასთან ისინი ვერ გრძნობენ, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობა, ძირითადად მათი წყალობით, ვერ გარკვეულა იმაში, თუ რა ხდება, ბოლოს და ბოლოს, ჩვენს ქვეყანაში.

ისიც უნდა ითქვას, რომ პოლიტიკოსთა უმრავლესობა პირდაპირ აღმერთებს კრიზისებს, რამეთუ ეს მათ თავის გამოჩენის საშუალებას აძლევს. როგორც ჩანს, კრიზისები, დიდი თუ მცირე, მოსწონთ ეკონომისტებს, ბანკირებს, ბიზნესმენებს, გაკოტრებული ფირმების შეფებსაც. - რა გინდა გააკეთო, კრიზისია, - ამბობენ ისინი. ჩანს, ხალხიც ეჩვევა მათ,

რადგან ხუმრობა საქმეა, ხავერდოვანი რევოლუციის, ანუ კომუნიზმის დაცემის შემდეგ, ჩვენ ათი კრიზისი მაინც გადავიტანეთ, თუ მეტი არა. მათ ხან ინფლაციური, ხან ინტეგრაციული, ხან დევალვაციური, ხანაც – მორალური. მოკლედ, ამ კრიზისებს ხან რა და ხან რა სახე ჰქონდათ.

პირადად მე ყველაზე საშიშ და დამაფიქრებელ კრიზისად დაუსაქმებლობასთან დაკავშირებული მდგომარეობა მიმაჩნია, რადგან გამუდმებით უმუშევართა რიგებშია არანაკლებ 500 ათასი ადამიანისა. და ეს იმის გათვალისწინებით, რომ ასი კაციდან პროდუქციას ჰქმნის მხოლოდ ოცდაათი, ოცი არ აკეთებს აბსოლუტურად არაფერს, ხოლო დანარჩენი ორმოცდაათი ხელმძღვანელობს, მოხსენებებს წერს და ა. შ. ეს პირველი ოცდაათი ადამიანია, რომელიც აცხოვრებს დანარჩენ სამოცდაათს. აი, ამაშია პასუხი კითხვაზე, თუ რატომ ხდება ისე, რომ სლოვაკები ფულის ასეთ დეფიციტს განვიცდით. დღეს წარმოების დონე ჩვენთან ორჯერ უფრო დაბალია, ვიდრე საშუალოდ ევროკავშირში. ამის პარალელურად იზრდება ჩვენი საგარეო ვალები, რომელიც თუ 1993 წელს იყო 170 მილიარდი კრონი, დღეს იგი შეადგენს 560 მლრდ-ს (თითქმის 20 მლრდ აშშ დოლარი – ა.გ.). ცხადია, შექმნილი მდგომარეობა განსაკუთრებით ართულებს ეროვნული მეურნეობის ისეთი დარგების განვითარებას, როგორებსაც განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და ა. შ. წარმოადგენენ.

სლოვაკეთში ვისწავლეთ, და კრიზისებს ისეთ მოვლენებსაც ვუწოდებთ, რომლებიც არაფრით არ შეიძლება კრიზისი იყოს. მაგალითად, ალკოჰოლიზმი. ძველი, კეთილი დრო, უკვე დიდი ხანია, რაც წყალმა წაიღო: 1990 წელს თითოეული სლოვაკი 15 ლიტრ სუფთა ალკოჰოლს ილევდა წლიურად, მაშინ, როდესაც 2004 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა მხოლოდ 9 ლიტრი შეადგინა. თუ ეს ტენდენცია ასე გაგრძელდა, ჩვენ მალე აბსოლუტურად ფხიზელთა ერად

ვიქცევით. და ასე ხდება მიუხედავად იმისა, რომ როგორც სათანადო გამოკვლევებით ცხადი ხდება, აბსისტენტების ჯანმრთელობა ჩვენი მთავრობის ჯანმრთელობასავითაა – გამუდმებით დამბლის დაცემის საშიშროების წინაშე.

მოკლედ ამ სტერეოტიპებთან ერთად, თუ მათ გარეშე, ჩვენ უკვე ევროკავშირში ვართ. ცხადია, ჩვენ, ევროპელები, ყოველთვის, ღრმა სოციალიზმის დროსაც კი, გეოგრაფიულად ევროპის ცენტრში ვიყავით. მაგრამ საქმე იმაშია, რომ პოლიტიკურად და ეკონომიკურად არ ვეკუთნოდით მას. 1989 წლის ნოემბრიდან მრავალი რამ შეიცვალა ჩვენს ქვეყანაში და თუმცა საზოგადოებრივი თვალსაზრისით ყველაფერი უკეთესობისაკენ როდი წავიდა, მაგრამ არავის, მით უფრო საშუალო და ახალგაზრდა თაობისა ხალხს გაგონებაც კი არ უნდათ სიტყვისა ძველი სისტემის უკან დაბრუნების შესახებ.

ჯერ კიდევ ყველაფერი წინა გვაქვს. სრულფასოვან ევროპელებად თანდათანობით ვიქცევით. თანდათან ვეცნობით და გემოს ვუგებთ იმ ღირებულებებს, რომლებიც „ბებერ", კეთილ ევროპაში ასე მშობლიურია მრავალი ათეული წლის მანძილზე. იქ სავალდებულო კულტურული, პოლიტიკური თუ მორალური სტანდარტები ხომ ჩვენთვის ამდენი ხნის განმავლობაში ასე გაუგებელი და მიუწვდომელი იყო.

მომავალში ჩვენ ალბათ კიდევ მრავალი მოულოდნელობა გველის, მაგრამ ადრე თუ გვიან, ჩვენ ჩვენს სტაბილურ ადგილს დავიმკვიდრებთ ევროპაში. ცხადია, ეს ასე უცებ არ მოხდება, მაგრამ უნდა ვეცადოთ, რომ არც ძალიან დააგვიანდეს.

ამ წერილის ავტორია პაველ მინარიკი დაიბადა 1951 წელს. იგი კომენსკის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. 1983-90 წლებში მინარიკი ჩეხოსლოვაკიის პრესის კორესპონდენტი იყო პოლონეთში, ხოლო ბრატისლავაში დაბრუნების შემდეგომ, 1996-2001 წლებში იგი რედაქტორობდა პოპულარულ ჟურნალ „პრავდას" ახლა მას მუდმივი რუბრიკა მიჰყავს ჟურნალ „ნაროდნა ობროდაში" და სისტემატურად იღებს მონაწილეობას პოპულარულ სატელევიზიო გადაცემებში.



## ჩეხეთი (ჩეხეთის რესპუბლიკა)

კავშირში გაწევრიანდა – 2004 წელს
დედაქალაქი – პრაღა
მოსახლეობის რიცხოვნობა – 5,4 მილიონი
ფართობი – 78886 კვ. კმ
მშპ ერთ სულზე – 16448 აშშ დოლარი (2003 წლის მონაცემი)
მინიმალური ხელფასი თვეში – 288 ევრო
ძირითადი რელიგიები – კათოლიციზმი, ათეიზმი
სახელმწიფო ენა – ჩეხური
სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა – 74,9 წელი
სპორტის ძირითადი სახეობები – ჰოკეი, ფეხბურთი, მსუბუქი ათლეტიკა
ჰობი – ლუდის სმა

XX საუკუნის ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა ჩეხმა ჟურნალისტმა ფერდინანდ პერუტკამ მეორე მსოფლიო ომის დასრულებისა და დამოუკიდებელი ჩეხოსლოვაკიის ფორმირებისთანავე დასვა ასეთი კითხვა: ,,ვინა ვართ ჩვენ?" თუმცა, მას მიაჩნდა, რომ ამ კითხვას უფრო ასეთი ფორმა უნდა ჰქონოდა: ,,ვინ არა ვართ ჩვენ?" ზუსტად იმ დროს ქვეყანაში მიმდინარეობდა პოლემიკა ჩეხების ეროვნული ხასიათის თაობაზე. ჯერ კიდევ ოთხმოცი წლის წინათ რწმენას ეროვნული ხასიათისა შესახებ და მსგავს მითებს ღრმად ჰქონდა ფესვი გადგმული ჩვენს ეროვნულ შეგნებაში. როგორ შეიცვალა დროება: მსგავსი რწმენა დღეს სანთლით უნდა ეძებო.

ჩეხებს პოლონეთში ბევრი მეგობარი ჰყავთ. ბევრი სცემს თაყვანს ასევე ჩეხ მწერლებს – ბოგუმილ ჰრაბალს, მილან

კუნდერას, ვაცლავ ჰაველს და სხვებს. ამ ქვეყანაში ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს ასევე ჩეხ ურ ფეხბურთსაც. თუმცა არც ისაა საიდუმლო, თუ როგორი უარყოფითი სტერეოტიპია პოლონეთში შექმნილი ჩეხების შესახებ. მასზე ლაპარაკობენ, რომ უყვარს ბევრი ლუდის სმა და გაუთავებელი ლაპარაკი. სამშობლოსაც უბრძოლველად თმობენ. თუმცა, ახლა, როდესაც საფეხბურთო მარათონში გარკვეულ წარმატებებს მივაღწიეთ, ჩეხებს შეუძლიათ უფრო მეტი ლუდი დალიონ. როდესაც ამას ჩეხი ვინმე სხვისაგან იგებს, ეს მას ძალზე აღიზიანებს, თუმცა იგი საკუთარ თავზე მართლაც ასეთი წარმოდგენისაა ფიქრობს. საკუთარი თვითშეგრძნების ასეთი კომპლექსი აქვს თავად ევროკავშირის კომისარს გუნტერ ვერხუგენსაც, და შვეიკსაც... ამ უკანასკნელის შესახებაც იგივეს თქმა შეიძლება. ჩეხს არ მოსწონს, რომ მის შესახებ უცხოელები ასე ლაპარაკობენ, თუმცა იგი ეთანხმება იმ აზრს, რომ მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ჩეხი ლიტერატურული გმირი ერთვნულ ავტოპორტრეტს წარმოადგენს. საქმე იმაშია, რომ ჯერ ერთი, თავად შვეიკი იზიარებს ლიტერატურული კლასიკის ბედს: მას საკმაოდ ბევრი მკითხველი როდი ჰყავს, და მის შესახებ წარმოდგენას იქმნიან უფრო ფილმური ადაპტაციისა და რამდენიმე აფორიზმის საფუძველზე. და მეორეც: ეჭვი იმის შესახებ, თუ როგორია სინამდვილეში შვეიკი, სწრაფად ქრება ნაწარმოების კითხვის დროს. ამ დროს მკითხველი აღმოაჩენს, რომ ლიტერატურული გმირი უფრო პროვოკაციის, სკანდალის ობიექტია - ხან ნამდვილი იდიოტი, ხან ინტელიგენტური ხუმარა, მოკლედ მას მრავალი სახე აქვს... სასაცილო კი ნამდვილად არის, მაგრამ ეს საშინელი ნაწარმოები ნამდვილად არაა ოდა ლუდზე და ადვილ ცხოვრებაზე, თუმცა არა მხოლოდ პოლონელი, არამედ ჩეხიც, რომელსაც ნაწარმოები არ წაუკითხავს, ზუსტად ასე ფიქრობს.

პერუტკას 1924 წელს საკმაოდ ადვილი დავალება ჰქონდა: ჩეხებს სჯეროდათ, რომ უდიდესი რეფორმატორის, იან ჰუსის და ბრწყინვალე პედაგოგის ამოს კამენსკის შთამომავლები იყვნენ და რომ წარმოადგენდნენ გმირ ჰუსიტებს იან ჟიჟკას მეთაურობით. ისინი იყვნენ მემკვიდრეები მასარიკისა, რომელმაც ემიგრაციაში პირველი მსოფლიო ომის დროს შეძლო ჩეხური არმიის ფორმირება და ჩეხოსლოვაკია ნამდვილად დამოუკიდებელი გახადა. ამასთან ჩეხები ადვილად ივიწყებენ, რომ მანამდე მასარიკი ნონკონფორმისტი იყო და სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ჩეხეთში გაბატონებულ საზოგადოებრივ აზრს. იგი გააფებულ წინააღმდეგობას უწევდა ასევე ანტისემიტიზმის ყოველგვარ გამოვლინებას და ყოველგვარ ყალბ ურაპატრიოტულ მოწოდებებს.

ფერდინანდ პერუტკა პატივს სცემდა როგორც ჩეხურ ლეგიონებს, ისე მასარიკს და მიუხედავად ამისა, იგი ერთგვარ პროვოკაციაზე მაინც წავიდა: „იმით გამოწვეული სიამაყე, რომ ვართ ჟიჟკას შვილები, გარკვეულად ფერმკრთალდება იმ მნიშვნელოვან და სენსაციურ გარემოებებთან შედარებით, რომ შვილები ვართ ფრანც იოსების ბატონობის დროინდელი წესიერი მოქალაქეებისა" პერუკის ამ ბროშურამ ერთსა და იმავე დროს პროტესტის სასტიკი გრძნობის პარალელურად ერთგვარი თანაგრძნობაც გამოიწვია.

ახლა რომ მოესურვებინა ჩეხი თანამემამულეების პროვოცირება, როგორი მითის გამოყენებით შესძლებდა პერუკი ამას? მითმა ჩეხი ლეგიონების შესახებ უკვე კარგა ხანია თქვენი ჭირი მოგვეჭამა. 1968 წლის პრაღის გაზაფხულის შესახებ მითმაც ასევე ფერი დაკარგა 1989 წლის ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც იგი ასე შედეგიანად გააიდეალეს მემარჯვენეებმა 90-იან წლებში. ან იქნებ ლეგენდა ქარტია 77-ის, ჩვენი ოპოზიციური დემოკრატიის შესახებ?

სულ ტყუილია ყველაფერი ეს! მასზე ხელმოწერი ვაცლავ კლაუსი დღეს საუბრობს ინტელექტუალთა ნაკლებად მნიშვნელოვან ჯგუფზე, ძირითადად ყოფილ კომუნისტებზე, რომელსაც სერიოზული გავლენა არა ჰქონდა სოციალიზმის დაცემაზე. ლეგენდამ ხავერდოვანი რევოლუციის შესახებ სამწუხაროდ პოლიტიკური მრგვალი მაგიდის ბედი გაიზიარა.

იქნებ დღეს ჩვენი ისტორიული გერმანელი მტრის შესახებ? ან კათოლიკური ეკლესია უნდა გავიგოთ, როგორც ავსტრიელი დამპყრობი? რა თქმა უნდა, ეს სტერეოტიპები გარკვეული ხარისხით მოქმედებენ, რის შესახებაც შეიძლება დავრწმუნდეთ ჩვენი საარჩევნო კამპანიების დროს.

ეროვნული ინტერესების დაცვა, მოწოდება იმის თაობაზე, რომ ჩეხები არ უნდა გაიქციფნენ ევროკავშირის საშინელ სუპერსახელმწიფოში, ისევე როგორც შაქრის კვნიწი ჩაიში, ეჭვი არაა ამომრჩეველთა გარკვეული ნაწილის მობილიზაციას იწვევს. ამგვარ რიტორიკას განსაკუთრებით სიამოვნებით მიმართავს დღეს ორი ყველაზე ძლიერი პოლიტიკური პარტია. მათგან ერთი მემარჯვენეა, მეორე – მემარცხენე, თუმცა, თავისი ხასიათით ორივე კონსერვატულია. დემოკრატიულ სამოქალაქო პარტიას (დსპ), რომლის მამა-დამფუძნებელიც ამჟამინდელი პრეზიდენტი ვაცლავ კლაუსია, არაფერი აქვს ამგვარი განსაზღვრების საწინააღმდეგო. ჩეხებისა და მორავების უკიდურესად მემარცხენე კომუნისტური პარტია კი ნამდვილად ამის წინააღმდეგი იქნებოდა.

თუმცა, ზოგჯერ გერმანელებთან, ბრიუსელთან, დისიდენტებთან, კათოლიკურ ეკლესიასთან და ზოგიერთ სხვა საკითხებთან მიმართებაში ეს ორი პარტია საერთო ენას მაინც პოულობს. კომუნისტების მხარდაჭერის გარეშე კლაუსი პრეზიდენტი ვერ გახდებოდა, ვერ აჯობებდა თავის ყველაზე ძლიერ მეტოქეს იან სოკოლს, კათოლიკეს და დემოკრატიული ოპოზიციის ძველ წევრს. ანდა განა ის

საყოველთაო პრივატიზაცია, რომელსაც 90-იანი წლების დასაწყისში ცნობილი კუპონების სახით ასე მხურვალედ უჭერდნენ მხარს მემარჯვენეები, რეალური სოციალიზმიდან ნაშობი არ იყო? იგივე მემარჯვენეები უკაფავდნენ გზას პრივატიზაციის ჩეხურ მოდელს, რომელიც სასტიკად ეწინააღმდეგებოდა საპრივატიზაციო ობიექტების უცხო ხელში მოხვედრას.

და ბოლოს, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია, რომლის უშუალო მემკვიდრეც დღეს უძლიერესი ჩეხური პოლიტიკური პარტიაა, 1968 წლის პრაღის გაზაფხულის ჩახშობის შემდეგ არა მსოფლიო რევოლუციის ინტერესებს, არამედ უფრო საკუთარი წევრების მატერიალურ კარიერას იცავდა. 1969-1989 წლების ეპოქა ჩეხოსლოვაკიაში იყო არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა დაცვის ხანა, არამედ საბჭოური კეთილდღეობის არნახული აღმავლობის ეპოქაც. ამიტომ, შემთხვევითი როდი იყო, რომ ერთმა ჩემმა კლასელმა ასეთი კითხვაც კი დამისვა – ისე, საკითხავია, კერძოდ რა გვაკლდა ჩვენ? და შეამჩნია რა ჩემს სახეზე ამ კითხვით გამოწვეული რეაქცია, შემრიგებლური ტონით დაამატა: ცხადია, შეფუთვის დონე უფრო უნდა ამაღლებულიყო... ჯერ კიდევ 1989 წელს, როდესაც პრაღის ვაცლავის მოედანი დემოკრატიის მოთხოვნით მოქალაქეებმა შეავსეს, ოფიციალურმა პრესა ბეჭდავდა პროტესტანტი „მშრომელი კლასის", „რიგითი მოქალაქეების" წერილებს. ერთ-ერთ მათგანში, რომელიც პარტიულ გაზეთში დაიბეჭდა, ცოლ-ქმარი საყვედურს გამოთქვამდა, რომ დემონსტრანტები მათ ხელს უშლიან მოედანზე წყნარად ასეირნონ ... თავიანთი პუდელი.

ვფიქრობ, რომ ჩემი თანამემამულეები, რომლებმაც პირველ ევროპულ არჩევნებზე მხარი დაუჭირეს ყველაზე მრავალრიცხოვან სამოქალაქო დემოკრატიულ პარტიას და ასევე ჩეხებისა და მორავიების კომუნისტურ პარტიას, მხარს არ

უჭერენ არც ველურ კაპიტალიზმს და არც პროლეტარიატის დიქტატურის დაბრუნებას. ისინი ხმას აძლევდნენ იმ პუდელის ვაცლავის მოედნიდან, რომელიც – თუკი ჯერ კიდევ ცოცხალია – მცხოვანების ასაკს მიაღწევდა... ან მის შთამომავლებს.

არც იმას გამოვრიცხავ, რომ პერუტკა დღეს რომ ცოცხალი იყოს, დაახლოებით ასე დაწერდა: ის, რომ ვართ მასარიკის შვილები, ნაკლებ მნიშვნელოვანია იმ სერიოზულ და სენსაციურ გარემოებებთან შედარებით, რომ ვართ გუსტავ ჰუსაკის დროინდელი წესიერი მოქალაქეების შვილები.

*სტატიის ავტორი, ვაცლავ ბურიანი, 1959 წელს პრაღაში დაიბადა. იგი პროფესიით ჟურნალისტია და ამჟამად კულტურულ-პოლიტიკური ჟურნალ „წერილებს" რედაქტორობს. პარალელურად თარგმნის პოლონური ენიდან. კერძოდ, მან თარგმნა და გამოსცა ჩესლავ მილოშის „მორალური ტრაქტატი", „პოეტური ტრაქტატი" და „მოგზაურის წერილები". ბურიანი მონაწილეობდა ასევე პოპულარული პოლონური გაზეთის რედაქტორის, ადამ მიხნიკის ესეების ჩეხურ ენაზე თარგმნასა და გამოცემაში. მწერალი ხშირად თანამშრომლობს პოლონურ ჟურნალებთან. საგულისხმოა, რომ 1989 წლამდე ბურიანი მუშაობდა მუშად და ყარაულადაც.*



## ლიტვა (ლიტვის რესპუბლიკა)

კავშირში გაწევრიანდა – 2004 წელს
დედაქალაქი – ვილნიუსი
**მოსახლეობა** – 3699 ათასი კაცი
**ფართობი** – 65300 კვ. კმ
მშპ ერთ სულზე – 11250 აშშ დოლარი (2003 წლის მონაცემი)
**მინიმალური ხელფასი თვეში** – 174 ევრო
**რელიგიური მრწამსი** – კათოლიკები
**სახელმწიფო ენა** – ლიტვური (საუბრობენ ასევე პოლონურად და რუსულად)
**სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა** – 69,4 წელი
სპორტის პოპულარული სახეობა – კალათბურთი (ლიტველებისთვის ეს თითქმის მეორე რელიგიაა)
ჰობი – სიმღერა, ბრძოლა პოლონური გავლენის წინააღმდეგ
განსაკუთრებული ნიშანი – სიმაღლე, საშუალო ლიტველი 180 სანტიმეტრია

სერიის „ჩვენი პლანეტის" ერთ-ერთი გზამკვლევის ავტორი ლიტველებს ასე ახასიათებს: „როგორც წესი, ლიტველები არიან მეგობრულნი, სტუმართმოყვარენი და პატიოსანნი. მათთვის უფრო მნიშვნელოვანია გულითადი, ადამიანური ურთიერთობები, ვიდრე ცივი ანგარიშიანობა" და იქვე დასძენს, წყნარი ლატვიელები და ესტონელები ლიტველებს ნერვიულებად მიიჩნევენ.

შევდივართ! შევდივართ! – ასეთი შეძახილებით აღნიშნავდნენ ნაბახუსევი ლიტველი ბიჭები ქვეყნის ევროკავშირში გაერთიანებას. ზეიმმა კულმინაციას მიაღწია 1

მაისს, ვიგილია დღეს (უმნიშვნელოვანესი რელიგიური დღესასწაული კათოლიკურ სამყაროში – ა.გ.) ვილნიუსის ქუჩებში. ეგზალტირებულ ბრბოს არც კი შეუმჩნევია ზოგიერთი სახის ორგანიზაციული უაზრობა, რომელსაც მაშინ ჰქონდა ადგილი. თუნდაც, *მაგალითად, ის, რომ* ევროკავშირის საერთო სადღესასწაულო სუფრაზე, რომელიც გედიმინის პროსპექტზე იყო გაშლილი, ცალკეულ ქვეყანათა სუფრები მხოლოდ დროშებით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. მათი ეროვნული ხასიათი ოდენ ფიქციას წარმოადგენდა: მაგალითად, გერმანულ სუფრაზე არ ყოფილა შებოლილი ძეხვი, ბრიტანულს არ ამშვენებდა ლუდი და ა. შ.

ბრბოს არც ის შეუნიშნავს, რომ კონცერტზე, რომელიც სახელმწიფო, დღეს ეროვნული, ტელევიზიის მიერ იყო ორგანიზებული, ზეიმს პირწმინდად საბჭოური ხასიათი ჰქონდა: მასზე აქტიურობდნენ კაროლ გოცი, ვირგილიუს ნორეიკა და საბჭოური დროის სხვა ბარდები.

ალტერნატიულ კონცერტზე, რომელიც კომერციულმა სატელევიზიო სადგურებმა მოაწყეს, და რომელიც ვილნიუსში გამართეს ახალგაზრდებმა, მხიარულებას სრულიად განსხვავებული ხასიათი ჰქონდა. აქ მოზეიმენი „სამი მილიონი" სიმღერის რიტმზე მღეროდნენ. პოპვარსკვლავი მარიუნას მიკუტავიჩიუსი თავის გამოსვლაში უმღეროდა სამ მილიონ ლიტველს, რომლებიც, თუმცა ამ ბრძოლაში მრავალჯერ დაცემულან, მაგრამ ამდგარან და ამგვარად მაინც მიუღწევიათ მიზნისათვის.

თქვენ იქნებ ფიქრობთ, რომ ეს სიმღერა ეროვნულ თავისუფლებას ეხება და მისადმია მიძღვნილი?! ცდებით. იგი ამ ქვეყნის ჭეშმარიტი რელიგიის – კალათბურთის შესახებაა. სიმღერა პლეიბოიდ 2003 წელს იქცა, როდესაც ლიტვის გუნდმა შვედეთში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა.

ლიტვაში ევროპულ ფეიერვერკს მოხუციც და ახალგაზრდაც შესაშური ბავშვური აღტკინებით შეჰყურებდა. ეს ისეთი ღამე იყო, როდესაც ყველანი ძმებად იქცნენ. ქუჩაში გამოყვანილ მრავალრიცხოვან მილიციას, თუმცა ძალზე ფხიზლად იყო, მაგრამ მაინც და მაინც ბევრი საქმე არ ჰქონია. ვგონებ პირველად მთელი ბოლოდროინდელი ისტორიის მანძილზე, ქვეყანამ დაივიწყა, რომ 1 მაისი პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის დღე იყო.

თუმცა ამ ზეიმს სხვაგვარი შეფასებებიც არ მოჰკლებია. იგი, მაგალითად, ბოჰემური ცხოვრების მოყვარულმა ჟურნალისტმა ა.ბ.-მ, რომელმაც მეორე დღეს ასეთი SMS (ან იქნებ უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდით: SOS) გაუგზავნა ახლობლებს, ასე შეაჯამა: „გუშინ თავს ჯანმრთელად და ფინანსურად სტაბილურად ვგრძნობდი. დღეს თავი მისკდება, ხოლო ჯიბეში ქარი მიქრის. იქნებ არც კი ღირდა შესვლა?"

**გედემინების და იაგელოების ლიტვა უკვე ევროკავშირშია.** მოკლედ რომ ვთქვათ, მოვლენები ასე გამოიყურება: თქვენი ყოფილი ძმები ორივე ერის ჟეჩპოსპოლიტიდან ევროპაში კვლავაც პოლონეთის გავლით შედიან, უკან დაბრუნებისას თან მოაქვთ ნახმარი ავტომანქანა გერმანიიდან, ავტობუსებით მარწყვს ესპანეთამდე ეზიდებიან, ხოლო საახალწლოდ საზეიმოდ კი პრაღაში ჩადიან. ლიტვურ „ტირებს" ვარშავისა და ვროცლავის გავლით ევროპაში ჩააქვთ ყველაფერი, რისი ჩატანაც კი შეიძლება, დაწყებული სოკოდან და ყველიდან და დამთავრებული მაგალითად, ავეჯით „იკეას" ქსელის მაღაზიებისათვის. მათ, ვისაც ცხოვრებაში ბედმა გაუღიმა, ვარშავას გადაუფრენენ და კანარის კუნძულებსა თუ მავრიტანიაში დასასვენებლად მიდიან.

კანტი-კუნტად, ავგუსტების სამემკვიდრეოს ტრასაზე გამოჩნდება ხოლმე მარტოდ მიმავალი ლიტვის ეროვნული

ფილარმონიის ავტობუსიც. თუ ვარშავა-ვილნიუსის დამაკავშირებელ გზაზე გამოჩნდება ლიტვური კულტურა, ეს არის რომელიღაც როკ-ანსამბლი, რომელიც ბერლინისა თუ ჰამბურგის ღამის კლუბებისაკენ მიიჩქარის. ახალგაზრდა კაპიტალიზმის სული მას არ საჭიროებს, მაღალი კულტურა კი მკრძნობიარედ ეკიდება გაუცხოებას.

თანდათან ხდება განდევნა თავისუფლებისათვის ბრძოლის მრავალსაუკუნოებრივი ტრადიციებისა, რაც ასე სიამაყით ავსებდა და ავსებს ასაკოვან ლიტველებს. მათი ჩანაცვლება ხდება უფრო მიწიერი ამბებით, მნიშვნელობა არა აქვს, სასიხარულო იქნება ის, თუ არა, მაგალითად, გამარჯვებით კალათბურთის მატჩში თუ გულდაწყვეტით, რაც ევროვიზიის კონკურსში ლიტვური დუეტის დამარცხებამ გამოიწვია. ლიტველები, რომლებიც ჩამოყალიბებულ სალოსებად იყვნენ საუკუნეების მანძილზე ცნობილნი, თანდათან პოპკულტურის მომხმარებელი საზოგადოება, წვრილი მოვაჭრენი, მძიმე სატვირთო ავტომანქანების მძღოლები და თეინიერი კაპიტალისტები ხდებიან.

ეს ჭკუაშეშლილი ლიტველები ისეთი ენერგიითა და გაშმაგებით ესხმიან თავს ევროპას, რომ მაგალითად, ასე რომ გერმანელი მოიქცეს, მისი თანამემამულენი ამას კლინიკურ შემთხვევად მიიჩნევენ და დაუყოვნებლივ სასწრაფოს გამოუძახებენ. ევროპაზე თავდასხმა თითქმის ყველა დონიდან განხორციელდა. მუშებმა და ახალგაზრდებმა გაერთიანებამდე რამდენიმე თვით ადრე იყიდეს ბილეთები ლონდონსა თუ დუბლინამდე (ირლანდიასა და დიდ ბრიტანეთში ლიტველები ყველაზე ადვილად პოულობენ სამუშაოს). აქ ისინი მზად არიან შეასრულონ თითქმის ნებისმიერი სამუშაო. ლიტველ ბიზნესმენთა შორის ხშირად გაიგონებთ, რომ მათ შეუძლიათ სეირი აჩვენონ დონდლო ევროპელებს.

ლიტვური დამოუკიდებლობის დიდ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ სანტექნიკოსია, ავტომანქანების ხელოსანია და წვრილ ვაჭართა დიქტატი დასრულდა. დღეს მხოლოდ უფროს თაობას ახსოვთ საბჭოური სინამდვილის ეს რუდიმენტები, რომლებიც მაცდურად გიღიმოდნენ და თავს მდაბლად გიკრავდნენ მოშლილი ონკანისა თუ სარემონტო ავტომობილ „ლადას" – ნეტავ თუ კიდევ ვინმეს ახსოვს ეს ავტომობილი – გარემონტების წინ. მხიარული, ცხვირაწითლებული სანტექნიკოსი დადგა საზოგადოებრივი იერარქიის ყველაზე მაღალი საფეხურზე და სახელდობრ ამაში გამოიხატებოდა პროლეტარიატის დიქტატურის რეალური ხელისუფლება. ნუ მოუსმენთ ზღაპრებს იმის შესახებ, თითქოს სოციალიზმის გამრუდება სსრკ-ში მოხდა პოლიტბიუროს ერთი მუჭა კომუნისტური უზურპატორების წყალობით. არა. ლეონიდ ბრეჟნევი თავად იყო მუშა და ეს იყო ჭეშმარიტად მუშური ხელისუფლება, „როგორ ზეცით ცაში, ისე მიწაზე" დღეს ველარ ნახავთ ძველებურად მხიარულ სანტექნიკოსს, მანქანის ხელოსანიც ქუჩა-ქუჩა ეძებს კლიენტებს და სამუშაოს ითხოვს, ხოლო ვაჭრობა აღარაა ისეთი პრესტიჟული, როგორც უწინ.

მეორე მხრივ, სანტექნიკოსის დროინდელ ლიტვას ჯერაც არ შეუწყვეტია არსებობა. ზუსტად მან აირჩია თავის პრეზიდენტად როლანდას პაქსასი, რომელმაც თავისი კარიერა იმის შეპირებით დაიწყო, რომ ამიერიდან ქვეყანა „დაჩაგრულმა ხალხმა უნდა მართოს", ხოლო დაასრულა იმპიჩმენტით, რაც მისმა რუსულ მაფიასთან (შესაძლოა აგენტებთანაც) კავშირებმა გამოიწვია. ლიტვამ თუმცა მოიშორა თავისი ლეფერი (ქირინოვსკის ყაიდის პოლიტიკოსი პოლონეთში – ა.გ.), მაგრამ რიგში სხვები დგანან. კარებიდან გაძევებული სოციალიზმის იდეები ფანჯრიდან შემოდის ევროკავშირის ინსტიტუციონალიზმის სახით. მაგალითად, ვისმენთ გერჰარდ შროდერის მითითებებს გადასახადების

გამრიცის აუცილებლობაზე. ბრიუსელიდანაც მივიღეთ მოსაზრებები „განსხვავებულობასთან" ბრძოლის შესახებ, რათა აღმოიფხვრას „უსკრული, რომელიც ღარიბებს მდიდრებისაგან გამოჰყოფს" როგორც ჩანს, ვუბრუნდებით იმ გზას, რომელზეც დიდხანს ვიარეთ: სახელმწიფო ჯერ აღგენს უფასო სამედიცინო მომსახურებას, ხოლო შემდეგ კრძალავს პაპიროსის წევას, რადგან მკურნალობა ძვირი ჯდება; სახელმწიფო ცდილობს გაანათლოს საზოგადოება, თუმცა შემდეგ მისგან მოითხოვს „გაგებულად" მიეკიდონ მის პოლიტიკას. ის „უზრუნველყოფს" სამუშაოს, თუმცა მუშებს ართმევს გამომუშავებულ თანხას; სახელმწიფო იძლევა მილების გაცელის გარანტიას, თუმცა აღარ შეიძლება ამ მონოპოლიაზე ხელის აღება. მაგრამ თავისუფლება? ესაა საზოგადოებრივი ყოფის „შავი ბაზარი" საჭიროა მისი აკრძალვა, ყოველ შემთხვევაში მისი დარეგულირება და დაბეგვრა მაინც. და საერთოდ, თავისუფლება საზიანოა ჯანმრთელობისათვის.

ნუთუ ბრიუსელი აიძულებს ლიტველებს უკან, სოციალიზმისაკენ დაბრუნებას და თავისუფლების „მსუბუქ" იდეაზე ხელის აღებას? ვეჭვობ, რადგან ეს იმას დაემსგავსებოდა, შექსპირის ხუმარას ვინმემ ეტიკეტის დაცვა რომ მოსთხოვოს. თავისუფლების მოპოვების შემდეგ, ანუ ბოლო 14 წლის მანძილზე ლიტველებმა (გავიხსენოთ: შეშლილებმა და არაპროგნოზირებადებმა) თითქმის სრულყვეს მეთოდი, რომელსაც პრაგმატულ შეშლილობას ვუწოდებდი. გასული ათწლეულის დასაწყისში, როდესაც ლიტვის გაწევრიანება ნატოში თითქმის ნულის ტოლი იყო, ლიტველი დიპლომატები შეგნებულად იქცეოდნენ შემდეგი პრინციპის თანახმად: ჩვენ ისედაც შეშლილებად გვთვლიან, მაშ, მოდი და მოვითხოვოთ ის, რაც შეუძლებელია. ითხოვდნენ და იღებდნენ, რასაც ითხოვდნენ.

ასევეა თავისუფლებასთან დაკავშირებითაც: ჩვენ, ლიტველები, შეშლილები და არაპროგნოზირებადები, გიჟებივით უნდა ვიბრძოლეთ უფლებებისათვის, სიხარულისა და სამომხმარებლო კაპრიზებისათვის, ჩვენი უფლებების და არა სანტექნიკოსების უფლებებისათვის ევრო-ლიტვის ხელისუფლებიდან.

*წერილის ავტორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი, ვირგის ვალენტინავიჩიუსი, ამჟამად ლიტვის სატელეგრაფო სააგენტო „ელტას" საზოგადოებრივ-პოლიტიკური განყოფილების რედაქტორია. 1978-1995 წლებში იგი ფილოსოფიის კურსს კითხულობდა ვილნიუსის უნივერსიტეტში. 1995-2003 წლებში ვალენტინავიჩიუსი რადიო „თავისუფლების" ლიტვურ განყოფილებაში, პრაღაში მუშაობდა, წლების მანძილზე აქტიურად თანამშრომლობს ასევე ყოველთვიურ კათოლიკურ ჟურნალ „ნაუიასის ზიდინისში".*



# პოლონეთი

კავშირში გაწევრიანდა – 2004 წელს
დედაქალაქი – ვარშავა
მოსახლეობა – 38,5 მლნ კაცი
ფართობი – 312,7 ათ.კვ.კმ
მშპ ერთ სულზე – 14,400 აშშ დოლარი
რელიგიური მრწამსი – კათოლიკეები 90%, მცირე რაოდენობით პროტესტანტები, იუდეველები და მუსლიმანები
სახელმწიფო ენა – პოლონური
ინფლაცია – 1,2% (2006 წლის მონაცემი)
უმუშევრობა – 10,5% (2006 წლის მონაცემი)

*ზუსტად სამი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 10 ქვეყანა – უნგრეთი, პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, მალტა და კვიპროსი ევროკავშირში გაერთიანდნენ. ამიტომ ცხადია, როგორც ამ ქვეყნებში, ისე სხვაგანაც, იმის მიმართ, თუ რა მოუტანა ამ ქვეყნებს კავშირში გაწევრიანებამ, ინტერესი დიდია.*

*ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ წერილს „კავშირში ყოფნის სამ წელიწადს ტყუილად არ ჩაუვლია", რომელიც კავშირში პოლონეთის ყოფნას ეხება.*

*ეროვნული შემოსავლის აქამდე არნახული ზრდა, ბრიუსელიდან პოლონეთისაკენ წამოსული ასეული მილიონი ევრო, ათეული ათასი ახალგაზრდა*

*პოლონელი, რომლებიც საზღვარგარეთ, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სამუშაოდ გავიდნენ – აი, ასე ახასიათებენ კავშირში ყოფნის სამ წლიწადს პოლონელი ექსპერტები.*

ევროკავშირში პოლონეთის ყოფნის სამი წლის შემდეგ ევროსკეპტიკოსებიც კი დარწმუნდნენ, რომ კავშირს ქვეყნისათვის დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია. ამჟამად პოლონეთში კავშირის სახსრებით 50-ზე მეტი პროექტი ხორციელდება – იგება გზები, შენდება სკოლები, სამედიცინო დაწესებულებები, რემონტდება რკინიგზები და ა. შ. მთლიანობაში (2007 წლის პირველ კვარტალამდე) ბრიუსელიდან პოლონეთში შემოვიდა 13 მილიარდ ზლოტზე მეტი (დაახლოებით 4,3 მილიარდი დოლარი). ეს კი იმ თანხის თითქმის ორმოცი პროცენტია, რომელი თანხაც ამავე პერიოდში აქაურმა ხელისუფლებამ ბიუჯეტიდან დახარჯა.

სწორედ ამის შედეგადაა, რომ ბოლო სამ წელიწადში ამ ქვეყნის ეკონომიკა გაცილებით სწრაფად ვითარდება, ვიდრე რომელიმე წელს ბოლო დეკადაში. კერძოდ, მან 2006 წელს 6,1 პროცენტი შეადგინა, მიმდინარე წელს კი მოსალოდნელია, რომ მშპ-ს ზრდის ტემპი კიდევ უფრო მაღალი იყოს (იხ. სქემა №1).

სქემა №1

მთლიანი შიდა პროდუქტი სამ წელიწადში სერიოზულად გაიზარდა (ყოველი მონაცემი წინა წლის შესაბამის კვარტალთანაა შედარებული)



## საწარმოებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს

კავშირში შესვლის პირველ ხანებში ყველაფერი ასე ვარდისფრად როდი გამოიყურებოდა. აქ ელოდებოდნენ ფასების სწრაფ ზრდას. ეს განსაკუთრებით იმით უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომ უნდა გაზრდილიყო (აწეულიყო ევროკავშირის დონეზე) დამატებული ღირებულების გადასახადი. ამიტომ იყო, რომ მაღალი ინფლაციის მოლოდინში მაღაზიების თაროებიდან გაქრა სამშენებლო მასალები, შაქარი და ა. შ. პოლონელთა მიერ განხორციელებული შესყიდვების ტემპები დიდად უსწრებდა ეროვნული მეურნეობის განვითარების ტემპებს, რომელიც 2004 წლის I და II კვარტალში 4 პროცენტზე მაღალი სისწრაფით იზრდებოდა. სიტუაცია გარკვეულად დაარეგულირა სავალუტო პოლიტიკის საბჭომ, რომელმაც საპროცენტო განაკვეთი გაზარდა და თავიდან აიცილა ეკონომიკის გადახურება. თავიდან ინფლაციის მაჩვენებელი მართლაც მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ შემდეგ იგი დარეგულირდა და შემცირდა (სქემა №2).

სქემა №2

ინფლაციის მაჩვენებელი გაზრდის შემდეგ – შემცირდა (წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით)




მაგრამ 2005 წლის დასაწყისიდან სამეურნეო ლოკომოტივმა კვლავ სწრაფი ტემპები „აკრიფა“. ეს კი ძირითადად მოხდა საექსპორტო შემოსავლების გაზრდის შედეგად. კავშირში შესვლის შემდეგ პოლონურმა ფირმებმა მოულოდნელი ექსპანსია განახორციელეს ევროპაში, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ ევროპის ეკონომიკაში ამ დროს სრულიადაც არ შეინიშნებოდა კარგი კონიუნქტურა. სწორედ საექსპორტო შემოსავლების გაზრდა გახდა უმთავრესი ამძრავი ძალა საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე პოლონეთის ეკონომიკისათვის. ეს მაჩვენებელი წელიწადში დაახლოებით 20 პროცენტით იზრდებოდა. – ევროკავშირში შესვლამ ძლიერ გაამარტივა პოლონური ფირმების საქმიანობა

საზღვარგარეთ – აცხადებს ცნობილი პოლონელი ექსპერტი (იხ. სქემა N 3).

სქემა №3

საექსპორტო შემოსავლებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა (მონაცემები მლრდ ევროში. ფრჩხილებში ზრდა პროცენტებში, წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით)




2006 სამეურნეო წელი პოლონეთში მოქმედმა ფირმებმა რეკორდული ფინანსური შედეგებით დაასრულეს. კერძოდ, იმ არაფინანსურმა საწარმოებმა, რომლებიც 50 და მეტი ადამიანი ჰყავთ დასაქმებული, მიიღეს (გადასახადების გასტუმრების გარეშე) 70 მილიარდი ზლოტი შემოსავალი! ამასთან მათ თავიანთი პროდუქციის ნახევარზე მეტის რეალიზაცია სწორედ საზღვარგარეთ მოახდინეს. ქვეყანაში გაზრდილმა მოხმარების დონემ და ასევე უცხოელების მხრიდან დიდმა მოთხოვნამ პოლონურ საქონელზე, აქაური ფირმების მაქსიმალური ტემპებით საქმიანობა განაპირობა.

გასული წელიწადი პოლონეთისათვის რეკორდული იყო ასევე ინვესტიციების და მათ შორის, უცხოურის, დაბანდების თვალსაზრისითაც. კერძოდ, ამ წელს ქვეყანაში განთავსდა 14,7 მილიარდი დოლარის ოდენობის უცხოური ინვესტიცია. ექსპერტების შეხედულებით, ქვეყანა ამდენ კაპიტალს ნამდვილად ვერ მოიზიდავდა კავშირში რომ არ შესულიყო. იაპონელი თუ სამხრეთ კორეელი ინვესტორებისათვის პოლონეთის ევროკავშირში ყოფნა მათ მიერ დაბანდებული კაპიტალის უსაფრთხოებას და ამავე დროს შედარებით დაბალ შრომით დანახარჯებს ნიშნავს. სწორედ ამიტომ ნახავთ აქ მრავალი უცხოური ფირმის ცენტრალურ ოფისს თუ მათ ფილიალებს. მათთვის ეს მოასწავებს ასევე შეუზღუდავი შეღწევის შესაძლებლობას კავშირის ბაზარზე, სადაც 400 მლნ-ი მომხმარებელი ელულებათ.

ერთი მხრივ იმის გამო, რომ ქვეყანაში ჩამოყალიბდა უკეთესი კონიუნქტურა, პოლონური საწარმოები უფრო მეტი დატვირთვით ამუშავდნენ და მეორე მხრივ, იმ მიზეზით, რომ ბევრმა პოლონელმა სამუშაო საზღვარგარეთ პოვა, ქვეყანაში მკვეთრად, თითქმის 20 პროცენტიდან 14 პროცენტამდე შემცირდა უმუშევრობა (იხ. სქემა №4).

სქემა №4

უმუშევრობა ნაკლებ იგრძნობა (პროცენტებში)




## კავშირმა გარკვეული მსხვერპლიც მოითხოვა

პოლონელი ექსპერტების აზრით, ქვეყნის კავშირში შესვლას გარკვეული უარყოფითი მხარეებიც ახლდა თან. კერძოდ, მას თან მოჰყვა ფასების ზრდა, შრომითი რესურსების, განსაკუთრებით, ახალგაზრდა და განათლებულის საზღვარგარეთ სამუშაოდ და საცხოვრებლად მასიური გასვლა. მიახლოებითი გამოთვლებით ამ მიზნით 2 მილიონზე მეტი ადამიანია ქვეყნიდან გასული. ბევრი პოლონელია წასული დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში, სადაც ისინი 5-ჯერ და მეტჯერ უფრო მაღალ ხელფასს იღებენ, ვიდრე საკუთარ სამშობლოში (ცნობისათვის: პოლონეთში

მინიმალური ხელფასი თვეში 246 ევროს შეადგენს). ამასთან, მრავალი მათგანი იქ სამუდამოდაც კი რჩება. დამქირავებელთა თვალსაზრისით, ამან შრომის ბაზარზე მდგომარეობა გააუარესა. რაც შეეხება თავად მუშაკებს, მათთვის სიტუაცია, პირიქით, მათ სასარგებლოდ შეიცვალა.

ექსპერტები კავშირში შესვლის ერთ-ერთ უარყოფით მომენტად განიხილავენ იმას, რომ თუმცა ქვეყანაში სამშენებლო ბუმია, მაგრამ ბევრ ბინას უცხოელები – გერმანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ირლანდიიდან – ყიდულობენ, რაც აძვირებს ბინებს და ხელს უშლის ადგილობრივ მცხოვრებთ იყიდონ ისინი. სამი წლის განმავლობაში ბინის ფასი, მაგალითად, დედაქალაქში, თითქმის გაორმაგდა და 1 კვ. მეტრი ფასმა 8 ათას ზლოტს გადააჭარბა. ანალოგიური მდგომარეობაა ქვეყნის თითქმის ყველა ქალაქში.

## მომავალი კიდევ უფრო დიდ იმედებს იძლევა

ევროკავშირის განვითარების პერსპექტივების და ასევე კავშირის უკვე შემუშავებული მომავლის გეგმების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ პოლონეთი მომავალში კიდევ უფრო საგრძნობ სარგებელს ნახავს კავშირში ყოფნით. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ უკვე დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, 2007-2013 წლებში ეს ქვეყანა ბრიუსელიდან 67 მილიარდ ევროზე მეტს მიიღებს. ამ თანხიდან „ლომის წილი" სოციალური საკითხების მოგვარებასა და ინფრასტრუქტურის განვითარებას მოხმარდება.

# ნუ გეშინია, ევროპავ, ჩვენ თავად ვშიშობთ!



## ლატვია (ლატვიის რესპუბლიკა)

ევროკავშირში გაწევრიანდა 2004 წელს
დედაქალაქი – რიგა
მოსახლეობა – 2.4 მლნ
ფართობი – 64589 კვ. კმ
მშპ ერთ სულზე – 4477 აშშ დოლარი
რელიგიური მრწამსი – ლუთერანები
სახელმწიფო ენა – ლატვიური (საუბრობენ ასევე რუსულად და ლიტვურად)
სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა – 69 წელი
სპორტის პოპულარული სახეობა – კალათბურთი

*ძნელი არაა იმის შენიშვნა, რომ ლატვიელები ევროპასთან ხელახალ გაერთიანებას გარკვეული შეშფოთებით შეხვდნენ. უფრო მეტიც: ზოგ ლატვიელში ამან ერთგვარი განგაშის გრძნობაც გამოიწვია. ყოფილი რკინის ფარდის იქით კი ჩვენი ეშინიათ. ვფიქრობ, ორივე მხარის შიში დაუსაბუთებელია.*

ლატვიაში, ჩემს სამშობლოში, ამგვარმა შიშმა განსაკუთრებით ბოლო ხანებში (სტატია დაწერილია 2004 წლის 14 აგვისტოს) მიაღწია აპოგეას: ხალხი, დაწყებული მარილიდან, რომელიც უკრაინიდან შემოაქვთ, გაფაციცებით ყიდულობს თითქმის ყველაფერს. აქ რატომღაც ჰგონიათ, რომ ამგვარი რამ ევროპაში არ იშოვება (რადგან იგი რომელიღაც ევროპულ ნორმებს არ შეესაბამება). მას პირდაპირ ტომრებით იძენენ, იმდენს, რომ ამ რაოდენობას მთელი ცხოვრების განმავლობაში შეუძლია დააკმაყოფილოს არა თუ მათი ოჯახის, არამედ მათი შვილიშვილების მოთხოვნილებაც კი ამ პროდუქტზე. თქვენ ეს სასაცილოდ გეჩვენება?

ჩვენ ყველას ჩვენი საკუთარი მოგონებები და ჭრილობები გვაქვს. სამოცდაათი წლის წინათ ალბათ არავის მოუვიდოდა თავში აზრად, რომ ლატვია ევროპას არ მიეკუთვნება. ჩვენი მამა-პაპანი მართალია სხვადასხვა ქვეყანაში დაიბადნენ, მაგრამ ლატვია გარკვეული თანამეგობრობის ნაწილი იყო. XX საუკუნის ომებმა და რეჟიმებმა, თუმცა გაანადგურეს ეს თანამეგობრობა, მაგრამ ახლა ჩვენ გვაქვს საშუალება კვლავ შევუერთდეთ მას, როგორც ოჯახს, რომლის წევრებიც ოდესღაც იძულებით იყვნენ ერთმანეთს დაშორებული. თუმცა ეს ასე ადვილი როდია, მსგავსად სიტუაციისა, როდესაც ქმარი ან ვაჟიშვილი ომიდან ბრუნდება, თუმცა იგი უყვართ და ძალზე მოენატრათ კიდეც, მაგრამ როდესაც იგი პარმაღს გადააბიჯებს, ერთგვარად უცხოდაც კი აღიქმება, რომლის უსაშინლესი განცდები და თუნდაც დიდი გამარჯვებები მისი სახლის მოშორებით წარიმართა. თუ აღმოჩნდება სიყვარული და ნათესაური კავშირები საკმარისად ძლიერი, რომ მიუხედავად ამდენი ხნის დაშორებისა კვლავ აიგოს ურთიერთ გაგების ხიდი?

ბუნებრივია ამგვარ შიშს განვიცდით, რადგან ისტორიულ სახლში არ ვბრუნდებით ეგზოტიკური ნივთებით დამძიმებულნი და არც ძვირფასი ლითონებით დატვირთული აქლემების ქარავანს მოვუძღვებით წინ. თუმცა, ვბრუნდებით, როგორც თავისუფალი ადამიანები  და ამ თავისუფლებას ჩვენთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. სწორედ თავისუფლების სახელით გადავწყვიტეთ შევსულიყავით ევროკავშირში და ნატოში. ამავდროულად ძალზე გვაშფოთებს ამ თავისუფლების შესაძლო დაკარგვის შანსი. ჩვენი სახელმწიფოებრიობის შესაძლო დაკარგვის შანსი. XIII საუკუნიდან ჩვენს ისტორიას ხომ სხვა ხალხები და ძალები წერდნენ – გერმანელები, პოლონელები, შვედები, რუსები, ნაცისტები და საბჭოელები. მხოლოდ ორი ხანმოკლე ათწლეულის პერიოდში, ორ

მსოფლიო ომს შორის არსებობდა სუვერენული ლატვიური სახელმწიფო. არადა, ჩვენთვის, ჩვენი ენისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება და დაცვა ყველაზე არსებითს წარმოადგენს. თუ შეგიძლიათ ამის გაგება?

ძველი ევროპის შიშს კი სრულიად სხვა ბუნება აქვს. მას თავისი სახელმწიფოების მიღწეული კეთილდღეობის დაკარგვისა ეშინია. ოჰ, ერთი სული მაქვს ვიყვირო: რა ბედნიერები ხართ! რა კარგი იქნებოდა, ჩვენც ასე შორს ვიყოთ წასულები, რომ მხოლოდ კეთილდღეობის დაკარგვისა გვეშინოდეს! მაგრამ ჩვენ ჯერ-ჯერობით მხოლოდ თავისუფლების დაკარგვა გვაშინებს. ღმერთმა ქნას, რომ თქვენ არასდროს, არასდროს არა გქონოდეთ ამგვარი შიში.

მეორე მხრივ, ჩვენ ბევრი რამ გვაკავშირებს ერთმანეთთან. ერთ-ერთი ასეთი საერთო ხასიათის ნიშანია მოკლე მახსოვრობა. გთხოვთ ძალიან ნუ გეწყინებათ ჩემი ასეთი სიტყვები – უბრალოდ ნაკლი გაცილებით ადვილი შესამჩნევია, ვიდრე წარმატებები. არც თქვენ და არც ჩვენ არ გვახსოვს ჩვენი წარსული, როდესაც ლატვიელები ბერლინში ჩამოდიოდნენ მეცნიერების შესასწავლად, იტალიაში ფერწერაში გასაწაფაფად, როდესაც რიხარდ ვაგნერი თავის უკვდავ ნაწარმოებებს რიგაში თხზავდა, ხოლო მარკ შაგალმა ვილნიუსი იმიტომ დატოვა, რომ სამუშაოდ პარიზში გადასულიყო. ცხადია, ყველაფერი ეს ერთსა და იმავე დროს არ მომხდარა, მაგრამ ჩვენს შემეცნებაში თითქმის ყველა ეს ფაქტი უკავშირდება ჩვენს ლეგენდარულ წინაპრებს და ამგვარად გარკვეულად ერთმანეთზეა გადაჯაჭვული... და ალბათ, კარგა ხნის წინათ დავიწყებული.

ჩვენ უკვე დიდი ხანია, დავივიწყეთ, ისევე, როგორც თქვენ, რომ XIX საუკუნის ბოლოს კარგ სახლში აღზრდილი, არც ერთი ქალი სახლიდან თავშალწამოუსხმელი არ გამოვიდოდა. მსგავსი რამის თქმა შეიძლება მამაკაცებზეც –

იმ დროს მხოლოდ მაიხოერებსა და მოხეტიალეებს თუ დაინახაედით ქუჩაში უქეღოდ. რამ გამახსენა ახლა ეს ყველაფერი? იმან, რომ ამ ცოტა ხნის წინათ გერმანულის ლექციაზე წავიკითხეთ სტატია, რომელიც ევროპაში გამართულ კამათს ეხებოდა: უნდა ატარებდნენ თუ არა თავშალს მუსლიმი ქალები.

იქნებ უკეთ გაგვეგო სხვებისათვის, ჩვენ რომ უკეთესი მეხსიერება გვქონდეს?! ჩვენ ძალზე ხშირად ეცდილობთ ხოლმე დავივიწყოთ ბევრი რამ. გულმავიწყობა პრაქტიკულად უცოდინრობის ტოლფასია, რაც შიშს წარმოშობს. განა ნორმალურია, რომ სინამდვილეში ერთმანეთისაგან არც ისე დიდად განვსხვავდებოდეთ და ერთმანეთის კი ასე გვეშინოდეს? ან თუნდაც მათი გვეშინოდეს, რომლებიც, როგორც ეს ჩვენ გვეჩვენება, ჩვენგან განსხვავებულები არიან?

უბრალოდ საჭიროა რომელიმე მზიან კვირადღეს, მყუდროზე კიდევ ერთხელ გადავათვალიეროთ ჩვენი საოჯახო ალბომი ძველი ფოტოსურათებით. იქ ჩვენ ყველანი ერთად ვართ: ჩემი ძალუა ჰერმიონა ვენაში წმ. სტეფანეს სახელობის ეკლესიის ზღურბლზე, შენი პაპისპაპა ფრიდრიხი დიდი ბებია სიბილასთან ერთად. მცირე ხნის წინ ერთმანეთს იდუმალი თანხმობა რომ განუცხადეს და საქორწინო მოგზაურობაში გაეშურნენ. ასეთი ახალგაზრდები... მაგრამ ეს დიდი ხნის წინათ იყო. მომავლისადმი ყოველგვარი შიშის გარეშე ასე ლამაზად იღიმიან ფოტოგრაფის წინ. ზუსტად ამიტომ არის აღჭურვილი ფოტოაპარატი ობიექტივით (და არა სუბიექტივით) - მან ხომ ჭეშმარიტად რეალური მომენტი უნდა დააფიქსიროს და უკვდავყოს წარსულის წუთები. ხოლო თავის მხრივ წარსული გვეხმარება, რომ შევძლოთ მომავლისათვის უფრო თამამად შეხედვა. ამასთან თვალებში ცხოვრებისეული სიბრძნე გვქონდეს. უკვე ჯერ კიდევ ძველი რომაელების

დროიდან ისტორია ხომ სპირალის სახით მეორდება და მომავლისაკენ მიისწრაფვის. იქნებ ჩვენ მაინც ვერაფერს ვსწავლობთ ისტორიისაგან?

აი, კითხვა, რომელზედაც პასუხის გაცემაა საჭირო. ევროპის კავშირშიც და ყველგან სხვაგან, მთელ მსოფლიოში, სადაც კი ადამიანები ცხოვრობენ. რატომ ვიძლევით იმის უფლებას, რომ შიში გაბატონდეს ჩვენს მეხსიერებაზე? რატომ ვიძლევით იმის უფლებას, რომ შიშის ატმოსფეროში მოხდეს ჩვენი მომავლის ფორმირება? რანაირად იქნება დღე მშვენიერი, როდესაც დილაუთენია შავბნელი ფიქრები იპყრობს ჩვენს არსებას?

უკუვყრი ამგვარ შიშებს და მივდივარ დორნბირნში პოეზიის ფესტივალზე „Poesic International" თქვენ კი არა გაქვთ სურვილი მოინახულოთ ძველი ჰანზეატური რიგა? ანდა სიგულდა? ანდა ალუქსი, კულდიგა, რეზეკნე თუ მაზირბა? ანდა იდუმალებით მოცული, უძველესი პოკაინა? ერთხელ და სამუდამოდ შორს მოისროლეთ თქვენი შიში და მობრძანდით ჩვენთან სტუმრად – ევროპაში!

*წერილის ავტორი, ქრისტინა სალოქსკა 1969 წელს, ლატვიაში დაიბადა. 1996 წელს თავისი ლექსების კრებულისათვის „გზააბნეული მზესუმზირა" მან კლაუს ელსბერგსის ჯილდო მიიღო. მისი ქმარიც ასევე პოეტი და ჟურნალისტია, ჰყავთ ორი შვილი. ქრისტინა სალოქსკა ამჟამად თეოლოგიის პროფესორია.*



## რუმინეთი

კავშირში გაწევრიანდა – 2007 წელს
ტერიტორია – 238,4 ათ.კვ.კმ
დედაქალაქი – ბუქარესტი
დედაქალაქში მცხოვრებთა რიცხოვნობა – 2 მილიონამდე
მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 1 კმ.კვ – 90,7 ადამიანი
ბუნებრივი კლება - 1,9 კაცი ყოველ ათას მცხოვრებზე გაანგარიშებით

*2007 წლის 14 ივნისს რუმინეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 15 წლისთავი აღინიშნა.*

თუ გავითვალისწინებთ იმას, თუ რა დონეს აღწევენ ევროპის განვითარებული ქვეყნები მშპ-ს წარმოების მხრივ, თავისი დაახლოებით 10 ათასი დოლარით მოსახლეობის ერთ სულზე, რუმინეთი ჯერჯერობით ევროპაში ერთ-ერთ შედარებით ღარიბ ქვეყნად ითვლება.

1998 წელს ქვეყანაში კომუნისტური რეჟიმის გაუქმების შემდეგ რუმინეთი რადიკალური რეფორმები გზას დაადგა და უკვე აშკარად თვალსაჩინოა ის გარემოება, თუ როგორ იცვლება ქვეყანაში ეროვნული მეურნეობის მთელი სტრუქტურა.

შედეგიც აშკარაა: რუმინეთის ეკონომიკა სწრაფად ვითარდება, დაბალ დონეზეა ინფლაცია, მკვეთრად შემცირდა უმუშევრობა და ა. შ.

მაგალითად, 2006 წელს მშპ-ს ზრდამ 7,7 პროცენტი შეადგინა და ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელი იყო მთელს ევროკავშირში. მან კიდევ უფრო მაღალ ტემპებს მიაღწია 2007 წლის პირველ კვარტალში და 16 პროცენტი შეადგინა.

სამაგიეროდ, ქვეყნის სტატისტიკის სამსახურმა საკმაოდ დაბალი, 5%-მდე დონე დააფიქსირა უმუშევრობის სფეროში. ეს კი, თუ გავითვალისწინებთ იმას, თუ როგორ უჭირთ სხვა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს დასაქმების პრობლემის გადაჭრა, საკმაოდ შთამბეჭდავ წარმატებაზე მიუთითებს (ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებზე რომ არაფერი ვთქვათ, მაგალითად, პოლონეთში უმუშევრობის მაჩვენებელი 2-3 წლის წინ თითქმის 20%-მდე იყო).

რუმინეთში შედარებით დაბალია ასევე საგარეო ვალის მაჩვენებელი, რომელიც ბოლო მონაცემებით მშპ-ს 20%-ს შეადგენს.

რაც შეეხება სამომხმარებლო ფასების ინდექსს (ინფლაცია), იგი ბოლო წლებში კლების ტენდენციით ხასიათდება და 2005 წელს 9 პროცენტის დონეზე იყო.

ბოლო წლებში ქვეყნის მნიშვნელოვან წინსვლას სამეურნეო სფეროში განსაკუთრებით საექსპორტო პროდუქციის წარმოების მაღალი ტემპებით ზრდა ახასიათებს. კერძოდ, ამ სახის პროდუქციის ზრდის ტემპი 2006 წლის I კვარტალში 25 პროცენტს გაუტოლდა. ქვეყნის მთავარ საექპორტო პროდუქციას შეადგენს: ქსოვილები, ტანსაცმელი, სხვა სამრეწველო ნაწარმი, ელექტროსაქონელი, მეტალურგიის პროდუქცია და ა. შ. რუმინეთის უმთავრესი სავაჭრო პარტნიორები ევროკავშირის ქვეყნები და განსაკუთრებით გერმანია და იტალია არიან. თუმცა

ქვეყანას კვლავაც საგადამხდელო ბალანსის უარყოფითი სალდო აქვს და იმპორტის ღირებულება საექსპორტო შემოსულობებს 37 პროცენტით სჭარბობს.

საექსპორტო პროდუქციის წარმოების ტემპების ზრდა და საერთოდ, ეკონომიკის განვითარება საშუალებას აძლევს ქვეყანას გაზარდოს საერთაშორისო სავალუტო რეზერვები, რომელთა ღირებულებამაც ამ ბოლო დროს 20 მილიარდ დოლარს მიაღწია.

ქვეყნის ეროვნული მეურნეობის მაღალი ტემპებით განვითარებას განსაკუთრებულ ბიძგს დაბალი და გამარტივებული გადასახადები. აძლევს მაგალითად, აქ გაერთიანებულია საშემოსავლო და მოგების გადასახადი და მისი დონე 16 პროცენტს არ აღემატება.

რუმინეთის მთლიანი შიდა პროდუქტის ძირითად მწარმოებელ დარგებს შეადგენენ: მომსახურება – მშპ-ს 55%, მრეწველობა – მშპ-ს 35%, სოფლის მეურნეობა – მშპ-ს 10% და ა. შ. რუმინეთის მოსახლეობის ერთი მესამედი დასაქმებულია სოფლის მეურნეობასა და პირველადი მოხმარების საგნების წარმოების სფეროში. ეს კი მთელი ევროპის მასშტაბით ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელია.

2000 წლის შემდეგ რუმინეთი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ ქვეყნად იქცა უცხოელი ინვესტორებისათვის, რომელთაც აქ მხოლოდ გასულ წელს 8,3 მილიარდ ევროზე მეტი დააბანდეს. ამას ხელს უწყობს აგრეთვე ის გარემოება, რომ მსოფლიო ბანკის რეიტინგების მიხედვით, რუმინეთი მსოფლიოს 175 ქვეყანას შორის 49 ადგილზეა ბიზნესის დაწყების სიადვილის და სიმარტივის მიხედვით.

ყოველივე აღნიშნული კი ხელს უწყობს ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის განუხრელ ზრდას. ამაზე მიანიშნებს ასევე ის გარემოებაც, რომ რუმინელის საშუალო ხელფასი მაგალითად, 2007 წლის მარტში საშუალოდ 1367 ლეის (დაახლოებით 400 ევროზე მეტს) შეადგენდა. რაც შეეხება მინიმალურ ხელფასს, იგი 114 ევროზე მეტია.

სასიამოვნოა, რომ ბოლო წლებში სწრაფად იზრდება რუმინეთსა და საქართველოს შორის სავაჭრო ეკონომიკური კავშირები. კერძოდ, თუ 2000 წელს საქართველოდან ამ ქვეყანაში გატანილი საქონლის ღირებულება 669 ათას დოლარს შეადგენდა, 2005 წლისათვის იგივე მაჩვენებელი 9 მილიონ დოლარამდე გაიზარდა. რაც შეეხება იმპორტს, აღნიშნული მაჩვენებელი 2000 წელს უდრიდა 13,3 მლნ დოლარს, რაც 2005 წლისათვის 40,694 მილიონ დოლარამდე მოიმატა.

# ბულგარეთი: რეფორმების გზაზე



# ბულგარეთი

ტერიტორია – 110,9 ათასი კვ.კმ
მოსახლეობის რიცხოვნობა – 7,73 მილ. კაცი
მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ. მ. – 69,7 კაცი
დედაქალაქი – სოფია
დედაქალაქის მოსახლეობა – 1132,7 ათ. კაცი
მოსახლეობის კლების მაჩვენებელი 5,2 კაცი
ყოველ ათას მოსახლეზე გაანგარიშებით

*ვფიქრობთ ჩვენი წიგნი სრულ წარმოდგენას ვერ მისცემს მკითხველს, თუ მას მცირედ მაინც არ გავაცანით ევროკავშირის ოცდამეშვიდე წევრის (2007 წლის 1 იანვრიდან) ბულგარეთის ეროვნული მეურნეობის ზოგიერთი მაჩვენებელი.*

ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. კერძოდ, თუ 2000 წელს იგი შეადგენდა 2,8 მლნ ადამიანს, 2005 წლისათვის მათმა რაოდენობამ 3 მილიონს გადააჭარბა. თუმცა ქვეყანაში დასაქმების პრობლემა კვლავაც მწვავედ დგას და ქვეყანაში, მხოლოდ ქალაქად მცხოვრებ დაუსაქმებელთა რიცხოვნობამ, 2005 წელს მცხოვრებ მთელ აქტიურ მოსახლეობასთან შეფარდებით, 10 პროცენტს გადააჭარბა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ განვლილ ხუთ წელიწადში აშკარად იგრძნობოდა პროგრესი, რადგან იგივე მაჩვენებელი 2000 წელს 17 პროცენტს აღწევდა.

ეკონომიკურ რეფორმებმა ქვეყანაში გარკვეული შედეგი მოიტანეს, თუმცა არა ისეთი, როგორ

რუმინეთში, ან ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში. კერძოდ, აქ ბოლო ხუთ წელიწადში მშპ-ს ზრდის ტემპი 4-5,5 პროცენტს შეადგენს. შედარებით მაღალი ტემპებით იზრდება მრეწველობის დარგი, რომლის მიხედვითაც ზრდის ტემპი ბოლო წლებში 15-18 პროცენტს უდრიდა. მიუხედავად ამისა, ბულგარეთი ჯერ-ჯერობით მაინც აგრარულ ქვეყნად რჩება. ამის გათვალისწინებით, უნდა ითქვას, რომ ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტურობა კვლავაც მკვეთრად ჩამორჩება ევროპის მოწინავე ქვეყნების ანალოგიური დარგის ეფექტურობის მაჩვენებლებს. მაგალითად, ერთ მოსახლეზე გაანგარისებით თუ ბულგარეტში იწარმოება 953 კილოგრამი მარცვლეული, იგივე პროდუქციის წარმოების მაჩვენებელი შეერთებულ შტატებში შეადგენს 1028 კილოგრამს, კარტოფილი ბულგარეთში იწარმოება 73 კილოგრამი, ბელგიაში – 312, ხორცი (დაკლული წონით) ბულგარეთში იწარმოება 61 კილოგრამი, ბელგიაში – 169, რძე ბულგარეთში იწარმოება 200 კილოგრამი, ავსტრიაში – 312 კილოგრამი და ა. შ. რაც შეეხება ინფლაციას, ეს მაჩვენებელი ქვეყანაში ბოლო წლებში დაბალ დონეზეა და 5 პროცენტს არ აღემატება.

რეალური მინიმალური ხელფასი ბულგარეთში 92 ევროა (ყველაზე დაბალი ევროკავშირის წევრ ქვეყნებში), რაც საქართველოში არსებულ ანალოგიურ მაჩვენებელს (1998 წელს დადგენილ 20 ლარიან მინიმუმზე, - 8,84 ევროზე) 10,4 ჯერ აღემეტება.

რეფორმების შედეგად გამოწვეულმა ეკონომიკურმა აღმავლობამ ქვეყანას საშუალება მისცა გაეზარდა თავისი საერთაშორისო სავალუტო რეზერვები,

რომელთა მოცულობამაც 8,8 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

საქართველოსა და ბულგარეთს შორის მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები არსებობს. სავაჭრო ბრუნვის მაჩვენებლებით, ბულგარეთი ჩვენი ქვეყნის სავაჭრო პარტნიორების ათეულში შედის თურქეთის, რუსეთის, გერმანიის, უკრაინის, აზერბაიჯანის და აშშ-ს შემდეგ.

ამ მხრივ იგი ევროკავშირის ქვეყნებს შორის მეორე ქვეყანაა გერმანიის შემდეგ. ამასთან, ბულგარეთთან საქართველოს სავაჭრო ბრუნვა წლების მანძილზე მკვეთრად იზრდება. მაგალითად, თუ 2000 წელს საქართველოს ექსპორტი ამ ქვეყანაში 2,418.3 ათას დოლარს შეადგენდა, 2006 წლისათვის იგი ხუთჯერ და მეტად გაიზარდა და 12,216.2 ათას დოლარს მიაღწია.

რაც შეეხება იმპორტს, იგი 2000 წელს უდრიდა 15,655.2 ათას დოლარს, ხოლო 2006 წელს – 22,088.0 ათას დოლარს.

როგორც ჩანს, ეს ტენდენცია მომავალში კიდევ უფრო განვითარდება. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის, რომ კერძოდ, 2007 წლის ხუთ თვეში სავაჭრო ბრუნვამ ამ ორ ქვეყანას შორის 85 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია.

# მდიდრებს კავშირი არ სჭირდებათ

ნორვეგიელებს, ისლანდიელებს, შვეიცარიელებს და ლიხტენშტეინელებს კავშირში შესვლა არ სურთ.

როგორც ისლანდიის პრემიერ-მინისტრმა ამას წინათ განაცხადა, და მას ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრიც ეთანხმება, ეს ქვეყანა 2015 წლამდე ევროკავშირს არ შეუერთდება.

დებატები ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით იმართება ევროპის სხვა ქვეყნებშიც, რომელთაც დიდი სურვილი არა აქვთ ქვეყნის პოლიტიკა და ეკონომიკა ბრიუსელს დაუმორჩილონ.

მაგალითად, სამიოდე წლის წინათ შვეიცარიაში გამართულ რეფერენდუმზე სახელდობრ ამის გამო დაუპირისპირდა ფრანგულენოვანი მოსახლეობა გერმანულენოვან მოსახლეობას. პირველნი კავშირში გაწევრიანების მოსურნენი იყვნენ, ხოლო მეორენი – პირიქით (რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს იმ ფონზე, როდესაც თავად საფრანგეთში ამას წინათ ევროკონსტიტუციას მხარი არ დაუჭირეს), ხოლო მეორენი – მოწინააღმდეგენი. ბოლოს და ბოლოს ამ უკანასკნელებმა მაინც თავისი გაიყვანეს და ჯერჯერობით ეს ქვეყანა ევროკავშირში არაა.

ლირიული გადახვევა: ამ ერთი წლის წინათ „თავისუფალი ეკონომიკური სკოლა – საქართველოს“ (პრეზიდენტი – პაატა შეშელიძე) მოწვევით თბილისში იმყოფებოდა შვეიცარიის ეკონომიკური ინსტიტუტის დირექტორი. ევროკავშირთან დაკავშირებით მან შემდეგი გაიხსენა: თურმე ერთ-ერთ გმინის (სოფლის საბჭოს მსგავსი) თავმჯდომარესთან ყოფნისას მას ამ უკანასკნელისათვის ქვეყნის კავშირში შესვლასთან დაკავშირებით უკითხავს.

ახლა ორი სანაგვე კალათა მაქეს, ევროკავშირში შესვლის შემდეგ სამი მექნებაო – როდესაც ინსტიტუტის დირექტორს პასუხი ვერ გაუგია, თავმჯდომარეს ხუმრობა ნარევი ხმით ასე აუხსნია: როდესაც ჟენევიდან მომდის სამსახურებრივი ბარათები აი, იმ კალათში ვყრი, როდესაც კანტონიდან, მეორეში და თუ ევროკავშირში შევალთ, მაშინ კიდევ ერთ კალათას შევიძენ და იქიდან მოსულ ბარათებს იქ გადავუძახებ ხოლმეო.

კავშირში შესვლასთან დაკავშირებით წინააღმდეგობის გაწევის თვალსაზრისით მაინც ნორვეგია გამოირჩევა. ამ ქვეყანამ, უფრო სწორედ მისმა ხელისუფლებამ ოთხჯერ მოიწადინა კავშირში გაერთიანება და ოთხჯერვე მარცხი განიცადა. ორჯერ მის იქ შესვლას საფრანგეთმა დაადო ვეტო, ხოლო ორჯერაც ნორვეგიელებმა რეფერენდუმზე უარი განაცხადეს. ლოგიკურიცაა. თუ თავიდან გენერალი დე გოლი ამბობდა უარს კავშირის შემდგომ გაფართოებაზე, შემდეგ ჩრდილოეთის ზღვის ნორვეგიის სანაპიროებთან ნავთობისა და გაზის დიდი საბადოების აღმოჩენის შემდეგ თავად ნორვეგიელებმა არ ჩათვალეს საჭიროდ სული ბრიუსელისათვის მიეყიდათ.

ჯერაც ბოლომდე არ დავმტკბარვართ დამოუკიდებლობით, დანიამ ხომ მხოლოდ 1944 წელს გვცნო – ამბობს ეირუკუნ ბერგმანი, რეიკიავიკის უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის პროფესორი და აგრძელებს – II მსოფლიო ომში ჩვენ ბრიტანელები მოგვევლინენ ოკუპანტებად. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ მათი არმიების მომარაგებიდან დაიწყო ისლანდიის კეთილდღეობა.

სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა შვეიცარიაში. XIII საუკუნის შემდეგ მის დამოუკიდებლობას არავინ შეხებია. მეზობელი ქვეყნების მიერ შვეიცარიისათვის მიცემული ნეიტრალიტეტი ამ ქვეყნის აყვავებისათვის მტკიცე ფუნდამენტი

აღმოჩნდა. სწორედ მისი წყალობითაა შვეიცარიის კონფედერაციის პოლიტიკური სტაბილურობა და ამ ქვეყნის მთელი მსოფლიოს მდიდრების ნდობა აქეთ მოპოვებული, რომლებიც მთელ თავის დანაზოგს აქაურ ბანკებში ინახავენ. შვეიცარიამ თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნება მაშინაც კი შეძლო, როდესაც მთელი ევროპა ცეცხლის ალსი იყო გახვეული. იმის ფასად, რომ ჰოლოკოსტის შედეგად გაქცეული თუ დაღუპული ებრაელების მთელ ქონებას ნაცისტები აქ ინახავდნენ და ასევე იმისათვის, რომ თითქმის მთელი თავიანთი საბრძოლო ტექნიკით დატვირთულ ვაგონებს გერმანელები შვეიცარიაზე ატარებდნენ, ამ ქვეყანამ ჰიტლერის თავდასხმა თავიდან აიცილა. ამიტომ, ისმება კითხვა: რაღაში სჭირდება შვეიცარიას შეურიგდეს ბრიუსელის ბატონობას?

დღევანდელ გლობალურ სამყაროში დამოუკიდებლობას ძალზე დიდი ფასი აქვს. იგი ისეთი ფუფუნებაა, რომლის შეძენაც ხშირად უმდიდრეს ქვეყნებსაც არ ხელეწიფებათ. ევროკავშირი ჰგავს ერთგვარ მტვერსასრუტს. რაც არ უნდა ფეხები გაფშლიკო, ბოლოს მაინც მის ხახაში მოექცევი. მას შეწოვის უდიდესი უნარი აქვს – ამბობს ერთი შვეიცარიელი ექსპერტი.

ისლანდიური კრონის კურსმა შესაძლოა ერთი წლის განმავლობაში ევროს ღირებულების 1/3 ოდენობა მოიმატოს ან დაიკლოს, რაც ძალზე ძნელი ასატანი იქნება ჩვენი მეწარმეებისათვის. ასეთ შემთხვევაში ხომ ბირჟის სპეკულანტებს ადვილად შეეძლებათ მძიმე დღეში ჩააგდონ იმ ვალუტის სტაბილურობა, რომელიც 250 ათას ადამიანს ემსახურება – ამბობს ერთი ისლანდიელი ჟურნალისტი.

ამასთან მედალს მეორე მხარეც აქვს. მაგალითად, ერთიანი ბაზრის მიღმა დარჩენილი შვეიცარიელები სურსათსა თუ მომსახურების ძირითად სახეობაში თითქმის ორჯერ

უფრო მაღალ ფასს იხდიან, ვიდრე მათი მეზობელი ფრანგები თუ გერმანელები. აქ წარმოების ხარჯები ისე გაიზარდა, რომ ნესტლემ, ამ ქვეყნის უდიდესმა კონცერნმა შვეიცარიაში მხოლოდ თავისი წარმოების 2 პროცენტი დატოვა. როგორც დოლოკ ტონსეტი, ბრიუსელში ნორვეგიის საელჩოს მრჩეველი ახსნის, ევროკავშირში მიღებულ კანონს უკვე ორი კვირის შემდეგ, ყოველგვარი შესწორების გარეშე, იღებს ნორვეგიის პარლამენტი ოსლოში. ეს აუცილებლობითაა გამოწვეული, რამეთუ არც ერთი ინვესტორი არ დაეთანხმება იმუშაოს კანონებით იმ ქვეყნისა, რომლის მოსახლეობაც ოთხ მილიონსაც არ აჭარბებს. მიუხედავად ამისა, ევროპის საბჭოში და ევროპის პარლამენტში ნორვეგიელები არ არიან, ამიტომ ნორვეგიის ინტერესებსაც არავინ დაიცავს ახალი კანონის მიღებისას – ამბობს იგი – ამიტომ იძულებული ვართ არაფორმალურად მოვახდინოთ ზეგავლენა მათი მირებისას, მივაღწიოთ კულუსებს მიღმა შეთანხმებები, რა მიზნითაც ბრიუსელში ოცდაათ დიპლომატზე მეტი გვყავს.

ევროკავშირში ინტეგრაციის მოწინააღმდეგეებს მიაჩნიათ, რომ კავშირს გარეთ დარჩენით მიღებული სარგებლობა ბევრით გადაფარავს ამ პრობლემას – ჩვენი ქვეყანა ისეთი პატარაა, რომ კავშირში მას მაინც არ მოუსმენენ. მის გარეთ დარჩენით კი საბანკო კანონმდებლობას მაინც დავიცავთ, რისი წყალობითაც ასე ბევრს სარგებლობენ საფინანსო დაწესებულებები და საერთოდ, ჩვენი ქვეყანა – ამბობს თავადი ნიკოლაუს ეონ ლიხტენშტეინი, ლიხტენშტეინის ელჩი ბრიუსელში.

ისლანდიის საექსპორტო შემოსავლის თითქმის ნახევარს თევზჭერა იძლევა. ამ კუნძულის ირგვლივ 200 მილის სიგრძეზე მეთევზეებს შეუძლიათ გააკეთონ ყველაფერი ის, რაც სურთ. – ეს კუნძული რომ ევროკავშირში იყოს, ჩვენს წყლებში ესპანური და ბრიტანული გემები ითევზავებდნენ,

სოლო ბრიუსელელი მოხელეები თევჭერის ლიმიტებს დაგვიწესებდნენ – ირწმუნება პროფესორი ეირუკუნ ბერგმანი.

ანალოგიურად ზრუნავს თავის მეთევზეებზე და აგრარული დარგის მუშაკებზე ოსლოც. ევროკავშირში შესვლის შემდეგ რთულ კლიმატურ პირობებში მომუშავე ნორვეგიელ ფერმერებს ძველებურად აღარ ექნება სოლიდური სუბსიდიები. ასეთ შემთხვევაში კი ისინი კონკურენტუუნარონი გახდებიან ფრანგ და ესპანელ ფერმერებთან შედარებით.

ბრიუსელი დემაგოგიად მიიჩნევს ასეთ არგუმენტებს. მისი ოფიციალური წარმომადგენლების განცხადებით, ევროკავშირი ყურადღებით განიხილავს თავისი ყველა წევრის სპეციფიკურ მოთხოვნებს. მაგალითად, მალტელმა მეთევზეებმა ევროკავშირში შესვლის შემდეგ შეძლეს შეენარჩუნებინათ გარკვეული შეღავათები კუნძულის ირგვლივ ზონაში თევზაობის სფეროში. ფინელი და შვედი ფერმერებიც საკმაოდ სოლიდური სუბსიდიებით სარგებლობენ.

# სამყაროს მომავალი ევროპაა

ჯერემი რიფკინი

წინამდებარე ინტერვიუ, რომელიც ასევე პოლონურ ჟურნალ „პოლიტიკაში" დაიბეჭდა, ეკუთვნის გამოჩენილ ამერიკელ პოლიტოლოგსა და ეკონომისტს ჯერემი რიფკინს. იგი არის მართვისა და მენეჯმენტის მსოფლიოში ცნობილი ვარტონის სკოლის (Warton School) პროფესორი. მის მიერ წამოჭრილი თემები ძალიან ხშირად ცხარე დებატების საგნად ქცეულა.

მაგალითად, თავის წიგნში „შრომის დასასრული" იგი ასაბუთებს, რომ ვინაიდან შრომა უკვე გასდა პრივილეგია, მალე შეიქმნება საზოგადოება, სადაც მხოლოდ მცირე რიცხოვნობის ადამიანები იმუშავებენ.

ასევე დავა გამოიწვია მისმა თეზამ იმის შესახებ, რომ არც თუ ისე შორეულ მომავალში ადამიანებს ერთმანეთისაგან განასხვავებს არა საკუთრება, არამედ ის, თუ ვის როგორ მიუწვდება ხელი ცოდნაზე, ინფორმაციაზე, ტექნოლოგიებზე, რამდენად ხელეწიფებათ გაელიანა მოახდინონ სამეურნეო და საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტაზე.

„წყალბადის ეკონომიკაში" მეცნიერი ხატავს საზოგადოების დრამატულ ენერგეტიკულ კრიზისს და სახავს ამგვარი სიტუაციიდან გამოსვლის გზებს.

თავის ბოლო წიგნში „ევროპული ოცნება", რომელიც გასულ წელს გამოიცა, იგი ასაბუთებს, რომ ცხოვრების ამერიკულმა წესმა უკვე მოჭამა თავი და მომავალი ევროპას, ევროპული ცხოვრების მოდელს ეკუთვნის. ამგვარმა პროგნოზებმა ევროპაში მძაფრი რეაქცია გამოიწვია, რადგან „ბებერი კონტინენტის" გარკვეულ წრეებში ჯერაც შემორჩენილია ამერიკული კომპლექსი და ამერიკული კულტი.

თუმცა ბევრმაც მხარი დაუჭირა რიფკინის ამ მოსაზრებებს. მათ შორის არიან, მაგალითად, ბრიტანელი მარკ ლეონარდი, ევროპული რეფორმების ბრიტანული სამეცნიერო ცენტრიდან, ავტორი წიგნისა „ევროპა XXI საუკუნის ლიდერი" და ამერიკელი თეოდორ რეიდი „The Washington Post"-ის

*ევროპელი კორესპონდენტი, ავტორი ნაშრომის „ევროპის შეერთებული შტატები".*

**კორესპონდენტი: როგორ მოხდა, რომ წმინდა სისხლის ამერიკელმა ევროპული ცხოვრების წესზე დაიწყო ოცნება?**

რიფკინი: ამერიკული ოცნებები უკვე აღარ არსებობს. არადა, ამერიკელებს სწორედ ეს აკავშირებდა ერთმანეთთან. არა კონსტიტუცია, არა უოლ-სტრიტი, არამედ სახელდობრ ეს. არადა, სამყაროს ახალი ოცნებები სჭირდება. ასეთი ადამიანები კი ევროპაში იწრთობიან.

**კორესპონდენტი: ეს ამერიკაში ნამდვილად აღარ არსებობს?**

რიფკინი: ცნობილია, რომ ამერიკაში ცხოვრება ყოველთვის მყარი იყო. ყოველი ადამიანი ცდილობდა საკუთარი თავი თავად ერჩინა. აქ შედარებით ნაკლები იყო ერთმანეთის გაგება და ნდობა. მაგრამ ყველას სჯეროდა, რომ ეს ნამდვილად იყო უდიდესი შესაძლებლობების ქვეყანა. თუ მძიმედ მუშაობდი, თუ კარგად განათლებული, ინტელიგენტი იყავი, ნამდვილად შეგეძლო ყველაფრის მიღწევა.

**კორესპონდენტი: მილიონერი მეწაღეობიდან...**

რიფკინი: ამ მოდელმა მართლაც რომ დიდხანს იმუშავა. მე თავადაც სიღარიბეში გავიზარდე, ჩიკაგოს ღატაკთა უბანში. ქარი გვიქროდა ჩიბეში, მაგრამ მდიდარიც და ღარიბიც დარწმუნებული იყო იმაში, რომ ოდესმე მილიონერი გახდებოდა. პირადად მე ეს ოცნება ამისდა.

**კორესპონდენტი: მაშ რატომღა აყენებთ ეჭვქვეშ ამერიკული ცხოვრების წესს?...**

რიფკინი: იმიტომ, რომ დღეს ამერიკა უკვე სხვაგვარია. როდესაც ცხოვრებას ვიწყებდი, მაშინ ამერიკა ყველაზე მეტად თანასწორუფლებიანი ადამიანების სამშობლო იყო, განვითარებული ქვეყანა, სადაც მთელ მსოფლიოში ყველაზე მეტი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელი ცხოვრობდა. დღეს კი შემოსავლების თანასწორობის

მაჩვენებლებით 24-ე ადგილზე გადაეინაცვლეთ. ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის (OECD) ქვეყნებს შორის მხოლოდ მექსიკასა და რუსეთის აქვს ამ მხრივ უფრო უარესი მაჩვენებლები. გასაკვირი როდია, რომ ჯერ კიდევ ამერიკელების ნახევარს სჯერა ამერიკული ოცნებების. თანადათან იკარგება ის, რაც ჩვენს თანამემამულეებს ერთმანეთთან აკავშირებდა. ისეთი ძლიერი დამაკავშირებლის გარეშე კი, რომლისაც ამერიკელთა უმრავლესობას სჯერა, შეუძლებელია ქვეყანა ჯეროვნად ფუნქციონირებდეს. სწორედ ამიტომ გახდა აუცილებელი ამერიკელითათვის მოვიძიოთ ის რაღაც გამაერთიანებელი, რომელსაც არა ჩვენ, არამედ ატლანტიკის გაღმა, ევროპაში ჩაუყარეს საფუძველი.

**კორესპონდენტი: რაში მდგომარეობს განსხვავება?**

რიფკინი: ეს განსხვაევება მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ამერიკელთა ოცნებაში წარმატება ინდივიდუალურია. ერთნი იგებენ, ხოლო მეორენი ყველაფერს კარგავენ. ჩვენ საზოგადოებიდან ვრიყავთ წარუმატებელთ, ხოლო თუ არ დაგვემორჩილებიან, ციხეში ვამწყვდევთ. თქვენ კი ცდილობთ საზოგადოების ყველა წევრი ჩართოთ შრომაში. ცხოვრების ჩვენს მოდელში ამირიკული კულტურის უზენაესობა ეჭვგარეშეა. ევროპულ მოდელში ყოველ კულტურას აქვს რაღაც საინტერესო და სხვისთვის გასაზიარებელი. ამერიკაში მხოლოდ სიმდიდრესა აქვს ფასი. ევროპაში — ცხოვრების ხარისხს. ამერიკულ სამყაროში ძლიერი, ანუ ამერიკელია მართალი. ევროპაში — ყველასა აქვს თავისი სიმართლე.

**კორესპონდენტი: ხომ მაგრამ, ეს ხომ ასე არაა.**

რიფკინი: ცხადია. ამერიკაში ყველა როდია მდიდარი, მაგრამ ყველა ოცნებობს გამდიდრებაზე, ევროპაში კი ყველა როდი ცხოვრობს კარგად, მაგრამ ყველა ამაზე ოცნებობს. როდესაც ამერიკელს ეკითხები, თუ რაზე ოცნებობს იგი, გიპასუხებს, რომ გამდიდრებაზე. მაგრამ როდესაც ევროპელს იგივე შეკითხვას დაუსვამ, 10-დან 9 შემთხვევაში გეტყვის, რომ სურს უკეთესი ცხოვრება. ამერიკაში ამას ვერ გაიგებთ.

ცხოვრების ხარისხია ევროპული ოცნებებისათვის უმნიშვნელოვანესი ელემენტი.

**კორესპონდენტი: და ეს, თქვენი აზრით, ჰქმნის ასეთ პრინციპულ განსხვავებას?**

რიფკინი: ძალიან პრინციპულს. სიმდიდრე პირადი მიზანია. ცხოვრების ხარისხი კი უფრო საზოგადოებრივი მიზანი შეიძლება იყო. მისი მიღწევა შეუძლებელია ინდივიდუალურად. ყოველი ამ ოცნებათაგანი ეფუძვნება სრულიად განსხვავებულ ფილოსოფიას. თუნდაც რომ ძალიან მდიდარი იყო, ვერ გექნება ცხოვრების მაღალი ხარისხი, თუ ქუჩა, სადაც ცხოვრობთ, იქნება დანაგვიანებული, გადათხრილ-გადმოთხრილი და საშიში, გარემო მოწამლული, მდინარეები დაბინძურებული, ტყეები გაჩეხილი. ევროპელები ამ ყველაფერს უფრო ამჩნევენ და გრძნობენ, ვიდრე ამერიკელები. ამერიკელი მშობლები ბავშვებს ასწავლიან, რომ ისინი უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი. ევროპელი მშობლები კი ბავშვებს აჩვევენ თანატოლებთან ურთიერთობას და კოლექტიურ საქმიანობას. კონვერგენციის მრავალი თეორიის არსებობის მიუხედავად, ეს განსხვავება არ ქრება კონტაქტების ინტენსიფიკაციასთან ერთად. პირიქით, რაც უფრო ახლო კონტაქტში ვართ, მით უფრო განვესხვავდებით ერთმანეთისაგან.

**კორესპონდენტი: კი მაგრამ, რაა ყველაფრის სათავე?**

რიფკინი: სხვადასხვა ეპოქაში ვცხოვრობთ. მრავალი თვალსაზრისით ამერიკა იგივე ევროპაა, ოღონდ 200 წლის წინანდელი. ჩვენ თითქმის შეუცვლელად შემოვინახეთ ის ოცნებები და ღირებულებები, რომლებიც ამერიკის მამა-დამაარსებლებმა ჩამოიტანეს ევროპიდან. ლუთერი თუ კალვინი ამერიკაში თავს გაცილებით უკეთ იგრძნობდნენ, ვიდრე გერმანიასა თუ შვეიცარიაში. ადამ სმითი თავს უფრო უკეთ იგრძნობდა ამერიკაში, ვიდრე ინგლისში. ევროპისაგან განსხვავებით ჩვენ იმ დროიდან მოყოლებული ძალზე უმნიშვნელოდ შევიცვალეთ. კვლავაც გვწამს, რომ ღმერთი სამართლიანებს სწყალობს და მათ აძლევს სიმდიდრეს. ეს

ამართლებს იმ ყურადღებას, რომელსაც ჩვენ ვუთმობთ პირადი გამდიდრებას. ხომ ხედავთ განსხვავებას?

**კორესპონდენტი: ევროპაში ვგრძნობთ, რომ ფული თქვენთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვენთვის.**

რიფკინი: ჩვენ ვცხოვრობთ იმიტომ, რომ ვიმუშაოთ, ხოლო თქვენ მუშაობთ იმიტომ, რომ იცხოვროთ. სწორედ ესაა ფუნდამენტალური განსხვავება. მაგრამ ეს არ გამომდინარეობს ჩვენი სიხარბიდან. მშობლები ბავშვობიდანვე გვასწავლიან, რომ ფული აუცილებელია, რათა სხვებს ხელი არ შეუშალო. მდიდარი უნდა იყო, რომ ტვირთად არ დააწვე მშობლებს, ნაცნობებს, ანდა სახელმწიფოს. ამიტომ ვაქცევთ ასეთ ყურადღებას ეკონომიკურ ზრდას. ანგარიშზე ფულის რაოდენობა, სულ ერთია კერძო იქნება ანგარიში, თუ სახელმწიფო – გამუდმებით უნდა იზრდებოდეს. სწორედ ესაა ჩვენი საქმიანობის უმთავრესი აზრი. ევროპა კი უფრო გაწონასწორებულ განვითარებაზეა კონცენტრირებული.

**კორესპონდენტი: ამერიკელები, ანუ ისინი, ვინც ატლანტიკა გადაცურა, რატომ განსხვავდებიან ასე ჩვენგან?**

რიფკინი: აღნიშნული უმეტესწილად გამომდინარეობს ამერიკის უკიდეგანო სივრციდან. ჩვენ ეს სივრცე მუდამ უსაზღვრო გვეჩვენება. თუ საქმე კარგად ვერ მიგვდის, სხვა ადგილას გადავედივართ. თუკი ფაბრიკა მოგებას ველარ იძლევა, მას ვტოვებთ და სხვაგან ვაშენებთ ახალს. თუ უბანი თუ რაიონი, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, აღარ მოგვწონს, ვტოვებთ მას, სხვაგან გადავედივართ და იქ ვაშენებთ ახალ სახლს. თქვენ ძველ სახლს არემონტებთ. ძველ ფაბრიკას აახლებთ. თქვენ მას უბრალოდ ვერ მიატოვებთ. ადამიანები საუკუნეების მანძილზე იბადებიან და კვდებიან ერთსა და იმავე ადგილას, ამიტომ იძულებულები არიან გაუფრთხილდნენ იმ ადგილს, როგორც გარემოს და ასევე საზოგადოებაში ურთიერთობას. ეს განსხვავება ასახვას კანონმდებლობაშიც პოულობს. ჩვენი ამერიკული ოცნება ეფუძვნება საკუთრებისა და კერძო პირის უფლებებს. სწორედ საკუთრება არის ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გარანტია. საკუთრების

დაცვის სამსახურშია სამოქალაქო თავისუფლება – სიტყვის თავისუფლება, შეკრებების თავისუფლება, იარაღის ტარების თავისუფლება და სხვ. ჩვენ გამუდმებით ამ უფლებების შესახებ ვიბრძვით და ვკამათობთ.

თქვენ კი პირიქით - კამათობთ სოციალური სამართლიანობისა და ადამიანის უფლებების საკითხებზე. იცავთ პენსიონერთა და ავადმყოფთა უფლებებს, დასვენების უფლებას, კამათობთ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების საკითხებზე. ერთადერთი სოციალური უფლება, რომელიც ცნობილია ამერიკაში, ესაა უფლება განათლებაზე. და ესეც შეზღუდული დროის მანძილზე.

**კორესპონდენტი: ხშირად ვფიქრობ ხოლმე იმაზე, თუ საიდან იღებთ იმის რწმენას, რომ ყოველ ამერიკელს შეუძლია თავი გაართვას ცხოვრებისეულ პრობლემებს.**

რიფკინი: მშობლებიდან და ღმერთიდან. რამეთუ ჩვენ ჭეშმარიტი მორწმუნეები ვართ. ბიბლია ამერიკელთა 90 პროცენტზე მეტსა აქვს სახლში. ყოველ მეორე ამერიკელს მიაჩნია, რომ პირადი კონტაქტი აქვს ღმერთთან. ჩვენი მოსახლეობის ნახევარს სჯერა ბიბლიის პირდაპირი ინტერპრეტაციის და მოსახლეობის ნახევარი დარწმუნებულია, რომ ღმერთმა შექმნა ადამიანი ისეთი, როგორიც ჩვენა ვართ, და ეს მოხდა მაქსიმუმ 10 ათასი წლის წინათ. ნახევარზე მეტს სჯერა, რომ არმაგედონი, როგორც ამას წმინდა წერილი გვამცნობს – კელავაც მოქმედებს დედამიწაზე. თითქმის ნახევარს მიაჩნია, რომ გადამწყვეტი ბრძოლა გრძელდება და ჩვენის სიცოცხლისათვის ქრისტე საბოლოოდ დაამარცხებს ანტიქრისტეს. უფრო მეტიც: ჩვენ ნახევარზე მეტს სჯერა, რომ სწორედ ამერიკელები არიან თანამედროვე ხალხებს შორის ყველაზე გამორჩეული. ამიტომ ვართ მზად დავიხოცოთ ამერიკისათვის. ვერც ერთ სხვა ქვეყანაში ვერ ნახავთ ასე პატრიოტულად განწყობილ ადამიანებს, რომლებიც თვალსაც არ დაახამხამებენ სამშობლოსათვის თავის დადება რომ დასჭირდეთ. სწორედ ამიტომ ისლიან ამერიკელები გადასახადებს ჯარის შესანახად. სწამთ, რომ სატანა

რეალურად არსებობს. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ბოროტებასთან ბრძოლაზე, ეს მხოლოდ მეტაფორა როდია. ჯარი ძლიერი უნდა იყოს, რომ დაამარცხოს რეალურად არსებული სატანა. ამერიკელთა უმრავლესობას ამისი სწამს. როდესაც ევროპელები გვეუბნებიან, რომ კომპრომისი და მშვიდობის დამყარება უკეთესია, ვიდრე ომი, ამერიკელებს ვერ გაუგიათ, საიდანაა გაქვთ ასეთი აზრები. რანაირად შეიძლება ბოროტებასთან კომპრომისი. ბოროტებასთან მოლაპარაკებებს არ ეწევიან. მასთან მხოლოდ უნდა იბრძოლო.

**კორესპონდენტი: კითხვაც იმაში მდგომარეობს, როგორ ვებრძოლოთ.**

რიფკინი: თუ ამ ბოროტებას სატანის სახე აქვს, მაშინ პასუხი ნათელია. ამიტომაა ძნელი აუხსნა მრავალ ამერიკელს, რომ ევროპელები მასთან საბრძოლველად სათანადოდ არ იარაღდებიან და მხოლოდ დიდი ფულის ხარჯვით აპირებენ მის დამარცხებას. აი, თუნდაც ციფრები: საზღვარგარეთული უცხოური დახმარებების თითქმის ნახევარი ევროპაზე მოდის და მხოლოდ ერთი მეოთხედია ამერიკული. ამერიკელებს ვერ გაუგიათ, თუ რატომ უნდა ვეხმარებოდეთ ბოროტების მსხვერპლთ, ნაცვლად იმისა, რომ ბოროტებას ვებრძოლოთ. ამერიკელთა უმრავლესობას პრეტენზია აქვს, რომ ნახევარ საუკუნეზე მეტი სარგებლობდით ამერიკული „დამცველი ქოლგით" და ახლა აღარ გსურთ დაგვეხმაროთ ბრძოლაში ანტიქრისტესთან წინააღმდეგ.

**კორესპონდენტი: რა შეიძლება ამის საწინააღმდეგოდ გაკეთდეს?**

რიფკინი: იქნებ არც ღირს რაიმეს გაკეთება. რომ არა ამერიკული ბომბამშენები, ბოსნია და კოსოვო კვლავაც ცეცხლში იქნებოდნენ გახვეული. ვინ იცის, იქნებ პრობლემის გადაჭრისადმი ორივე მიდგომასა აქვს არსებობის უფლება. სამაგიეროდ პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, რომელ ოცნებასა აქვს მომავალი, ევროპულ თუ ამერიკულს.

**კორესპონდენტი: ეკონომიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ალბათ, არა ევროპული...**

რიფკინი: ჩემთვის ამ კითხვაზე პასუხი ვერ იქნება ცალსახა, რამეთუ ბევრი მიმართულების მიხედვით ევროპა უკვე უსწრებს ამერიკას.

**კორესპონდენტი: მე კი სულ ის მესმის, რომ ჩვენ უშედეგოდ მივდევთ ამერიკას...**

რიფკინი: გააჩნია, რა თვალსაზრისით. თუ საქმე ეხება შრომის ნაყოფიერებას, თქვენ წარმოუდგენლად დიდი წარმატებები გაქვთ. 60-იან წლებში ევროპელი მუშის შრომის ნაყოფიერება ორჯერ დაბალი იყო, ვიდრე ამერიკელის. 2002 წელს ევროკავშირმა მიაღწია ანალოგიური მაჩვენებლის 97 პროცენტს, ხოლო ექვს სახელმწიფოს – მათ შორის, გერმანიასა და საფრანგეთს – ეს მაჩვენებელი უფრო მაღალიც აქვთ, ვიდრე ამერიკას. ეს რაიმე სტატისტიკური „ტრიუკი" კი არაა, არამედ ევროპული მეცნიერებისა და ტექნოლოგიების წარმატებების შედეგი.

**კორესპონდენტი: და მიუხედავად ამისა, კვლავაც ღარიბებად ვრჩებით...**

რიფკინი: იმიტომ, რომ ბევრად ნაკლებს მუშაობთ. მაგალითად, ფრანგი წელიწადში 300 საათით ნაკლებს მუშაობს, ვიდრე ამერიკელი. დღეს ყოველი მესამე ამერიკელი კვირაში 50 საათზე მეტს მუშაობს. ამასთან, ამერიკაში სამუშაო დროის სიგრძე თანდათანობით მატულობს, ხოლო ევროპაში პირიქით, კლებულობს. ეს კულტურული და ცივილიზაციური არჩევანია. უკვე ამერიკელთა ნახევარი წუხს იმაზე, დასვენება, ენერგიის აღდგენა ვერ მოუსწრიათ. იქნებ სწორედ ამის გამოა, რომ ამერიკელები ოთხჯერ უფრო ხშირად იკლავენ თავს, ვიდრე ევროპელები.

**კორესპონდენტი: სამაგიეროდ უმუშევრობა მოსპეთ.**

რიფკინი: არაა მთლად ასე. გვაქვს ოდნავ უფრო დაბალი, ვიდრე საშუალო-ევროპული, მაგრამ ბევრად მაღალი, ვიდრე ოფიციალურად აცხადებენ. ოფიციალურ სტატისტიკურ მაჩვენებლებს ალბათ, მინიმუმ ორი-სამი მაჩვენებელი მაინც უნდა დაემატოს, რამეთუ დაახლოებით ამდენმა ადამიანმა ანება თავი სამუშაოს ძებნას და გაეიდა სისტემიდან. ამასთან

უნდა გაეითვალისწინოთ პატიმრებიც – შრომისუნარიან ასაკში მყოფ ამერიკელ მამაკაცთა დაახლოებით ორი პროცენტი მუდმივად ციხეში იმყოფება. ეს მაჩვენებელი ევროპაში ნახევარ პროცენტზე დაბალია. ანუ, როდესაც ჩვენი ხელისუფლება აცხადებს 5 პროცენტიანი უმუშევრობის შესახებ, შეიძლება სრულიად თავისუფლად იმის თქმა, რომ იგი 8 პროცენტზე მაღალია. ამასთან, ეს არის მხოლოდ ნაწილი მზარდი პრობლემისა, რამეთუ მართალია ამერიკული ეკონომიკა ვითარდება და ახალი სამუშაო ადგილებიც იქმნება, მაგრამ ამ უკანასკნელზე ანაზღაურება დაახლოებით ოცი პროცენტით ნაკლებია, ვიდრე ლიკვიდირებულ სამუშაო ადგილზე იყო. გაეითვალისწინოთ ისიც, რომ ჩვენთან მინიმალური ანაზღაურება საშუალო ანაზღაურების 40 პროცენტამდეა, მაშინ, როდესაც იგი ევროპაში 50%-ზე მაღალია და ნათელი გახდება, რომ ამერიკაში სახეზე გვაქვს მოვლენა, როდესაც იზრდება იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც თუმცა მუშაობენ, მაგრამ არ ძალუძთ საკუთარი შრომით თავის რჩენა. შრომის ანაზღაურებაში სწორედ ასეთი უთანასწორობა და შრომით გადაღლა იწვევს, რომ ჩვენ წელიწადნახევრით ნაკლებს ვცოცხლობთ, ვიდრე ბებერი ევროპის მკვიდრნი, თუმცა ამერიკასავით დიდ ხარჯებს ჯანმრთელობის დაცვაზე არც ერთი ქვეყანა არ გაიღებს – ჩვენი მშპ-ს 10 პროცენტი, ანუ საშუალოდ 5 ათასი დოლარი წლიურად ერთ ადამიანზე. მიუხედავად ამისა, 40 მლნ ამერიკელს არა აქვს ჯანმრთელობის დაცვის რაიმე დაზღვევა.

**კორესპონდენტი: ეს არის გლობალურ ბაზარზე დინამიური განვითარების შედეგი. თქვენთან სუსტები იხდიან უფრო მეტს ფასს, მაგრამ ძლიერებს შეუძლიათ მეტი მოიგონ.**

რიფკინი: არც ამაზე შემიძლია ცალსახად დაგეთანხმოთ. დღეს მილიონერთა ერთი მესამედი ევროპაში ცხოვრობს. თქვენთან მათი რიცხოვნობა 2,6 მილიონია, ჩვენთან კი მხოლოდ – 2,2 მილიონი. 140 ყველაზე დიდი გლობალური კორპორაციიდან 60 ევროპიდან წარმოსდგება და მხოლოდ 50

- ამერიკიდან. 20 ყველაზე დიდი კომერციული ბანკიდან 14 ევროპული ბანკია. 10 ყველაზე დიდი გადამზღვევი ფირმიდან - 8 ევროპულია. ფარმაცევტულ მრეწველობაში მოქმედი 10 ყველაზე დიდი კორპორაციიდან - 5 ევროპულია. 50 ყველაზე უკეთესი ფირმიდან - 49 ევროპულია და ამ რეიტინგში მხოლოდ ერთი – ამერიკული ჰილტონი მოხვდა. თქვენ უკვე ადამიანის საქმიანობის მრავალ სფეროში ახდენთ ჩვენს კოლონიზაციას. უპირატესობა გაქვთ მაგალითად, საჰაერო გადაზიდვებში. ფინური ნოკია მსოფლიო ფიჭური კავშირების ბაზრის 40 პროცენტს ფლობს. ჩვენი საუკეთესო ოპერატორი ევრისონი უკვე სანახევროდ ბრიტანულმა ვოდაფონმა შეისყიდა. ჩვენი ლიდერი საგამომცემლო საქმიანობაში რანდონ ჰოუზე ჯგუფმა ბერტელსმანმა შეისყიდა. ჩვენი მესამე საავტომობილო კონცერნი კრაისლერი გერმანული დაიმლერის საკუთრება გახდა. კიდევ სხვა მრავალ სფეროში ევაგებთ თქვენთან, მიუხედავად იმისა, რომ რათა ჩვენმა ეროვნულმა მეურნეობამ წინ იაროს, ჩვენ კვლავაც ვაგრძელებთ მისი ვალებით დამძიმებას. 2000 წლიდან 2004 წლამდე ჩვენი სახელმწიფო ვალი 1,5 ტრილიონი დოლარით გაიზარდა და მშპ-ს 40 პროცენტს გადააჭარბა. სხვათაშორის ამან განათლებაზე გასაღები სახსრების სისტემატური შემცირება გამოიწვია. სამეცნიერო კვლევების მასშტაბების შემცირების უარყოფითი გავლენა კი უკვე ეტყობა ჩვენ ეკონომიკას. ამ ტრადიციის გაგრძელება უსასრულოდ შეუძლებელია.

**კორესპონდენტი: ჩვენ ისეთი შეგრძნება გვაქვს, რომ ევროპულმა მოდელმაც უკვე ამოწურა თავისი შესაძლებლობები. ევროპელებმა უკვე იწყეს საუბარი რეფორმების აუცილებლობაზე.**

რიფკინი: ცხადია. ვინც ევროპას იცნობს, მან იცის, თუ როგორი მფლანგველური სოციალური სისტემა გაქვთ. მას, რა თქმა უნდა, გათანამედროვება უნდა. გარკვეული ანტისემიტიზმი და რასიზმიც გახასიათებთ, კლასობრივი დაძაბულობაც იგრძნობა, ძლიერის მიერ სუსტების დაჩაგვრასაც აქვს ადგილი. მოკლედ, თქვენც ისეთივე

შემობრუნების მომენტში ხართ. როგორც ჩვენ. ამასთან, ჩვენგან განსხვავებით, თქვენ გაქვთ, თუმცა სუსტი, წყნარი, მაგრამ მაინც, რეალურად არსებული ოცნება. სწორედ ესაა შანსი, როგორც ევროპის, ისე მთელი მსოფლიოსათვის. ოცნება ისეთ ცხოვრებაზე, სადაც საზოგადოება გაწონასწორებულია და იქიდან არ გამოირიცხება არავინ, სადაც ადამიანებს აქვთ რაღაც, გარდა მუშაობის, ბრძოლის, სიმდიდრის მოპოვებისა.

*კორესპონდენტი: უტოპიების შეთხზვა ხომ ევროპელთა ხასიათშია, დაწყებული პლატონიდან, კალვინი, რუსო, მარქსი და ა.შ. ჰიტლერით დამთავრებული. საბედნიეროდ უკვე ვიცით, თუ რითი შეიძლება დასრულდეს ამგვარი ოცნებები. ამიტომ ევროპული ოცნებები, თუკი იგი ნამდვილად არსებობს, ძალზე ღრმად არის დამალული.*

რიფკინი: ამჯერად თქვენ გაქვთ ოცნება, რომელიც ნამდვილად არაა საშიში, არავისათვის არ მოაქვს ზიანი, არავისავის არაა სახიფათო. მას მხოლოდ ერთი სისუსტე აქვს: სავალდებულო შესასრულებელი არაა. ეს ფენომენი კი იმას ეფუძნება, რომ პირველად ხდება მთელი ისტორიის მანძილზე, რომ ნახევარ მილიარდ ადამიანს აქვს საერთო ოცნება, რომელიც შესაძლოა გახდეს გლობალური ოცნება. სამყაროსათვის არ არსებობს სხვა შეთავაზება, გარდა გლობალური ევროკავშირისა.

*კორესპონდენტი: გლობალური მსოფლიო მოწყობის უკანასკნელი შანსი?*

რიფკინი: სამოცი წლის კაცმა, რომელსაც ბევრი რამ მინახია, არ შემიძლია ვთქვა, რომ ეს უკანასკნელი შანსია. მაგრამ ეს რომ უდიდესი შანსია, ამის თქმა კი შემიძლია. იქნებ გაგიკვირდეთ კიდეც, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ დღეს ევროპა მსოფლიოს უდიდესი ლაბორატორიაა. თქვენ დაამარცხეთ მტრობა და ურთიერთაგრესია, რომელიც თქვენ საუკუნეების მანძილზე განადგურებდათ. თუ თქვენი ეს ექსპერიმენტი გაამართლებს, მაშინ ალბათ მთელ დანარჩენ სამყაროსაც რაღაც ეშველება. მთელი სამყარო თქვენ

შემოგყურებთ და ცდილობს თქვენს კვალს გაჰყვეს. თქვენი მაგალითით ლათინოსებმა „მარკოსური" შექმნეს. თქვენს კვალს ცდილობს გაჰყვეს სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია და აფრიკა, თუმცა ეს ადვილი არაა. შიმონ პერესმაც კი დასვა საკითხი ევროპული მოდელის მსგავსი რამის შექმნის თაობაზე. თუკი ევროპელები, რომლებიც 2000 წლის მანძილზე ერთმანეთს ებრძოდნენ, შერიგდნენ, მორიგდნენ, რატომ არ შეიძლება ერთმანეთში საერთო ენა ნახონ არაბებმა და ებრაელებმა, რომლებიც ერთმანეთს მხოლოდ ერთი საუკუნეა, რაც ებრძვიან? ევროპული ოცნება მსოფლიო ოცნების დასაწყისია. დღეს მთელი მსოფლიო ისე უყურებს ევროპას, როგორც 200 წლის წინათ ამერიკას შესცქეროდა. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, თუ როგორ გააოცეს მთელი მსოფლიო ფრანგებმა და ჰოლანდიელებმა, როდესაც ევროკონსტიტუციის პროექტი უარყვეს. ევროპელებმა იციან, ამ შემთხვევაში საქმე ეხება ამ ქვეყნების რაღაც შიდა, დროებით პრობლემებს, მაგრამ მსოფლიოს ეს ვერ გაუგია. თქვენ ვერ წარმოიდგენთ როგორ გაუცრუეთ მთელ მსოფლიოს იმედები ახალ წესრიგზე.

**კორესპონდენტი: იქნებ ეს იმედები რეალური არაა?**

რიფკინი: ან იქნებ ევროპა ნაკლებ ცდილობს ამ მიმართულებით? მე ხშირად ვარ ბრიუსელში და სხვადასხვა დონეზე ვიმეორებ: რა არის ევროპა? არავის, არც ერთ დონეზე არ შეუძლია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ყველანი დაბნეულები არიან.

**კორესპონდენტი: ანდა არ სურთ კარტები გაშალონ...**

რიფკინი: მე ვფიქრობ, რომ არ იციან. ისტორიაში ყველა იმპერია შეიქმნა ძალადობის, ძარცვის, დამონების გზით. ევროპა პირველი იმპერიაა, რომელიც მშვიდობიანი გზით წარმოიშვა. ყოველგვარი ძალადობის გარეშე. უფრო მეტიც. ეს არის პირველი იმპერია, სადაც გაწევრიანებასაც ქვეყნები თავად ითხოვენ. თანაც ნახეთ, რა დიდ შესაძლებლობას აძლევს ქვეყანას მასში გაწევრიანება, მოსალოდნელი გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყებაც კი. აი, ნახეთ თურქეთი, როგორ შეიცვალა მას შემდეგ, რაც

ევროკავშირთან მოლაპარაკებები დაიწყო. ეს იმის მაუწყებელია, რომ არ არის საჭირო ჯარების გაგზავნა თუ სანქციების შემოღება, რათა ამა თუ იმ ქვეყანაში სამართლიანი წესრიგი დამყარდეს, ისიც საკმარისია, თუ მას უჩვენებთ, რომ აქვს კეთილდღეობის ქვეყნების კლუბში შესვლის შანსი. ერთ მშვენიერ დღეს ამ კლუბმა შესაძლოა მსოფლიო მოიცვას.

**კორესპონდენტი: ხომ არ გეჩვენებათ, რომ თქვენი ეს განცხადება გულუბრყვილოდ ჟღერს?**

რიფკინი: განა თქვენ უფრო უკეთესი სცენარი იცით მსოფლიოს მოწყობისა? სწორედ ამაში მდგომარეობს თქვენი პასუხისმგებლობა. შეიძლება ბევრი იჩხუბოთ, ივაჭროთ ერთმანეთთან, მაგრამ არა გაქვთ უფლება მსოფლიოს ეს იმედი დაუკარგოთ. რამეთუ თუ ეს ასე მოხდება, სამყაროს ქაოსი დაეუფლება. თუ თქვენი მოდელი ვერ გაამართლებს, ბრძოლის ველზე მხოლოდ ამერიკული მოდელი დარჩება. ერაყის მაგალითზე საუცხოოდ ჩანს, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამას. მაშ რაში მდგომარეობს ჩემი გულუბრყვილობა?

**კორესპონდენტი: გულუბრყვილობა ალბათ იმის რწმენაა, რომ ევროპულ ოცნებას საზღვარი არა აქვს.**

რიფკინი: იცით, ამ ორიოდე წლის წინათ მეუღლესთან ერთად ბრიუსელში ვიყავი და რომანო პროდისთან ვივახშმეთ. მაშინ ვკითხეთ რომანოს, თუ რაში მდგომარეობს პირადად მისთვის ევროპული ოცნება. პასუხი ასეთი იყო: მშვიდობაში. მაშინ ჩემი რეაქციაც ისეთივე იყო, როგორც ახლა თქვენია. მაშინ მეც ასე ვკითხე, გულუბრყვილობა ხომ არ არის მეთქი ეს. როდესაც მომავლის სურათზე ვსაუბრობთ, სიტყვა „გულუბრყვილობა" მოწამლული ხანჯალივითაა. ამაზე რომანო მეუბნება: აი, ნახე, რა მოხდა გერმანიაში. გერმანელები ევროპის ყველაზე მეტად ექსპანსიური ხალხი იყო (დიდი გოეთე გავიხსენოთ: სამი გერმანელი ერთად ყოველთვის ომიაო – ა.გ.). დღეს? დღეს ისინი ყველაზე უფრო მშვიდობისმოყვარე ხალხია ევროპაში. ადამიანები

გამოცდილებაზე სწაელობენ. სწავლობენ ერებიც. მით უმეტეს, როდესაც ხედავენ, რომ არსებობს გამოსავალი, ფუნქციონირების უკეთესი მოდელი, რომელიც ნაკლები ძალისხმევის, ტანჯვის ფასად უფრო მეტ შედეგს იძლევა, სიამოვნებით ცვლიან მას.

**კორესპონდენტი: თქვენ ეს 4 წლით ადრე რომ გეთქვათ, ადვილად დაგიჯერებდით, მაგრამ ტერორიზმთან ბრძოლამ ჩვენი ეს იმედები დაასამარა.**

რიფკინი: ეს თქვენი გამოცდაა. იგი გვაჩვენებს, რომ ევროპული მოდელი ბადებს განსხვაევებულობით გამოწვეულ დაძაბულობას. მაგრამ პრინციპში საქმე ხომ რაიმე აბსტრაქციული სახის განსხვაევებულობას არ ეხება. საკითხი ძირითადად ისლამს ეხება, შიშს მაჰმადიანების წინაშე, რომელთაც უჭირთ პლურალისტურ ევროპასთან ინტეგრირება, ჰქმნიან გეტოებს, გამოდიან ტრადიციული ევროპული კულტურის წინააღმდეგ. ეს კი ევროპულ საზოგადოებაში იწვევს თავდაცვით რეაქციას, რის გამოც ეს უკანასკნელი პოპულისტებს ანუ ნაციონალისტებს აძლევს ხმას. ამან კი გამორიცხული არაა 30-იანი წლების უბედურებებისაკენ დაბრუნება გამოიწვიოს. ამის გეშინიათ ევროპაში?

**კორესპონდენტი: ზუსტად ამის.**

რიფკინი: ჯერჯერობით ამგვარი პრობლემა არ არსებობს. საფრანგეთმა და ჰოლანდიამ კონსტიტუციის წინააღმდეგ ხმა იმიტომ კი არ მისცეს, რომ მათ ევროპული მოდელი არ მოსწონთ, არამედ იმიტომ, რომ სუსტად იცავს მათ. ადრინდელი ევროპის წევრი ქვეყნებიდან მხოლოდ მოსახლეობის 15 პროცენტს სურს ნაკლები ევროპა. სხვა დანარჩენს უფრო მეტი სოციალური ევროპა უნდა. ეს მეტყველებს ევროპული ოცნების შინაგან ძალაზე. ეს განწყობა კი ხელს უწყობს ინტეგრაციული პროცესების განვითარებას. ახლა თქვენ მხოლოდ ცოტაოდენი მოთმინება გჭირდებათ.

**კორესპონდენტი: მოთმინებასაც თავისი საზღვარი აქვს. ლონდონში აფეთქების შემდეგ პრემიერმა ბლერმა განაცხადა, რომ საჭიროა წესების შეცვლა. ნაცვლად**

მეურვეობის, ტოლერანციისა და საზოგადოებაში ჩართვისა, საჭიროა დაიწყოს რეპრესიები, კონტროლი და საზოგადოებიდან იზოლაცია. ეს კი მოასწავებს ევროპის ამერიკული მოდელისაკენ მიბრუნებას. თუ ეს მართლაც ასე მოხდა, მაშინ თქვენი წიგნი მხოლოდ იმ ძალიან მშვენიერის ეპიტაფიად გამოდგება მხოლოდ, რასაც აღსრულება არ ეწერა.

რიფკინი: უფრო უარესი იქნებოდა. ევროპა დიდი იმიგრაციის გარეშე პრობლემებს თავს ვერ გაართმევს. ასეთი ბუნებრივი მატების პირობებში უახლოესი წლების მანძილზე იძულებული ხართ შრომითი რესურსები გარედან შემოიყვანოთ. ამ მხრივ კი თქვენთვის ერთადერთ დიდ რეზერუარს არაბული ქვეყნები წარმოადგენენ. იძულებული ხართ ისწავლოთ ცხოვრება მაჰმადიანებთან. ეს კი სოციალური და მრავალკულტურული მოდელის შენარჩუნებას ითხოვს. ეს მოდელია ასევე ერთადერთი გზა თქვენი ბუნებრივი მატების გაზრდის და იმიგრაციის შემცირებისა მომავალში. დანიელებმა და ფრანგებმა შესძლეს ამის გაკეთება. მათ მშობლებს შესთავაზეს დახმარების ისეთი სისტემა, რომ ბავშვის ყოლა მათ პირად რისკთან აღარაა დაკავშირებული. სამაგიეროდ, თუკი ამერიკული მოდელისაკენ გადაიხრებით, არჩევანს გააკეთებთ დიდ იმიგრაციასა და ღარიბ პენსიონერებს შორის. აქედან გამომდინარე, შეიძლება ევროპულ ოცნებაზე ფიქრი, როგორც აუცილებლობაზე, პრობლემა მხოლოდ იმაშია, რომ სწორედ იქნეს იგი გაგებული.

## მომავალი მაინც ევროკავშირია

ამ ფონზე პარადოქსალურია, რომ დასაწყისში ნახსენები ოთხი პატარა ქვეყანა ეკონომიკის ზოგიერთ სფეროში გაცილებით წინ წავიდა, ვიდრე კავშირის მრავალი წევრი-ქვეყანა. მაგალითად, ნორვეგიამ ფართოდ გაუხსნა კარი მრავალ ათას მუშას პოლონეთიდან. შვეიცარია შენგენის კავშირში შევიდა, მაშინ, როდესაც დიდი ბრიტანეთი და ირლანდია კონტროლს აწესებენ თავიანთ საზღვრებზე.

ამასთან უნდა ითქვას ისიც, რომ ამ პატარა ქვეყნების ევროკავშირში შესვლაზე გარკვეულად უარყოფითად მოქმედებს თავად ამ გაერთიანებაში მიმდინარე მოვლენები. კერძოდ, ევროკავშირში კონსტიტუციის ჩავარდნა საფრანგეთსა და ჰოლანდიაში გამართულ რეფერენდუმზე. თუ მაგალითად, ევროპაში უფრო მეტი ინტეგრაციის სასარგებლოდ ხმას აძლევდა ნორვეგიელთა 55 პროცენტი, ამ რეფერენდუმების მარცხით დასრულების შემდეგ სურათი სრულიად საპირისპიროდ შეიცვალა. თუმცა ზოგიერთი ნორვეგიელი ექსპერტი მაინც ფიქრობს, რომ მათი სამშობლოს ადგილი ევროკავშირშია. – ჩვენი მომავალი ევროკავშირის ხელშია – ამბობს დიდრიკ ტონსეტი, ნორვეგიელი მიმომხილველი – თუ დიდი ბრიტანეთი ევროს შემოიღებს, ჩვენ სხვა არჩევანი არ დაგვრჩენია.

თუ ევროკავშირს ნორვეგია შეუერთდება, ჩვენც იძულებული ვიქნებით მის კვალს გავყვეთ. უკვე ახლა ისლანდიის ხელისუფლება თავის გადაწყვეტილებებს ევროკავშირთან დაკავშირებით ოსლოსთან კოორდინაციით იღებს – ამბობს პროფ. ბერგმანი.

როგორც ჩანს, თავის დამოუკიდებლობას ყველაზე დიდხანს ლიხტენშტეინი დაიცავს – „ჩვენი მოქალაქეების ორ მესამედს არ სურს ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვა – ამბობს თავადი ნიკოლუსი. თუმცა არ მალავს, რომ თუ შვეიცარია შეუერთდება ევროკავშირს, მაშინ ძნელი იქნება ამგვარად გაერთიანებული ევროპის გარეთ დარჩენა, მით უმეტეს ასეთი პატარა ტერიტორიისა და ასეთი მცირე მოსახლეობის მქონე ქვეყნისათვის, რომლის თვითმყოფადობასაც განსაზღვრავს შვეიცარული ფრანკი.

# ევროპული ინტეგრაციის ანბანი

## ატომი

ატომის ენერგიამ, რომელიც ახლა ქვეყნებს ერთმანეთისაგან ყოფს, 50 წლის წინათ ექვსი დასავლეთ ევროპული ქვეყანა გააერთიანა. კერძოდ, 1957 წლის 25 მარტს საფრანგეთმა, გერმანიამ, ბელგიამ, ჰოლანდიამ, ლუქსემბურგმა და იტალიამ რომში ხელი მოაწერეს შეთანხმებას ორგანიზაცია „ევრატომის" დაფუძნების თაობაზე. მისი მიზანი უნდა ყოფილიყო ატომის ენერგიის ერთობლივი გამოყენება სამშვიდობო მიზნებისათვის და ასევე მისი ერთობლივი საზღვრის გაფართოება.

## ბრიუსელი

ბელგიის დედაქალაქი, მიჩნეულია ასევე ევროკავშირის დედაქალაქად. ამ ქარიან და წვიმიან ადგილას მდებარეობს კავშირის დაწესებულებების ოფისები, უპირველეს ყოვლისა, კი, Berlayment-ი, რომელშიც ევროპის კომისიაა განთავსებული. დროთა განმავლობაში „ბრიუსელი" გახდა კომისიის სინონიმი. ხშირად ამბობენ, რომ სწორედ ბრიუსელი აყენებს წინადადებებს, გამოყოფს თანხებს, უბრძანებს კავშირის ამა თუ იმ წევრ ქვეყანას რაიმე ღონისძიების განხორციელებას.

## საბაჟო გადასახადი

საბაჟო კავშირი ოთხ „თავისუფლებას" ემყარება: საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და მოქალაქეების თავისუფლად გადაადგილების

თავისუფლებას. აღნიშნულ თავისუფლებას საფუძველი ჩაეყარა 50 წლის წინათ, რომში, ეგრეთ წოდებული, რომის ტრაქტატის მიერ, როდესაც ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შესახებ.

## დე გოლი

„ევროპა ატლანტიკის ოკეანიდან ურალამდე. ესაა ევროპა, რომელიც მსოფლიოს ბედს გადაწყვეტს" – ასე წარმოედგინა გაერთიანებული კონტინენტი საფრანგეთის პრეზიდენტს შარლ დე გოლს. ცხადია, მისი საძირკველი უნდა ყოფილიყო საფრანგეთი და ასევე გერმანია. პარადოქსია, რომ თუმცა მას ეს გაერთიანება დაახლოებით ისე წარმოედგინა, როგორც საბჭოთა კავშირი, მაგრამ იგი მასში დიდი ბრიტანეთისათვის ვერ პოულობდა ადგილს. 1963 წლის 14 იანვარს, მიუხედავად გარკვეული პროგრესისა ამ საქმეში, საფრანგეთის პრეზიდენტმა ვეტო დაადო მის შეყვანას გაერთიანებაში. ოფიციალურ მიზეზად გამოცხადდა დიდი ბრიტანეთის არასაკმარისი გახსნილობა კონტინენტური ევროპის ქვეყნების მიმართ და ასევე ბრიტანეთის წინააღმდეგობა მიეღო ევროპული კანონები აგრარულ სფეროში. სინამდვილეში კი საფრანგეთს ეშინოდა ლონდონის მეტისმეტად მჭიდრო კავშირისა შეერთებულ შტატებთან. დე გოლმა მეორედ დიდი ბრიტანეთის შესვლა ევროგაერთიანებაში 1967 წელს დაბლოკა და ამის მიზეზად მისი ეროვნული მეურნეობის ცუდი მდგომარეობა დასახელდა.

## ევრო

„ევროპა ან გაერთიანდება თავისი საერთო ფულის დახმარებით ან საერთოდ ვერ გაერთიანდება" – აცხადებდა 1950 წელს ფრანგი ეკონომისტი ჟაკ რუეფი. თუმცა საერთო ფული, ევრო, შემოვიდა 50 წელზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ.

მონეტარულ კავშირს წინ უძღოდა ევროპის სავალუტო სისტემა და ასევე სავალუტო ერთეული – ეკიუ, თუმცა ეს უკანასკნელი მხოლოდ ევროგაერთიანების ბიუჯეტის შესადგენად გამოიყენებოდა. 1998 წელს დაფუძნდა ევროპის ცენტრალური ბანკი, რომლის ცენტრალური ოფისიც მაინის ფრანკფურტში მდებარეობს, ხოლო შემდგომ წელს ევრო მიმოქცევაში შევიდა, თავიდან უნაღდო ანგარიშსწორებისათვის, ევროკავშირის წევრ 11 ქვეყანაში. იმავდროულად დაიწყეს საერთო ვალუტის ბანკნოტებისა და მონეტების ბეჭდვა, რომლებიც საყოველთაო ბრუნვაში 2002 წლის 1 იანვარს შევიდა კავშირის 12 ქვეყანაში. დიდმა ბრიტანეთმა, დანიამ და შვედეთმა შეინარჩუნეს საკუთარი ეროვნული ვალუტა და დღემდე არ აპირებენ მასზე უარის თქმას.

## ფედერალიზმი

ესაა ის პერსპექტივა, რომელიც ევროპელთა საკმაოდ დიდი ნაწილის აღშფოთებას იწვევს. ამ თემაზე დამუშავებული ერთ-ერთი კონცეფციით, ევროკავშირის განვითარების საბოლოო მიზანს წარმოადგენს სწორედაც რომ ფედერალიზმი, რომელიც გულისხმობს, რომ დროთა განმავლობაში ის გადაიქცევა „სუპერსახელმწიფოდ", ერთი

პრეზიდენტით, ერთი მთავრობით და პარლამენტით. რაც შეეხება ახლანდელ ეროვნულ მთავრობებს, მათ ადმინისტრაციულ ერთეულებად გადაქცევის პერსპექტივა ელით.

## საზღვრები

ევროპის ინტეგრაციის ერთ-ერთ ყველაზე მომხიბლავ მხარეს ის წარმოადგენს, რომ მის ყველა მკვიდრს აქვს საშუალება ადვილად იმოგზაუროს კავშირის მასშტაბით და რიგში არ იდგეს საზღვარზე. უკვე 1985 წელს ამ კონტინენტზე შემოიღეს ევროპული პასპორტები, რომელმაც გააადვილა საზღვრის გადაკვეთა ევროგაერთიანების ფარგლებში. ამავე წლის 14 ივნისს საფრანგეთმა, გერმანიამ, ბელგიამ, ჰოლანდიამ და ლუქსემბურგმა ხელი მოაწერეს შენგენის ხელშეკრულებას, რომელიც აუქმებს ამ ქვეყნებს შორის სასაზღვრო კონტროლს. დღეისათვის ამ სფეროში შესულია 15, მათ შორის, კავშირის არა წევრი ქვეყნებიც – ნორვეგია და ისლანდია.

## ჰეიტსი

არსენ ჰეიტსი, ფრანგი მხატვარი არის ავტორი ევროკავშირის დროშისა: შემორკალული 12 ვარსკვლავი ცისფერ ფონზე. თავიდან ამ სიმბოლომ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ხოლო თავად ჰეიტსმა აღიარა, რომ დროშის იდეა „ისესხა" წმინდა მარიამ ღვთისმობლის გამოცხადებიდან, რომელსაც ხატებზე ცისფერ ფონზე 12 ოქროსფერი ვარსკვლავი აქვს გარშემორტყმული.

## ინტეგრაცია

გაფართოება თუ გაღრმავება? აი, რა სახით სვამენ კითხვას ევროკავშირის გაფართოების თაობაზე მისი ლიდერები. ბოლო ორი გაფართოების დროს, როდესაც კავშირი 15-დან 27-მდე გაიზარდა, მისი უნარი გაფართოებისაკენ მისწრაფებისა ძალზე დასუსტდა. ამავე დროს, 27 ქვეყანას შორის, რომლებიც ეკონომიკური განვითარების მხრივ განსხვავებული არიან, თანდათან უფრო ძნელი ხდება საუბარი ინტეგრაციის გაღრმავების თაობაზე. შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს აღმოჩნდეს, რომ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მისი ვერც გაფართოება და ვერც გაღრმავება ვერ მოხერხდეს. ეს კი, ცხადია, განსაკუთრებით თურქეთისათვის (ცხადია, საქართველოსათვისაც) არაა სასიამოვნო, რომელსაც დიდი იმედები აქვს კავშირში გაერთიანების და უკვე წლებია, რაც ამისათვის აქტიურად ემზადება.

## აზრთა შეთანხმებულობა

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და დელიკატური საკითხების, როგორიცაა გადასახადები და სოციალური გადაწყვეტისას, ევროკავშირი ძირითადად მაინც შეთანხმებულად მოქმედებს. თუმცა, რაც უფრო იზრდება იგი, ამგვარი შეთანხმების მიღწევა რთულდება. გავიხსენოთ, ამ ბოლო დროს ამგვარი „განტევების ვაცი" ძირითადად ევროკავშირსა და პოლონეთს შორის გახდა ნავთობსადენი, რომელმაც ბალტიის ზღვა უნდა გაიაროს. ზოგიერთი, ერთი შეხედვით უმნიშვნელო საკითხი, შესაძლებელია რომელიმე ქვეყნისათვის ძალზე სერიოზული

აღმოჩნდეს, დაუსრულებელი დავა გამოიწვიოს, ხოლო ერთ ვეტოს მთელი პროექტის ჩაგდება შეუძლია.

## კონსტიტუცია

ოთხი ათწლეულის განმავლობაში ევროკავშირმა რამდენიმე ტრაქტატი და მრავალი სხვა დოკუმენტი შეიმუშავა, რომლებიც თანდათან გაუგებარი ხდება მისი მკვიდრთათვის. რათა თავი დაეღწიათ ამგვარი მდგომარეობისათვის, სპეციალური კომისიაც კი შეიქმნა – კონვენტი, რომელმაც 2003 წლის ივლისში შეიმუშავა ახალი ტრაქტატი, რომელსაც პათეთიკური სახელი, კონსტიტუცია უწოდეს. კონსტიტუციას დაექვემდებარა მანამდე მიღებული ტრაქტატი, მის საფუძველზე მოხდა კავშირის მრავალი დაწესებულების რეფორმირება. თუმცა ამ დოკუმენტს მრავალი თავიდანვე ამრეზით უყურებდა. ზოგიერთი ქვეყნისათვის, ისეთებისათვის, როგორიც პოლონეთია, მიუღებელი იყო ხმის მიცემის სისტემა, რომელიც კავშირის დიდი ქვეყნების პოზიციებს კიდევ უფრო ამყარებდა. კომპრომისი მიღწეული იქნა 2004 წლის 29 ოქტომბერს, როდესაც რომის კაპიტოლიუმზე ევროპის ქვეყნების ხელმძღვანელებმა მას ხელი მოაწერეს. თუმცა შეთანხმება მალე დაირღვა: 2005 წლის მაისსა და ივნისის გასაყარზე საფრანგეთმა და ჰოლანდიამ რეფერენდუმზე დოკუმენტი უარყვეს. მაშინ ევროკავშირმა დოკუმენტზე „დაფიქრების პერიოდი" გამოაცხადა, ხოლო ზოგიერთი ქვეყანა დღემდე უარს აცხადებს მის რატიფიცირებაზე.

## ლისაბონის სტრატეგია

ეს დოკუმენტი ერთ-ერთი არგუმენტია იმისა, რომ კავშირში ყველაფერი მწყობრად როდი მიდის. 2000 წელს ლისაბონში კავშირის ხელმძღვანელებმა განვითარების გეგმა მიიღეს, რომლის მიხედვითაც უახლოესი 10 წლის განმავლობაში ინოვაციებითა და ახალი ტექნოლოგიებით, კავშირი მსოფლიოში ყველაზე კონკურენციულ ეკონომიკად უნდა გადაქცეულიყო და აშშ-თვისაც გაესწრო. სამწუხაროდ, ლისაბონის სტრატეგიის მოთხოვნების დაცვა, ვერც ერთმა მასზე ხელის მომწერმა ქვეყანამ ვერ შეძლო და დღეს ევროკავშირი იქნებ უფრო მეტად ჩამორჩება შეერთებულ შტატებს, ვიდრე მაშინ.

## გახსნილი ცა

ევროკავშირისა და შეერთებული შტატების ერთობლივი ძალისხმევით მიღებულია დოკუმენტი, რომელიც ატლანტიკის ოკეანის თავზე თავისუფალი გადაფრენების საშუალებას იძლევა. ეს კი, საჰაერო ტრანსპორტს აიძულებს ბილეთები გააიაფოს.

## პრეზიდენტობა

ევროკავშირში თავმჯდომარეობა წევრ ქვეყნებს შორის როტაციული წესით ხდება. თავისი თავმჯდომარეობის დროს ყოველი მათგანი ადგენს პრიორიტეტებს და საკუთარ ქვეყანაში აწყობს მინისტრთა არაფორმალურ თათბირებს. ამ სისტემას „პოლიტიკურ ტურისტიკასაც“ უწოდებენ, რომელიც ყოველთვის როდია წარმატებული, თუმცა მასპინძელ

ქვეყანას საშუალებას აძლევს საკუთარი თავი საუკეთესო კუთხით დაანახოს მსოფლიოს.

## გაფართოება

ეს ძალიან ფაქიზი თემაა. დე გოლის გარდაცვალების შემდგომ ბრიტანელებმა შეძლეს ევროგაერთიანებაში შესვლა. 1973 წლის 1 იანვარს კავშირის პირველი გაფართოების დროს მასში შევიდნენ ირლანდია და დანია. შემდგომი გაფართოებისათვის შვიდი წლის მოლოდინი იყო საჭირო. 1981 წელს ევროგაერთიანებაში შევიდა საბერძნეთი. შემდეგ მათ მიჰყვნენ ესპანეთი და პორტუგალია. გერმანიის გაერთიანებასთან ერთად ევროგაერთიანებაში აღმოჩნდა აღმოსავლეთ გერმანია, ყოფილი გდრ, ხოლო 1995 წელს 12 ქვეყანას დაემატა ფინეთი, ავსტრია და შვედეთი (ნორვეგიამ ორჯერ განაცხადა უარი მასში შესვლაზე). თუმცა ყველაზე მასშტაბური გაფართოება ევროკავშირმა განიცადა 2004 წლის 1 მაისს, როდესაც მას ერთდროულად 10 ქვეყანა მიემატა – 8 ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან და ასევე მალტა და კვიპროსი.

## სოლიდარობა

ეს ევროკავშირის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია, რომელსაც იგი ეყრდნობა. მის შესაბამისად ღარიბი ქვეყნები მაქსიმალურად სარგებლობენ კავშირის ფონდებიდან, რომელსაც მდიდარი ქვეყნები აფინანსებენ. თუმცა ისეც ყოფილა, რომ მდიდრებს ღარიბებისათვის განუცხადებიათ, რომ „წყნარად მსხდარიყვნენ“. ანუ, როდესაც საქმე სერიოზულ ინტერესებს ეხება, სოლიდარობა უკანა პლანზე

ინაცვლებს. ამის მაგალითს წარმოადგენს თუნდაც ზემოთ ნახსენები ბალტიის ზღვის ფსკერზე გამავალი ჩრდილოეთის გაზსადენი, რომელიც რუსეთს გერმანიასთან დააკავშირებს, იმისდა მიუხედავად, მოსწონს ეს კავშირის ყველა ქვეყანას, თუ არა.

## თურქეთი

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თურქეთის მარათონი ევროკავშირში გასაწევრიანებლად უკვე 40 წელზე მეტი გრძელდება. 1963 წლის 12 სექტემბერს ევროგაერთიანებამ ხელი მოაწერა ამ ქვეყანასთან მჭიდრო თანამშრომლობის ხელშეკრულებას. ქვეყნის მიერ ამ მხრივ საგრძნობი პროგრესის მიღწევა (ვგულისხმობთ მოლაპარაკებების დაწყებას) მრავალმა რამემ შეაფერხა: 80-იან წლებში სამხედრო გადატრიალებამ, ცუდმა ურთიერთობამ საბერძნეთთან და კვიპროსთან, ეკონომიკურმა კრიზისმა და ა. შ. მხოლოდ 2005 წელს დაიწყო ევროკავშირმა ანკარასთან მოლაპარაკებები. ეს უკანასკნელი დღესაც გრძელდება, თუმცა ვერავინ იტყვის, როდის და საერთოდაც, დასრულდება კი?

## არჩევნები

ევროგაერთიანების გაფართოებასთან ერთად, ეს წარმონაქმნი თანდათან უცხო ხდებოდა ადამიანებისათვის, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ გადაწყვეტილებებს მათ ზურგს უკან იღებდნენ. ბოლოს ევროპელებმა არჩევნების შედეგად მიიღეს თავიანთი პარლამენტი. პირველი უშუალო არჩევნები ევროპარლამენტში 1979 წლის 7-9 ივნისს შედგა.

თუმცა ამ დაწესებულების ფესვები უფრო ადრეულ წარსულშია საძიებელი, კერძოდ კი, 50-იან წლებში, როდესაც ევროგაერთიანება წარმოიშვა. ამ სტრუქტურის საერთო კრებაში მონაწილეობის მისაღებად ყველა ქვეყნის ეროვნული პარლამენტებიდან დელეგატები გაიგზავნა. ამჟამინდელი სახელწოდება – ევროპარლამენტი 1962 წელს წარმოიშვა. მასში არჩევნები ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდება.

## გაერთიანება

ევროპის ომის შემდგომ სახელმწიფო მოღვაწეებს მიაჩნდათ, რომ ევროპის გაერთიანება წარმოადგენს ყველაზე საუკეთესო გზას ამ კონტინენტზე კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად. დიდი ბრიტანეთის გამოჩენილმა პრემიერმა უინსტონ ჩერჩილმა „ევროპის შეერთებული შტატების" იდეაც კი გაახმოვანა. ეს უნდა ყოფილიყო ფედერაციული სახელმწიფო, ერთ-ერთი ბოძი გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა ამერიკის, საბჭოთა სფეროს და ბრიტანეთის იმპერიასთან ერთად. მაგრამ დღეს „ევროპის შეერთებული შტატების" კონცეპცია მრავალ ევროპელს აღიზიანებს.

## პროლოგის მაგიერ

დავასრულეთ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მკვიდრთა ე.წ. ავტოდახასიათებები, ანუ დახასიათებები, რომელსაც საკუთარ ქვეყანასა და თანამოქალაქეებს თავად ამავე ქვეყნების მკვიდრნი – მწერლები, ჟურნალისტები, პოლიტოლოგები და ა. შ. აძლევენ. ვფიქრობთ, წიგნმა ჩვენს მკითხველს უკვე გარკვეული წარმოდგენა შეუქმნა იმაზე, თუ რას წარმოადგენენ კავშირის ცალკეული ქვეყნების მცხოვრებნი, როგორია მათი ეროვნული თავისებურებები, მენტალიტეტი და ა. შ.

ახლა, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს მოკლედ წარმოვესახოთ ასევე ის, თუ როგორ წარმოუდგენიათ ევროპელებს თავისი მეზობლები: ავსტრიელებს – გერმანელები, დიდ ბრიტანელებს - ფრანგები, ჰოლანდიელებს – დანიელები და ა.შ.

მაშ ასე:

ევროპელთა შორის გერმანელები მაინც და მაინც დიდი სიყვარულით არ სარგებლობენ. ისინი სხვა ევროპელებს დიდად არ ესიმპათიურებათ, და ეს განსაკუთრებით გერმანელთა ხმაურიანი, ხშირად შოვინისტური ცხოვრების წესის გამო. ამასთან, ევროპელები არც იმას ივიწყებენ, რომ სწორედ გერმანელები არიან განსაკუთრებით პატიოსანი ევროპელები. ხასიათის ამ თვისებით ევროპელებს შორის მეორე ადგილს იკავებენ შვეიცარიელები, თუმცა ისინი საგრძნობლად ჩამორჩებიან გერმანელებს.

ევროპაში დიდად არ ეპიტნავებათ ასევე ავსტრიელები.

ყოველ შემთხვევაში, ასეთ დასკვნამდე მივიდა ცნობილი საერთაშორისო სააგენტო „Reader's Digest", რომელმაც თავისი შესაბამისი გამოკითხვები ევროკავშირის ქვეყნებში რამდენიმე ათას ევროპელს შორის ჩაატარა.

მათი შესწავლის შედეგად კვლევამ ასევე დაასკვნა, რომ ევროპაში ყველაზე საყვარელ ხალხს იტალიელები წარმოადგენენ. იტალიელები დანარჩენ ევროპელებს განსაკუთრებით მათი გემრიელი სამზარეულოს გამო მოსწონთ. გამოკითხულთა 40%-ზე მეტმა სწორედ ამ ფაქტორს გაუსვა ხაზი. იტალია აღმოჩნდა ასევე ქვეყანა, სადაც დიდი სიამოვნებით იცხოვრებდა ანკეტირებულთა უმეტესობა. გამოკითხულები იტალიელებს მიიჩნევენ ასევე ყველაზე სექსუალურ ევროპელებად.

გამოკითხულებს შორის ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობენ ესპანელები, ხოლო მათ შემდეგ - ფრანგები.

გამოკითხვამ გამოარკვია ასევე, რომ ბრიტანელებს აქვთ ყველაზე მახვილი შეგრძნება იუმორისა. ამ თვისებით მეორე ადგილზე არიან იტალიელები.

ბრიტანელები გამოკითხულებმა იმითაც გამოარჩიეს, რომ მათ, ისტორიულად ყველაზე დიდი დამსახურება მიუძღვით კონტინენტის წინსვლა-განვითარების საქმეში. ამ მხრივ მეორე ადგილი დაიკავეს გერმანელებმა, მესამე - ფრანგებმა.

ჰოლანდიელები მიჩნეული არიან ყველაზე ტოლერანტულ ევროპელებად. ჰოლანდიელები, გერმანელებისაგან განსხვავებით, გამოკითხულებმა მიიჩნიეს ხალხად, რომელიც არის მეტად გულღია, განსაკუთრებით ისეთ თემებთან დაკავშირებით, როგორებსაც წარმოადგენს ნარკოტიკები და სექსი.

კითხვაზე, თუ რომელი ევროპელი ერი არ ესიმპათიურებათ, გამოკითხულებმა ზემოაღნიშნულ გერმანელებთან და ავსტრიელებთან ერთად, რუსები, პოლონელები, უნგრელები და სლოვაკები დაასახელეს. საყურადღებოა, რომ ავსტრიელებიც ამ უკანასკნელთა შორის მოხვდნენ.

სააგენტო „Reader's Digest" არა მხოლოდ იმის დასადგენად ჩაატარა გამოკითხვა, თუ რომელი ევროპელი ერი მოსწონთ თუ არ მოსწონთ რესპონდენტებს, არამედ იმის გასაგებადაც, თუ რომელი ქალაქია ევროპაში ყველაზე საყვარელი და პოპულარული. ამ რეიტინგში გამოკვეთილად გაიმარჯვა პარიზმა, გამოკითხულთა 25%-მა სწორედ იგი აღიარა ასეთად, მას შემდეგ მიჰყვებიან ლონდონი და რომი, 13-13%, ხოლო შემდეგ ადგილებზე აღმოჩნდნენ პრაღა და ბარსელონა (6-6%) და ბოლოს, ვენეცია – 5%.

**A. Grishikashvili**
Candidate of Economical Science, Professor
Honorable Figure of Polish Culture

# We, Europeians

## Resume

In may of 2004 Europeians has spread number of its member as 10 countries from Central and Eastern Europe have been unitied in aboue mentioned union. Among them is poland. The most populer magazine in Poland „polyitics" by new heading „Lef's introduse each other" has begun highly interesting campaign. For example it has askecdl famous people of Eurounion's countries (already 25 countries) to express all characferistical features of their countzy in artistic way. We have translated them and part of these publications has been published in the magazine „Georgia's Economy". Then we decided on publishing this material as a book in order to introduce it to readers.

In tu book the countfies are lisfed accorrding to their joining into union.